ბეჭედია ბ… ილისი – შიგ ჩ… ში
…ebi.ge
ფასი 1,50 ლარი
25 – 31 მაისი
№21(752)



გვ. 59

**მარინა ბერიძის რა შეცდომა გამოასწორა მისმა ერთადერთმა შვილმა და ვის ეძებს ის „ოქროს ტალღაში“**

გვ. 62

**რატომ ეჩხუბებიან „X ფაქტორის“ რეპეტიციებზე მარიამ ჯანჯღავას და რის გამო დააწერინეს მას სკოლაში ახსნა-განმარტება**

გვ. 54

**როდის აპირებს „ბერკლიში“ სოლო კონცერტის გამართვას ვაჟა მანია და რატომ ჩამოიპარა ის თბილისში**



გვ. 58

**სად დაიტოვეს გოგოებმა შეკრებაზე მყოფი კალათბურთელი ბიჭები და როგორ აღმოჩნდა კოტე ტულუში სველი ტანსაცმლით უცნობის ქორწილში**



**როგორ აღმოჩნდა ხუთი თვის შვილის დედა მამრობითი სქესის და რატომ ვერ ამტკიცებს ხატია ვოლნისტი რეალურ სქესს**

გვ. 29



**როგორ გახდა ილია ლომთათიძე პრეზიდენტ ნაზარბაევის რჩეული პიანისტი და რა მომავალს უწინასწარმეტყველებენ მას კრიტიკოსები**

გვ. 57



გვ. 55

**რატომ ამბობს უარს ამერიკაში ჩვეულებრივ სიყვარულზე სალომე გასვიანი, ვისთან ერთად ცხოვრობს ის ლოს-ანჯელესში და რატომ გადაწყვიტა მან მთელი ცხოვრება მარხვის დაცვა**

# იღბლიან კვირას გისურვებთ!




SANDOZ
a Novartis company

**შვეიცარული მიდგომა ხარისხთან**

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18; ტელ.: 298 27 30, 298 27 50

ექსოდერილის გამოყენების მოკლე ინსტრუქცია:

**პრეპარატის სავაჭრო დასახელება:** ექსოდერილი®, გარეგანად გამოსაყენებელი ხსნარი 1%, ექსოდერილი®, გარეგანად გამოსაყენებელი კრემი 1%. **აქტიური ნივთიერება:** ნაფტიფინის ჰიდროქლორიდი. **გამოყენების ჩვენებები:** ექსოდერილი გამოიყენება სოკოვანი დაავადებების ადგილობრივი მკურნალობისთვის, რომლებიც გამოწვეულია ნაფტიფინის მიმართ მგრძნობიარე გამომწვევებით: კანისა და კანის ნაკეცების სოკოვანი ინფექციები თანმხლები ქავილით ან მის გარეშე; ფრჩხილების სოკოვანი ინფექციები; კანის კანდიდოზები; ქატოსებრი ლიქენი. **უკუჩვენებები:** ჰიპერმგრძნობელობა ნაფტიფინის, პროპილენგლიკოლის ან პრეპარატის სხვა დამხმარე ნივთიერებების მიმართ. **განსაკუთრებული გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები** გამოყენებისას ექსოდერილის ხსნარი განკუთვნილი არ არის ოფტალმოლოგიაში გამოსაყენებლად. დაუშვებელია ხსნარის ღია ჭრილობებზე ან ნახეთქებზე გამოყენება. პრეპარატი შეიცავს პროპილენგლიკოლს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება. პრეპარატი დაიტანება გაუზავებელი სახით და მას არ ურევენ სხვა გარეგანი გამოყენების პრეპარატებს. არ არის ფოტოტოქსიკური და არ იწვევს ფოტოსენსიბილიზაციას. 1 გ კრემი ასევე შეიცავს 10 მგ ბენზილის სპირტს კონსერვანტის სახით. **ორსულობა და ძუძუთი კვება:** წამლის გამოყენებამდე გაიარეთ კონსულტაცია მკურნალ ექიმთან. **ზეგავლენა სატრანსპორტო საშუალებებით მართვის უნარსა და მექანიზმებთან მუშაობაზე** დღემდე შეტყობინებები ზეგავლენის შესახებ არ დაფიქსირებულა. **დოზები და გამოყენების წესი** დოზირება კანის სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ გამოიყენება დღე-ღამეში ერთხელ. დაზიანებული კანი და მის გვერდით უბნები გაწმინდეთ, გაიმშრალეთ, შემდეგ საგულდაგულოდ დაასველეთ ხსნარით პირდაპირ ბოთლიდან ან ბამბის ტამპონის მეშვეობით. ფრჩხილების სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ პრეპარატი გამოიყენება დღე-ღამეში ორჯერ, ფრჩხილის თავისუფალი კიდის მხრიდან დატანის მეშვეობით. ხსნარის პირველი გამოყენების წინ აუცილებელია ფრჩხილის დაზიანებული ნაწილის მაქსიმალურად მოცილება მაკრატლითა და ფრჩხილების ქლიბით. კანის სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ უნდა გამოიყენოთ დღე-ღამეში ერთხელ, ფრჩხილების ინფექციებისთვის - დღე-ღამეში ორჯერ. დაზიანებული კანი და მისი მიმდებარე უბნები გაწმინდეთ, გაიმშრალეთ, შემდეგ რბილი მასაჟის მეშვეობით, შეიზილეთ კრემი.გამოყენების ხანგრძლივობა მკურნალობის ხანგრძლივობა: დერმატომიკოზებისას - 2-4 კვირა (აუცილებლობისას - 8 კვირამდე), კანდიდოზებისას - 4 კვირა, ფრჩხილების ინფექციებისას - 6 თვემდე. ინფექციის რეციდივის თავიდან ასაცილებლად მკურნალობა უნდა გაგრძელდეს არანაკლებ ორი კვირა კლინიკური გამოჯანმრთელების შემდეგ. ბავშვები და მოზარდები: ნაფტიფინის უსაფრთხოება და ეფექტურობა ბავშვებსა და 18 წლამდე ასაკის მოზარდებში დამტკიცებული არ არის. **ჭარბი დოზირება:** შინაგანად შემთხვევითი მიღების შემთხვევაში უნდა მიმართოთ ექიმს. **გვერდითი მოქმედება:** ცალკეულ შემთხვევში შეიძლება აღინიშნოს სიმშრალის, წვის ან შეწითლების შეგრძნებები. **ურთიერთქმედება სხვა სამკურნალწამლო პრეპარატებთან და ურთიერთქმედების სხვა სახეობები** ურთიერთქმედებები სხვა სამკურნალწამლო ნივთიერებასთან ან ალკოჰოლთან აღინიშნული არ ყოფილა. **შენახვის პირობები:** ინახება 30˚C-ზე დაბალ ტემპერატურაზე, ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. გახსნილი ფლაკონი შეინახეთ არაუმეტეს 28 დღისა არაუმეტეს 25˚C- ტემპერატურაზე. **ვარგისიანობის ვადა** 5 წელი.
**გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

GE1503301858



1. A. Y. Sergeev, Y.V. Sergeev, V.Y. Sergeev, Onychomycosis: new Russian concept of pathogenenis, diagnosis and therapy, Immunopathology, allergology, Infectology, 2007, N3:9-16; 2. Квитчатая А. И. , Пиминов А. Ф. , Высокий коьплаенс как фактор эффективности лечения, Журнал Аптека, № 871 (50) 24 12 2012;

**ოფისში შესვლისთანავე იგრძნობა ოჯახური სიმყუდროვე. ერთიანი გუნდის „დედამთავარი" ქალბატონი რუსუდან ბარამიძეა, დღეს თბილისში აღიარებული აუდიტორი. მისი აუდიტორული კომპანია 2008 წელს დაფუძნდა, თუმცა მანამდე ქალბატონმა რუსუდან ბარამიძემ პროფესიული კვალიფიკაციის რთული გზა განვლო, რომელმაც შემდგომი პროფესიონალიზმი და წარმატებები მოუტანა. სწორედ ამიტომაც, დღეს მას ცნობილი და წარმატებული კომპანიები ენდობიან და საკუთარი ბიზნესაუდიტის ბედსაც ანდობენ. ეს ყველაფერი კი ამ გამოცდილი ქალბატონის დამსახურებაა, რომელმაც ახლა უკვე თავისი შვილები, რძლები და უახლოესი ნათესავები დაიყენა გვერდით, მათაც შესაბამისი განათლება მიაღებინა და დღეს აუდიტის ოჯახური დინასტია აქვს, სადაც შეხმატკბილებულად, ორგანიზებულად და მაღალპროფესიონალურად მუშაობენ.**

# ქალბატონი, რომელმაც აუდიტის ოჯახური დინასტია შექმნა

**რუსუდან ბარამიძე**: კომპანია დაარსდა 2008 წელს, თუმცა მანამდე საკმაოდ მოცულობითი პროფესიული გზა გავიარე. შინაგან საქმეთა სამინისტროში მიწვეული სპეციალისტი გახლდით, სადაც ფინანსური მიმართულებით შემოწმება მევალებოდა; მოგვიანებით გადამიყვანეს საავადმყოფოთა გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილედ ეკონომიკური დარგში; შემდეგ – საგადასახადო სტრუქტურაში რევიზორად; შემდეგ – მთავარ ბუღალტრად, ხოლო 2008 წელს დავტოვე ეს სტრუქტურა და გადავწყვიტე, შემექმნა საკუთარი კომპანია. მოგეხსენებათ, კომპანია რომ დაგეარსებინა, გარკვეული დანაზოგი გჭირდებოდა; მე მხოლოდ ჭკუის დანაზოგი მქონდა და ჩემს შვილებთან ერთად ნულიდან დავიწყე ყველაფერი. ჩემი შვილები, პროფესიით ფინანსისტი და იურისტი, გვერდით დავიყენე; ასევე, ჩემი ძმისშვილი ნანა ბარამიძე, რომელიც, ფაქტობრივად, მე გავზარდე და ჩემი მარჯვენა ხელია. ჩვენს კომპანიაში ჩაერთნენ ჩემი რძლებიც. ჩემი ერთ-ერთი რძალი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია და, მიუხედავად თავისი პროფესიისა, მაინც გადაწყვიტა აუდიტორული საქმიანობის შესწავლა. უმცროსი რძალი ჩემი სტუდენტი იყო, დღეს კი ჩემი კომპანიის წარმატებული ბუღალტერია და საფუძვლიანად ეუფლება აუდიტორულ საქმიანობას. ჩემთან მუშაობენ ჩემი დეიდაშვილები, ჩემი დის შვილიშვილები და, ასევე, ჩემი გამოზრდილი ბევრი ახალგაზრდა. ეს შეგნებულად გავაკეთე – მთლიანი ჩემი პროფესიული გამოცდილება ამ ხალხს გადავეცი, ბუღალტერია და ფინანსები შევასწავლე და ერთიანი გუნდი შევქმენი. Mე მიმაჩნია, რომ, როცა კომპანიაში ერთი ოჯახი და ნათესაური კავშირებია, სულ სხვაგვარი კომპანიონობა და პარტნიორობაა – იქ აღარ არის ორჭოფობა, უნდობლობა და ეჭვი ერთმანეთისადმი. მე რომ კარს გავიხურავ, ვიცი, კომპანიაში საქმის ერთგულ ადამიანებს ვტოვებ, რომლებსაც კომპანიაზე გული შესტკივათ და ზერელედ არაფერს გააკეთებენ. მგონი, UHY ARG GROUP ზუსტად ისეთი გამომივიდა, როგორი აუდიტორული კომპანიის შექმნაც მსურდა. სამეწარმეო-ბუღალტრულ საქმიანობაში მართლაც გვეთქმის ჩვენი პროფესიული სიტყვა! როდესაც მე ამ საქმეს მოვეკიდე, საქართველოში ახალი ხილი იყო ბუღალტერია, აუდიტი და ჩვენ ფეხს ვიდგამდით; თუმცა, როგორც ხედავთ, დღეს უკვე ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორად და პროფესიულ დონეზე ნაწარმოები ბუღალტერია ორგანიზაციების საქმიანობისთვის უფრო მომგებიანი და ნაკლებად პრობლემურია.



მინდა გითხრათ, რომ ჩემმა შვილებმა კომპანია უკვე განვითარების სხვა ეტაპზე გადაიყვანეს. ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, აკაკი ჟამუტაშვილი, საერთაშორისო დონეზე აწარმოებს მოლაპარაკებებს და ესწრება UHY ეგიდით ჩატარებულ შეკრებებს. ამჯერად იმყოფებოდა ლონდონში, სადაც აუდიტის საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ჩვენ ჩართულები ვართ და წარმოვადგენთ UHY International-ის სრულუფლებიან წევრს საქართველოში; ვართ საქართველოს აუდიტორთა ტოპათეულში და, ასევე, საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორაციული წევრები; ხოლო უმცროსი ვაჟი, გიორგი ჟამუტაშვილი, ერთ-ერთი წარმატებული ადვოკატია სამოქალაქო სამართალში.

**– ქალი და აუდიტი – როგორ უყურებთ მათ შეთავსებას? ფულს იოლად ხარჯავთ? როგორც საქმიანი ქალი, როგორ უყურებთ ქალის ფუნქციებს?**

– თითოეული კაპიკი ჩემი გამომუშავებულია და ასე იოლად საკუთარ ნაშრომს არ ვფლანგავ – მირჩევნია, კარგ საქმეებს მოვახმარო. ზოგს ბიზნესში ვაბანდებ და ოჯახსაც ვინახავთ. რაც შეეხება ქალსა და ბიზნესს და მათ შეთავსებას, მინდა გითხრათ, რომ, როგორი მოწერიგებულიც ვარ ოჯახში, ზუსტად ისეთივეა ჩემი სამსახური. მე ქალის ცხოვრებაში ოჯახურ და პროფესიულ საქმიანობას ასე განცალკევებულად არ განვიხილავ. როგორც ჩემს მოსწავლეებსა და ჩემს აღზრდილ თანამშრომლებს ვასწავლი, თუ ქალი კარგი კულინარი და მეოჯახე, ასევე, მზრუნველი დედა, დედამთილი და ბებიაა, ის აუცილებლად იქნება საქმის უღალატო და პროფესიისთვის თავგადაკლული ადამიანი. წარმატებული ფინანსისტი ცუდი მეოჯახე არ უნდა იყოს! ქალი ღერძია ოჯახისაც და პროფესიული საქმიანობისაც და ჩემი კომპანიაც ამის ნათელი დადასტურებაა: სახლშიც და სამსახურშიც ერთი დიდი, შრომისმოყვარე და პროფესიონალი ოჯახი გვაქვს!



**ხატია კარანაძე**

# ხვაშიადგამჟღავნებულები

## „იმუშავეთ, ვირებო“

მართალია, **NDI-ს დირექტორმა ქალბატონმა დაგვამშვიდა, ევრაზიული კავშირის ჩვენ მიერ გამოვლენილ 31-პროცენტიან მხარდაჭერას მთლადაც ნუ ენდობითო**, ვინაიდან, შესაძლოა, **გამოკითხულთა ნაწილს ევრაზიული კავშირი ევროკავშირი ჰგონებოდაო**, მეორე მხრივ, **ფაქტია, რომ პრორუსი ძალები გააქტიურდნენ.**

**ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რომ მათი რაოდენობა გაიზარდა**, რადგან არც ისაა გამორიცხული, **რაკი ციხეებში სიცოცხლის გამოსალმების საფრთხე აღარ არის, რუსეთის ჩვენებურ მოტრფიალეებს ხვაშიადი თამამად გაემჟღავნებინათ.**



მათ შორის ერთ-ერთი **ფავორიტი არჩილ ჭყოიძეა** (და, ვაი მას, ვინც მისი პოლტიკური ალლო-ავტორიტეტის იმედადაა), **რომლის საიმიჯო კამპანიაში**, ნებსით თუ უნებლიეთ, **ჩემი კოლეგებიც იღებენ მონაწილეობას** (არადა, მოდი და, ნუ მიიღებ, ისეთებს უბნობს?!).

მოკლედ, როგორც უნდა იყოს, ბ-ნმა **ჭყოიძემ** (სსრკ-ის უპირატესობებზე მსჯელობისას) ბრძანა, რომ **საქართველო საბჭოთა დროს უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე ახლა, დამოუკიდებლობის ჟამს** (ანუ ახლა ქართველი ადამიანი დაკნინებულიაო!), რის დასტურადაც ის დაასახელა, რომ **საბჭოთა საქართველოში ქართველი ოფიციანტი ბუნებაში არ არსებობდა**.

ჯერ ერთი, არსებობდა და, მეორეც, ესე იგი, ბ-ნი ჭყოიძის აზრით, დამოუკიდებელ საქართველოში **ქართველები მხოლოდ „ბრიგადირულ“ პოზიციაში უნდა იდგნენ**?!

# ძალადობის ალყაში

მართალია, **ჩვენი თანამემამულე მამაკაცები ბოლო პერიოდში შედარებით დაშოშმინდნენ** და **მოქმედსა თუ ყოფილ ცოლებს,** ასევე, **ყოფილ მეგობარ ქალებს ისეთი ინტენსივობითაც აღარ ხოცავენ**, როგორც ეს გასულ წელს შეინიშნებოდა, მაგრამ **სულ ახლახან ახალი ტენდენცია გამოვლინდა:** კერძოდ, **მამინაცვალმა** (25 წლისამ) **მცირეწლოვანი ბავშვები**, ორი გერი და ერთიც საკუთარი შვილი, ჯერ მხოლოდ ერთი წლისა, **სასტიკად სცემა**.

**ბავშვების დედა** (24 წლისა) **აცხადებს, რომ მოძალადეს რამდენიმე მიზეზის გამო არ შეუშალა ხელი**: იმ კონკრეტულ მომენტში იმიტომ, რომ **მეც არ ვეცემეო** (ოჯახის უფროსი უხასიათოდ ყოფილა) და, ზოგადად – სიყვარულის მიზეზით („მიყვარს ჩემი მეუღლე და, არ მინდოდა, რომ დაეკავებინათ“).

## ანუ „სიყვარულის“ სახელით

არანაკლებ საინტერესოა **სხვა თვითმხილველთა განმარტებებიც,** რომლებსაც ლაიტმოტივად გასდევს, რომ **მოძალადე ოქროს გულის ადამიანია, ერთი ისაა, მძიმე ცხოვრებამ გააბოროტა,** თურმე...

თუმცა **არანაკლებ ლოგიკური ჰგონიათ არგუმენტი,** რომ **მოძალადესთან კონფლიქტს ერიდებოდნენ** (მოტივით – ადრე ნასამართლევი ყოფილა).

თუ გავიხსენებთ, რომ **ძალადობა ყველგან ხდება** და **თვით აშშ-ში იმდენი მანიაკია**, ჩვენ რომ **არც დაგვსიზმრებია,** თითქოს გასაკვირი არაფერია, თუმცა ამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში **ყველაზე ტრაგიკული მაინც პოლიციისთვის არმიმართვის ზემოთანილი მოტივებია,** რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ **იმას ნიშნავს, რომ** სწორედ **საზოგადოება უწყობს ხელს მოძალადის თვითნებობას.** –

# ჩქმეტია ცელქი

ის, რომ **ყოფილები ახლებს არ სწყალობენ,** თუმცა ახლები – უფრო მეტად, **საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა.** მეტიც, **ყოფილთა აღშფოთება, როგორც წესი, შექსპირის რიჩარდის პათოსისაა** (ასე, მაგალითად: ჩვენ პოლიპატიმრები არ გვყოლია, ამჟამად პოლიტიკური ოპონენტების არნახული დევნაა და მსგავსნი), თუმცა **არის ნოვატორული გამოხდომებიც**.

სახელდობრ, **განათლების მინისტრის მრჩეველმა, ბ-ნმა ოთარ აბესაძემ „ნაცმოძრაობის” წევრი ბ-ნი ნიკა მელია** სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში დაადანაშაულა: ასე განსაჯეთ, **მან მას მუცელზე, ეგრეთ წოდებულ ლიპზე უჩქმიტა** და, თუ ბ-ნ აბესაძეს ვერწმუნებით, ჩქმეტის პროცესში ბ-ნი მელია არაფხიზელ მდგომარეობაშიც ყოფილა. –

მრჩეველ აბესაძის ჩვენებით კი **მოვლენები ასეთი თანმიმდევრობით განვითარებულა** (რაკი ჩვენში მამაკაცები არცთუ ხშირად ჩქმეტენ ერთურთს მუცლის მიდამოებში, მომყავს სრული ციტატა): „**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სასკოლო ასაკთან დაკავშირებით მოვიდა მშობელთა საინიციატივო ჯგუფი**. ამ საკითხზე გაიმართა მინისტრისა და მათი შეხვედრა. მშობლებთან ერთად, მოდი, ასე ვიტყვი, **მშობლებზე მეტნი იყვნენ „თავისუფალი ზონისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები**. მინისტრთან შეხვედრაზე ასაყვანად ჩავედი მე და ვესაუბრე დეპუტატ კობა სუბელიანსა და „ნაცმოძრაობის“ წევრ ნიკანორ მელიას. ცხადია, მათ სურდათ „შოუ“ და პროვოკაცია, რასაც ვერ მიაღწიეს და **ამ დროს ბ-ნი ნიკანორი დისკუსიის დასრულებისას მომიახლოვდა**, მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა (**მიჩქმიტა მუცელზე, ე. წ. ლიპზე).** ბ-ნი ნიკანორი, სავარაუდოდ, არ იყო ფხიზელ მდგომარეობაში.“

## ღრმა და ხშირი სუნთქვა

ვითარება **დრამატულ-კომიკურია**, თუმცა, **შესაძლოა, სარფიანადაც გამოგვეყენებინა**. მაგალითად, ბ-ნ **მელიას რომ ოდნავ ქვემოთ ეჩქმიტა** ბ-ნი **აბესაძისთვის**, წესითა და რიგით, ამ უკანასკნელს **შეეძლებოდა, მისთვის სექსუალური ძალადობის მცდელობისთვის ეჩივლა** (ამ ტიპის ევროშინაარსის სასამართლო მართლაც რომ „დაგვხატავდა“), მაგრამ, მე რომ მკითხოთ, **თუ ლიპზე ჩქმეტის პარალელურად, ბ-ნი მელია ხშირად და ღრმად სუნთქავდა,** ამ მოცემულობითაც **შევძლებდით, თუ მოვინდომებდით, ამ საქმის ევროკონტექსტში გაჩარხვას**! –

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ალექს ხარიტონაშვილი

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა:
tbiliselebi2001@gmail.com

ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# უმწიკვლო მოჰიკანები

## ანუ ვისი თვალების ეშხი ამყარებს ლარს

ისე მოხდა, რომ **ჩვენს მშობლიურ სავალუტო ჯიხურებში ლარი კვლავ გამყარდა** (მთელი თორმეტი პუნქტით), ერთი ისაა, რომ **კომერციულ ბანკებში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსებს შორის კვლავ 6-პუნქტიანი სხვაობაა**. თან, რაც მთავარია, **ვერც ის შევიტყვეთ, რატომ ავარდა კურსი 2,385-ზე ან რამ ჩამოსწია რამდენიმე დღეში 2,25-მდე?!**

არადა, **თითქოს დედამიწაც კვლავ ძველი სიჩქარით მოძრაობს** (არა მხოლოდ თავისი ღერძის, თვით მზის გარშემოც); **მსოფლიოს სავალუტო კრიზისი არ გადაუჭრია**, ნავთობის ფასიც ძველებურად **60 აშშ დოლარის მიდამოებშია.** ამიტომაც **ერთადერთ მიზეზად ისევ „იბიარდის“ ფორუმი რჩება** – შესაძლოა, **ჩვენს ლარს „იბიარდის“ მესვეურთა თვალების ფერზე შეუვარდა გული და უნებლიე გამყარება დაიწყო?!** –




ასეა თუ ისე, **ვიდრე ლარი უჩვეულოდ და უმიზეზოდ გამოცოცხლდებოდა**, საზოგადოების ნაწილი თავის ექსპერტებიანად **ეროვნული ბანკის, ზედაც, კომერციული ბანკების სისპეტაკეში ეჭვის შეტანას** მთლად სამშობლოს თუ არა, **მშობლიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღალატად აფასებდა** და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ **არც ჩვენი კომერციული ბანკები იკადრებდნენ გარიგებას და ეროვნული ბანკი ხომ არ მისცემდა და არ მისცემდა მათ ამის ნებას** (რამეთუ იგი **სისპეტაკის ცისკრის ვარსკვლავია**). ამასობაში კი, **მსოფლიოს 5 უმსხვილესი ბანკი სავალუტო ბაზარზე მანიპულირებისთვის 5,7 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს** (რაკი წყარო BBC-ია, მოგვიწევს ინფოს ნდობა). თავის მხრივ, დანაშაული ბანკებსაც ულიარებიათ, თუმცა მთლად იმთავითვე არა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მოუწიათ.

**აშშ-ის გენპროკურორს შეუნიშნავს:** „2007 წლიდან მოყოლებული ყოველდღე, აღნიშნული ბანკები კერძო ელექტრონული ჩატის გამოყენებით, ტრეიდერების მეშვეობით კურსზე ხელოვნურ მანიპულირებას ახდენდნენ.“ შესაბამისად, **ხსენებული ხუთი 2007 წლიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით, ამერიკული დოლარისა და ევროპული ევროს კურსის დადგენისას მანიპულირებაში დაადანაშაულეს**. აქედან გამომდინარე კი, სავსებით ცხადია, **ლარის კურსის მანიპულირება მხოლოდ ტექნიკის საქმეა,** თუ, რა თქმა უნდა, **ჩვენებური ბანკირები ამ ცოდვილ დედამიწაზე უკანასკნელი უმწიკვლო მოჰიკანები არ არიან?!**

# ძმობილები

## „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“

რაკი **შეუცნობელია გზანი უფლისანი,** ისე მოხდა, რომ **თვით თეირანი და თბილისი დაძმობილდნენ.** თუმცა, თუ გავისხენებთ, რომ **ანკარა და თბილისიც ძმობილობენ** და **ერთ დროს მოსკოვი და თბილისიც ფრიად დიდ სიამტკბილობაში იყვნენ**, ამაში **გასაკვირი არაფერი უნდა იყოს**.

უფრო მეტიც, როგორც თეირანის მერმა, მოჰამად ბაყერ ყალიბაფიმ განაცხადა, **შეთანხმება მიზნად ისახავს თანამშრომლობის განვითარებას კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის სფეროებში, საერთო კულტურულ-ისტორიულ ფასეულობათა და ორი ქალაქის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.**

რაკი თვით შოთა გვასწავლის, **„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“,** დამეგობრება მისასალმებელია, თუმცა, მეორე მხრივ, ისიც **ფაქტია, რომ ეს მეგობრობის აქტი ჩვენი სულზე უტკბესი ოკეანისგაღმელი პარტნიორის თანხმობის გარეშე ვერ ჩაივლიდა.** –

**და რომ ვერ ჩაივლიდა, ეს კიდევ უფრო სასიხარულოა**: ჯერ ერთი, როგორც ჩანს, **დამატებითი ფუნქცია გამოგვეძებნა**, შუამავლობა ირანსა და აშშ-ს შორის; მეორე – **ჩვენს ძველ ფუნქციას** (დერეფნობას) **ახალი სიცოცხლის შთაბერვის შესაძლებლობა მიეცა** (თუ ირანის ენერგომატარებლებიც დაგვემატება, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს) და მესამე – **ჩვენი უსაფრთხოება მით უფრო დაცული იქნება**, რაც **მეტი მოთამაშე იქნება სამხრეთ კავკასიაში.**

სახელდობრ, **აქამომდე ობლად ვიყავით** და, აი, რატომ: **სომხეთსა და რფ-ს, აზერბაიჯანსა და თურქეთს მჭიდრო სამხედრო თანამშრმოლობა აკავშირებთ** (პოლიტიკური კი – ამაზე დამჭიდროებული), შესაბამისად, **შესაძლოა, ჩვენც ვიპოვეთ მოკავშირე** – რა თქმა უნდა, ირანის სახით, რასაც **ის ხიბლიც აქვს, რომ ირანი არ გვესაზღვრება და** ამიტომაც **ტერიტორიული დავა ან** ავტონომიებით ომი **გამორიცხულია.**

რაც მთავარია, **სრული დეჟავუა**, რადგან, **თუმცა ოცდამეერთე საუკუნეა, ვითარება მეთვრამეტე საუკუნისეულია,** იმ განსხვავებით, რომ **მოყვრების როლში აწ ირანი და თურქეთია.** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# გამართლებულები

## „Мы пионеры, дети рабочих“

როგორც აღმოჩნდა, **არც ჩვენ ვუჩივით კომუნისტური იდეების მიმდევართა დეფიციტს**, რისი დასტურიც ამას წინათ **თვით გორში ვიხილეთ:** არცთუ **მცირერიცხოვანი მანიფესტაცია საბჭოთადროინდელ დროშებს აფრიალებდა,** ოღონდ, ღვთის შეწევნით, **აშკარა იყო ახალგაზრდების დეფიციტი**, რაც თავისთავად იმედისმომცემია, **ვინიადან, საბჭოთა ნოსტალგია გარკვეული თაობის მახასიათებლად გამოდის.**

თუმცა **ჩვენს მეზობელ რუსეთში მოვლენები გაცილებით დრამატულად განვითარდა:** კერძოდ, **რუსეთის გულ მოსკოვში** და **მოსკოვის გულ წითელ მოედანზე**, პროლეტარიატის დიდი ბელადის მავზოლეუმთან, **4 000-მდე ბავშვი პიონერთა რიგებში მიიღეს.** –




**4 000-მა რუსმა ბავშვმა დაიფიცა, რომ იცხოვრებს ლენინის ანდერძის მიხედვით**... რფ-ის მთავარმა კომუნისტმა გენადი **ზიუგანოვმა კი პირადად გაუნასკვა მათ ყელზე წითელი ხელსახვევები და თავზე წითელი ქუდებიც დაახურა,** ასისტენტობას რუსეთის „დუმის“ დეპუტატები უწევდნენ.

მას შემდეგ, რაც **მომავალმა კომუნისტებმა წითელი ყელსახვევები და ქუდები მოირგეს, თეატრალური წარმოდგენა გაიმართა**: მუშათა სამოსში გამოწყობილმა აწ უკვე პიონერებმა წითელ მოედანზე იცეკვეს და **საბჭოთა მარშლებისა და ადმირალების ფოტოები ჩამოატარეს, რომლებსაც თავში ჩვენი თანამემამულე იოსებ სტალინის ფოტო ამშვენებდა.** ამ დროს **ლევიტანის ხმამ დამსწრეთ აუწყა, რომ საზიზღარი გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს**. რამდენიმეწუთიანი დაძაბულობის შემდეგ, **დრამატული მუსიკის ფონზე, მოედანზე გოგონა შეიჭრა** – ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული და, „საბჭოთა ხალხმა“, რომლებსაც პიონერი ბავშვები განასახიერებდნენ, **ცეკვა-თამაში დაიწყეს იმის აღსანიშნავად, რომ ფაშიზმი დამარცხებულია.**

ჩვენ, ბუნებრივია, **არ ვერევით რფ-ის საშინაო საქმეებში**, თუმცა, აი, ის კი **ღირს გახსენებად,** რომ **სსრკ-ის არდანგრევის შემთხვევაში, ჩვენც მოგვიწევდა ამ ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობა.**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ „სოკარმა“ 700-მილიონიანი პროექტი შეაჩერა, რომელიც საქართველოში კარბამიდის ქარხნის მშენებლობას ითვალისწინებდა. აზერბაიჯანული წყარო გვამცნობს, რომ, „სოკარის“ პრეზიდენტის თქმით, პროექტის მშენებლობა დროებით გაიყინა, ვინაიდან ქართული და აზერბაიჯანული მხარეები რაღაც დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ. ამ ინფორმაციამ ელვასავით გადაუარა ქართველ საზოგადოებას და, განსაკუთრებით, ყოფილი ხელისუფლების მომხრეების რისხვა გამოიწვია, შესაძლოა, იმიტომაც, რომ იმ ადგილას, სადაც ეს ქარხანა უნდა აშენდეს, 2012 წლის სექტემბერში კაფსულა მოათავსა მიწაში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა. როგორც უნდა იყოს, რაკი ჩვენთვის უცნობია ხელშეკრულების პირობები, მაგრამ ცნობილია, რომ, მაგალითად, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური ინტერესი არათუ ნული, მინუსებშია, რთული სათქმელია, რა გახდა პროექტის გაყინვის მიზეზი. მეორე მხრივ, ცოტა ხნის წინათ აზერბაიჯანის ხელისუფლება ფრიად არაკორექტულად მოექცა საქართველოს ხელისუფლებას, როდესაც ძებნილი ყოფილი პრეზიდენტი მიიღო სახელმწიფო დონეზე. რა მოტივი თუ მიზანი უდევს საფუძვლად ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანის ხელისუფლების ქმედებებს და ვისი ინტერესი შეიძლება, იყოს აზერბაიჯან-საქართველოს ტანდემის დაშლა, ამ კითხვაზე პასუხის მიღებას აკაკი ასათიანისგან შევეცდებით.**

# რა ეწყინა ბაქოს თბილისისგან, რატომ დარჩება ოხრად თავისი ნავთობი და გაზი საქართველოს გარეშე და როგორ ცდილობს რუსეთი საქართველო-აზერბაიჯანის ტანდემის დაშლას

**– რას გვეუბნება აზერბაიჯანი ამ ჟესტებით?**

– ძალიან ჩახლართული ამბავია. დავიწყოთ იმით, რომ ამ ხელისუფლების მოსვლისთანავე შეინიშნა აზერბაიჯანთან ურთიერთობის ერთგვარი, გაცივება თუ არა, გაგრილება მაინც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილთან, მჭიდროზე მეტიც და ეს უკავშირდებოდა ეკონომიკურ ინტერესებსაც, ზოგი ამბობს, პირად ინტერესებსაცო, მაგრამ, უდავოდ, პოლიტიკურ ინტერესებსაც. რასაც, მოდი, ვაღიაროთ, ჯერ კიდევ მამა ალიევმა და შევარდნაძემ ჩაუყარეს საფუძველი. ეს სწორი ნაბიჯი იყო და ის, რომ ჩვენ გვაქვს ერთნაირი პოლიტიკური, ტერიტორიული პრობლემები, სხვადასხვა ტიპისა და მიზეზით, მაგრამ მაინც ერთნაირი, განსაზღვრავდა ამ ურთიერთობის სიმჭიდროვეს. ასეთი პოლიტიკური ტანდემი ხელს აძლევდა დასავლეთს, უპირველეს ყოვლისა, რადგან რუსეთისგან, ჩვენს შემთხვევაში ნაკლებად, აზერბაიჯანის შემთხვევაში – მეტად, დამოუკიდებელ პოზიციას გულისხმობდა და ქმნიდა ყველასთვის მისაღებ დერეფანს სამხრეთ კავკასიაში. ეს არის ჯერ კიდევ თამარისდროინდელი ვითარება, ოღონდ მაშინ ჩვენი ეგიდით ხდებოდა და უფრო მეტიც, ანტიკური წყაროებიც კი აღნიშნავს, რომ იბერიის მეფეებს უპყრიათ ჩრდილოეთის კედელიო. ასე რომ, ჩვენი ეს ფუნქცია შეუმჩნეველი არავის დარჩენია და ყოველგვარი რუკებისა და ხელოვნური თანამგზავრების გარეშეც ადეკვატურად აფასებდნენ. შემდეგ ეს დერეფანი რუსეთისა და საბჭოეთის ხელში აღმოჩნდა. ამჟამად ძალიან სერიოზული, შეფარული და ხანდახან აშკარა დავაა, რადგან, ვინც ამ დერეფანს აკონტროლებს, ის აკონტროლებს აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთს, განსაკუთრებით, ენერგომატარებლების ნაკადებს, და ჩრდილოეთიდან – სამხრეთს.



ეს არის ჯერ კიდევ თამარის დროინდელი ვითარება, ოღონდ მაშინ ჩვენი ეგიდით ხდებოდა და უფრო მეტიც, ანტიკური წყაროებიც კი აღნიშნავს, რომ იბერიის მეფეებს უპყრიათ ჩრდილოეთის კედელი

**– ვისაც სურს, აკონტროლოს სამხრეთ კავკასია, ან აზერბაიჯანი უნდა აიღოს კონტროლქვეშ, ან საქართველო. თავდაპირველად გამიჩნდა ეჭვი, რომ დასავლეთის ინტერესი იკითხებოდა აზერბაიჯანის ხელისუფლების პოზიციაში, როდესაც იგნორირება გაუკეთა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ რუსეთი უფრო მეტად არ არის დაინტერესებული ამ ტანდემის გაწყვეტით? თქვენ რომელი მხარის ინტერესს ხედავთ თუ ორივესას ერთად?**

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და თქვენ კარგად შენიშნეთ. შევარდნაძეს ძალიან საინტერესო საგარეო პოლიტიკა ჰქონდა: ნელა, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა დასავლეთისკენ, მაგრამ ბოლომდე ვერ მოაბა თავი და თვით შევარდნაძემაც კი „მოახერხა“, ორივეს ინტერესები დაემთხვია ერთმანეთისთვის და ორივემ, დასავლეთმაც და რუსეთმაც, ჩათვალა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ბოლოს, გახსოვთ, შევარდნაძე გადაიხარა რუსეთისკენ, აქაოდა, დასავლეთი თუ არ მტოვებს ამ თანამდებობაზეო. ეს პრიმიტიულად ჟღერს, მაგრამ პირდაპირ ასე ითქვა ბეიკერთან. სააკაშვილს მარტივი და უკიდურესი არჩევანი ჰქონდა და უმჭიდროესი კავშირი დაამყარა აზერბაიჯანთან, რაც აბსოლუტურად ჯდებოდა დასავლეთის ინტერესში და არანაირად – რუსეთის. დღეს კი, მართალია, ჩვენს ხელისუფლებას კი ადანაშაულებენ, მაგრამ ისინი არც პრორუსები არიან და არც პროდასავლელები. ვიტყოდი, პროქართველები არიან-მეთქი, თუმცა ვერც ამას ვიტყვი.

**– მაგრამ ვილაცისტები ხომ არიან?**

– ეს არის პრობლემა სწორედ. შესაძლოა, დასავლეთის კარნახიც იყოს ან შეიძლება, აზერბაიჯანმაც იგრძნო, რომ ის კეთილი ურთიერთობა აღარ არის მოსალოდნელი, რაც იყო და რუსეთმაც ჩათვალა, შეწუხდეს საქართველოო. ემთხვევა ხოლმე დასავლეთისა და რუსეთის ინტერესები ტაქტიკური მოსაზრებებით.

**– „სოკარს“ რამე დაუშავდა, ველარ არის მონოპოლისტი საწვავის ბაზარზე? მეორე მხრივ, იმედი მაქვს, დემოკრატია და ადამიანის უფლებები არ დაგვიწუნეს. თუ საქართველო არ მოაწერს ხელს თავისთვის ეკონომიკურად წამგებიან პროექტს და არ იქნება თანახმა, იხეიროს ყველამ მის ხარჯზე, ეს არის შემოწყრომის საფუძველი?**

– ისინი თავიანთ ინტერესს უყურებენ. მაგალითად, ყულევამდე 70-კილომეტრიანი რკინიგზის ხაზი საქართველოს თავისი ხარჯით უნდა მიეყვანა. ეს იდო კონტრაქტში, მაგრამ შეჩერდა. ამასაც აქცევენ ყურადღებას და იმასაც, რომ ამ ურთიერთობას განსაკუთრებული ყურადღება აღარ ენიჭება. ყველა ყველაფერს უსმენს. მაგალითად, სომხეთში ითქვა, რომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ სპეცსამსახურები ერთმანეთს გაუცვლიან ინფორმაციას. გასაგებია, ესეც როგორ იქნებოდა აღქმული. ეს ყველაფერი გროვდება, რაც არ ნიშნავს, რომ გაწყდება ეკონომიკური ურთიერთობები, იმიტომ რომ, აზერბაიჯანს ოხრად დარჩება თავისი ნავთობი, თუ ჩვენ არ გავატარებთ. კასპიის ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებმა არ იციან, სად წაიღონ თავიანთი ნავთობი და საქართველოს გარეშე აზერბაიჯანი მთლიანად უნდა გახდეს დამოკიდებული რუსეთზე ნავთობის ექსპორტისას. რუსეთთან არ აქვს კარგი ურთიერთობა და რომც ჰქონდეს, რუსეთისთვის არ არის ხელსაყრელი აზერბაიჯანული ნავთობის გატანა. თან, რუსეთსაც პრობლემები აქვს სანქციების გამო. მოკლედ, ჩვენ და აზერბაიჯანს ერთმანეთთან ბევრი ინტერესი გვაკავშირებს, ამიტომ საქმე გაცივებამდე არ მივა. მაგრამ, მეორე მხრივ, ურთიერთობების გაცივება ხელსაყრელია რუსეთისთვის, რადგან, თუ ეს ტანდემი დაირღვა, ცალ-ცალკე ჩვენი დამორჩილება ძალიან ადვილი იქნება. უფრო ადვილი, ვიდრე ერთად.

**– კონკრეტულად რას ნიშნავდა აზერბაიჯანის ეს ჟესტი?**

– მე მგონი, ჩვენმა მთავრობამ ძალით გამოიწვია ეს ჟესტი თავისი მიმართვით ძებნილის გადმოცემის შესახებ. თუ იმდენი არ იცის, რომ არავინ გადასცემს სააკაშვილს...

**– გადაცემას არ ვგულისხმობდი, პომპეზურ მიღებას.**

– მიღება იმის გამოხატულებაა, რაც მოგახსენეთ, გამგებმა გაიგო, იმდენად აშკარა იყო და დემონსტრაციული და, იმედია, დღეს მაინც ხვდებიან ხელისუფლებაში, რა პრობლემებიცაა.

**– მაინც განვმარტოთ, რას ნიშნავდა ეს ჟესტი კონკრეტულად?**

– ძალიან მარტივია: თქვენ ვერ იქცევით ისე, როგორც მე მომეწონებოდა. ამ კაცის პრეზიდენტობის დროს ჩვენ გვქონდა კარგი ურთიერთობა თქვენთან და, სამწუხაროდ, ახლა არ გვაქვს.

**– რა იგულისხმება „კარგში“?**

– დემონსტრირებას მაინც თანამშრომლობის, ყველა პოზიციაში თანადგომას და ეკონომიკის სფეროში კარტ-ბლანშს აზერბაიჯანისთვის.

**– ეს სრულად ემთხვევა საქართველოს ინტერესებს?**

– ეს ბოლომდე არ შედის საქართველოს ინტერესებში. ურთიერთობა უნდა იყოს მჭიდრო, პატრნიორობა – მჭიდროდ კოორდინირებული, მაგრამ ის, რაც აქ ხდებოდა, ეკონომიკური თვალსაზრისით, უნდა მოვკითხოთ წინა ხელისუფლებასაც და მგონი, ამასაც, იმიტომ რომ, ამ მხრივ, ბევრი არაფერი შეცვლილა. უხეშად ვთქვათ, ფულს ისევ იყოფენ, მაგრამ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაზე უარის თქმა, მაგალითად, დასავლეთის მხრიდან ჩაითვალა, რომ ჩვენ რუსეთისკენ გადავიხარეთ.

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ლელა ქარჩავა** *(57 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი:** ***ხერხემლის გავრცელებული ოსტეოქონდროზი.*** მრავალი წელია, მაწუხებს ხერხემლის პრობლემა – მტკივა წელი, კისერი, მიბუჟდებოდა კიდურები. ვმკურნალობდი მუდმივად, ხან ექიმებთან, ხან თვითონ. დიკლოფეროლი ჩემი „ოჯახის წამალი“ იყო. ამდენმა მედიკამენტმა გამილიზიანა კუჭ-ნაწლავი, ამეწია წნევაც... დავიღალე... ახლობელმა მირჩია ქალბატონ მანანასთან მოსვლა. პირველივე პროცედურამ კარგი შედეგი მომცა, 2-3 დღეში კი თითქმის სულ ამილაგდა ტკივილები. თავისუფლად ვმოძრაობ, დაბუჟებამაც მკვეთრად იკლო. გათენება მიხარია. ისევ შრომისუნარიანი ვარ...

**ბადრი ჯალაღონია** *(62 წლის. ზუგდიდი).*

**დიაგნოზი:** ***კისრის მალთაშუა დისკოპათია, პლექსიტი.*** პირველ ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა საქვეყნოდ ვუთხრა ჩემს ექიმს – ქალბატონ მანანას. ის რომ არა, არ ვიცი, რა





მეშველებოდა. საშინელი ტკივილები მქონდა; მარჯვენა ბეჭიდან მხარსა და ხელში გადამცემდა და თანდათან ხელში ძალა მეკარგებოდა – ჭიქას ვერ ვიჭერდი და პირს ვერ ვიპარსავდი; ღამე ხომ საშინელება იყო – ტკივილი არ მაძინებდა, ვიჯექი ან აქეთ-იქით დავდიოდი. არ მშველიდა წამლები, მალამოები... არაფერი... ამ კლინიკას ჟურნალ „თბილისელების“ მეშვეობით მივაკვლიე. საუცხოო შედეგი მივიღე – პირველივე პროცედურის შემდეგ ღამით ნორმალურად მეძინა, ტკივილს არ გავუღვიძებივარ; რამდენიმე დღეში კი ხელში ძალაც აღმიდგა. 7 დღეა, ვმკურნალობ, ტკივილი უკვე დამავიწყდა და თავს ჯანმრთელად ვგრძნობ. გაიხარეთ, მანანა ექიმო, ღმერთი გიშველით.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**დოდო გვიშიანი** *(46 წლის. რუსთავი).*

**დიაგნოზი:** ***ჰემოროიდული დაავადება, მესამე ხარისხი; კოლიტი.*** 12 წელია, მაწუხებს კოლიტი და შეკრულობა, რამაც გამოიწვია ბუასილი, სისხლდენა, კვანძები და ბოლოს საშინელი ტკივილები. მალამოები და მცენარეული წვეთები აღმოჩნდა ჩემი მშველელი. პირველმა კურსმა აბსოლუტურად მომიწესრიგა კუჭ-ნაწლავის პრობლემები და მასთან ერთად ალაგდა ტკივილებიც და სისხლდენაც. კვანძებმა ზომაში მკვეთრად იკლო. მკურნალობას ვაგრძელებ დიდად დაიმედებული და გახარებული. მადლობა, ქალბატონო მანანა!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

**– მაგრამ ხომ შენდება?**

– ნელი ტემპით და ისე, რომ არავინ იცის, მივა თუ არა ბოლომდე. სხვათა შორის, ჩვენ თუ სწორად დავალაგებთ, არც ყარსი გამოიწვევს ეკონომიკურ ზარალს, პირიქით, მომგებიანად შეიძლება, ვაქციოთ. თუ არსებობს გაცნობიერებული სტრატეგია, რაღაც პროგრამა მინიმალური მაინც, ეს შეიძლება, რაღაც კონტექსტში ჩასვა და რაც ვთქვით, იმ ორი მიმართულების სადარაჯოზე ვიდგებოდით, მთლად ჩვენს ხელში არ იქნებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იქნებოდა ის პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდები, რასაც აქედან მივიღებდით. ჯერჯერობით მე ამას ვერ ვხედავ და მგონია, რომ ეს ურთიერთობა, ალბათ, გაცივდება.

**– თქვით, რომ რაღაცეები ჩაგვეთვალა რუსეთისკენ გადახრად, მაგრამ იმავე აგვისტოს ომის შემდეგ აზერბაიჯანში ვიზიტად იყო მედვედევი, მაგრამ უკმაყოფილება არ გვიგრძნობინებია აზერბაიჯანისთვის. რომელიც მუდმივად აბალანსებდა თავის ურთიერთობას რუსეთთან, ძალიან ხისტად და ცინიკურად აკრიტიკებდა დასავლეთის დემოკრატიას. ეს ჩვენი ბამბა რატომ ჩხრიალებს მუდმივად?**

– იმიტომ რომ, ჩვენგან მეტს ელიან. საქართველო არ არის აზერბაიჯანი და შენ არ ხარ ნაზარბაევი და ალიევი, ეს ხშირად უთქვამთ შევარდნაძისთვის. ჩვენგან ელიან მეტს. გავიხსენოთ ევროპელი მოგზაურების ჩანაწერები, რომლებიც აღტაცებით წერენ ჩვენს გარეგნობაზე, ნიჭიერებასა და თვისებებზე, მაგრამ საშინელ სურათებს ხატავენ. ისინი მეტს ელიან, მათთვის უფრო ახლობელი ხალხი ხარ და ამიტომ, რასაც პატიობენ სხვებს, არ გვპატიობენ ქართველებს. ეს ჩვენც დავამკვიდრეთ, იმიტომ რომ, ტანზე ვიხევთ, მოვდივართ, თქვენთან ვართ. არადა, ამას არ უნდოდა ტანზე შემოხევა, მშვიდად და წყნარად უნდა გვევლო და თითოეული ჩვენი ნაბიჯისთვის დასავლეთის მიმართულებით ფასი დაგვედო, რადგან ეს ფასი მართლაც არსებობს და ეს ჩვენ ძვირად გვიჯდება. გავიხსენოთ ევროასოცირება: ვინც არ ვთქვით უარი, იმათ მოგვაწერინეს ხელი, თორემ მთელი ჩვენი პროდასავლური მცდელობა იმით დამთავრდა, რომ ბელორუსსაც კი ვერ გავუსწარით, მაგრამ, როდესაც მათ გადაწყვიტეს, რუსეთის ჯინაზე, მაშინ მოგვაწერინეს ხელი. ბევრი მსაყვედურობს, ისტორიას ძალიან დიდი დოზით ნუ ეხებიო, მაგრამ მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, მონღოლები რომ გამოჩნდნენ, ჯვაროსნების ერთი შესანიშნავი ისტორიკოსი გვაქებს, ხოტბას გვასხამს, ლომებსა და ვეფხვებს გვიწოდებს, მაგრამ რომელიღაც აბზაცში უცბად ამბობს, მუსლიმანებს შეეკვრნენ და კიდევაც დაისაჯნენო. არადა, ჯვარსონებისგან ჩვენ გვახსოვს ასი თუ ორასი რაინდი დიდგორის ბრძოლაში, რომლებსაც ბრძოლის ბედი არ გადაუწყვეტიათ. ეს იყო სოლიდარობისა და კავშირის გამოხატულება. ვიცით, რომ დავითი მონაწილეობას იღებდა ჯვაროსან ტყვეთა გამოსყიდვაში და უცბად ასეთი საყვედური. ჯვაროსნების ისტორიის ყველა ევროპელი მკვლევარი აღნიშნავს, დიდგორი რომ არ ყოფილიყო, სალადინზე 70 წლით ადრე აიღებდნენ მუსლიმანები იერუსალიმსო. დღესაც ასეთი დამოკიდებულებაა ჩვენდამი. ჩვენ ყველაფერზე უარი უნდა ვთქვათ, ჩვენს ინტერესებზეც კი და ამიტომ, თუ ოდნავ რამეში შევიტანეთ ეჭვი, ეს ღალატის ტოლფასად აღიქმება.

**– ეს ჩვენ შევაჩვიეთ, ბოლომდე მათი ბრალი არ არის.**

– რა თქმა უნდა, რუსიც რომ ველურივით იქცევა, ესეც ჩვენი ბრალია. შეგვეძლო, შეგვერბილებინა მისი გავლენა, მეთოდურად გვეთამაშა, როგორც ეს მოახერხა იმავე აზერბაიჯანმა. მათი ჯარი არ დგას აზერბაიჯანში, ერთი გაბალის რადიოსადგური დაუტოვეს მოსასმენად და პერსონალი 100 კაცი თუ იქნება. ანუ ამით რუსეთს კოჭი გაუგორეს. არც საბაჟო კავშირში შედიან, არც ევრაზიის კავშირში, მაგრამ ამავე დროს შეერთებულ შტატებში ჩადის ალიევი და ამბობს, ირანის წინააღმდეგ ჩვენს ტერიტორიას არ დაგითმობთო. თან, ეს თქვა თეთრ სახლში. ამიტომ მგონია, რომ აზერბაიჯანს მართლაც აქვს თავისი პოლიტიკა, მაგრამ მისი ამ პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელი გახდება ჩვენთან კავშირის გარეშე, ამიტომ რეაგირებს ასე მწვავედ ბაქო. მარტო თუ დარჩა, მოახრჩობენ.

**– მეც ამას ვამბობ, ჩვენ გასავლელი მაინც გვრჩება ზღვაზე, მას ხომ უფრო უარესად ექნება საქმე...**

– ის მიიჩნევს, რომ ეს ჩვენი მიზეზით ხდება.

**– გასაგებია, მაგრამ, თუ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოსთან კავშირი და, მისი აზრით, ცუდად იქცევა საქართველოს ხელისუფლება, მან არ უნდა გამოიჩინოს გონიერება? თუ საქართველო გადაიჩეხა, აზერბაიჯანი უბრალოდ ვერ გადარჩება, ისევე, როგორც პირიქით.**

– ჩვენი პრობლემაა, რომ ყველაფერს ვუყურებთ ჩვენი გადასახედიდან. აზერბაიჯანი მოქმედებს თავისი ინტერესებით. ის მიიჩნევს, რომ, თუ ჩვენთან ურთიერთობა გაცივდა და ღმერთმა ნუ ქნას, გაფუჭდა, თავად რჩება რუსეთის ხელში. მათ კი არ აქვთ ჩაბარების მგზნებარე სურვილი. მათი გადასახედიდან კი, ასე ჩანს. არადა, ჩვენ ვინ გვიშლიდა, გველაპარაკა მათთან ყარსის რკინიგზისა თუ სხვა საკითხების ეკონომიკურ მხარეზე?! ეს აზერბაიჯანის ბრალია?!

**ნინო ხაჩიძე**

**სულ ახლახან სოჭში, მას შემდგ, რაც აშშ-ელ მაღალჩინოსან კერის უმასპინძლა, ვლადიმირ პუტინი აფხაზეთის „პრეზიდენტ“ რაულ ხაჯიმბას შეხვდა. ამ უკანასკნელებმა აფხაზეთის მკვიდრთათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებულად მინიჭებაზე ისაუბრეს. ამის პარალელურად, რაულ ხაჯიმბამ უარი განაცხადა დონეცკისა და ლუგანსკის ეგრეთ წოდებული სახალხო რესპუბლიკების აღიარებაზე. რატომ „ითვითნება“ სეპარატისტმა პრეზიდენტმა და რა უთხრა ამ ჟესტებით რუსეთის პრეზიდენტმა დანარჩენ მსოფლიოს, – ამ კითხვებზე კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარემ ზაალ კასრელიშვილმა გვიპასუხა.**

# რატომ არ არის საქართველოს „ნატოში“ მიღება დამოკიდებული თავად საქართველოსა და მის მიღწევებზე და რაზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს აშშ და რუსეთი

**– რატომ მოუხშირა პუტინმა ხაჯიმბასთან შეხვედრებს?**

– ჩვენი აზრით, რამდენიმე მიზეზია. სავსებით ბუნებრივია რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის დაკონსერვებული კონფლიქტები და სტალინურ ავტონომიებთან ინტენსიური ურთიერთობა, მათი გამხნევება საქართველოს მოსახლეობის განწყობაზე ზემოქმედების მიზნით, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მთავარი ეს არ არის. დღეს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამწუხაროდ, ამაზე არავინ საუბრობს, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და შეერთებული შტატების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**– რასაც უკავშირდებოდა კერის ჩასვლა სოჭში და საქართველოს „ნატოში“ მიღების საკითხის გააქტიურება, რაც მე პირადად სწორედ ამ კადრს მიღმა მოლაპარაკების ფონად მივიჩნიე.**

– არავინ იცის, რა ინტენსიურობით მიმდინარეობს ეს მოლაპარაკებები და რა დროის განმავლობაში გაგრძელდება, მათ შორის, არც ჩვენ, თემებით ის წინააღმდეგობა, რომელსაც ქმნის რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გლობალური პროცესების დინებაში და საერთო ინტერესები მსოფლიო წესრიგის აღსადგენად. ამ შემთხვევაში სამი ნიშნულია დღეს მოხაზული მსოფლიოში: ახლო აღმოსავლეთი, ისლამური სახალიფო და უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, სირია, იმიტომ რომ, სწორედ სირიის კონფლიქტის ბაზაზე წარმოიშვა სახალიფო; ევროპული სირია – უკრაინა და კავკასია. თავიდან, დაახლოებით, ერთი და იმავე ხარისხით იყო ეს სამივე საკითხი დატვირთული მოლაპარაკებისას, მაგრამ სოჭში, ჩვენი აზრით, უფრო დაბალ ტონებში იყო საუბარი საქართვველოზე და არა მარტო საქართველოზე. კერისთან შეხვედრამდე ბორტნიკოვი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მანამდე კი, პეკინში ლავროვმა და კერიმ „კბილი მოუსინჯეს“ ერთმანეთს, იყვნენ თუ არა მზად მოლაპარაკებების დასაწყებად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოსტსაბჭოური სივრცის სტალინური ავტონომიები, თვითგამოცხადებული რესპუბლიკები და დაკონსერვებული კონფლიქტებია ამ ორი დიდი სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში საჯილდაო ქვა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. ასე რომ, არ გვიკვირს ეს შეხვედრები და არც ის გაგვიკვირდება, რომ მალე ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შეხვდეს პუტინი და კიდევ უფრო მალე – ეგრეთ წოდებული დონბასისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ხელმძღვანელებს.



რაღაც ნიშნულამდე უნდა მივიდნენ: ან იქნება ომი და ეს იქნება მსოფლიო ომი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, ან იქნება მშვიდობა და კეთილი უნდა ინებოს ყველამ და რაღაც პოზიცია დათმოს. ჩვენ დასათმობი აღარაფერი გვაქვს

**– თავის ტერიტორიას ნიშნავს? თუ საკუთარი გავლენის სფეროებზე შეახსენებს კიდევ ერთხელ მსოფლიოს? უდავოდ, დიდი პატივია სეპარატისტი ხაჯიმბასთვის პუტინთან შეხვედრა.**

– რა თქმა უნდა, ჯერ ერთი, მსოფლიოს აჩვენებს, რომ ეს მისი გავლენის ტერიტორიაა და მას შეუძლია ამ ტერიტორიაზე ისე წარმართოს პროცესები, როგორც შეთანხმებას დასჭირდება და მეორე – თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აფხიზლებს და ახსენებს, რომ იქ გადაწყვეტილების მიმღებია რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და რამე კერძო ინიციატივა არ გამოიჩინონ.

**– ამის პარალელურად, ხაჯიმბამ უარი თქვა ლუგანსკისა და დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარებაზე. არ მგონია, პუტინს მისთვის დაევალებინა აღიარება და ხაჯიმბას უარი ეთქვა. რას თამაშობენ?**

– არა მარტო მოსკოვის გავლენაა, ჩვენ აფხაზეთს გარედან ვუყურებთ და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსებმაც არ იციან, რა წვენში იხარშება აფხაზეთი. აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ აფხაზებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

**– და მტკიცედ სწამთ, რომ ეს გააკეთეს თავისით, სხვების დაუხმარებლად.**

– დიახ და რუსულ-ქართული ომის შემდეგ კი, 2008 წელს, მათ მოიპოვეს აღიარებაც. ეს არის მათი ლაიტმოტივი და ისინი, ბუნებრივია, დამოუკიდებლობასაც უფრთხილდებიან და სამომავლო ურთიერთობებსაც როგორც ქართველებთან, ისე დასავლეთთან. ამიტომ მათ არ სჭირდებათ აუღიარებელი, ომის მდგომარეობაში მყოფი წარმონაქმნების აღიარება, თუნდაც, იმიტომ რომ, ჯერ ამ ორი რეგიონის სტატუსი არ არის გარკვეული.

**– თვით რუსეთსაც არ უღიარებია.**

– და საერთაშორისო საზოგადოების თვალში ეს აღიარება აფხაზებისთვის იქნებოდა წელს ქვემოთ დარტყმა. მათ ამ უარით მოიგეს კრემლის გულიც და თავისი ავტორიტეტიც არ დაახურდავეს საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

**– კრემლის გული რატომ მოიგეს, რას გულისხმობთ?**

– ისინი ხომ კრემლს ისე ელაპარაკებიან, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკის ლიდერები?! და ამ აღიარების უარყოფით კრემლს მისცეს დასავლეთთან მოლაპარაკებების საშუალება. რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ამ მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზულად მიმდინარეობს, არ აძლევს ხელს სპეკულირება თვითგამოცხადებული რეგიონების სტატუსით.

**– ეს შეიძლება, განვიხილოთ მინიშნებად, არ ვაღიარებ ლუგანსკისა და დონეცკის წარმონაქმნებს ამა და ამის გამო?**

– ეს პირდაპირი მინიშნებაა, მე შემიძლია, რომ არ ვაღიარო და რადგან შემიძლია, არ ვაღიარო, ესე იგი, შემიძლია, არ ვილაპარაკო მათ, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკების სტატუსზე, შემიძლია, ზეგავლენა მოვახდინო და ისინი ფედერაციული უკრაინის შემადგენლობაში მოიაზროთ ფედერაციის სუბიექტებად.

**– დასავლეთისთვის სულერთი არ არის, ლუგანსკი და დონეცკი ფედერაციულ უკრაინაში იქნება რუსული გავლენის ქვეშ თუ არ იქნება და დანარჩენი უკრაინა აღარ მოექცევა რუსული გავლენის ქვეშ?**

– დასავლეთისთვის მისაღებია ნებისმიერი ფორმის მოლაპარაკება ძალისმიერი ზეწოლის, სისხლისღვრისა და ომის გარეშე. რაც შეეხება სტატუსს: ამას განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის ნორმები და არ გვგონია, რომ დონეცკსა და ლუგანსკს ის სტატუსი ექნება, რა სტატუსიც უნდა კრემლს. არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული კანონი ფედერაციისა და კონფედერაციის, ცენტრსა და რეგიონს შორის გამიჯნული ძალაუფლების შესახებ. ეს ყველაფერი არის მომავლის თემა, დიალოგის თემა, მოლაპარაკებების საგანი და როგორც ჩანს, კრემლს არ უნდა, რომ ეს მოლაპარაკებები ჩანასახშივე ჩაკლას ურაპატრიოტული ლოზუნგებით, განცხადებებითა და აღიარებებით.

**– აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის გამარტივდება რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. ეს აფხაზეთის რუსეთში ინტეგრაციისთვის ხდება თუ იმიტომაც, რომ იზოლირებულად არ იგრძნონ თავი მათ, ვისაც აფხაზეთში არ აქვს რუსეთის მოქალაქეობა?**

– ესეც პოლიტიკური თამაშია. თუ სტრატეგიული პარტნიორები არიან და მათ ათი წლით გააფორმეს ასეთი ხელშეკრულება, სტრატეგიულ პარტნიორს არ უნდა ჰქონდეს შენს ტერიტორიაზე მოძრაობის პრობლემა და გარდა ამისა, რუსეთის რაც მეტი მოქალაქე იცხოვრებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რუსეთს მით უფრო მეტი მოტივი ექნება სამომავლოდ, თუ დავუშვათ, დასავლეთსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება არ შედგა.

**– ანქვაბი იყო თითქოს სამკურნალოდ თბილისში, თუმცა ოფიციალური თბილისი უარყოფს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– ვერ გეტყვით, არ დავინტერესებულვართ ამ ინფორმაციით. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია, ვუთხრათ აფხაზებს ჩვენი მოსაზრება.

# რატომ აგროვებს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის, მაია ბითაძის მეუღლე, „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორი „მერსედესებს“

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე 1977 წელსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება თსუ-ის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე მიიღო; კვალიფიკაციით იურისტია, სპეციალობით – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, 2004-2007 წლებში კი თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ისწავლა და სამართლის დოქტორის კვალიფიკაციაც მიიღო. მისი სამუშაო გამოცდილება 1998 წელს დაიწყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს სპეციალისტობით; 2001-2003 წლებში კი საქართველოს დაცული ტერიტორიების პროექტის იურისტ-ექსპერტი იყო. 2003-2004 წლებში ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარების პროექტის იურისტ-ექსპერტი. 2004-2005 წლებში ლექტორობას მიჰყო ხელი მშობლიურ უნივერსიტეტში და იმავე პერიოდში „საქართველოს თევზის მეურნეობის სექტორის განვითარების პროექტის“ იურისტ-ექსპერტადაც მუშაობდა და პროექტ „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადების“ იურისტ-ექსპერტადაც. იმას გარდა, რომ 2001-2007 წლებში საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტიც იყო, 2006-დან 2011 წლამდე ეუთოს პროექტის – „ორჰუსის ცენტრის“ იურიდიული კონსულტანტი გახლდათ. 2007 წელს კვლავ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატს დაუბრუნდა წამყვან სპეციალისტად. 2011 წლიდან 2014 წლამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსად იმუშავა, რის შემდეგაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ამავდროულად არის: 2012 წლიდან დღემდე – თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 2007 წლიდან დღემდე – კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი და, ასევე, 2012 წლიდან დღემდე – საქართველოს უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგი.



რაკი სახელმწიფო ჩინიან თანამდებობაზე 2011 წლიდანაა, მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2011 წლით თარიღდება, რომელიც მაია ბითაძემ შეავსო, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე, 1977 წელს დაბადებული გიორგი ზაზაძე და ორი შვილი: 1997 წელს დაბადებული ჯემალი და 2001 წელს დაბადებული გიორგი. უძრავი ქონების გრაფა ცარიელია, თუმცა, სამაგიეროდ, იმხანად გიორგი ზაზახიძეს ჰყავდა სამი ავტომანქანა და სამივე „მერსედესი“, 2002, 2003 და 2005 წლებში გამოშვებული. რაც შეეხება შემოსავლებს: 2010 წლის განმავლობაში, მაია ბითაძემ, როგორც პარლამენტის მთავარმა სპეციალისტმა, 22 979 ლარი აიღო; როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა – 8 100 ლარი, ხოლო გიორგი ზაზახიძემ, როგორც „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ მენეჯერმა – 18 000 აშშ დოლარი. მაია ბითაძეს 2010 წელს გასავალიც ჰქონდა შვილების სწავლის საფასურის სახით – 2 505 ლარი.

მან 2012 წელსაც იმავე ამპლუაში შეავსო დეკლარაცია: ოჯახის წევრების რაოდენობა უცვლელი იყო, უძრავ ქონებად კვლავ არაფერი ერცხიბოდათ, მოძრავ ქონებას კი ზემოხსენებული სამი „მერსედესი“ შეადგენდა. რაც შეეხება 2011 წლის სახელფასო შემოსავლებს: მაია ბითაძემ, როგორც პარლამენტის მთავარმა სპეციალისტმა, 17 115 ლარი აიღო; როგორც ლექტორმა (ორ უმაღლეს სასწავლებელში) – 12 100 ლარი, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა – 8 939 ლარი; ხოლო მისმა მეუღლემ – კვლავ 18 000 აშშ დოლარი. შვილების სწავლის საფასურიც კვლავ 2 505 ლარი დაუჯდათ.

2012 წელს გიორგი ზაზახიძეს უკვე ოთხი „მერსედესი“ ჰყავდა. რაც შეეხება შემოსავლებს: გიორგი ზაზახიძის შემოსავალი უცვლელი იყო, მაია ბითაძემ კი, როგორც იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, 40 490 ლარი აიღო, როგორც ლექტორმა (სამ უმაღლეს სასაწვლებელში) – 18 000 ლარი. შვილების სწავლის საფასური კი 2 505 ლარი და 2 750 ფუნტი სტერლინგი დაუჯდათ.

ბოლო დეკლარაცია მაია ბითაძემ 2015 წელს შეავსო, საიდანაც ვიგებთ, რომ გიორგი ზაზახიძეს სამი „მერსედესი“ ჰყავს, 2005, 2008 და 2009 წლების. 2014 წლის განმავლობაში მაია ბითაძემ, როგორც იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, 48 984 ლარი აიღო; როგორც ლექტორმა (ორ უმაღლეს სასწავლებელში) – 17 000 ლარი; ხოლო გიორგი ზაზახიძემ, რაკი „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორი გახდა – 45 000 აშშ დოლარი. შვილების სწავლის საფასური კი 5 010 ლარი დაუჯდათ.

**ნინო ხაჩიძე**

---

თბილისი არის მათი დედაქალაქიც და საქართველო, როგორც სახელმწიფო, რომ შედგა ამაში ყველაზე დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებლობამ და შემდეგ – აფხაზებმა და კახელებმა. ამდენად, როდესაც უნდათ: ჩამოვლენ თავიანთ დედაქალაქში, თავიანთ ბიძაშვილებთან და უნდათ, სამკურნალოდ ჩამოვიდნენ, უნდათ – სავაჭროდ და უნდათ – პოლიტიკურ პროცესებში მიიღონ მონაწილეობა. ჩვენ ამაში ვერც სკანდალს ვხედავთ და არც არაბუნებრივი გვგონია. ბუნებრივია, რომ იარონ და კონტაქტი იყოს, მიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა პოლიტიკური ურთიერთობა.

**– სოციალური ქსელების აფხაზურ ჯგუფებში სულ „შიზოფრენიკები“ გვეძახეს, როდესაც C ჰეპატიტის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ დავდე ინფორმაცია, რით ვერ ხვდებიან, რომ მათი არაფერი გვჭირდება, თავად იმკურნალონო. სხვა საკითხია, სად ნახავ „შიზოფრენიკს“, რომელიც მეორეს მკურნალობის ხარჯის დაფარვას სთავაზობს. ამ განსაკუთრებული აგრესიით თავს იმშვიდებენ თუ ერთმანეთს აწონებენ თავს ერთგულებით, რადგან ცნობილია, რომ მათი რაღაც ნაწილი სარგებლობს თბილისის მიერ შეთავაზებული სერვისებით.**

– თქვენ მიერ ჩამოთვლილი მიზეზებიდან ყველაა: არის აგრესიაც, თავსაც იმშვიდებენ, გრძნობენ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზეწოლებს როგორც რუსეთზე, ისე აფხაზეთზე და ისიც არის, რომ ერთმანეთს აწონებენ თავს. მოგეხსენებათ, ვინც ომში ნამყოფი არ არის, ის უფრო აგრესიულია, მაგრამ ყველაფრის მკურნალია დრო და დროული გადაწყვეტილებები. ვინც საქართველოს გამთლიანებას და სამხრეთ კავკასიის ნორმალურ განვითარებას შეუშლის ხელს, ის შეუშლის ხელს თავის პოლიტიკას მთელ კავკასიაში.

**– რუსეთი იმუქრება, რომ არ დაუშვებს საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანებას, თუმცა იცის, რომ საქართველოსთვის მხოლოდ კარი იქნება ღია, ამის მიუხედავად, ხშირად ვიმეორებთ, რომ მივდივართ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ. შესაძლოა, ეს იყოს რუსეთთან ვაჭრობის სცენარი: აი, საქართველოს უნდა და რომ არ მივიღო, რას გაიღებ, რუსეთო, სანაცვლოდ?**

– „ნატო“ დიდი ხანია, ვაჭრობის საგანია. ბოლო დროს რუსეთსა და საქართველოს შორის „ნატოზე“ საუბარი ნიშნის მოგებას ემსგავსება. „ნატოს“ წევრობას განსაკუთრებული მიდგომა და გადაწყვეტილება სჭირდება. ის 26 ქვეყნისგან შედგება და თითოეულს თავისი ინტერესი აქვს. საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ნელ-ნელა უახლოვდება ევროკავშირსაც და „ნატოსაც“. ორივეს სჭირდება საქართველო, როგორც პარტნიორი რეგიონში. თუ ამას დავამატებთ, რომ კავკასიაში რამდენიმე დაკონსერვებული კონფლიქტია და აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის შეიძლება, დაპირისპირება ახალი ფორმით გამოვლინდეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვისაც ხელსაყრელია დაწყნარებული და სტაბილური საქართველო. მაგრამ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდომა ის არის, რომ, როდესაც ამბობს, საქართველო „ნატოში“ არ უნდა გაწევრიანდესო, არ ამბობს ალტერნატივას. მაშ, რა უნდა ქნას საქართველომ? ამ კითხვას ტოვებს უპასუხოდ და სწორედ ეს უპასუხოდ დაჩენილი კითხვა იძლევა ეჭვის საფუძველს, თორემ „ნატოში“ თუ გადაწყვეტენ, ისე მიგვიღებენ, ჩვენ თვითონ არ ვიქნებით აზრზე. სულაც შეიძლება, არ იყოს „ნატოს“ წევრი ქვეყანა, მაგრამ მეზობელი დიდი ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნა. ეს საუბრის საგანია. მე მაინც ვფიქრობ, რომ რუსებსა და ამერიკელებს შორის მოლაპარაკების საგანი იქნება რეგიონული უსაფრთხოება, აქ მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოებაზე არ არის ლაპარაკი.

**ნინო ხაჩიძე**

**ახლახან გალერეაში „ვაჩე" ორიგინალური, ულამაზესი და უძვირფასესი, პრემიუმ კლასის ბეჭდების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა. მათი შემქმნელი ინგა ვაჩეიშვილია, რომელმაც გადაწყვიტა, კომუნისტური კლიშეები დაერღვია და შეექმნა სამკაულები, რომელიც იქნებოდა პასუხი მსოფლიოსთვის, წარმოაჩენდა ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების მაღალ კულტურას და უზადო სინატიფეს. სამკაულების სტილი ავანგარდულია, მასალა – ბუნებრივი და ხედვა – შემოქმედებითი. საიდუმლო კი, მისი ცხოვრების სულის ამოძახილია. სამკაულების ბრენდ „ვაჩეს" თითოეულ ბეჭედს საკუთარი სახელი აქვს. დამზადებულია ძვირფასი ლითონითა და ბუნებრივი ქვით. ინდივიდუალურია და ექსკლუზიური. სწორედ ამ თვისებათა გამო, კოლექციამ უდიდესი მოწონება დაიმსახურა.**

# რისი დამტკიცება სურდა ინგა ვაჩეიშვილს მსოფლიოსთვის თავისი სამკაულებით და რამდენია მის მიერ შექმნილი უნიკალური ბეჭდების ღირებულება

**ინგა ვაჩეიშვილი** ***(გალერეა „ვაჩეს" დირექტორი, სამკაულების ავტორი):*** გალერეა „ვაჩე" 2005 წელს დაარსდა, მაგრამ ჩემი დამზადებული ბეჭდები, როგორც საიუველირო, ექსკლუზიური ნაწარმი, ახლა პირველად გამოვფინეთ. ამის გაკეთება შვიდი წლის წინ ჩავიფიქრე. პროფესიით ქვებისა და ლითონების ექსპერტ-შემფასებელი ვარ, თუმცა არსებული სამკაულები არ მაკმაყოფილებდა და მინდოდა, ახალი და სრულიად განსხვავებული შემექმნა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემმა ნამუშევრებმა გაარღვია ნაკეთობებში შაბლონური მიმდინარეობები. მოხდა კომუნისტური ხედვის აბსოლუტური წაშლა. ყველა სამკაული შემოქმედებითია. არანაირ სტანდარტში არ ჯდება და მსგავსს ვერსად ნახავთ. ბენებრივი ქვები არც მოგცემს სტანდარტულობის საშუალებას. ყველა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს – მაგალითად, „კარდინალე", რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულია. ერთადერთი, რაც სხვისი გამოვიყენე, სოლომონ ბრძენის სიტყვებია „და ესეც გაივლის", ეს აწერია „კარდინალეს". ჩემი შექმნილი თითოეული ბეჭედი, ჩემი ცხოვრების გარკვეული ეტაპის გამოხატულებაა. საქართველო არ არის მზად ასეთი სამკაულებისთვის. მაგრამ, ჩემთვის მაინც თქვენი შეფასება იყო მთავარი, ვიდრე სხვა ქვეყნებში ზრდილობიანი თავის დაკვრა. ზუსტად ვიცოდი, ქართველების მოწონება უფრო მეტ სტიმულს მომცემდა. ასეც მოხდა. დიდი ემოციებით და სიხარულით ვარ სავსე, რადგან გამოფენის გახსნაზე ძალიან ბევრი და კარგი შეფასება მივიღე. რამდენიმე ბეჭედი უკვე წლის სამკაულად აღიარეს. საზოგადოებამ ზუსტად გაიგო ჩემი სათქმელი.



დედის წერილში წაკითხულმა ოთხმა სიტყვამ – „ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი" – ყველაფერი შეცვალა

**– სულ რამდენი ბეჭედი შექმენით პირველი კოლექციისთვის?**

– კოლექცია თერთმეტი ბეჭდისგან შედგება. მინდოდა, ერთი ნამუშევარიც მომესწრო – „გრძელი ღამე" და ამით დამესრულებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მას მომდევნო გამოფენისთვის გამოვიყენებ. დიდხანს ვამზადებდი, შვიდი წლის განმავლობაში. მეკითხებიან, რატომ დაგჭირდა ამდენი დროო, მაგრამ ბუნებრივი ქვების მოპოვებას, დამუშავებას, ფინანსებს, იდეის შემუშავებას და მის განხორციელებას – სჭირდება ამდენი დრო. ყველა ბეჭედი განსხვავებული და ექსკლუზიურია.



**– როგორც ვიცი, მთლიანად ბუნებრივ მასალას იყენებთ?!**

– მასალად ძირითადად: ოქრო, ალმასი, ამეთვისტო, ლალი, ზურმუხტი და სხვა ძვირფასი ქვებია გამოყენებული. ადრე ერთი პატარა ზურმუხტი თუ ჰქონდა სამკაულს, ძალიან ძვირფასი იყო. მე ეს ტენდენცია დავარღვიე. ზურმუხტი და ლალი ფოთლად, ამეთვისტო ყვავილად, ბრილიანტები კი გადავარდნილ ფორმებად გამოვიყენე. ეს უკვე მარტო ბეჭედი აღარაა, ტილოსავითაა. თითოეულს თავისი ისტორია აქვს. მაგალითად, ავიღოთ „იმედის იალქანი", რომელიც ლონდონში ნაყიდი ქვით – „შაჰფირუზით" არის დამზადებული. ლეგენდის თანახმად, ეს ქვა ძალიან ჰყვარებია შაჰს და თურმე საყვარელ ქალბატონებს უსახსოვრებდა ხოლმე. ქალი თუ დაავადებულია, მაშინ ფირუზი, რომელსაც ის ატარებს, შავდება. თუ შაჰი დაინახავდა, რომ ქვა გაშავდა, ალბათ ძალიან ცუდად მთავრდებოდა ისტორია. ერთ-ერთი ბეჭედი – „როიალი", სპეციალურად მაესტროსათვის არის შექმნილი და როიალის ფორმა აქვს. მასალა ინგლისშია შეძენილი. ერთადერთი ნედლეულია, რომელიც საქართველოში დამუშავდა. მუშაობის პროცესში ხშირად ვიკეთებდი თითზე და როიალზე ვუკრავდი, რომ გამეგო, დაკვრისას დისკომფორტს ხომ არ ქმნიდა. 80-კარატიანი ტოპაზია, მაგრამ ძალიან პრაქტიკული. ესეც და სხვა ბეჭდებიც ტექნოლოგიურად ისეა დამზადებული, აბსოლუტურად არ გაწუხებს. არცერთი ბეჭედი არ გადამიკეთებია. თავიდანვე ზუსტად ვიცი, რას ვაკეთებ და რა ტექნოლოგიით. მსოფლიო საიუველირო კულტურას ძალაინ კარგად ვიცნობ და ასეთი შემოქმედებითი სამკაულები არსადაა. სტილი ავანგარდულია, მასალა ბუნებრივი და ხედვა შემოქმედებითი. საიდუმლო კი ჩემი ცხოვრების სულის ამოძახებაა.



**– თქვენს ცხოვრებაზეც მიამბეთ. რა მოხდა ისეთი, ამხელა ემოციები რომ გამოიწვია, და ასე გრანდიოზულად გადაწყვიტეთ მისი დაფიქსირება?**

– ხანდახან, შეიძლება, შენი ვერ გაიგონ. ერთადერთი, დედა იყო, რომლსაც ჩემი ახირების ესმოდა. ეს მართლა ახირებაა. მისი გარდაცვალების შემდეგ, გადავწყვიტე, უკან აღარ დამეხია და საქმე ბოლომდე მიმეყვანა. დედა ლონდონში ცხოვრობდა და მეხმარებოდა ამ ყველაფერში, თუნდაც ფინანსებით. მერე, მოულოდნელად, გარდაიცვალა. თუმცა იცოდა, რომ ვერდიქტი გამოტანილი ჰქონდა და ჩანაწერი გააკეთა ჩემთვის. ის მე მოგვიანებით ვნახე, როცა ინგლისიდან გამოგზავნილი მისი ნივთები დამახვედრეს სახლში. ამ დროს ხელოსნები უკვე გაშვებული მყავდა და აღარაფრის გაკეთებას აღარ ვაპირებდი. დედის წერილში წაკითხულმა ოთხმა სიტყვამ: „ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი", ყველაფერი შეცვალა. ვიფიქრე, რომ მან ყველაფერი მასწავლა, ყველაფერი გამიკეთა და მე ეს უნდა დამესრულებინა. ბევრი წინააღმდეგობა იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ გამოცდა ჩავაბარე. მინდოდა, გალერეა მქონოდა, ჩემი ბრენდი და სამკაულების საკუთარი ხაზი. თუმცა, ეს არ იყო ამბიცია, ეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა იყო და დედამ ეს გამიგო.

**– სამომავლოდ, საზღვრებს გარეთ გასვლას არ აპირებთ?**

– ჩაკეტილი სივრცე არ არსებობს და შენი ძალები სხვაგანაც უნდა მოსინჯო. კრიტიკისთვისაც მზად ვარ. თუმცა, ტექნიკასთან დაკავშირებულ კრიტიკას ვერ მივიღებ, რადგან მე ზუსტად ვიცი, როგორ გავაკეთო. თუმცა, შეიძლება მათი გემოვნება გავითვალისწინო. როცა ნამუშევრები პირველად განათავსეს სოციალურ ქსელში, მე წინააღმდეგი ვიყავი. ამ ყველაფერზე შვიდი წელი ვმუშაობდი და ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ამიტომ, საზოგადოების შეფასების შემეშინდა. არ ვიცოდი, როგორ მიიღებდნენ. რამდენიმე დღე არ შევსულვარ და არ მინახავს გამოხმაურება. მერე წავიკითხე და იმდენად კარგი შეფასებები იყო, თავი უბედნიერესად ვიგრძენი. წერდნენ: არავინ არის, რომ მაჩუქოს? უამრავი გაზიარება და მოწონება ჰქონდა. ვფიქრობ, მიხვდნენ, რომ ეს შემოქმედებითი სამკაულია და არა – შაბლონური. ჩემი მთავარი მიზანი იყო მსოფლიოსთვის პასუხი. უცხოეთში სერიოზული კულტურაა, მაგრამ საქართველოშიც არანაკლებია. მსოფლიო საიუველირო კულტურას რომ გადახედოთ, ვერ იტყვით, რომ ეს რამით ჩამოუვარდება.



**– ეს არ არის მხოლოდ გამოფენა, გაყიდვაცაა. როგორია ფასები?**

– ეს არის გამოფენა-გაყიდვა, რომლიდან შემოსული თანხითაც, გვინდა მახინჯაურის მარტოხელა დედებს დავეხმაროთ. ფასები 2 400 ლარიდან 5 500 ლარამდე მერყეობს. მეუბნებიან, როგორ უნდა შეელიოო და მართლა ძალიან გამიჭირდება მათი დათმობა. თითოეულში სული და გული მაქვს ჩადებული.

**– ახლო მომავალში, ახალ კოლექციას კიდევ თუ გეგმავთ?**

– ახალი კოლექციის გაკეთება ძალიან სწრაფად მინდა. მასალა უკვე შეძენილი მაქვს. მას უფრო გრანდიოზული შოუს სახით გავაკეთებ. ეს იქნება პირველი სამკაულების ჩვენება, სადაც იქნება არა მხოლოდ ბეჭდების, არამედ გულსაკიდებსა და სამაჯურებსაც გამოვიტანთ. მასალად ისევ და ისევ ბუნებრივ ქვებს გამოვიყენებ.

**ქეთი კაპანაძე**

**2006 წელს სასამართლომ მას ბრალი დაუსწრებლად, ქრთამის აღებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მუხლით წაუყენა და 17-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ჩვენ აქ არ ვაპირებთ სასამართლოს გამართვას – რაშია ის რეალურად მტყუანი და რაში – არა. ერთი კი ცხადია, რომ მან და მისმა ოჯახის წევრებმა სერიოზული ზეწოლა განიცადეს სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, ისევე როგორც ბევრმა მაღალჩინოსანმა მაშინ. ამ ამბავს მისი მამა და ბიძა შეეწირნენ, დაზარალდნენ მისი ახლობელი ადამიანები. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულთან ქვემო ქართლში, წითელი ცირკულარით ძებნილ ლევან მამალაძესთან, რომელთანაც ყოფით თემაზე ვისაუბრეთ. თუმცა, წლების წინ მომხდარსა და პოლიტიკას, გვერდი ვერცერთმა ავუარეთ.**

# რატომ ეძებდნენ საწოლის ქვეშ ლევან მამალაძეს და როგორ შეეწირნენ მის ამბავს მამა და ბიძა

**– ალბათ, ყოველთვის ცუდ მოგონებად დაგრჩებათ ის, რაც მოხდა თქვენს ცხოვრებაში. გაიხსენეთ ის დღე, როცა ტოვებდით ქვეყანას.**

– 2003 წლის 23 ნოემბერს, როცა სააკაშვილი პარლამენტში შემოიჭრა და შევარდნაძის ჩაი მოწრუპა, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ თბილისში განუკითხაობა დაიწყებოდა. გემახსოვრებათ, რამდენჯერ გამექცა „იმედის", „ტვ 9"-სა და „მზის" პირდაპირი ეთერიდან. მაშინ სამართალდამცავები დაშინებულნი იყვნენ და მიშას არ ეკარებოდნენ, ამიტომ ამიგორა ათასი ჭორი. მოსყიდული პრესითა და ტელევიზიით გაავრცელა ზოდები, რაშები, ნიანგი და ბეჰემოთები. ეს იმიტომ, რომ ჩემგან მონსტრი შეექმნა. სააკაშვილი მე კონკურენტად აღმიქვამდა და ჩემი განადგურება უნდოდა. მერე, ხელისუფლება ხელში რომ ჩაიგდო, შეუდგა ჩემს მოსპობას. მე ეს ვიცოდი და გაცლა ვამჯობინე.

**– და სად იმყოფებოდით?**

– მოსკოვში წავედი და იურიდიული აკადემიის ასპირანტურაში ჩავირიცხე დისერტაციის დასაცავად. ადამიანის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ რასაც თვითონ აკეთებს, იმ ქმედებას ელოდება სხვისგანაც. მიშასეულ რეპრესიებს მამაჩემისა და ბიძაჩემის სიცოცხლე შეეწირა. მე კიდევ, 12 წელია, დევნილობაში ვარ.

**– პირველად, როცა გამოჩნდით, ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე, თქვით, რომ მეტროთი გადაადგილდებოდით. მაშინ საზოგადოება თქვენს ამ ნათქვამს ცინიკურად შეხვდა, იმიტომ რომ, თქვენ იყავით შევარდნაძის ხელისუფლების ის მაღალჩინოსანი, რომელმაც როგორც ამბობდნენ, დიდძალი ქონება დააგროვა და საქართველოდან დიდი ფულითა და ოქროთი გაიქცა.**

– მტკიცებულება როგორც ასეთი, არცერთი ფაქტი, რომ რაიმე დანაშაული მიმიძღვის ქვეყნის ან ვინმეს წინაშე, ეს ყბადარებული ოქრო, რანჩოები, ნიანგები და ასე შემდეგ, არ არსებობს! ეს იყო სააკაშვილის დადგმული შოუ. რაც შეეხება მეტროთი სიარულს, იურიდიული აკადემიის ასპირანტურაში სააკაშვილმა „რუსთავი 2" დამადევნა. მათ შევხვდი, ინტერვიუ აიღეს. მერე მკითხეს – რით გადადგილდებითო. მოსკოვში მეტროთი მოძრაობა ჩვეულებრივი მოვლენაა, არაფერია გასაკვირი ამაში. მერე ყველაფერი უკუღმა გაუშვეს. აჩვენეს, როგორ ჩავდივარ მეტროში, ცინიკურად, საქართველოში ფონად ვილაცეების სახლები დაადეს, რომ მამალაძეს რაშები და ოქროთი დატვირთული წყალქვეშა ნავები ჰყავს და მეტროთი როგორ ივლისო. მოკლედ, საზოგადოებაში ჩემზე მხოლოდ ცუდი ვრცელდებოდა. მიშა და სანდრა წინასაარჩევნოდ თბილისის მეტროში რომ დასეირნობდნენ, ხალხს აჯერებდნენ, რომ სააკაშვილს უჭირს და ბაბუის ნაყიდი ოცლარიანი ჰალსტუხი უკეთიაო. ეს, ის ჰალსტუხი



უკრაინაში მეხანძრეების შენობის თავზე განთავსებული საწყობი, ოროთახიანი ბინა დამითმეს. მარიკა რომ ჩამოვიდა ბავშვებთან ერთად, იქ ვცხოვრობდით

ნამდვილად არ არის... ჟურნალისტებმა კარგად იცით, როგორ კეთდება პიარ-ტექნოლოგია. მამალაძე უნდა ყოფილიყო ცუდი, სააკაშვილი – გადამრჩენელი.

**– ფსიქოლოგიურად რამდენად მძიმე იყო თქვენთვის საქართველოდან შორს ყოფნა, როგორც დევნილისთვის და როგორ ცხოვრობდა აქ დარჩენილი თქვენი ოჯახი?**

– რა თქმა უნდა, სამშობლოსგან განშორება ძალიან მძიმეა. მიშა ისე გამწარებით მეძებდა, რომ კონსპირაციას ყოველ ნაბიჯზე ვითვალისწინებდი. რუსეთი ამ მხრივ სანდო არ იყო და უკრაინაში წავედი, იქ ნაცნობები დამეხმარნენ. ამ დროს ჩემი ოჯახი თბილისში საშინელ რეპრესიებს განიცდიდა. იყო ყოველდღიური დაკითხვები. აიძულებდნენ, ჩემზე რაღაც ეთქვათ. ამ დაკითხვას ემსხვერპლა სწორედ ბიძაჩემის სიცოცხლე. 2004 წლის 24 ივნისის თბილისის პროკურატურაში ასეთი დაკითხვის დროს ბიძაჩემი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ამ ფაქტზე პროკურატურაში საქმე შეგნებულად არ აღიძრა და არც არავინ დაკითხეს. ზუსტად ერთი წლის თავზე, მამაჩემმა ვერ გაუძლო „მასკიანების" მივარდნებს და ნერვიულობის ნიადაგზე ინსულტით გარდაიცვალა. ყველამ იცოდა, რომ წასული ვიყავი და მაინც, ყოველ დილის 6 საათზე, მიდიოდნენ ჩემთან სახლში და საწოლის ქვეშ მეძებდნენ. ბავშვები დაწიოკებილები ჰყავდათ. ჩემი მეუღლე, სამი მცირეწლოვანი ბავშვით, ტყით გადავიდა სომხეთში და მერე ახლობლების დახმარებით გადმოხიზნეს ჩემთან. 2004 წლის სექტემბერში ანამარია და ნიკა სკოლაში რომ მივიდნენ, მე-2-მე-3 კლასში იყვნენ. ზაფხული სად გაატარეს, იმას ხატავდნენ ბავშვები და მათ დედა, ბებია და ბაბუა დახატეს – ყველას ხელი ჰქონდა აწეული. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა მდგომარეობაში იყვნენ ჩემი ახლობლები.

**– თქვენ როგორ ცხოვრობდით ამ დროს?**

– 11 წელი დონბასში ვიცხოვრეთ. მე იქ კარგი ნაცნობობა მყავს. ვეხმარებოდი მათ ბიზნესგეგმების შემუშავებაში და სტრატეგიული პროცესის გამართვაში. ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო აკადემიებისა და უნივერსიტეტების აღიარება მოვიპოვე. ანტიკრიზისული მართვის, სოციალური ფსიქოლოგიისა და პოლიტტექნოლოგიის დარგში.

**– როგორ ახერხებდით ოჯახთან ურთიერთობას?**

– 2012 წლამდე ურთიერთობა ხშირი არ გვქონდა. სირთულეები არის დღესაც. მე ყველას მადლობა მინდა, ვუთხრა, ვინც გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს გვერდში დაგვიდგა. სიმართლე გითხრათ, ბევრი სოროში შეძვრა, ეშინოდათ, მაგრამ რა გაემტყუნებათ...

**– როდესაც დაბრუნდებით საქართველოში, ისევ პოლიტიკაში იქნებით? სხვაგან სად წარმოგიდგენიათ თავი?**

– მე ორი უმაღლესი განათლება მაქვს მიღებული. საფინანსო და საერთაშორისო იურისპრუდენციაში სამეცნიერო ხარისხი მაქვს. მეცხოველეობის დარგში დისერტაცია დავიცავი მშენებლობა-გენეტიკის განხრით. ვარ დოცენტი და ვკითხულობდი ლექციებს. როგორც გითხარით, 11 წლის განმავლობაში მიღწევები მაქვს სტრატეგიული დაგეგმარების, ანტიკრიზისული მართვის, სოციალური ფსიქოლოგიისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების განხრით. იმედი მაქვს, საქართველოს გარკვეულ სარგებელს მოვუტან. რაც შეეხება პოლიტიკას, სტუდენტობის პერიოდიდან, 1987 წლიდან ვარ ჩათული და პოლიტიკური საქმიანობა არასდროს მიმიტოვებია.

**– ფინანსური თვალსაზრისით როგორ ცხოვრობდით? მეუღლესა და შვილებზეც ვისაუბროთ.**

– როგორც კრიზის მენეჯერსა და პოლიტტექნოლოგს, იმდენი შემოსავალი მაქვს, რომ თავი შევინახო. ანამარია და ნიკა უკვე სტუდენტები არიან. ანამარია სწავლობს საერთაშორისო და პოლიტიკურ ურთიერთობებზე, ნიკა – საერთაშორისო ფინანსებსა და საბირჟო საქმეზე, ლევგა ჯერ სკოლაში სწავლობს მე-8 კლასშია. ჩემი მეუღლე მარიკა ქავთარაძე არის ხელოვნებათმცოდნე, აკეთებს კომპლექსურ დიზაინს, ექსკლუზიურ თოჯინებს და თექით ქმნის ნახატებს. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი მაქვს. ძალიან მინდა, დედაჩემს ჩავეხუტო და ჩემი ახლობლების საფლავები მოვინახულო.

**ეკა პატარაია**

**ენერგოვამპირიზმი, შური, ბოღმა და წყენა ენერგოინფორმაციული სტრუქტურებია, რომლებიც ადამიანზე უარყოფით გავლენას ახდენენ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვების ენერგიით იკვებებიან და თურმე, ისიც შესაძლებელია, რომ დონორისთვის, ანუ, ვინც ენერგიას გასცემს, ეს ფატალური შედეგით დასრულდეს. შურიანი და ბოღმიანი ადამიანები კი საკუთარ თავს წარმატებისკენ მიმავალ გზას უკეტავენ. ამ თემებზე სასაუბროდ ასტროლოგიური ცენტრის წევრს, თორნიკე ბიძინაშვილს მივმართეთ.**

# როგორი ადამიანები იწვევენ ავადმყოფის გარდაცვალების დაჩქარებას და როდის ხდება ერის ენერგეტიკული კვდომა

**თორნიკე ბიძინაშვილი:** ენერგოვამპირია ადამიანი, რომელსაც ენერგეტიკული დისბალანსი აქვს. ზოგადად, ამ თვალსაზრისით, ადამიანები ორ კატეგორიად: დონორებად და ვამპირებად იყოფიან. ვამპირი იღებს ენერგიას, დონორი კი – გასცემს. თუ ადამიანს აქვს მიდრეკილება წყევლისკენ, სროლისკენ – თუ ის ხშირ შემთხვევაში ცდილობს ჩხუბის პროვოცირებას და შემდეგ ამ პროცესისგან იღებს სიამოვნებას – ეს მასში არსებულ დემონურ ძალებზე მიუთითებს. ასეთი ადამიანი ენერგოვამპირია და ის სწორედ მსგავსი გზებით მიღებული ენერგიით იკვებება.

**– თვითონ ენერგოვამპირი გრძნობს, რომ ეს არის მისი ენერგიის წყარო და ასე უნდა მოიქცეს თუ ეს ყველაფერი მისთვის გაუცნობიერებლად ხდება?**

– ზოგმა იცის, რომ ენერგოვამპირია, თუმცა ამას არავინ იტყვის. შესაძლებელია, საერთოდ ვერ აცნობიერებდეს ამ ამბავს. მე გავაკეთე ერთი დაკვირვება. შევისწავლე რეანიმაციაში არსებული სიტუაცია. როცა იქ წევს ავადმყოფი, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია და ბოლო ძალებს იკრებს სიკვდილთან საბრძოლველად, მასში არის დარჩენილი ენერგეტიკული ინფორმაცია, რომელიც ორგანიზმის აღდგენის მცირე საშუალებას იძლევა. თუ იქ ენერგოვამპირი მოხვდება, ის ავადმყოფს უკანასკნელ ენერგიასაც ამოაცლის და პაციენტი გარდაიცვლება. ასე რომ, ენერგოვამპირმა, შესაძლოა, ადამიანის გარდაცვალება დააჩქაროს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ასეთ ადგილებში მომსახურე პერსონალი უნდა კონტროლდებოდეს. მინახავს ავადმყოფი, რომელიც მძიმე სიტუაციაში იყო, თუმცა არა უიმედოდ. რეაბილიტაციისკენ მიდიოდა და შანსები ჰქონდა, მაგრამ დაემთხვა ისეთი ადამიანის მორიგეობა, რომლის დროსაც სიკვდილიანობა ხშირია ხოლმე და გარდაიცვალა. ამ ადამიანებზე დაკვირვებამ, ასტროლოგიურად შემოწმებამ მოგვცა გარკვეული კონფიგურაცია, რომლის მიხედვითაც ხვდები, რომ ის ენერგოვამპირია. ამას ჩვეულებრივ ურთიერთობაშიც გრძნობ. ამიტომაცაა საჭირო პერსონალის კონტროლი. მოკლედ რომ ვთქვათ, ასტროლოგია და ექსტრასენსორიკა კლასიკურ მედიცინასთან ინტეგრაციას ითხოვს. ამ ორი დარგის დახმარების გარეშე, მარტო მედიცინა სრულიად ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.



უნდა მოიქცე სურვილის საპირისპიროდ. ხანდახან შეიძლება ხელოვნურად, შემდეგ კი ეს ჩვევაში გადაგივა

**– ვამპირისგან თავდასაცავად რისი გაკეთებაა შესაძლებელი?**

– ვამპირიზმისგან თავდასაცავად დისტანციის დაცვაა საჭირო. მასთან ფიზიკურად ახლოს არ უნდა მიხვიდეთ. დისტანცია ორი მეტრი მაინც უნდა იყოს, რომ მისი ენერგეტიკული ველის რადიუსში არ მოხვდეთ, თუნდაც მასთან კონტაქტი არ გქონდეთ. რაც უფრო მეტად განვითარებული ხართ სულიერად, მით უფრო გიადვილდებათ ენერგოვამპირის ამოცნობა. თუმცა, როგორც ასეთი, კონკრეტული რეცეპტი მის ამოსაცნობად არ არსებობს. ზოგადად, თუ ადამიანი ენერგიას გამოგაცლით, ეს ცალსახაა და ამას იგრძნობთ. მათ ახასიათებთ ბევრი ლაპარაკი, ძირითადად უაზრო თემებზე. საკუთარი პრობლემის თავს მოხვევა, ყველაფერი ცუდის მოყოლა, აგრესიული საუბარი, ნეგატივზე ორიენტირება და ასე შემდეგ. არსებობს პასიური ენერგოვამპირიც, რომელიც პირიქით, მოდუნებული და წყნარია. მათ „წერტილოვანი დარტყმები" ახასიათებთ. კონკრეტული წერტილებიდან გწოვენ ენერგიას. მშვიდი, გაწონასწორებული და წყნარი საუბარი პროფესიონალ ენერგოვამპირებს ახასიათებთ. ისინი მეტნაკლებად იცნობენ საკუთარ შესაძლებლობებს და მეტად შეუძლიათ ადამიანებზე გავლენის მოხდენა.

**– შური, ბოღმა და წყენა ენერგოვამპირიზმთან ახლოსაა?**

– ეს ყველაფერი ენერგოინფორმაციული კონკრეტული სტრუქტურებია. ბედისწერა გიკეტავთ იმას, რისიც გშურთ და გინდათ, რომ გქონდეთ. შესაძლოა, სხვა შემთხვევაში ადვილად მიგეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ შურის პოტენციამ თქვენში წარმატების ბლოკირება გამოიწვია. ადამიანის შურიანად გადაქცევა არ ხდება. ასეთად ადამიანი იბადება, თუმცა სულიერი განვითარების გზით, მისი განკურნება შესაძლებელია.

**– თეთრი შური არსებობს?**

– შური შურია. თეთრი შური არ არსებობს. ის, რომ შეიძლება სხვისი წარმატება თქვენთვის სტიმული გახდა და ეს არ გეწყინათ – შური არაა. ეს მაგალითია. ეს არის სტიმული, რომელსაც სიხარული მოსდევს.

**– როცა ჩემი შურთ, ეს ჩემს ენერგეტიკაზე უარყოფითად მოქმედებს?**

– სხვისი თქვენდამი შური თქვენზე მოქმედებს ისე, როგორც ეგრეთ წოდებული თვალი, რომელიც ძალიან ძლიერია. თუ ვინმეს თქვენი კონკრეტული ნივთის შურს, შესაძლებელია, ეს ნივთი გაგიფუჭდეთ. თუ თქვენი სამსახური შურთ, შეიძლება, გამოგაგდონ ან იმხელა პრობლემა შეგექმნათ სხვა საკითხებზე, რომ მიღწეული წარმატება საერთოდ გაგიუფერულდეთ.

**– ბოღმაზე რას იტყვით?**

– ბოღმა შინაგანი ხრწნაა. ადამიანში არარეალიზებული ენერგია, არარეალიზებული სურვილები იქცევა ბოღმად. ამას ძირითადად სოციალური გარემო განაპირობებს, რაც მთელ სახელმწიფოზე ვრცელდება და მთელი ერი ავადდება. მისი ენერგეტიკა და აურა რუხი ფერის ხდება. შემდეგ შავი და ბოლოს კვდება. ახლა ჩვენ საკმაოდ რთულ ეტაპზე ვართ.

**– მისგან გათავისუფლება როგორ არის შესაძლებელი?**

– უნდა შეიცვალოს ის, რაც შენში ბოღმას იწვევს. უნდა მოიქცე სურვილის საპირისპიროდ. ხანდახან შეიძლება ხელოვნურად, შემდეგ კი ეს ჩვევაში გადაგივა. დიდი მნიშვნელობა აქვს მედიტაციებს. მათი საშუალებით წყნარდები და ჰარმონიული ხდები. ადამიანმა უნდა მოახერხოს და ემოციები გონებით დაწმინდოს და პირიქით. აზრი, გრძნობა და მოქმედება ერთი უნდა იყოს. ეს ყველაფერი ჰარმონიულობას ქმნის და ვინც ეცდება, ამას აუცილებლად მიაღწევს.

**ქეთი კაპანაძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# სოციალური მომსახურების სააგენტომ პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში „ნატახტარის“ ქარხანაში დასაქმებული ბენეფიციარები მოინახულა

***კომპანია „ნატახტარმა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ წარმომადგენლებსა და „საქართველოს კარიტასის“ მცირე ტიპის სახლის აღსაზრდელებს უმასპინძლა.***

***ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოსა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმი „ფონდი ნატახტარის“ ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობასა და გამართული აქტივობების მხარდაჭერას ითვალისწინებს, რომელსაც ხელი მოაწერეს ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა რევაზ ბარბაქაძემ და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ სტუმრები პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში „ნატახტარის“ ქარხანაში დასაქმებულ ბენეფიციარებს შეხვდნენ.***

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი სიხარულით აღნიშნავდა: „ფონდის მიერ უკვე 61 ბენეფიციარია დასაქმებული სხვადასხვა კომპანიაში. ასევე, შეგახსენებთ ფონდის მიზანს – დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოამზადოს მზრუნველობამოკლებული მოზარდები და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათი ინტეგრირების პროცესს. 61 მოზარდიდან, როგორც აღვნიშნე, სამი მუშაობს კომპანია „ნატახტარის“ ტექნიკურ განყოფილებაში. ეს გარკვეულწილად სიმბოლურიცაა, რადგანაც, ეს ადამიანები მონაწილეობას იღებენ „ნატახტარის“ პროდუქციის წარმოებაში. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენს ფონდს მომავალში გადაწყვეტილი აქვს, კიდევ უფრო მეტი ბენეფიციარი დაასაქმოს კომპანიის ფარგლებში, რადგან, ჩვენც რეალურად ვზრუნავთ მომავალ თაობაზე და მათ დასაქმებაზე“.

**ზაზა სოფრომაძე** *(ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე)*: „ბავშვებზე ზრუნვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, გასულ წელს მთავრობაში შეიქმნა სპეციალური საკოორდინაციო საბჭო, რომლის ხელმძღვანელიც პრემიერ-მინისტრი გახლავთ და, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ ბევრი საინტერესო პროექტი მუშავდება. ამ პროექტების მთავარი განმახორციელებელი კი გახლავთ ჩვენი სააგენტო, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ; პროექტებში დიდი ადგილი უკავიათ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, რომლებზეც ასე ზრუნავს კომპანია „ნატახტარი“. საქმე ისაა, რომ, როცა ბავშვები გამოდიან იმ ინ-



სტიტუციებიდან, რომელთა დაფინანსებასაც თავის დროზე სახელმწიფო ახდენდა და იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, სწორედ ამ დროსაა საჭირო ისეთი მხარდაჭერა, როგორსაც ახორციელებს „ფონდი ნატახტარი“. ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით მათ მიერ გაწეულ დახმარებას და მადლობის გარდა არაფერი გვეთქმის, რადგან, რამდენიმე ათეული დასაქმებული ბავშვი ერთი კომპანიისთვის შესანიშნავი შედეგია, ასევე, მნიშვნელოვანია ამ პროექტების განხორციელება საქართველოს ყველა რეგიონში და არა მხოლოდ დედაქალაქში. საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელით, კიდევ ერთხელ მოვახსენებ დიდ მადლობას „ფონდ ნატახტარს“ და მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში. კარგი იქნება, თუ სხვა კერძო კომპანიებიც გაითვალისწინებენ „ფონდი ნატახტარის“ მაგალითს და მიბაძავენ მათ იმ კეთილშობილ საქმეში, რასაც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე შეფობა ჰქვია და ამ საქმეში შეეხიდებიან სახელმწიფოს“.

ოფიციალური შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრები პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში „ნატახტარის“ ქარხანაში დასაქმებულ ბენეფიციარებს შეხვდნენ და გაესაუბრნენ.

„თბილისელები“ ესაუბრა „ფონდი ნატახტარის“ მიერ დასაქმებულ ბენეფიციარ, გელა გოგილაშვილს, რომელმაც აღნიშნა: „თვე-ნახევარია, კომპანია „ნატახტარში“ ვმუშაობ – ლუდსა და ლიმონათს ვასხამ. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, კარგი თანამშრომლები მყავს, დამეხმარნენ, გვერდში დამიდგნენ და მიმაჩვიეს მუშაობას. ახლა უკვე შემიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება.“

ღონისძიების დასასრულს, სპეციალურად „საქართველოს კარიტასის“ მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისთვის, ქარხანაში ლიმონათის ტური გაიმართა. სტუმრები ლიმონათის ჩამოსხმის სრულ საწარმოო ციკლს გაეცნენ და სახსოვრად სერტიფიკატებიც მიიღეს.

**მღვდელი პავლე ფლორენსკი წერდა: „რელიგიის საიდუმლოებანი არ არის ის, რისი გამჟღავნებაც არ შეიძლება, ისინი არც შეთქმულთა პირობითი პაროლებია. ეს არის ენით გამოუთქმელი, ენით აღუწერელი განცდები, რომელთა სიტყვიერად გამოხატვა შეუძლებელია“.**

# რატომ არის შეუძლებელი ადამიანისთვის რელიგიური განცდების შეცნობა და რატომ არ უნდა იქცეს საუფლო დღესასწაულები საერო დღესასწაულებად

**მამა გიორგი თევდორაშვილი** ***(ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი):*** უფალი ამაღლებამდე ეუბნება თავის მოციქულებს: „მე მამას შევავედრებ და თქვენ ის მოგივლენთ სულიწმიდას, რომელიც მისგან გამოვალს, იქნება თქვენში და გასწავლით ყოველივეს“. ყველა მოციქული ამოწმებდა ამას, რომ ისინი იყვნენ მოწმენი იესო ქრისტეში, მამა ღმერთში და იყვნენ წევრი ერთი წმიდა, კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა. სულთმოფენობა ეს არის ქრისტეს მიწიერი მისიის დაგვირგვინება, მისი განკაცებით აღთქმის აღსრულება. ეს არის უმთავრესი მოვლენა ქრისტიანული რწმენის დაარსებაში, ღმერთთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენაში, კაცთა მოდგმის ხსნის განგებულების საქმეში, რომელსაც მოჰყვა საუკუნო მეუფება უფლისა. მართლაც, სულთმოფენობა, ერთი მხრივ, აგვირგვინებს და ასრულებს ქრისტეს მიწიერ მოღვაწეობას, მეორე მხრივ კი, იწყებს ახალ ეპოქას მსოფლიოს ხალხების ქრისტიანულ ეკლესიაში გაერთიანებისა, რაც განკითხვის დღით ბოლოვდება. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს არის ეკლესიის დაბადების დღე, ანუ ამ დღეს დაარსდა ახალი აღთქმის ქრისტიანული დედაეკლესია. ჩვენთვის საუფლო დღესასწაულები არ უნდა იქცეს საერო დღესასწაულებად. კარგია, აღდგომა რომ იზეიმე, მაგრამ, თუ სულთმოფენობას არ ზეიმობ, შენი სიხარული ნაკლულოვანი იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა დიდებული საუფლო მოვლენა აღსრულდა განკაცებული ღმერთის მიერ ჩვენი ცხონებისთვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, თუ ძე ღვთისა დაჯდა „მარჯვენით მამისა“, ეს ნიშნავს იმას, რომ, ვინც მართლმადიდებელი ქრისტიანები ვიყავით, ვართ, ვიქნებით, ბოლომდე მოვითმენთ, ვიცხოვრებთ ეკლესიურად – ყველას ელოდება აღდგომა, ამაღლება და „მარჯვენით მამისა ჯდომა“. მაცხოვარი თანასწორია მამისა და, ყველა, ვინც იცხოვრებს იესო ქრისტეს სარწმუნოებით ჭეშმარიტი სამოციქულო ეკლესიის წიაღში, მას ელოდება ჯერ აღდგომა, შემდეგ ამაღლება და „მარჯვენით მამისა“, ანუ სამოთხეში ყოფნა. იყვნენ ადამიანები პავლე მოციქულის სახით, რომლებიც ცოცხლები, სხეულში მყოფნი აღიტაცნენ ზეციურ სასუფეველში და იხილეს მათ ზეციური სასუფევლის ნეტარება, რომელიც ენით აღუწერელი და გონებით დაუტევნელი მდგომარეობაა. სიტყვებში – „მჯდომარე არს მარჯვენით მამისა“ – ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ დიდი ნეტარება, წყალობა, ნუგეში. ახალ აღთქმაში მოსული მესია, ღმერთი აღმდგარი და ამაღლებული, გვაძლევს დაპირებასა და სწავლებას რწმენის სახით, რომ ის კვლავ მოვა და მაშინ აღდგომა იქნება საყოველთაო, მაგრამ, ერთნი აღდგებიან სამარადისო ტანჯვისთვის, ხოლო მეორენი – სამუდამო ნეტარებისთვის. „უკუნითი-უკუნისამდე“ – არის ძველი ქართული ანდაზის დაბოლოება, რაც თანამედროვე ენაზე გამოითქმის – „სიბნელიდან სიბნელემდე“. ანუ, ადამიანმა არ იცის, საიდან მოდის და სად მიდის, მისი ცხოვრება ბოლომდე არ არის გააზრებული. ამიტომ, ჩვენთვის ამ ორ, გაუაზრებელ წერტილში ცხოვრება უნდა იყოს სუფევით ღვთისა. ყოველი ზეიმი, რომელიც ეკლესიაში იზეიმება, ღვთისგან არის დადგენილი ჩვენი სულის საცხოვნებლად და მას სჭირდება სულიერი მიმღებლობა, განცდა. სულიწმიდის მოფენის დღეს ეკლესია ხის მწვანე რტოებით, ბალახებითა და ყვავილებით ირთვება, რაც იმ წმიდა და განმაცხოვებელ მადლს მოგვაგონებს, სულიწმიდის მოფენის შემდეგ რომ ვიღებთ. ყვავილები და სიმწვანე, სიმბოლურად, სიცოცხლის მანიშნებელია. სულიწმიდის მადლის მოფენა სიმბოლურად მიანიშნებს ყვავილებით შემკულ ეკლესიაზე. ამ დროს იკითხება ხანგრძლივი მუხლმოდრეკის ლოცვა. წირვის შემდეგ წინამძღვარი აღსავლის კართან მოიყრის მუხლს, მრევლიც იყრის მუხლს და ამ დროს იკითხება სულიწმიდის მოწვევის ლოცვები. ყვავილებით, ნიშნად მარადიული სიყვარულისა, სარწმუნოებისა, სიხარულისა, უფალს ვიწვევთ სახლში.



**„უკუნითი-უკუნისამდე“ – არის ძველი ქართული ანდაზის დაბოლოება, რაც თანამედროვე ენაზე გამოითქმის – „სიბნელიდან სიბნელემდე“**

**– შესაძლებელია თუ არა დღეს უფლის ხილვა?**

– აღდგომამდე და სულთმოფენობამდე მაცხოვრის მოწაფეებიც ვერ აცნობიერებდნენ, ვინ იყო მათი მასწავლებელი. ძველი აღთქმის მიხედვით, შეუძლებელი იყო ღმერთის ხილვა, მაგრამ უკვე ახალ აღთქმაში მოციქულები ამბობდნენ: ჩვენ ვიხილეთ ღვთის ღმერთი. რადგან უფალი დედამიწაზე ადამიანის სახით, განკაცებული მოვიდა, ამიტომ შესაძლებელი გახდა მისი ხილვა. მაცხოვრის ადამიანური ბუნება ფარავდა მის ღვთაებრივ ბუნებას, იმ დიდებას, რომლის ხილვა ადამიანს არ ძალუძს. იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება რწმენის თვალით იხილვებოდა და იხილვება. ურწმუნოთათვის კი მაცხოვარი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია. მეორედ მოსვლის დროს კი, უკვე ყველასთვის ხილული და განცხადებული გახდება იესო ქრისტეს ღვთაებრიობა და მოვა ის დიდებით. იესო ქრისტე, ღმერთი ამქვეყნად ადამიანებს ეცხადება იმ ზომით, როგორც ადამიანი გაუძლებს მის სიდიადეს და დარჩება ცოცხალი.

**– ვის შეუძლია დღეს სულიწმიდის მიღება?**

– როგორც ღირსი სერაფიმ საროველი ამბობს, მათ, ვინც განიწმიდებიან ვნებებისგან და თავმდაბლობას მოიპოვებენ, „სულიწმიდას მოიგეს“. დღეს ადამიანები ძალიან არიან დასნეულებულები და სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. უცნაური სიბრმავე, რაც ჩვენშია, ეს არის საკუთარი სნეულების ვერდანახვა. არადა, ყველაზე საშიში სწორედ ეს არის, იმიტომ რომ, ადამიანი თუ ამჩნევს თავის სნეულებას, მკურნლობს. მაშინ, როდესაც ადამიანი ვერ ხედავს თავის სნეულებას და არ მკურნალობს, შესაბამისად, ის უკვე მძიმე დაავადებად გადაიქცევა. მაგრამ, თუ ადამიანი სწორად იცხოვრებს, შეუდგება ქრისტიანულ ცხოვრებას, ის აუცილებლად შეიცვლება, განიკურნება და მას მხოლოდ ეკლესიური ცხოვრება დაეხმარება. რელიგია ენით გამოუთქმელი განცდების მთელ სპექტრს მოცავს. ეკლესია ადამიანისთვის ცოცხალ ღმერთთან შეხვედრის ადგილია, ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობა და ზიარებაა. ჭეშმარიტ რელიგიურ გზას მხოლოდ ის ადამიანი ადგება, ვინც საკუთარი ცხოვრების გზაზე რეალურად შეხვდა ღმერთს, ვისაც შეეწია მისი ყოვლისშემძლე ძალა. ისევე როგორც გონებით ვერ შეიცნობ სილამაზეს, აზრი რელიგიური განცდების მწველი ცეცხლის მხოლოდ ფერმკრთალი გამოხატულებაა და მისი შეცნობაც ძალიან რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

**ჭეშმარიტ რელიგიურ გზას მხოლოდ ის ადამიანი ადგება, ვინც საკუთარი ცხოვრების გზაზე რეალურად შეხვდა ღმერთს, ვისაც შეეწია მისი ყოვლისშემძლე ძალა**

**ნათია უტიაშვილი**


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ღვთისმშობლის სასწაული

ნატაშა მამა არსენისგან დაბრუნდა და წერილების მთელი შეკვრა მოიტანა, რომლებიც სასწრაფოდ უნდა დაგვერიგებინა. შფოთიანი დრო იყო, მრავალი ჩვენიანი დააპატიმრეს. ნატაშა ყვებოდა, რომ, როცა ის მამა არსენთან ცხოვრობდა, სახლს უთვალთვალებდნენ. დიასახლისი და მეზობლები რაიგანყოფილებაში ერთად დაიბარეს და გამოჰკითხეს, ვინ მოდიოდა სტუმრად, ვინ რჩებოდა საცხოვრებლად რაღაც დროით, ასრულებდა თუ არა მამა არსენი მსახურებას სახლში. ნატაშას მამა არსენის სიტყვები ჰმატებდა მხნეობას: „უფალი მოწყალეა, ის დაგიფარავთ“.

იმ ღამეს ნატაშასთან დავრჩი სახლში. მეორე დღეს შვიდ საათზე გავედი წერილების დასარიგებლად. კვირა დღე იყო და გამვლელები ქუჩაში თითქმის არ იყვნენ. სახლს ხუთასიოდე მეტრით დავშორდი, რომ ვიგრძენი ჩემ უკან ვიღაც მოდიოდა, მოვბრუნდი და დავინახე უცნობი ქალი, რომელიც შორიახლო მომყვებოდა.

„მითვალთვალებენ“, – გამიელვა თავში. უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა და შიშმა ამიტანა. დავიბენი, ფეხები აღარ მემორჩილებოდა. ამ წერილებით რომ ამიყვანონ, ბევრს დავღუპავ. უეცრად გამიელვა აზრმა, გადამეყარა წერილები და გავქცეულიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს არ იყო გამოსავალი და გზა განვაგრძე.

თავს ძალა დავატანე, გონება მოვიკრიბე და ლოცვა დავიწყე. ჯერ გაფანტულად ვლოცულობდი, შემდეგ კი მთელი გულით ვიწყე ლოცვა. ლოცვის დროს ღვთისმშობელს ვევედრებოდი: „დედაო ღვთისა, მხოლოდ შენით ვსასოებ და მხოლოდ შენი დახმარების იმედი მაქვს, – გადამარჩინე!“

მივდივარ და ვლოცულობ, შიში სადღაც გაქრა, სულში სიმტკიცემ დაიმკვიდრა – მარტო არ ვარ, ღვთისმშობელი მიცავს. მტკიცე ნაბიჯებით მივდივარ, უშიშრად, ჩემ უკან კი კვლავ ჯიუტად გაისმის ჩეკისტი ქალის ფეხის ხმა. უცებ მომესმა, რომ ვიღაც დამეწია. ქუჩის კუთხეში შევუხვიე, პირჯვარი გადავიწერე და რას ვხედავ: ჩემ გვერდით ჩემი ხნის ქალი მოდის, ზუსტად ჩემნაირ ტანსაცმელშია გამოწყობილი – ასეთივე პალტო, თავსაფარი, ჩანთა, თავი სანახევროდ ჩემკენ აქვს მობრუნებული, სახე საოცრად ნაცნობია, თანაც გაბრწყინებული. გვერდი-გვერდ მივდივართ. ჩემი მდევარი კი კვალდაკვალ მომყვება...

მომდევნო გზაჯვარედინამდე რომ მივედით, ჩემი თანამგზავრი მობრუნდა ჩემკენ და მკაცრად, მბრძანებლურად მითხრა: „დარჩით აქ, მე წინ წავალ!“ ტონი მკაცრია, სახე კი სიკეთესა და სინათლეს აფრქვევს. შევჩერდი, მან კი გზა განაგრძო. ქალი, რომელიც მე მომდევდა, გამისწორდა, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა, ცოტა შეყოყმანდა, ისევ შემომხედა გაოცებული სახით, შემდეგ კი თითქმის სირბილით გაჰყვა უკან ჩემს „ორეულს“.

მე გაშეშებული ვიდექი, ადგილიდან ვერ ვიძროდი, ვუყურებდი უცნობ ქალს, რომელმაც მიბრძანა, გავჩერებულიყავი. ის კვლავ აგრძელებდა გზას, უკან კი აგენტი ქალი მისდევდა. მივიდნენ გზაჯვარედინამდე, შეუხვიეს და გაუჩინარდნენ. მე გამოვფხიზლდი, საპირისპირო მიმართულებით შევბრუნდი და ლოცვით განვაგრძე გზა. ორი საათისთვის ყველა წერილი დარიგებული მქონდა.

ერთი წლის შემდეგ დამაპატიმრეს. გამომძიებელი დაჟინებით მოითხოვდა მეთქვა, ვინ მოდიოდა მაშინ ჩემთან ერთად და სად დაიმალა შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი. გამოიძახეს ის აგენტიც, რომელიც მაშინ მითვალთვალებდა. ის მოყვა: „მივდივარ, ამხანაგო ლეიტენანტო, მივყვები ამ ქალს. ის კი კვალს მირევს და ჩიხში შერბის. ვხედავ კაზაკოვის ქუჩის კუთხეში ვიღაც ქალი დგას, მივუახლოვდი და მომეჩვენა, რომ ყველაფერს გაორებულად ვხედავ: ერთნაირი პალტოები, ფეხსაცმელი, თავსაფრები, ჩანთები, ერთნაირი სიარული, მიხვრა-მოხვრა. ვხედავ ერთი გაჩერდა, მეორე კი სწრაფად წავიდა წინ. დავიბენი, აღარ ვიცოდი, რომელს ავედევნე სახლიდან გამოსვლისას და რომელი გამოჩნდა მოგვიანებით. გავყევი წინ მიმავალს, ათი წუთი მივდევდი, შემდეგ კი ეს ქალი შუა ქუჩაში გაქრა. ამხანაგო ლეიტენანტო, მაშინაც სიმართლეს ვამბობდი და ახლაც – ვიმეორებ, შუა ქუჩაში გაქრა. ჰკითხეთ, როგორ მოახერხა ეს?“

რა შემეძლო მეპასუხა, გამომძიებელი ყვიროდა. ერთ დაკითხვაზე მცემა კიდეც, მე კი ხმას არ ვიღებდი. თან განუწყვეტლივ ვლოცულობდი ღვთისმშობლისადმი. ბოლოს ველარ მოვითმინე და ვუპასუხე: „არსად არ დავმალულვარ, არ გავმქრალვარ. ღვთისმშობელმა დამიფარა, მთელი გზა მას ვევედრებოდი. გამომძიებელმა გაიცინა, მაგრამ მას შემდეგ აღარ ვუცემივარ.

იმ წლებში მკაცრი განაჩენი გამოჰქონდათ, მაგრამ ღვთისმშობელი ამაშიც დამეხმარა. სამი წლით გადასახლება მომისაჯეს მოსკოვიდან ასი კილომეტრის დაშორებით დასახლებაში. ეს იმ დროს უმსუბუქესი სასჯელი იყო.

მამა არსენიც მხოლოდ 1958 წელს ვნახე, ყველაფერი ვუამბე და ვკითხე: „რა იყო ეს?“ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეიწყნარა თქვენი ვედრება, აღვლენილი ლოცვის დროს. სასწაული და უდიდესი მოწყალება გარდმოგვივლინა მე და თქვენ. თქვენი გადარჩენით დედაღვთისამ მრავალი ადამიანი გადაარჩინა დაპატიმრებას, გადასახლებას და ბანაკებს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რატომ გვეკრძალება ჩვენი მომავლის ცოდნა?**

**პასუხი:** ადამიანისთვის სარგო რომ იყოს მომავლის ცოდნა, უფალი ამ უნარს მიანიჭებდა. ღმერთი ბევრ რამეს მალავს ჩვენივე სიკეთისთვის. ჭკვიანი მშობლის მსგავსად, რომელიც შვილს უმალავს იმას, რისი ახსნაც მისივე სასარგებლოდ შეიძლება მოხდეს სხვა ასაკში. უფალს სურს, რომ ჩვენ ბოლომდე აღვასრულოთ ჩვენი მიწიერი დანიშნულება. თან, თუ წინასწარ გვეცოდინება ჩვენი მომავალი, მაშინ ლოცვაც აზრს დაკარგავდა. უნდა ვილოცოთ და შევძლებთ, ჩვენი მომავალი უკეთესობისკენ შევცვალოთ.



**კითხვა: საძრახისია თუ არა ადამიანის პირში ქება მართლმადიდებლისთვის?**

**პასუხი**. დიახ: წმინდა მამათა გადმოცემით, პირში ქება იგივეა, რაც ფეხის დადება სწრაფმავალი კაცისთვის.

**კითხვა: გარდა სასიამოვნო სურნელისა, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს საკმევლის კმევას?**

**პასუხი:** საკმევლის კმევით ძველთაგანვე სიმბოლურად აღიქმებოდა უფლისადმი აღვლენილი ლოცვები და ჩვენი სურვილი, რომ ისინი მივიდნენ ღმერთამდე, ისევე, როგორც ამაღლდება საკმევლის ბოლი.

**კითხვა: რა განეკუთვნება სულიწმინდის მადლის წყალობას?**

**პასუხი:** სულიწმინდის მეოხებით ადამიანს ენიჭება მადლი: სიბრძნისა, გონებისა, რჩევისა, ძალისა, შემოქმედებისა, კეთილზნეობისა, უფლის სიყვარულისა.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### უფლისგან კურთხეული მორჩილება

ერთი ბერი სენაკიდან არ გამოდიოდა, მაგრამ მისი სახელი ყველგან ცნობილი იყო და ყველა მოკრძალებით პატივს სცემდა. ერთხელ სულიწმიდამ აუწყა მას: „ერთი მართალი მამის სხეული და სული ერთმანეთისგან გაყრის პირასაა – წადი და, სანამ გარდაიცვლებოდეს, განკურნე“.

ბერი დაფიქრდა – თუ დღისით გავალ, ხალხი მოგროვდება; შესაძლოა, მათ ჩემი განდიდებაც დაიწყონ, ეს კი ჩემი გულისთვის მძიმე იქნება; მაშ, ასე, გვიან საღამოს წავალ, ყველასაგან ჩუმად“.

როდესაც შებინდდა, ღვთის კაცი სენაკიდან გამოვიდა... მაგრამ უეცრად მის წინ უფლის ორი ანგელოზი გამოცხადდა ლამპრებით, რათა მისთვის გზა გაენათებინათ. მთელი ქალაქი გამოვიდა მართალი მოსაგრის დიდების სანახავად. რამდენადაც ის დიდებას გაურბოდა, იმდენად დიდება მას კვალდაკვალ დასდევდა და აღსრულდა წმიდა წერილის სიტყვები: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი ამაღლდეს“ (ლუკა 14,11).

### მორჩილების შესახებ

ერთხელ ღირს ისიდორესთან ერთი დიდი ხუცესის მოწაფე მოვიდა, რათა რაღაც მნიშვნელოვან ბერულ საქმეზე რჩევა ეკითხა. საუბარში შემოაღამდათ და ქარიშხალი ამოვარდა: საშინელი ელვა და ქუხილი იყო. ამის მიუხედავად, მოწაფე თავის ხუცესთან წასასვლელად მოემზადა. წმიდა ისიდორემ და სხვა ბერებმა შესთავაზეს, მათთან გაეთია ღამე; აღუწერდნენ, რომ საშინელი ღამეა, მან კი მდინარე უნდა გადალახოს, რომელიც, მართალია, ღრმა არ არის, მაგრამ ძლიერ ღელავს.

სტუმარი არ ეთანხმებოდა: „წინამძღვარმა მაკურთხა, რომ აუცილებლად დღესვე დავბრუნდე; როგორ შეიძლება ურჩობა?“ – და გამოეთხოვა მათ.

ღირსმა ისიდორემ და სხვა ბერებმა გააცილეს იგი. როდესაც მდინარეს მიაღწიეს, მოწაფემ სამოსი გაიძრო, თავზე შემოიხვია და მდინარის მეორე მხარე გადასვლა დაიწყო. მისი შემყურე ბერები ყოველი ტალღის წამოსვლაზე შიშისგან თრთოდნენ. მაგრამ მოწაფემ ადიდებული მდინარე უვნებლად გადალახა, შეიმოსა და თაყვანი სცა მათ, შემდეგ კი თავის ხუცესთან წავიდა. ღირსი ისიდორე და ბერები ლოცავდნენ, თან გაოცებულები იყვნენ, თუ რა დიდი ძალა აქვს თითოეულ სათნოებას!

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**



### ბანანი, ფინიკი და ნუში სექსუალურ გრძნობებს აღძრავს

ბანანი მდიდარია კალიუმითა და ბუნებრივი საქაროზით. მისი ჭამა კარგია ცუდ განწყობაზე. ძილის წინ კი ერთ ბანანს თუ მიირთმევთ, ეს „სექსუალურ მადას“ აღძრავს.

ფინიკი ასუფთავებს სისხლს და ისიც დადებითად მოქმედებს სექსუალურ პოტენციაზე.

მწვანე ჩაი არა მხოლოდ აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და საჭმლის მონელებას, არამედ, ხელს უწყობს სხეულის ფორმის შენარჩუნებას. მწვანე ჩაი ადამიანმა ყოველდღიურად უნდა სვას. ის შეიცავს ნატრიუმს, მაგნიუმსა და კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას.

კივი მდიდარია C ვიტამინით, რომელიც აუმჯობესებს ნახშირწყლების შეთვისებას და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. გარდა ამისა, კივი დიდი რაოდენობით შეიცავს ნატრიუმს, მაგნიუმსა და კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და დიდი რაოდენობით შეიცავს ასევე, იოდს.

ვაშლი აჯანსაღებს ნაწლავებს. ის კარგია მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აწუხებს. ერთი ვაშლი დილით კი გულის მუშაობას აუმჯობესებს.

შაქარი ხელს უწყობს გახდომის პროცესს. კერძოდ, თუ დიეტის დაცვის დროს მიიღებთ შაქრის ან გლუკოზის რამდენიმე აბს დღეში, გახდომის პროცესი საგრძნობლად დაჩქარდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გლუკოზა სწრაფად ხვდება სისხლში და ეფექტურად აკმაყოფილებს შიმშილის გრძნობას.

ნუში მდიდარია E ვიტამინით, ცილებითა და კალციუმით. ის საუკეთესო წამალია ტვინისთვის. ნუში სექსუალურ ლტოლვასაც აძლიერებს და მისი ჭამა განსაკუთრებით მამაკაცებს წაადგებათ.

### როდის რომელი ხილი და ბოსტნეული უნდა მიირთვათ და რომელს მოერიდოთ

ხილი და ბოსტნეული შეიცავს დიდი რაოდენობით უჯრედისსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ამიტომ, ზუსტად უნდა იცოდეთ, როდის რა უნდა ჭამოთ და რას მოერიდოთ, თქვენი დაავადებებისა და ორგანიზმის გათვალისწინებით. კერძოდ:

* **მსხალი** არ მიირთვათ მშიერ კუჭზე, კუჭის წყლულისა და გასტრიტის დროს;

* **ანანასი** მავნეა ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს;

* **ყურძენს** უკუჩვენება აქვს შაქრიანი დიაბეტის, ქრონიკული ფარინგიტების, კუჭის წყლულის, სიმსუქნისა და კოლიტების დროს;

* **კომბოსტო** მავნეა კუჭის წყლულის, ასევე, ნაწლავური კოლიკებისა და სანაღვლე გზების სპაზმისადმი მიდრეკილების არსებობის დროს;

* **კიტრი** უკუნაჩვენებია კუჭის წყლულის, მწვავე გასტრიტებისა და ენტეროკოლიტის დროს;

* **პომიდორი** არ მიირთვათ ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს; ასევე, ნაწლავებთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში;

* **ჭარხალი** მავნეა ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა, განსაკუთრებით კი – შარდკენჭოვანი დაავადების დროს.

* **გარგარი** მდიდარია კალიუმის მარილებით, რაც შესანიშნავად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ასევე, გარგარში ბევრია A ვიტამინი, რომელიც აუცილებელია თვალისა და კანის ჯანმრთელობისთვის.

* **ატამი** აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჯირკვლების სეკრეციას, აადვილებს ცხიმიანი და მძიმე საკვების მონელებას. ატმის კომპოტის სმა კარგია თირკმელებისა და ღვიძლის დაავადებების, აგრეთვე, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების დროს.

* **ყვავილოვანი კომბოსტო** მდიდარია აზოტოვანი ნივთიერებებით, რის გამოც, მარილების დალექვის დროს, მისი ჭამა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით არის რეკომენდებული.

* **მჟაუნა** მდიდარია ვიტამინებით, მინერალური მარილებითა და სხვა სასარგებლო და საჭირო ნივთიერებებით. თუმცა, არ გირჩევთ მენიუში მჟაუნის წვნიანის ხშირად შეტანას, რადგან მჟაუნმჟავა იწვევს კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას. ის, ასევე, დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტოვან ნივთიერებებს, რაც ნიშნავს, რომ სახსრების დაავადებების, პოდაგრის, თირკმელებისა და ნაღვლის კენჭოვანი დაავადებების დროს არ უნდა მიირთვათ.

* **ისპანახი** შეიცავს დიდი რაოდენობით სრულფასოვან ცილებს, ვიტამინებსა და რკინას. მაგრამ, ვისაც მიდრეკილება აქვს ისეთი დაავადებებისადმი, როგორიცაა მარილების გაძლიერებული დალექვა პოდაგრისა და დიათეზის დროს, არ არის რეკომენდებული ისპანახის ჭამა. ისპანახში სხვა ბოსტნეულზე ბევრად მეტია აზოტოვანი ნივთიერებები, მათ შორის, პურინული ფუძეები, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში შარდმჟავასა და მისი მარილების წარმოქმნას.

* **ატამი** რეკომენდებულია სისხლნაკლებობისა და კუჭის დაავადებების დროს. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ატამი იწვევს აღგზნებას და ვისაც ნერვული სისტემა სუსტი აქვს, მის ზედმეტ ჭამას უნდა მოერიდოს. ასევე, კარგი არ არის მისი მიღება ჭარბი წონის მქონეთა და დიაბეტით დაავადებულთათვის.

### ჭარბი წონის მქონე ადამიანებმა ხშირად მიირთვით სალათის ფურცლები და ანანასი

სალათის ფურცლები მდიდარია ვიტამინებით, კერძოდ, მწვანე სალათის ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით K ვიტამინს, კალციუმს, უჯრედისებს. ის ასტიმულირებს ნაწლავების მოქმედებას და ხელს უწყობს ნაღვლის ევაკუაციას.

სალათის ფოთლები კარგია ჭარბი წონის მოსაშორებლად, რადგან ის მდიდარია ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით და უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს კალორიებს. ასევე, ფოლიუმის მჟავა აუმჯობესებს ცილების ცვლას ორგანიზმში, საჭიროა ერითროციტების ფორმირებისთვის და შაქრის ასათვისებლად.

ფოლიუმის მჟავა, რომელსაც სალათის ფურცლები შეიცავს, უზრუნველყოფს კანის სიჯანსაღეს, აუმჯობესებს მადას, ხელს უწყობს ანემიის პროფილაქტიკას. როცა ორგანიზმი განიცდის ფოლიუმის მჟავის ნაკლებობას, ამ დროს მასში ნაკლებია სხვადასხვა დაავადებასთან მებრძოლი ანტისხეულების რაოდენობაც.

კუჭ-ნაწლავის დაავადების თავიდან ასაცილებლად ძალიან სასარგებლოა ფოლიუმის მჟავისა და ბეტაკაროტინის მიღება. ამ უკანასკნელების მარაგი კი სწორედ მწვანე სალათის ფოთლებშია.

ასე რომ, თუ გსურთ, თავი დაიზღვიოთ ამა თუ იმ დაავადებისგან, დღის ნებისმიერ მონაკვეთში ჭამეთ მწვანე სალათის გემრიელი და სასარგებლო ფოთლები.

მოდური დიეტების დაცვა ნივთიერებათა ცვლის დარღვევითა და ენდოკრინული სისტემის დაზიანებით მთავრდება. თუ თქვენმა დიეტებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჭარბი წონის მიზეზი ჭარბი კვება კი არა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა, რის შედეგადაც საკვები მხოლოდ ცხიმებად გარდაიქმნება. ანანასი მდიდარია A პროვიტამინით, $B_1$ და $B_{12}$ ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით, რკინით, სპილენძით, თუთიით, კალციუმით, მაგნიუმითა და იოდით. ამ ბიოლოგიურად მდიდარი ნივთიერებების წყალობით, ანანასი არეგულირებს საჭმლის მონელებას, ასუფთავებს ნაწლავებს და ამცირებს სისხლის წნევას, რაც ათეროსკლეროზის განვითარებისგან გვიცავს.

### როგორ ვმართოთ საკუთარი ჯანმრთელობა

აუცილებელია, თითოეულმა ჩვენგანმა დაიცვას ცხოვრების სწორი რეჟიმი, რათა სიბერემდე ჯანმრთელი და შრომისუნარიანი იყოს.

დასაძინებლად კარგი დროა 23 საათი, დილით კი 8 საათზე უნდა ადგეთ. ამ დროს უფრო აქტიურდება ორგანიზმიდან წიდების გამოყოფა.

ნუ ისაუზმებთ ძალიან მსუყედ. საკმარისია, მოხარშული ან შემწვარი კვერცხი მიირთვათ. დილით დალიეთ რძე ან ნებისმიერი ბურღულეულის ფაფა მოიხარშეთ.

12 საათზე აუცილებელია სადილი, რადგან დღის ამ მონაკვეთში ორგანიზმი საკვებს კარგად ითვისებს.

უმჯობესია, სადილზე უპირატესობა მი-

ანიჭოთ ფრინველის ხორცს; ტკბილეული და ხილიც სადილზე მიირთვით. სადილი რაიმე მჟავე ან მწარე კერძით დაასრულეთ – პროდუქტების მიღების ამგვარი მეთოდი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს და აქტიურებს საკვების გადამუშავებას.

16 საათზე კარგია ერთი ჩაის ჭიქა ნატურალური წვენის, რძის ან ერთი სახეობის ხილის მიღება, ასევე, ბოსტნეულიანი ბუტერბროდის ჭამა.

ვახშამზე მხოლოდ დანაყრდით. საღამოს აღარ მიირთვათ ხილი, რძის ნაწარმი და ტკბილეული, რადგან ღამით ორგანიზმს უჭირს მათი გადამუშავება და ის ტოქსინებითა და წიდებით ივსება.

### როგორ დავლიოთ წამალი სწორად, რომ გვინამლოს და უკუჩვენება არ მოჰყვეს

სანამ დანიშნული პრეპარატის მიღებას გადაწყვეტთ, აუცილებლად გაეცანით მის ინსტრუქციას, რადგან ყველა წამალს თავისი მიღების წესი და უკუჩვენება აქვს.

*ტკივილგამაყუჩებლებსა და არტერიული წნევის დამწევ აბებს ორგანიზმი უკეთ შეითვისებს, თუ დაღეჭავთ და ისე გადაყლაპავთ;

*ანტიალერგიული პრეპარატები, უკეთესია, ჩაწუწნოთ;

*ასპირინი წყალში უნდა გახსნათ;

*გააქტიურებული ნახშირი უნდა დაფხვნათ და ისე მიიღოთ;

*კაფსულის ფორმის წამალი მთლიანად, ანუ დაუნაწევრებლად უნდა დალიოთ.

1 გრამ წამალს 100 მილილიტრი წყალი მაინც უნდა მიაყოლოთ. წვენების, ჩაისა და სხვა სითხეების წამალთან ურთიერთქმედებას, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი ქიმიური რეაქციები მოჰყვეს.

* პრეპარატებს, რომლებიც კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს, რძე უნდა მიაყოლოთ. ხოლო, ციტრამონის მიღება რეკომენდებულია ტუტე ხსნარით, ანუ ბორჯომით.

* არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ რამდენიმე სახის წამალი ერთდროულად. მათი მიღების შუალედი მინიმუმ ხუთი-ათი წუთი მაინც უნდა იყოს.

### ხშირად მიირთვით უშაქრო მაწონი და ბოსტნეულის წვენები

როცა ორგანიზმში წიდები გროვდება, ადამიანი სწრაფად იღლება, აწუხებს უძილობა, თავის ტკივილი, უმადობა, სისუს-



ტე, გაღიზიანება და ასე შემდეგ. ამიტომ, ხშირად მიირთვით მაწონი შაქრის გარეშე – ის ორგანიზმიდან აქტიურად გამოდევნის წიდებს. ასევე, სვით ბევრი სითხე. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა წყალი, ნასადილევს კი, 1 საათის შემდეგ, კვლავ 1 ჭიქა წყალი დააყოლეთ. ორგანიზმის გასაწმენდად კარგია მწვანე ჩაიც – ის აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ნაწლავების ნორმალურ მუშაობას უწყობს ხელს.

ასევე, ორგანიზმიდან წიდების გამოსადევნად კარგია ახალი, სეზონური ხილი, რადგან ის შეიცავს უჯრედისსა და პექტინებს; სადილობამდე ნახევარი საათით ადრე მიირთვით სეზონური ხილის ერთი სახეობა – ეს დადებითად იმოქმედებს თქვენს ორგანიზმზე.

ბოსტნეულის წვენების რეგულარულად მიღება სრულად კურნავს კოლიტს. დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ ნახევარი ლიტრი ახალგამოწურული სტაფილოს წვენი ან წვენების ნაკრები: 200 მილილიტრი სტაფილოს, 100 მილილიტრი ბოლოკისა და 100 მილილიტრი კიტრის წვენი. კოლიტებისგან განკურნების უებარი საშუალებაა, ასევე, თაფლი: 1 სადილის კოვზი თაფლი გახსენით 1 ჩაის ჭიქა გადადუღებულ და გაციებულ წყალში და დალიეთ ჭამის წინ, დღეში 3-ჯერ, თითო ჭიქა.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ამბობენ, დიაბეტიანი ადამიანი, რაც უფრო გვიან გადავა ინსულინზე უკეთესიაო. რატომ არის უკეთესი?**

**პასუხი**: არასწორი ინფორმაცია გაქვთ. არსებობს 2 ტიპის დიაბეტი: 1 ტიპის დიაბეტის შემთხვევაში, აუცილებელია ინსულინით ჩანაცვლების თერაპიის დაუყოვნებლივ დაწყება, ხოლო ტიპი 2 დიაბეტის დროს, ამის აუცილებლობა არ არის. შესაძლოა, მხოლოდ საწყის ეტაპზე იყოს საჭირო შაქრის მოსაწესრიგებლად, გარკვეული ხნის განმავლობაში, მცირე დოზით ინსულინის გამოყენება. შემდეგ კი, პაციენტი გადადის ანტიდიაბეტურ აბებზე. ტიპი 1 დიაბეტისას, როცა აუცილებელია ინსულინი და პაციენტი უარს ამბობს მასზე, რაღაც მცდარი მოსაზრებების გამო, ეს სავალალო შედეგებამდე მიიყვანს მას. შესაძლოა, ლეტალური გამოსავალიც კი.

**კითხვა: მაინტერესებს, რამ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდში (17 წლის) ანდროგენების მომატება? და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას მომავალში და რამდენად საშიშია ეს ჯანმრთელობისთვის?**

**პასუხი**: ანდროგენების მომატება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ყველაზე ხშირია პოლიკისტოზი. მკურნალობის გარეშე მდგომარეობა არ გამოსწორდება. ჯანმრთელობისათვის საშიშია, რამდენადაც ჰორმონული დისბალანსი თავის მხრივ კიდევ უამრავ დარღვევას იწვევს.

**კითხვა: რისგან ჩნდება სტრიები და როგორ ავირიდოთ მათი გაჩენა?**

**პასუხი**: სტრიების გაჩენის მიზეზი შეიძლება იყოს ორსულობა, წონის სწრაფი მატება და ზოგიერთი ენდოკრინული დაავადება. გაწელვის ან ჰორმონული ცვლილებების გამო კანი თხელდება და სიმკვრივეს კარგავს. აუცილებლად მიმართეთ ექიმს, თუ მათ გაჩენას ვერ უკავშირებთ ორსულობას ან წონის მატებას, მით უმეტეს, თუ თან სდევს სახეზე, მკერდსა და ზურგის ზედა ნაწილზე არასასურველი გათმოვანება. გამოკვლევა დაგეხმარებათ, ფარული ენდოკრინული პრობლემები გამოავლინოს.

**კითხვა: კუდუსუნის ძვლის დაბოლოება მტკივა, თითქმის ერთი თვეა, ოღონდ მხოლოდ დაჯდომა-ადგომის დროს. რამდენიმე დღე ბუასილიც მქონდა. რელიფის სანთელი გავიკეთე და ბუასილმა გამიარა. საერთოდ ოსტეოქონდროზი მაქვს. შეიძლება, ეს ყველაფერი დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან? ანუ, კუდუსუნის ტკივილს რა შეიძლება იწვევდეს?**

**პასუხი**: დასაწყისში გირჩევთ, მიმართოთ ვერტებროლოგს ან ტრავმატოლოგ-ორთოპედს. კოქციდინია, ანუ კუდუსუნის ძვლის ტკივილი, შეიძლება ბევრი მიზეზით იყოს გამოწვეული. ყველაზე ხშირია ტრავმა კუდუსუნის არეში, ძვლის დისლოკაცია ან მოტეხილობა, დიდი ხნით ჯდომა, ბუასილი, პილონიდალური კისტა, ოსტეოპენია და სხვა. შესაბამისად, უნდა მოხდეს სპეციალისტის მიერ დიფერენციალური დიაგნოსტიკის ჩატარება

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ამ სამყაროში ზოგ ფაქტს ზუსტი ახსნა აქვს, მაგრამ უმრავლესობა, თავსატეხს გვიჩენს. ადამიანს ინტუიციურად მიეწოდება მისთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია ზოგჯერ სიზმრის, ზოგჯერ შინაგანი ხმის, ზოგჯერ კი გარკვეულ მოვლენებზე დაკვირვების საშუალებით. ამიტომ, ეზოთერიკოსი, ქალბატონი მანანა ყველას ურჩევს, მოუსმინოს საკუთარ მეს, ენდოს ინტუიციას, ყური უგდოს წინათგრძნობას და მოვლენები ასე შეაფასოს თუ გადააფასოს.**

# როდის ხდება ნაჩუქარი ნივთი ადამიანის წარუმატებლობის მიზეზი და რა ენერგეტიკას ქმნის ჩვენს ცხოვრებაში ჩვენივე ფიქრები

**მანანა**: ზებუნებრივი ხმა ნებისმიერ ადამიანს ესმის, თუმცა მისი მოსმენა ბევრს არც სურს და არც ყურადღებას აქცევს. ბედისწერის ნიუანსების წინასწარ განჭვრეტა, სულაც არ არის აუცილებელი და საჭირო. უბრალოდ, ყველამ უნდა იცოდეს, რა არის მისთვის კარგი, რა გზით იაროს და როგორ ასცდეს მომავალში ხიფათს. ასევე, ყურადღებით უნდა დააკვირდეთ, ვინ რას გაჩუქებთ და რა განწყობით, რომ ამ ნივთმა თქვენზე რაიმე ნეგატიური ზეგავლენა არ მოახდინოს და ცუდად არ შემოგიტრიალოთ ბედ-იღბალი.

**– ამ მხრივ რისი გათვალისწინებაა საჭირო?**

– მაგალითად, თუ ადამიანს არ ემეტება სამკაული ან ტანსაცმელი და იმიტომ გითმობთ, რომ იძულებულია, გაჩუქოთ, შესაძლოა ეს ნივთი თქვენთვის საბედისწერო და დამღუპველიც კი აღმოჩნდეს და თქვენი ცხოვრება უარესისკენ შემოატრიალოს. ბევრი ფიქრობს, რომ ამ გზით ვერავინ ვერაფერს დაუშავებს და ცუდს ვერ გაუკეთებს; რომ საგნები და ტანსაცმელი უბრალო ნივთებია და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ასე არ არის. გეტყვით, რომ საგნებშიც ხდება ცუდი ზრახვების ტრანსფორმირება და ნივთებიც იმავე ენერგიას ასხივებენ, რასაც მისი ყოფილი პატრონი ავლენდა კონკრეტული ადამიანის მიმართ. ასე რომ, რაც უნდა ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ იმ ადამიანისგან, ვისაც გულზე არ ეხატებით, ეს ნივთი კარგს არაფერს გიქადით სამომავლოდ. მაგრამ, თუ ასეთ ნივთს სხვას აჩუქებთ, ვინც მის პირველ გამჩუქებელს არ იცნობს, მაშინ უარყოფითი მუხტი ძალას კარგავს.



**– ესე იგი, გვირჩევთ, თუ სახლში არასასურველი ადამიანისგან ნაჩუქარი ნივთები გვაქვს, ისინი სასწაფოდ გავაჩუქოთ?**

– დიახ, გირჩევთ, ნუ დაგენანებათ მათი სხვისთვის მიცემა. ერთ ჩემს მეგობარს დედამთილმა, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა რძალი, ბეჭედი აჩუქა. ჩემი მეგობარი დაკვირვებული გოგოა და მითხრა კიდეც, რამდენჯერაც იმ ბეჭედს გავიკეთებ, მომენტალურად გუნება-განწყობა მიფუჭდება, ხელი მეცარება და თავის ტკივილი მეწყებაო. მეც, ვურჩიე, გააჩუქე-მეთქი. მიპასუხა: უხერხულია, ისედაც ცუდად მიყურებს და, ეს ბეჭედი რომ სხვის ხელზე დაინახოს, სულ მთლად ამომიძულებს; უბრალოდ, დავდებ სახლში და აღარ გავიკეთებო. ამ შემთხვევაში რაღა უნდა მეთქვა? გავჩუმდი. ასე რომ, ბევრს ენანება და ვერ ელევა ნაჩუქარ ნივთებს. შეიძლება, არც მოიხმარონ, მაგრამ სახლში უდევთ. ის კი არ იციან, რომ არ აქვს ამას მნიშვნელობა – ის თავის გასაკეთებელს მაინც გააკეთებს და ეს ნივთები თქვენი წარუმატებლობის მიზეზი გახდება. ფაქტია, ადამიანმა ყველა წვრილმანს უნდა მიაქციოს ყურადღება და უნდა შეასრულოს ის ელემენტარული წესები, რაც შემდგომში მას წარმატებასა და იღბალს აუცილებლად მოუტანს. დაფიქრდით, რომელ პერიოდში იყავით ყველაზე წარმატებული, როდის გამოგდიოდათ საქმე იოლად, ხელი როდის გემართებოდათ და ორიენტაცია ასეთ მომენტებზე გააკეთეთ. ხშირად განმარტოვდით და გაიხსენეთ ყველაზე წარმატებული წუთები და განცდები ცხოვრებაში; ასევე, რა ფერის ტანსაცმელი გეცვათ, რომელი სამკაული გეკეთათ და ვინ იყო თქვენ გვერდით იმ კონკრეტულ მომენტში. ქვეცნობიერ დონეზე გამოიწვიეთ ეს შეგრძნებები ხელახლა და ამ დროს თქვენი ცხოვრების წარმატების არხი ადვილად გაიხსნება. ამ ემოციის ფონზე განვითარებული აზრი აუცილებლად თქვენს სასიკეთოდ იმოქმედებს, მოკლედ, ადამიანმა ბედნიერი დღეები ხშირად უნდა გაიხსენოს და ამ ასოციაციის ფონზე გახსნას თავისი ბედნიერების არხი.

**რაც უნდა ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ იმ ადამიანისგან, ვისაც გულზე არ ეხატებით, კარგს არაფერს გიქადით სამომავლოდ, მაგრამ, თუ ასეთ ნივთს სხვას აჩუქებთ, ვინც იმ გამჩუქებელს არ იცნობს, მაშინ უარყოფითი მუხტი ძალას კარგავს**

**– გასაგებია, გვირჩევთ მეტად გავიხსენოთ წარსულში წარმატებული დღეები და ამით მეტად წარმატებული ვიქნებით მომავალში. მაგრამ, იმასაც ხომ ამბობენ, ადამიანი თუ ბედნიერ დღეს გაჩნდა, მას ბედნიერება სულ თან დასდევსო?**

– გეთანხმებით, წარმატებულ ადამიანებს ბედნიერების არხი დაბადებიდან აქვთ გახსნილი და ნაკლები ძალისხმევით და ნაკლები შრომით, წარმატების მიღწევა ადვილად შეუძლიათ. აზრობრივი მაგია თავად ადამიანის ენერგიაზეა დამყარებული და ამ დროს ადამიანი საკუთარ ენერგიას გაიღებს და არა სხვისას. ამიტომ, სწორად დახარჯული ეს ენერგია ცხოვრებაში მეტ წარმატებას მოგიტანთ იღბლის ხაზით. დიახ, არსებობენ დაბადებიდან წარმატებული ადამიანები და, ასევე, ჩვენს ცხოვრებისეულ წარმატება-წარუმატებლობას ჩვენივე აზრები და ფიქრებიც განსაზღვრავს. ვიმეორებ, გვინდა თუ არა, ჩვენი აზრები ქმნის ენერგეტიკას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მატერიალურ სამყაროში რეალიზდება. მაგალითად, ახალ მთვარეზე ვინმესთვის თუნდაც აზრის დონეზე ცუდის სურვილი ყველაზე სახიფათოა. ამ დროს ნებისმიერი აზრი იძენს მაგიურ ძალას; გააქტიურებულია როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ძალები და, თუნდაც გაფიქრებულმა ერთმა ცუდმა აზრმა, შესაძლოა, ადამიანის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალოს. ახალ მთვარეზე ადამიანების ირგვლივ იქმნება გაღიზიანების ენერგიით გაჯერებული ველი და ხდება ნეგატიური ენერგიის დიდი დოზით გამოფრქვევა. ამიტომ, გირჩევთ, აზრის დონეზეც არ გაამძაფროთ და დაამძიმოთ ეს ფონი, თუ გსურთ, რაიმე საფრთხე არ დაემუქროს თქვენ ცხოვრებასა და გარშემო მყოფ ადამიანებს. ზოგადად კი, ოპტიმისტები აზრის მაგიის დონეზე ძალიან წარმატებულები არიან და ეს გაითვალისწინეთ. ასევე, წარმატებას გიქადით ასოციაციით გამოწვეული წარმატება სურვილის დონეზე – ასე ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად აგიხდებათ.

**– ცოტა დავიბენი, იქნებ ახსნათ, წარმატება, ასოციაციით როგორ გამოვიწვიოთ და როგორ ავიხდინოთ ამით სურვილი?**

– ძალიან მარტივად. მთავარია, სურვილი წარმოიდგინოთ, შემდეგ გამოიწვიოთ აზრის დონეზე მისი ასოციაცია და წარმატება და სურვილის რეალიზება რეალურ ცხოვრებაში ნამდვილად მოხდება. აქვე გირჩევთ, თუ დეპრესიული ადამიანის გვერდით მოგიწიათ ყოფნა, მისი ასოციაციები და ემოციები თქვენ ირგვლივ შექმნის უარყოფით ენერგეტიკას, ეს კი, ცხადია, თქვენც დაგაზარალებთ. ამიტომ, სასწრაფოდ გაეცალეთ მას და დაიცავით საკუთარი ენერგეტიკული ველი და ცხოვრება წარუმატებლობისგან.

**ნონა დათეშიძე**



**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

**ვარსკვლავების სახელწოდებები ჩვენთვის სიკაშკაშესთან, გამორჩეულობასა და ბრწყინვალებასთან ასოცირდება. ალბათ იმიტომ, რომ ამ თვისებებისკენ ძალიან ბევრი მიისწრაფის, ვარსკვლავებს შორის საკმაოდ ხშირად ვხვდებით ადამიანთა სახელებს. თუმცა, ვფიქრობ, საინტერესოა, ვინ და რის მიხედვით არქმევს სახელს თავად ვარსკვლავებს და არსებობს თუ არა ვარსკვლავები ქართული წარმოშობის სახელებით. ამ თემაზე სასაუბროდ ილიას უნივერსიტეტის პროფესორს, ასტრონომ გიორგი რამიშვილს მივმართეთ.**

# როგორ შეძლო მსოფლიოს რამდენჯერმე გაოცება ქართველმა ასტრონომმა კილაძემ და რომელი ქართველი მეცნიერის სახელია უკვდავყოფილი მთვარეზე

**– საიდან მომდინარეობს ვარსკვლავთა სახელები?**

– სახელები, თანავარსკვლავედებს და ვარსკვლავებს შესაბამისი მითოლოგიის მიხედვით ერქმეოდა, რა კულტურის შვილებიც იყვნენ თვითონ ასტრონომები. ძირითად თანავარსკვლავედთა სახელწოდებები ბერძნულიდან მომდინარეობს. ამაზე თავად სახელებიც მიგვითითებს. მაგალითად, „ანდრომედა“, აშკარად ბერძნული სახელია. ეს არის ის კულტურა, რომელზეც აშენდა დასავლური ცივილიზაცია, ის ბერძნების დაპყრობის შემდეგ ჯერ ალექსანდრე მაკედონელმა და შემდეგ რომმა გაავრცელა მთელ მსოფლიოში. მაგრამ, შუა საუკუნეებში, როდესაც ევროპაში ყველა ცივილიზაციის კერა გაჩერდა, არაბულ ქვეყნებში ვითარდებოდა ასტრონომია ძალიან ძლიერად. მეთხუთმეტე საუკუნემდე შუალედი შევსებული აქვთ სწორედ არაბებს. ვარსკვლავთა სახელები, რომლებშიც წინსართი „ალ“ ურევია, არაბული წარმოშობისაა. საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღეთ ბერძნული და არაბული ცივილიზაციის ნაზავი. ვარსკვლავთა სახელწოდებებზე, პირდაპირი გაგებით, ქართული გავლენები არ არის. ზოგიერთ ქართულ გადმოცემაში ვარსკვლავებს ჰქონდათ ქართული სახელწოდებები, მაგრამ ეს პარალელური სახელებია. რომელიც პლანეტებს დარჩა. ვთქვათ, „ცისკრის ვარსკვლავი“, იგივე „მწუხრის ვარსკვლავი“, არის პლანეტა ვენერა, რომელიც ჩანს მზის ჩასვლისას მალევე, ან მზის ამოსვლის წინ. ასეთი სახელწოდებები ხალხის მეხსიერებაში შენარჩუნდა. ბერძნული ცივილიზაცია კი, თავის მხრივ, ეგვიპტურს ეყრდნობა. როგორც გითხარით, პირდაპირი გაგებით, ქართული სახელები არ გვაქვს. ვარსკვლავების არსებული ძველქართული სახელწოდებები სპარსული წარმოშობისაა. ამიტომ, მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს.

**– ვარსკვლავებისთვის სახელების დარქმევა რა პრინციპით ხდება?**

– თანავარსკვლავედის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს ალფა ერქმევა. შემდეგს ბეტა. ასე ჩაივლის მთლიანად ბერძნულ ანბანს და მერე გადადის ნომრებზე. მათ შერეული, საერთაშორისოდ აღიარებული სახელწოდებები აქვთ. სახელდარქმეული ვარსკვლავები გამორჩეულად კაშკაშაა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულ-არაბულია ეს სახელწოდებები. მაგრამ, აქ კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, როდესაც ასტრონომიაში გაწეული დამსახურებისთვის, ქართულ სახელს მიანიჭებენ აღმოჩენილ სხეულს. ეს არის ძალიან საინტერესო ფაქტი. აი, ვთქვათ, მარსსა და იუპიტერს შორის, სადაც თავმოყრილია ნახევარ მილიონზე მეტი ასტეროიდი. სწორედ იქაა ჩვენთვის ძალიან საინტერესო სახელები. მაგალითად, 1 390-ე ასტეროიდს ჰქვია აბასთუმანი. 1935 წელს უკრაინელი ასტრონომი შაინი, აკვირდებოდა მას. ის თანამშრომლობდა აბასთუმნის ობსერვატორიასთან, რომელიც მაშინ სამი წლის ჩამოყალიბებული იყო. მის პატივსაცემად კი ასტეროიდს დაარქვა „აბასთუმანი“. შემდგომი, ასეთი აღმოჩენილი პლანეტა-ასტეროიდია „მცხეთა“, ასევე, „ხარაძე“ და „აფხაზეთი“. „მცხეთა“ და „ხარაძე“ აღმოაჩინა ერთი და იგივე კაცმა. ასევე – „ყაზბეგიც“. ეს არის გერმანელი ასტრონომი რიჰარდ ვესტი, რომელმაც სამეცნიერო დისერტაცია აბასთუმნის ობსერვატორიაში გააკეთა. ხარაძის ასპირანტი იყო. ერთი პერიოდი კილაძესთანაც მუშაობდა. მან სამხრეთის ობსერვატორიაში, ჩილეში დიდი ტელესკოპებით დაკვირვებებისას, სამი ასტეროიდი იპოვა და ქართული სახელები დაარქვა. ამით თავის მადლიერება გამოხატა საქართველოს მიმართ: 1976 წელს – „მცხეთით“ და „ხარაძით“, 1979-ში კი – „ყაზბეგით“. მათ ქართული სახელები ჰქვიათ და შესაბამისად, ქართული ტოპონიმიკა მუდმივად მზის გარშემო ტრიალებს. ხარაძე, რომლის სახელობის ასტეროიდიც გვაქვს, იყო უდიდესი ორგანიზატორი. მან შექმნა ობსერვატორია. აკადემიის შექმნის საქმეშიც ერთ-ერთი მთავარი გახლდათ. იყო საერთაშორისო ასტრონომიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. მე მოვესწარი იმ მომენტს, როცა მას პრეზიდენტობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. ასაკი მიშლის ხელსო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობიდანაც საკუთარი ნებით გადადგა. რაც შეეხება „აფხაზეთსა“ და „კილაძეს“, ისინი რუსი მეცნიერის, ჩერნიხის მიერაა აღმოჩენილი. კილაძე ძალიან დიდი მეცნიერი იყო და რუსები კარგად იცნობდნენ, მსოფლიომ ცოტა გვიან გაიგო მის შესახებ. იცოდნენ მისი არსებობა, მაგრამ თუ ასეთი დონის მეცნიერი იყო, ეს მოგვიანებით გაიგეს. მას უამრავი მსოფლიო დონის აღმოჩენა აქვს. კილაძე იყო ის, ვინც პლანეტა სატურნის რგოლის სისქე პრინციპულად შეცვალა. სამი საუკუნის განმავლობაში მისი სისქე 3 000 კილომეტრი ეგონათ. 1965 წლის დაკვირვებებით, კილაძემ დაამტკიცა, რომ მისი სისქე არ აღემატება სამ კილომეტრს. ანუ ათასჯერ შეამცირა მონაცემები.



**კილაძემ მოიფიქრა უფრო მარტივი გზა და ამ გზის საშუალებით ნახევარ საათამდე დაიყვანა ეს დრო. ამით საწვავიც დაიზოგა, მილიარდობით თანხის ეკონომიაც გაკეთდა და ეკოსისტემამაც მნიშვნელოვან დაზიანებას გადაურჩა**

ეს სრული გადატრიალება იყო. ისეთი არეულობა მოჰყვა ამ ამბავს, რომ აღარავინ იჯერებდა. დაახლოებით ორი წლის შემდეგ, იგივე დაადასტურა ფრანგმა მეცნიერმა დოლფიუსმა, რომელსაც დიდი წონა ჰქონდა. მან თქვა, რომ ეს სწორია. კილაძე ამაზე არ გაჩერდა. 30 წლის შემდეგ, როცა სატურნი ზუსტად იგივე ფორმით დგება დედამიწის მიმართ, მაშინ კილაძემ კვლავ გააკეთა ანალოგიური დაკვირვებები და დაამტკიცა, რომ სატურნის რგოლის სისქე კილომეტრ-ნახევარს არ აღემატება. ანუ, კიდევ ორჯერ შეამცირა სისქე. ამჯერად ხმა ველარავინ ამოიღო და ყველა დაეთანხმა. როცა ახლოს მივიდნენ და გაზომეს, სისქე სადღაც ერთ კილომეტრზე დაიყვანეს. ამას გარდა, კილაძეს აქვს უდიდესი აღმოჩენა. ეს არის პლანეტა პლუტონის პირველი თანამგზავრის, ქარონის პოვნა. მან დაამტკიცა, რომ პლუტონს ჰყავს თანამგზავრი და მიუთითა მისი ზომა და წონა, რომ ის მხოლოდ ოთხჯერ ნაკლებია დედა პლანეტაზე. ეს ისეთი გასაოცარი იყო, არავის არ უნდოდა დაჯერება. მოგვიანებით, როცა ამერიკელებმა გამოსცეს წიგნი პლანეტა პლუტონზე, მასში პირდაპირ ეწერა, რომ კილაძემ გააკეთა ეს საქმე. მას კიდევ ერთი დიდი აღმოჩენა ეკუთვნის, რომელიც, სხვათა შორის, ყველაზე მეტად მოსწონდა თვითონ. ეს არის გეოსტაციონარული თანამგზავრების მოძრაობის განტოლებების ზუსტი ამოხსნა (გეოსტაციონარული თანამგზავრი გადის ორბიტაზე და დედამიწის მიმართ რაღაც წერტილში ჩერდება. მისი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით როგორ ინფორმაციასაც გინდა გადასცემთ და გადააცემინებთ სხვაგან), რაც ძალიან რთულია. მან მიახლოებით კი არ გამოთვალა, ზუსტი მათემატიკური ფორმულა დაწერა და 2001 წელს გამოაქვეყნა. ბოლო ასეთი განტოლება მეცხრამეტე საუკენეშია ამოხსნილი. მეოცეში არცერთი არ გაკეთებულა და ოცდამეერთეს დასაწყისში, კილაძემ გააკეთა. ეს უდიდესი ნახტომია, რომელმაც ათჯერ გააუმჯობესა ამ თანამგზავრების გაგზავნის საკითხი. ეს კაცი გენიოსი გახლდათ. „ნასაში“ აღმოაჩინეს, რომ რუსები უკეთესად ითვლიან წინასწარ ამ მონაცემებს, ეს კი ზუსტად კილაძის აღმოჩენის შედეგია. ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ჩერნიხმა მისი სახელი უკვდავყო და ასტეროიდს უწოდა. როცა კოსმოსში რაკეტას უშვებ, მას ატან საწვავს. სადაც უშვებ, ზუსტად იმ ტერიტორიაზე არ მიდის, ოდნავ გადახრით მიდის. მერე უბრძანებ რაციით, რომ მოტრიალდეს, დაწვას ეს საწვავი და ნამდვილ ტრაექტორიაზე წავიდეს. რაც უფრო გვიან უბრძანებ, უფრო მეტი საწვავი უნდა დაწვას. ამას ორდღიანი დაკვირვება მაინც სჭირდებოდა. კილაძემ კი მოიფიქრა უფრო მარტივი გზა და ამ გზის საშუალებით, ნახევარ საათამდე დაიყვანა ეს დრო. ამით საწვავიც დაიზოგა, მილიარდობით თანხის ეკონომიაც გაკეთდა და ეკოსისტემამაც მნი-

**(გაგრძელება 23-ე გვერდზე)**

# რა მინუსები აქვს სექსუალურ და ლამაზ მამაკაცს და რას აკეთებს მისი ცოლი

**ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრწყინავს, ანუ, ოჯახში ბევრი რამ შეიძლება სულ სხვანაირად იყოს და მხოლოდ გვეგონოს, რომ იქ ყველა ბედნიერია. ჯერ ერთი, ბედნიერება ძალიან პირობითი ცნებაა და, მეორეც, სისულელეა, შეგშურდეს ვიღაცის და  თქვა – იმას როგორ გაუმართლა, რა მაგარი ქმარი ჰყავსო... „მაგარი“ ხშირად სულაც არ არის მაგარი, პრობლემა კი შენიღბულია...**



**თიკო** ***(43 წლის):*** ახლა უკვე მშვიდად შემიძლია ამაზე ლაპარაკი. თუმცა, იყო დრო, როცა ღამეები არ მეძინა ნერვიულობით. რას ნიშნავს, როცა ლამაზი ქმარი გყავს?! ერთი შეხედვით, ამას რა სჯობია – თვალსაც უხარია, გულსაც და სულსაც, თან, შვილებიც ლამაზი გეყოლება... მოღალატეები კი შეუხედავი მამაკაცებიც არიან და, საერთოდაც, კაცის ერთგულების ხარისხი მის გარეგნობაზე საერთოდ არ არის დამოკიდებული – ეს სამწუხარო ფაქტია.

**– სამწუხარო რატომ?**

– იმიტომ, რომ მერე აარჩევდი და მშვიდად იქნებოდი, გარანტირებულად: გეცოდინებოდა, რომ ლამაზი გიღალატებს, უშნო – არა აქ კი არანაირი გარანტიები არ არსებობს. მახინჯს გაჰყვები, ახალგაზრდას, ბებერს თუ ლამაზს – ერთი და იგივეა! მაინც სულ დაძაბული უნდა იყო, რომ არ გიღალატოს.

**– ალბათ, სხვა მონაცემებით უნდა შეირჩეს, მაგალითად, ძლიერად უყვარხარ თუ არა; პატივს გცემს თუ არა...**

– უსასრულოდ გაგიგრძელდებათ ჩამონათვალი. შედეგამდე კი ვერ მიხვალთ, რადგან, არავისთან არანაირი გარანტია არ არსებობს. ცოცხალ ადამიანთან  გაქვს საქმე და როდის რა ნომერს „გამოისვრის,“ ვერ გაიგებ. შეიძლება, მეც ისე მოვიქცე ხვალ, საერთოდ რომ ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს. მე არ ვეჭვიანობდი ჩემს ქმარზე მას შემდეგ, რაც კარგად გავიცანი.

**– ეგ რას ნიშნავს, ანუ, რას გულისხმობთ?**

– შევეცდები, კარგად აგიხსნათ: ლამაზი ქმარი ჭკვიანი ქალის ხელში არის „ტუზი”. მთავარია, კარგად შეიგნო, რომ მისი შეყვარება არაფრის დიდებით არ შეიძლება, თუკი გინდა, რომ იმედგაცრუებამ, წყენამ და გულის ტკენამ გვერდი აგიაროს. თუ მოახერხებთ, გონება წინ წამოსწიოთ, ამის გაკეთება არ გაგიჭირდებათ. ცოლქმრობა ხომ ისედაც თამაშია და, როცა გვერდით ლამაზი მამაკაცი გყავს, ეს თამაში კიდევ უფრო ცივი გონებითა და გულით უნდა ითამაშო. ლამაზ კაცს უყვარს და ეამაყება საკუთარი „მე,“ ის დარწმუნებულია, „მეფე მზეა“, მას შენ ვერ დაჩრდილავ და არც უნდა შეეცადო ამის გაკეთებას. ჩემი ქმარი, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ მისი მსგავსი დედამიწაზე არ დაიარება; რომ ის ყველაზე, ყველაზე მაგარია და ეს ჩემთვის მომგებიანია.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ ქალების „შებმას” არ ცდილობს. მე ისე გავაკეთე, რომ ახლა დარწმუნებულია – აქეთ უნდა შემაბანო და ყველაზე ლამაზ ქალსაც კი ზემოდან, წარბის აწევით უყურებს... თავი ეგზოტიკური ყვავილი ჰგონია და მიაჩნია, რომ ყველა მას უნდა უფრთხილდებოდეს.

**– ეს არ არის პრობლემა?**

– გააჩნია, რომელი მხრიდან შეხედავ. თავიდან იყო პრობლემა, თანაც, ძალიან დიდი პრობლემა. რამდენიმე წელი შიშში ვცხოვრობდი, რომ ქმარი ყველგან სუსტი სქესის ყურადღების ცენტრში ექცეოდა და მე ამაზე გული მისკდებოდა – არავინ წამართვას-მეთქი. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. შიშსა და ეჭვებში ცხოვრება ნამდვილი ტანჯვაა. მუდმივად გული მიკანკალებდა. სახლიდან მარტო რომ გადიოდა, მე ეგრევე ტირილს ვიწყებდი; რომ ბრუნდებოდა, მის ტანსაცმელს ვსუნავდი და ვნერვიულობდი. ეს საშინელი პერიოდი იყო. კიდევ კარგი, გონება დროულად გამინათდა – მივხვდი, რომ ასე უფრო დავკარგავდი ქმარს, რადგან, დავნევროზდი და ქალის სახე დავკარგე. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ასე არ შეიძლებოდა და საკუთარი თავი ხელში ავიყვანე: დავჯექი და სერიოზულად დავფიქრდი – მიღირდა თუ არა ასეთ კაცთან ცხოვრება. ბევრი რაღაც გავიაზრე და სასწორზე დავდე.

## ძალიან მალე მივხვდი, როგორი ცუდი და წამგებიანია კაცის სიყვარული

**– სიყვარულს საერთოდ არ ახსენებთ.**

– მართალი ბრძანდებით. არ ვახსენებ იმიტომ, რომ ძალიან მალე მივხვდი, როგორი ცუდი და წამგებიანია კაცის სიყვარული. მე მაწყობდა, ვყოფილიყავი ამ კაცის ცოლი და მორჩა! შეიძლება, ცუდად ჟღერს ჩემი სიტყვები, მაგრამ ილუზიებით ცხოვრებას, ჯობია რეალისტი იყო – ნაკლებად დაზარალდები. მაგალითად, ჩემი სიტუაცია ავიღოთ: მე მყავს ძალიან ლამაზი და სექსუალური ქმარი. რომ შეხედავ, ზღაპრიდან მოსული პრინცი გეგონება, მაგრამ მარტო მე ვიცი, რა მოთმინების ფასად მიჯდება ამ ზღაპრის შენარჩუნება. ვერავინ გაიგებს, როგორი ჭირვეული, პრეტენზიული და კომპლექსებიანია ის რეალურად. ყოველდღე ოდებს ვუმღერი, რომ ძალიან მაგარი მამაკაცია; ვუვლი, ვეფერები; უხმოდ ვიტან მის ახირებებსა და ჭირვეულობებს... დამიჯერეთ, ეს არ არის ადვილი საქმე, პირიქით, ურთულესია და ამას ბევრი ვერ გაიგებს. ამ მოფერებითა და „მაგარი ხარ, მაგარი ხარ” – ძახილით, ჩემი ქმარი იმ კონდიციამდე მივიყვანე, ქალისკენ აღარ იხედება. უფრო სწორად, იხედება, მაგრამ, წარბის აწევით – აქეთ დამიპყარითო. რომელ „ნაშას“ უნდა ეს?

**– და ამ ყველაფრად გიღირთ თქვენი ქმარი?**

– მიღირს და გეტყვით რატომ: ჯერ ერთი, თორმეტი წლის ოჯახის დანგრევა არანაირად არ მინდა, თან, ორი შვილი გვყავს; გარდა ამისა, არც მე ვარ ის ტიპი, ქმარგაყრილი ქალის სტატუსს შევეგუო და ჩემს ასაკში არც ახალი ქმრის მოძებნის სურვილი მაქვს. ნამდვილად არ მინდა, იმიტომ, რომ მაინც ყველა კაცი ერთნაირია, ჩემი კი ლამაზი მაინც არის.

**– თუ, ქმარი თავის მოსაწონებლად გინდათ?**

– არც ამაზე გავიგიჟებ თავს უარით – რატომ არა! მყავდეს ლამაზი ქმარი, ცუდია?! მით უმეტეს, რომ ძალიან დიდი ინვესტიცია ჩავდე მასში ჩემი ნერვებისა და მოთმინების სახით; თან, სტიმულიც არის ლამაზი ქმარი – როცა იცი, რომ ქალებს შენი შურთ (არადა, სულ ტყუილად), რაღაცნაირად იკმაყოფილებ შენს „ეგოს“. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

**– ვერ ვხვდები. ამბობთ, რომ ლამაზი ქმარი პრობლემაა, მაგრამ მაინც მასთან ყოფნა გირჩევნიათ.**

– ჯერ ერთი, პრობლემა ყველანაირი ქმარია. არჩევანს ყოველთვის ცუდსა და უარესს შორის აკეთებ და, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ცოტათი უკეთესი ვარიანტია. რომელ ქალს არა აქვს  პრობლემები ქმართან? მთავარია, ამ პრობლემის მართვა ისწავლო. საკუთარ თავში სრულყოფილებას ვეძებ და ესეც ძალიან კარგია. ვცდილობ, ლამაზი ქმრის ლამაზი თანამგზავრი ვიყო: ვუვლი საკუთარ თავს და სულ ფორმაში ვარ. ვერ გეტყვით, რომ ჩემი ქმარი ამჩნევს ამას, რადგან ძირითადად საკუთარი პერსონით არის დაკავებული, მაგრამ, სხვები ხომ ამჩნევენ?! მომწონს, როცა აღფრთოვანებით გვიყურებენ და ამას არ მალავენ, ძალიან კარგი განცდაა.

**– იმდენად კარგი, რომ დისკომფორტს გიბალანსებთ?**

– მეტ-ნაკლებად მიბალანსებს. ერთი სიტყვით, მიღირს და არ ვწუწუნებ. უბრალოდ, ვისაც ჩემი შურს, იმათ მინდა ვუთხრა, რომ ლამაზი ქმარი „ჯეკპოტი” არ არის, ის დიდი წვალებისა და ჭკუის ფასად უნდა დაიმსახურო.

**დალი მიქელაძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## მრავალფეროვანი სილამაზე

სილამაზეს კონკრეტული ფორმები არ გააჩნია, ის ძალიან მრავალფეროვანია და ძალიან პირობითიც... არის სილამაზე გარეგნული და არის შინაგანიც. რომელია მთავარი და მნიშვნელოვანი, ამაზე დავა არ ღირს – არაფრის გართულება არ არის საჭირო. როცა იზრდები, ნელ-ნელა სწავლობ იმ სილამაზის დანახვასა და დაფასებას, რომელიც შენ გარშემოა, მერე კი ამით ესთეტიკურ სიამოვნებას იღებ. ანუ, სილამაზე დიდი პოზიტივია და ამაზე არავინ დავობს.

მიუხედავად ამისა, კლასიკური სილამაზის დევნა-ძიება აუცილებელი არ არის. სილამაზე უნდა იგრძნო, უთქვამს ბრძენს. მხოლოდ თვალით აღქმული ტრაფარეტული სილამაზე ცოტათი ხელოვნურია, ცოტათი უინტერესო და ცოტათი დამღლელიც.

„ბარბი" ერთი შეხედვით იტაცებს თვალს, მაგრამ დიდხანს არ რჩება მეხსიერებაში და არც ურთიერთობის გაგრძელების სურვილი ჩნდება.

სილამაზე არც იმის გარანტია, რომ აუცილებლად შეგიყვარებენ. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. ბევრ მამაკაცს ქალში მისი მზერა და თვალების გამომეტყველება ხიბლავს და ატყვევებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შანსი ყველა ქალს აქვს – სილამაზე, მით უფრო ქალური, მრავალფეროვანია...

## სულის სიღრმეში

ზოგიერთ კომპლექსს ჩვენ თავად ვერ ვაცნობიერებთ, თუმცა, მათ საკმაოდ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული ქვეცნობიერში. მაგალითად, ძალიან ბევრ ქალს აქვს „კონკიას" კომპლექსი, მაგრამ, ერთი პროცენტიც ვერ აცნობიერებს, რა საშიშია ეს. ასეთი ქალები მუდმივად ტკბილ ოცნებებში ცხოვრობენ. მათ გაიდეალებული, არარეალური წარმოდგენა აქვთ მამაკაცებთან რომანზე და რეალობასთან შეჯახება დეპრესიაში აგდებთ. ძნელია, ასეთ ქალს გააგებინო, რომ მამაკაცებს აქვთ ბევრი ნაკლი და ეს ჩვეულებრივი ამბავია...

როცა ქალს საკუთარ შესაძლებლობებზე გადამეტებული წარმოდგენა აქვს, ესეც კომპლექსია. ის კი არ არის ცუდი, რომ საქმიანი ქალი ხართ, უბრალოდ, ზედმეტი არ უნდა მოგივიდეთ. სამსახურის მიღმა სრული უფლება გაქვთ, იყოთ სუსტი, ნაზი და დაუცველი – მამაკაცებს მოსწონთ ეს... თანაც, თქვენ ხომ იცით, რომ, ყველაზე ძლიერი, ფემინისტური იდეებით შეპყრობილი ქალიც კი, გულის სიღრმეში ოცნებობს მამაკაცზე, რომელიც მასზე იზრუნებს...

ქალი, თავისი ბუნებით, კაცზე გაცილებით მგრძნობიარე და ყურადღებიანია გარშემო მყოფების მიმართ. იზრუნოს ვიღაცაზე – ამისი სურვილი ქალს თითქმის სისხლში აქვს, მაგრამ, თუ ამან ჰიპერტროფიული ფორმა მიიღო, ქალი საკუთარ თავს მსხვერპლად აქცევს, ამ მსხვერპლს თავადვე შეიცოდებს და, ასევე, შეიცოდებს თავის მეორე ნახევარსაც. ის „უჩემოდ დაილუპებას" პრინციპით ცხოვრობს და, ავიწყდება, რომ მსხვერპლი არავის სჭირდება. რჩევა? – ხშირად ჩაიხედეთ საკუთარ სულში და ზოგჯერ საკუთარ „მეზეც" იზრუნეთ...


## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული ჩამიდენია საყვარელი ქალისთვის, მაგრამ ერთგულება ნამდვილად შემიძლია. რატომ არ გამომდის სერიოზული ურთიერთობები, ვერ ვხვდები. ქალები ზერელედ და ზემოდან მიყურებენ, ზოგჯერ – ირონიითაც კი. მინდა, მყავდეს სრულფასოვანი პარტნიორი, რომელიც გამიგებს და რომელსაც გავუგებ. არ შემიძლია ამ სიურპრიზების, ფოიერვერკებისა და გიჟობების კეთება და რა ვუყო? ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სიყვარული არ შემიძლია.**

**გამოხმაურება:** როგორც ჩანს, ქალებთან ვერ იხსნებით და ვერ ანახვებთ მათ თქვენს ღირსებებს. დიახ, ზოგიერთ ქალს მართლაც უნდა სიურპრიზები კაცისგან, მაგრამ ყველა ასეთი არ არის. თუ ძალიან მოინდომებთ, აუცილებლად იპოვით ქალს, რომელიც გაგიგებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**


არავითარი სტანდარტები, არავითარი ბრძოლა საკუთარ თავთან! თქვენ ხომ გიყვართ ის – საკუთარი თავი...

## ეძებე საკუთარ თავში

ბევრია ჩვენ შორის ისეთი ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ცდილობს, საკუთარ თავში იპოვოს, აღმოაჩინოს ნაკლი... ისინი მუდმივად ეძებენ საკუთარი წარუმატებლობისა თუ წვრილმანი კონფლიქტების მიზეზებს და დამნაშავესაც „პოულობენ" – თავისივე „მეს". საკუთარ თავთან ასეთი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა. ეცადეთ, არ გახდეთ საკუთარი თავის მსხვერპლი. ნუ გადაიქცევით ჩვევად, მუდმივად გაკიცხოთ საკუთარი თავი. მაგალითად, დაიწყეთ იმით, რომ გადაეჩვიეთ თქვენი „მეს" ლანძღვას, არ დატუქსოთ და „კუთხეში არ დააყენოთ".



თუ გინდათ, პირადი ცხოვრება მოწესრიგებული და დალაგებული გქონდეთ, საკუთარ თავთან ჰარმონიაში უნდა იცხოვროთ.

დღის განმავლობაში ყურადღება მიაქციეთ იმას, რამდენჯერ შეაქეთ საკუთარი თავი და რამდენჯერ გაკიცხეთ მკაცრად. შეიძლება, რაღაც მართლაც არ გამოგივიდათ ისე, როგორც უნდა გამოგსვლოდათ, ან, შეცდომა დაუშვით... მაგრამ, ეს არ არის პრობლემა – შეცდომას უშვებს ყველა და, თუ არ შეგეშლება, წინ ნაბიჯს ვერ გადადგამ.

შეეცადეთ, ბალანსი პოზიტივის მხარეს იყოს – ასე ჯანსაღ ფსიქიკასაც შეინარჩუნებთ და წარმატებასაც მიიზიდავთ. ჯერ საკუთარი თავი დაარწმუნეთ, რომ ყველაფერი გამოგივათ და მხოლოდ ამის შემდეგ ირწმუნებენ თქვენს შესაძლებლობებს სხვებიც.

კი ბატონო, ეძებეთ ნაკლი საკუთარ თავში, მაგრამ ზედაპირზე მხოლოდ ღირსებები ამოატივტივეთ!

## მე მიყვარს ჩემი თავი...

არცერთი ქალი, თუნდაც ყველაზე ლამაზი, კმაყოფილი არ არის თავისი გარეგნობით – „დიახ, მშვენიერი ფიგურა მაქვს, მაგრამ, შეიძლებოდა, ცოტა უფრო კარგი მქონოდა"... – ეს შემთხვევა საკმაოდ ხშირად შეიძლება შეგვხვდეს. დღეს სილამაზის ფორმულა მთლიანად დარღვეულია: აღარ არსებობს კრიტერიუმები, კონკრეტული სტერეოტიპები; შეუძლებელია, იპოვო იდეალი, რადგან, იდეალი შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული ადამიანისთვის და არა ყველასათვის. სილამაზესა და სექსუალურობას ქალს მხოლოდ პარამეტრები კი არ ანიჭებს, არამედ, სიარულის მანერა და მიმიკები... ანუ, ნუ შეეცდებით საკუთარ თავში ეძებოთ ნაკლი, აღმოაჩინოთ ის და მერე ინერვიულოთ; აჯობებს, თქვენი თავი ისეთი გიყვარდეთ, როგორიც ხართ.

ცუდი და ყოვლად გაუმართლებელია სიბრალული საკუთარი თავის მიმართ. თუ ატყობთ, რომ სიბრალულის სინდრომი გერევათ, დადექით სარკის წინ და გაიმეორეთ: „მე მიყვარს ჩემი თავი!". როგორ შეიძლება, ინერვიულოთ იმაზე, რომ არ გაქვთ გრძელი ფეხები?! სისულელეა, იფიქროთ, რომ ბედნიერება ფეხების სიგრძეშია. სექსუალურ სელმა ჰაიეკს არაფერი აკლდება იმით, რომ სიმაღლეში მხოლოდ 154 სანტიმეტრია. სელმას ნამდვილად უყვარს საკუთარი თავი და ეს მომხიბვლელობას ჰმატებს.

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი**
**(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)**
**დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**
# ლაქტო-ჯი

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# რატომ უნდოდა თავის მოკვლა გენერალ კვინიტაძეს და როგორ იცავდა ის გენერალ მაზნიაშვილს ფრონტზე

„ფიცხი, მამაცი, ჭკვიანი; მისი ტაქტიკა – ალტკინება, შეტევა. ჩინებული მცოდნე ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა, დიდი ინიციატივის პატრონი. მან ერთადერთმა შეინარჩუნა წესიერება თავის ნაწილებში ფრონტზე ჯარების დაშლის დროს. ბრძოლაში სრული უშიშრობა; იცის მასების გამხნევება და მათი გატაცება. ნერვიული; განუწყვეტლივ ეწევა პაპიროსს. საუკეთესო ოფიცერი ქართული ჯარისა...” – ასე ახასიათებს საქართველოს დაუძინებელი მტერი, საბჭოთა რუსეთის დაზვერვა გენერალ გიორგი კვინიტაძეს (ნამდვილი გვარი – ჩიქოვანი), რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ სამშობლოში როგორც რიგითი, ისე დაბრუნდა. ვერანაირმა ჩინმედლებმა ვერ გაიტაცა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად კი მისი სამხედრო კარიერაც დასრულდა. მარცხის დროს მან რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა. ამბობდა: ტყვიას დავიხლი შუბლში, ვიდრე მტერს დედაქალაქს დავუთმობო. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნიდან „მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები”, რომელიც ერთი ქართველი გენერლის დღიურებში კონკრეტულ ეპიზოდს – ახალციხის მოვლენებს ასახავს.



„ახლა მოგახსენებთ, თუ როგორ შევედი კიდევ ერთხელ სამხედრო სამსახურში. თებერვლის შუა რიცხვებში ჩემს ბინაში ტელეფონი აწკრიალდა. გენერალი გედევანიშვილი მიხმობდა. აი მისი სიტყვები: „მთავრობის თავმჯდომარე გთხოვთ, კიდევ ერთხელ გაიღეთ მსხვერპლი და ახალციხის ფრონტზე წაბრძანდით გენერალ მაზნიაშვილის შტაბის უფროსად”. მე არაფერი ვიცოდი იმაზე, რაც მაზნიაშვილთან მომხდარა. იქ თურმე სერიოზული ვითარებაა შექმნილი. გენერალმა გედევანიშვილმა დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ შევაწყვეტინე საუბარი – არ ღირს და ახლავე კაბინეტში გეახლებით-მეთქი. მივედი და იქაური ვითარება აღმიწერა. მისი ნაამბობის მიხედვით გამოდიოდა, რომ ვითარება გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე მე მეგონა. შიშობდნენ, რომ მოწინააღმდეგე ბორჯომისა და ხაშურისაკენ დაიძვრებოდა. მე დავთანხმდი, მაგრამ ვუთხარი: აუცილებლად მაზნიაშვილმა უნდა მთხოვოს, რადგან, თადარიგში ვარ გასული და, აჯობებს, თუ მისი გამოძახებით გავემგზავრები-მეთქი.

დამთანხმდნენ. მალე მაზნიაშვილისგან მოწვევა მივიღე. მე და გედევანიშვილი მთავრობის თავმჯდომარესთან, ნოე ჟორდანიასთან გავემართეთ. ჟორდანიამ მითხრა, ჩინებულ სტრატეგოსად მიმაჩნიხართ და მინდა იქ წაბრძანდეთ და მდგომარეობა გამოასწოროთო. მე ვუთხარი, ჩემი აქ მოსვლა ნიშნავს, რომ ნებისმიერ ვითარებაში მივდივარ; ყველა სამხედრო საკითხი უკვე გავარკვიეთ, მაგრამ ერთსა გთხოვთ: მე პასუხისმგებელ-უუფლებო უფროსად მივდივარ; ამგვარი დანიშვნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს (საქმე ისაა, რომ შტაბის უფროსად მივდიოდი, არადა, ისე მელაპარაკებოდნენ როგორც პასუხიმგებელ უფროსს); ოღონდ გთხოვთ, ძალაუფლება მაზნიაშვილის ხელში იყოს, მის უნებართვოდ ტელეფონზე ლაპარაკიც კი არავინ გაბედოს, რათა თბილისში არ იგზავნებოდეს ისეთი დეპეშები, როგორიცაა, მაგალითად, ახალციხის მაზრაში მთავრობის უფლებამოსილი პირის, ლადო რუხაძის დეპეშა: „არმია დაიშალა. გამოგზავნეთ გვარდია”, – დავძინე მე. ნოე ჟორდანიამ მიპასუხა რომ ძალაუფლება მთლიანად სამხედროებს გადაეცემოდა...




### გამგზავრება

სადგურზე, მატარებელში ძლივს ვიშოვე ბილეთი და, ისიც იყო, დავჯდექი, რომ ტელეფონთან მიხმეს. გენერალმა ქავთარაძემ წამიკითხა ბორჯომიდან სამხედრო მინისტრის მიერ თავის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა, სადაც იტყობინებოდა: მთავრობის თავმჯდომარეს ვთხოვ, ბორჯომიდან გაიწვიოს მაზნიაშვილი და მის ადგილზე დანიშნოს გენერალი კვინიტაძეო. თანაშემწეს ასლი ეგზავნებოდა. „დეპეშა თქვენ გეხებათ და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე თქვენი გაფრთხილება”, – მითხრა ქავთარაძემ. აქვე, სადგურში შევიტყვე, რომ სამხედრო მინისტრის მატარებელი მალე გამოვიდოდა ბორჯომიდან თბილისში. მე ვთხოვე სადგურის უფროსს, გადაეცა სამხედრო მინისტრისათვის, რომ მატარებლების შეხვედრისას გამოვეძახე.




ჩვენი მატარებლები ხაშურში შეხვდნენ. სამხედრო მინისტრთან ვაგონში შევედი, ვუთხარი, მაზნიაშვილის თაობაზე გაგზავნილი თქვენი დეპეშის ამბავი ვიცი და, გთხოვთ, ამას ნუ იზამთ-მეთქი. მიპასუხა: ბორჯომში მაზნიაშვილის ავტორიტეტი ძალიან შელახულია, ხელქვეითებთან უსიამოვნება აქვს, აღარ სჯერათ და აჯობებს მისი გამოწვევაო. მე ჩემსას არ ვიშლიდი და ვეუბნებოდი, მე და მაზნიაშვილი ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და შეხმატკბილებულად ვიმუშავებთ როგორც სომხეთ-საქართველოს ომში იყო; მე, როგორც შტაბის უფროსი, მაზნიაშვილსა და საჯარისო უფროსებს შორის ჩავდგები, სადავო აღარაფერი ექნებათ და ყველაფერი კარგად დასრულდება-მეთქი; ბოლოს კიდევ ერთხელ დაჟინებით ვთხოვე მაზნიაშვილის დატოვება. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თხოვნას შემისრულებდა, თუმცა არაფერს დამპირებია.

შტაბში ღამით ჩავედით. მაზნიაშვილსა და სუმბათაშვილს ეძინათ და მათი გაღვიძება არ დავანებე. საქმის ვითარება გამაცნო პოლკოვნიკმა ჯინჯიხიამ, რომელიც შტაბის უფროსი გახლდათ და ის-ის იყო, მე-4 პოლკის უფროსად დაენიშნათ. მეორე დღეს ნაცნობი სურათი განმეორდა. მაზნიაშვილმა საწერ მაგიდასთან დამსვა: „აჰა რუკა, ფანქრები, ქაღალდი, მელანი; აბა შენ იცი”.

მეორე დღეს პოზიციები დავათვალიერე და საქმეს შევუდექი. მაზნიაშვილმა მითხრა, შეიძლება, მეც წამოგყევიო. მართლაც, გამოსულა, ოღონდ, როცა მარჯვენა ფლანგზე გავიდა, მე იქაურობის დათვალიერება დასრულებული მქონდა და უკვე მარცხენა ფლანგზე ვიყავი. ღამით დავბრუნდი. ოთახში შესვლისთანავე თვალში მეცა, რაღაცას ფუთავდნენ და ალაგებდნენ. მეგონა, მაზნიაშვილი სხვა ბინაში გადადიოდა. უკან დაბრუნებისას გავიგე, მარჯვენა ფლანგზე მაზნიაშვილი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩაო. თურმე ჩვენი სანგრების იქით გადასულა და მოწინააღმდეგისკენ გაუწევია. 200 ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, რომ ცეცხლი გაუხსნეს. მადლობა ღმერთს, ცოცხალი გადარჩა. უკან დაბრუნებულმა მეგობრულად ვუსაყვედურე, როგორ შეიძლება თავის ასე გაწირვა, თან არაფრის გულისათვის, ეშმაკს არ სძინავს-მეთქი. მითხრა ერთი ეგ დეპეშა წაიკითხე, საწერ მაგიდაზე რომ დევსო. ეს იყო ბრძანება – მაზნიაშვილი გაწვეულ იქნას მისი დივიზიის მობილიზაციის დასაჩქარებლად; ახალციხის ფრონტის სარდლად და ამავე მაზრის გუბერნატორად გენერალი კვინიტაძე დაინიშნოსო. ჩემი თხოვნა არ შეასრულეს. თურმე მაზნიაშვილი სადგურში წასასვლელად ემზადებოდა. დავუწყე თათბირი, რომ დარჩენილიყო და ვუთხარი, უკვე ვთხოვე, ეს არ ექნებათ და ალბათ მოვახერხებ, რომ ბრძანება გააუქმონ-მეთქი. მაზნიაშვილმა არ დაიშალა და წავიდა.”

**ეკა პატარაია**

# როგორ უნდა მივხვდეთ, მივეკუთვნებით თუ არა ძუძუს სიმსივნის რისკ-ჯგუფს და რომელ ქალბატონებს ემუქრებათ საფრთხე ყველაზე მეტად

***ბოლო პერიოდის სტატისტიკური მონაცემები ძუძუს სიმსივნესთან დაკავშირებით საკმაოდ შემაშფოთებელია, ამასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ონკოლოგ-მამოლოგს, დიანა ნემსაძეს, რომელმაც ქალბატონებს რამდენიმე ოქროს რჩევა მისცა, როგორ დავიცვათ თავი ძუძუს სიმსივნისგან და როგორ მივხვდეთ სახლის პირობებში გასინჯვით, მივეკუთვნებით თუ არა რისკ-ჯგუფს, ამის შესახებ ქალბატონი დიანა ნემსაძე გვესაუბრება.***

**დიანა ნემსაძე**: სიმსივნე ძუძუში უსიმპტომოდ მიმდინარეობს – როგორც წესი, მას არანაირი ტკივილი ან სხვა გამოვლინება არ ახასიათებს. ძუძუში სიმსივნური წრმონაქმნი ძირითადად მკვრივია, შეზღუდულად მოძრავი, რის გამოც ქალების 90 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს სერიოზული პრობლემა არ არის. რეალურად, საკმაოდ სახიფათოა, რადგან ფარულად მიმდინარეობს და აუცილებლად საჭიროებს სპეციალისტთან გასინჯვას, შესაბამისი ზომების მიღებას.

**– არის თუ არა შესაძლებელი სახლის პირობებში მკერდის გასინჯვა და როგორ?**

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია აბაზანის მიღებისას, როცა გასაპნულ მდგომარეობაში ვართ. გასინჯვა საკმაოდ მარტივია: უპირველესად, ხდება მკერდის ზედაპირის რბილად, თითების დაწოლით გასინჯვა დვრილიდან წრიული მოძრაობით. შემდეგ კი მთლიანი მკერდის ასე გასინჯვა, რათა გავიგოთ, ზოგადად, სიმსივნური წარმონაქმნი სად აღინიშნება. ასეთივე, წრიული მოძრაობით ისინჯება იღლიაც, რომელიც ასევე, გასაპნული უნდა იყოს. ეს პროცედურა ციკლიდან 1 კვირის შემდეგ, ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს ერთსა და იმევე რიცხვში, იმის გასაკონტროლებლად, არის თუ არა რაიმე ცვლილება და დროულად მოხდეს ნებისმიერი პრობლემის აღმოფხვრა.

გარდა ამ სახის გასინჯვისა, არსებობს შემდეგი საშუალებებიც. მაგალითად: დადექით სარკის წინ ისე, რომ მკერდს ხედავდეთ ყოველი მხრიდან. დააკვირდით მკერდისა და ჯირკვლების სიმეტრიულობას: არის თუ არა მკერდის ზედაპირი სახეშეცვლილი – ხომ არ შეიმჩნევა ლიმონის ქერქის მაგვარი შეშუპება: ასევე საეჭვოა, თუ დვრილია ჩაბრუნებული. დაუყოვნებლივ უნდა გაესინჯოთ და მკურნალობა დაიწყოთ დანიშნულების მიხედვით.



**უმჯობესია, თუ ძუძუს გაისინჯავთ აბაზანაში, როცა გასაპნული ხართ**

**– რომელი ორგანოები დგება რისკის ქვეშ ძუძუს სიმსივნის დროს?**

– ძუძუს სიმსივნეს „უყვარს" ძვლებზე, ღვიძლზე, ფილტვებზე, თავის ტვინზე გადასვლა. თუ ამ ორგანოებში დადგინდა სიმსივნე, ვერ ვიტყვი, რომ 1-2 სტადიაა, ეს უკვე ბოლო სტადიაა, რომელსაც არანაირი გასინჯვა აღარ შველის და უკვე სერიოზულ მკურნალობას მოითხოვს.

მსოფლიოს ჯანდაცვის რეკომენდაციით წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს კლინიკური გამოკვლევა, რათა თავი დაიცვათ ნებისმიერი სიმსივნური გამოვლინებისგან. ამიტომ, მოვუწოდებ ქალბატონებს, გამოიმუშაონ გამოკვლევის კულტურა, რაც ისევ და ისევ, მათ სასიკეთოდ კეთდება.

**– არსებობს თუ არა რაიმე პრევენცია ძუძუს სიმსივნისა?**

– რა თქმა უნდა, არსებობს. თუმცა, არის რისკ-ფაქტორებიც, რომელთაგან თავდაცვა შესაძლებელია – თუ დედის ხაზი დატვირთულია სიმსივნური გამოვლინებებით, უფრო მეტად ყურადღებით უნდა იყოს ქალბატონი. ამ დროს ალბათობა საკმაოდ მაღალია, რომ მასაც ოდესღაც აღმოაჩნდეს. ამიტომ, არ უნდა გამოტოვოს კლინიკური გამოკვლევები. შემდეგ რისკ-ფაქტორებში შედის - აბორტი, უშვილობა, ბავშვისთვის ძუძუთი კვებაზე უარის თქმა, არაჯანსაღი ცხოვრების წესი – თამბაქოს, სასმელის, ნარკოტიკების მიღება. ვფიქრობ, კანონმდებლობაში უნდა დადგეს დღის წესრიგში აბორტის საკითხი, რომელიც საკმაოდ გახშირებულია. გული მტკივა, როდესაც აბორტზე უარს არ ამბობენ... როგორ შეიძლება, უფლის საჩუქარს წინ აღუდგე და წაართვა სიცოცხლის უფლება უცოდველ არსებას, რომელიც ჩასახვისთანავე სულიერია. არ გვაქვს უფლება უყურადღებოდ ვიყოთ ჯანმრთელობის მიმართ, მით უმეტეს, როცა ვართ პოტენციური ან უკვე შემდგარი დედები, მათ ხომ ჩვენი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

**– შეზღუდულია თუ არა პაციენტისთვის კვებითი რეჟიმი?**

– გამორიცხულია ნებისმიერი შეზღუდვა, რადგან ნებისმიერ პროდუქტში ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებია და აუცილებელია, მათი გარკვეული დოზით მიღება და არა გადაჭარბებული რაოდენობით, გარდა ქოლესტერინისა და ცხიმის შემცველი საკვებისა. სასურველია, შეუზღუდავად მიიღოს ჯანმრთელმა თუ ავადმყოფმა ხილ-ბოსტნეული. ზოგიერთი მათგანი სიმსივნური უჯრედების გამანადგურებელ ნივთიერებებსაც შეიცავს. მაგალითად: ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, სალათის ფურცლები, ბანანი და სხვა.

**ნანუცა დიღმელაშვილი**

(მე-19 გვერდიდან)

შვნელოვან დაზიანებას გადაურჩა. მოგება მილიარდობით იყო. თითქოს ელემენტარული რაღაც გააკეთა, მაგრამ მაშინ ამას სხვა ვერავინ მიხვდა.

ქართულ ასტრონომიაში ასევე ძალიან მნიშვნელოვანი სახელია – ვაშაკიძე. ის იმდენად დიდი მეცნიერი იყო, რომ მეოცე საუკუნის უდიდეს ასტრონომებთან ერთად მოიხსენიება. ვარსკვლავთა სივრცული განაწილების სიმკვრივის შესწავლა ხდება ვაშაკიძე-ოორტის ფორმულებით. ოორტი მეოცე საუკუნის ასტრონომების საუკეთესო ხუთეულში შედის. ძველი თაობის ქართველი ასტრონომებიდან – ათიდან ცხრას დისერტაცია ვაშაკიძის მითითებით აქვთ დაცული. პირდაპირ ქუჩაში არიგებდა თემებს და გამოსდიოდათ კიდეც. მას დაფასებაც შესაბამისი აქვს. ვაშაკიძის სახელობის კრატერი არის მთვარის უკანა მხარეს. მთვარის უკანა მხარეს სახელების დარქმევის უფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირს და ამერიკას ჰქონდათ, რადგან იქ კვლევებს მარტო ისინი აწარმოებდნენ. ვაშაკიძის სახელი მთვარეზე არსებულ კრატერს ჰქვია, ამერიკელი ასტრონომების წარდგინებით. საბჭოთა კავშირში არც მოსვლიათ მსგავსი რამ აზრად. ვაშაკიძე იმდენად მაღალი დონის მეცნიერი იყო, მის სახელს მთვარზე არსებული კრატერი ატარებს. ეს უდიდესი მიღწევაა.

# როგორ შეძლო მსოფლიოს რამდენჯერმე გაოცება ქართველმა ასტრონომმა კილაძემ და რომელი ქართველი მეცნიერის სახელია უკვდავყოფილი მთვარეზე

**– პირიქითაც ხომ არის, როცა ადამიანები ატარებენ ვარსკვლავთა სახელებს?!**

– კი. მაგალითად ვენერა ბევრ ქალს ჰქვია. მარსის სახელი სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება, მაგალითად, მარეხი. ქართულში გვაქვს მზე-მზისა. მთვარე-მთვარისა. ასეთი სახელები არა მხოლოდ ჩვენთან, სხვა ენებშიც გვხვდება. მათ თავისებური დატვირთვა აქვთ. ადამიანებისთვის ეს სახელები, იმ ვარსკვლავებთან ასოცირდება და მათსავით ძვირფასი და ნათელია.

**– ვთქვათ, გადავწყვიტე, ჩემი სახელობის ვარსკვლავის ყიდვა. ვის უნდა მივმართო ან საერთოდ, თუა ეს შესაძლებელი?**

– მე ვარსკვლავთა გაყიდვის წინააღმდეგი ვარ. თუმცა, მსოფლიოში ასეთი რამ ხდება და ეს კომერციული საშუალებაა. ისინი ჰაერს, სიცარიელეს ყიდიან. პასუხს ვერავის მოსთხოვ. უახლოეს ვარსკვლავამდე მანძილი არის საოცრად დიდი – ოთხი სინათლის წელი. სინათლის სხივი ოთხ წელიწადში მივა იქამდე. 300 000 კილომეტრ-წამში სიჩქარით რომ მოძრაობს, ოთხი წელი უნდება იქ მისვლას, როცა სინათლის სხივი მზიდან ჩვენამდე სულ რაღაც რვა-ნახევარ წუთში მოდის. რვანახევარი წუთი ოთხ წელიწადთან წარმოიდგინეთ, რამდენად მცირეა, იმდენჯერ უფრო შორსაა ის ვარსკვლავი ჩვენგან მზესთან შედარებით. ის უახლოესი ვარსკვლავიც რომ მოგვყიდოს ვინმემ, მე და კიდევ ორმოცდაათ კაცს, ჩვენ ვერასდროს გავიგებთ ერთმანეთის შესახებ. ეს არის გამიზნული აფერა, რომელიც კანონით არ ისჯება. ინტერნეტში რომ მოძებნოთ, იპოვით რამდენიმე კომპანიას, რომლებიც „კაი ფულსაც" გამოგართმევენ ამ საქმეში. ეს თქვენი საქმეა, თავს გაიბრიყვებთ თუ არა. მთვარეს რაც შეეხება, უკვე ძალიან კარგად არის ათვისებული. დაკავებულია ყველა ადგილი. ის იმდენად ძვირფასია, შეიძლება ითქვას, ჩვენი „გარეუბანია". იქ ამგვარი საქმისთვის ცხვირს არავის ჩააყოფინებენ. ასეთ პირობებში, იქ რომ ქართველი მეცნიერის სახელი მოხვდა, ეს უდიდესი წარმატებაა.

**ქეთი კაპანაძე**

# სალათებისა და წვენების დიეტა - ვეგეტარიანელებისთვის და არა მარტო მათთვის

მცენარეული საკვები მდიდარია პექტინითა და უჯრედისით; წმენდს ორგანიზმს წიდებისგან, არეგულირებს სისხლში გლუკოზის დონეს, ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას. მათგან უამრავი სახეობის ცოცხალი სალათის მომზადება შეიძლება და, ამიტომაც, თუნდაც ცოტა გაგიხანგრძლივდეთ დიეტა, ეს სასარგებლო და გემრიელი კერძები კარგა ხანს არ მოგბეზრდებათ.

დღეში ერთხელ მაინც უნდა მიირთვათ ეგრეთ წოდებული „ცხელი სალათები“: მოხარშული კარტოფილი, ჭარხალი ან ლობიო უნდა შეურიოთ უმ ბოსტნეულს (პომიდორს, კიტრს, სალათის ფოთლებს, ყვავილოვან კომბოსტ-



ოს, ბროკოლს, ბულგარულ წიწაკას). ლობიო, ოსპი, მუხუდო, მწვანე ბარდა, ასევე, გაღივებული სოია და ხორბალი – მცენარეული ცილებისა და რკინის წყაროა. იმისთვის, რომ განსხვავებული გემოს სალათები გამოგივიდეთ, თქვენი გემოვნების მიხედვით ცვალეთ მისი შემადგენლობა და ინგრედიენტების რაოდენობა. საკაზმად გამოიყენეთ ზეითუნის ზეთი, სოიის სოუსი ან ლიმონის წვენი (მარილი მაქსიმალურად შეზღუდეთ).

ერთ-ერთ ვარიანტად გამოიყენეთ სხვადასხვა სახეობის ხილის სალათა, რომელშიც მხოლოდ ხილი იქნება; ან, შეგიძლიათ, ცოცხალ ბოსტნეულს შეურიოთ ცოცხალი ხილი, ოღონდ, ზეთით, სოიის სოუსითა და ლიმონის წვენით შეზავება აღარ იქნება საჭირო.

რაც შეეხება წვენებს, აქაც უნდა მოახდინოთ სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის წვენების შეზავება.

ცნობილია, რომ სტაფილო, გოგრა, ჭარხალი და მწვანილი სასარგებლო ნივთიერებების ამოუწურავი წყაროა. ახალგამოწურული წვენი უფრო სასარგებლო და სასიამოვნო იქნება, თუ ხილისა და ბოსტნეულის წვენებს ერთმანეთს შეურევთ (მაგალითად, სტაფილოსა და გოგრის წვენი ჰარმონიულად ერწყმის ვაშლისა და ფორთოხლის წვენს), პროპორციით 3:1.

კვირაში 2-3-ჯერ ტრადიციული საუზმე შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ ვიტამინების კოქტეილით: 150 მილილიტრი სტაფილოს წვენი, 50 მილილიტრი სოიის რძე, 1 ცალი საშუალო ზომის ბანანი და 1 ჩაის კოვზი თაფლი ერთად დააბლენდერეთ. კარგი იქნება, ჭიქაში თუ ჩაიმატებთ 1-2 ჩაის კოვზ მარწყვს ან ნებისმიერ კენკრას.

გემრიელი სასმელი შეგიძლიათ დაიმზადოთ ტომატის (ან პომიდვრის) წვენით: დააბლენდერეთ ერთი ღერი ნიახური, ნახევარი ბულგარული წიწაკა (ნებისმიერი ფერის), 200 მილილიტრი ტომატის (ან პომიდვრის) წვენი და ნახევარი ლიმონის წვენი. თუ გსურთ, ამ კოქტეილს უფრო ხალისიანი ფერი შესძინოთ, ჭიქაში ჩაიმატეთ მხოლოდ 1 სადილის კოვზი ჭარხლის წვენი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გაჯერებულია თითქმის ყველა ვიტამინითა და მიკროელემენტით, ის ძნელი მოსანელებელია და ამიტომ აუცილებელია ზომიერების დაცვა.

კვირაში ერთხელ მიზანშეწონილია განტვირთვის დღის მოწყობა ხილისა და ბოსტნეულის წვენების კოქტეილით.

შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი დიეტის დაწყების წინ კონსულტაცია გაიარეთ თქვენს პირად ექიმთან.

წარმატებას გისურვებთ!

# განსაკუთრებული ზონა

კოსმეტოლოგები სახეზე გამოყოფენ რამდენიმე უბანს, სადაც კანი სპეციალურ მოვლას საჭიროებს – ეს არის შუბლი, ცხვირი და ნიკაპი, ანუ T ზონა. ალბათ, ბევრს აინტერესებს, რატომ სჭირდება ამ უბნებს განსხვავებული მოვლა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ T ზონაში კანი ყოველთვის უფრო ცხიმიანია, ვიდრე დანარჩენ სახეზე. შესაბამისად, უფრო აქტიურად მუშაობს ცხიმოვანი ჯირკვლები და, აქედან გამომდინარე, დაბინძურებული და გაფართოებული ფორები და ჩირქოვანი გამონაყარი უფრო ხშირად სწორედ ამ მონაკვეთზე ჩნდება. ამ ყველაფრის თავიდან აცილება კი მხოლოდ და მხოლოდ სწორი მოვლითაა შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა კი უნდა დაიცვათ რამდენიმე ელემენტარული წესი:

* შეეცადეთ, ხელით არ შეეხოთ სახეს (განსაკუთრებით, თუ ხელები ჭუჭყიანი გაქვთ);

* არ გამოიდინოთ გამონაყარიდან ჩირქი – ამან, შესაძლოა, კანის სერიოზული ანთება გამოიწვიოს;

* ძილის წინ აუცილებლად მოიშორეთ მაკიაჟი და გაიწმინდეთ კანი;

* მოარიდეთ სახე მზეს – ცხიმიანი კანისთვის ულტრაიისფერი სხივები მიზანშეწონილი არ არის;

* გამოიყენეთ არაკომედოგენური კოსმეტიკა – ის არ კეტავს ფორებს და განკუთვნილია სწორედ კომბინირებული და ცხიმიანი კანისთვის. ეს კრემი აშორებს კანს სიპრიალეს. მისი ორმაგი მოქმედების ფორმულა არა მარტო შთანთქავს ზედმეტ ცხიმს, არამედ ამცირებს ცხიმოვანი ჯირკვლების აქტივობას. კლინიკურად დადგენილია, რომ ასეთი კოსმეტიკა ფორების ზომას 16 პროცენტით ამცირებს, ხოლო ჭარბი ცხიმიანობით გამოწვეულ სიპრიალეს – 21 პროცენტით.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაჩუქეს ფენი-ჯაგრისი. როგორ დავიხვიო თმა ისე, რომ გამეზარდოს მოცულობა?**

**პასუხი:** ფენი-ჯაგრისის გამოყენება ბიგუდების ნაცვლად შეიძლება: დაახვიეთ მწკრივებად დაყოფილი თმა თანმიმდევრობით და ყოველ მწკრივს მიასხურეთ ცოტა ლაკი. შემდეგ თავი წინ გადაწიეთ და ჯაგრისით გადაივარცხნეთ.

**კითხვა: როდის ჯობია ანტიცელულიტური კრემის წასმა, ანუ როდის უფრო აქტიურდება მისი მოქმედება?**

**პასუხი:** შეიძლება, ამ რჩევამ ღიმილი მოგგვაროთ, მაგრამ ანტიცელულიტური კრემი უმჯობესია, წაისვით მაშინ, როცა სახლში მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევით: კრემის წასმის შემდეგ პრობლემური ადგილები შეიფუთეთ სქელი ცელოფნით და ჩაიცვით ეგრეთ წოდებული ელასტიკები. მკვეთრი და აქტიური მოძრაობის დროს მეტი კალორია იწვება და უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა, ანუ, კრემის მოქმედება მაქსიმალურად გააქტიურებულია.

**კითხვა: ამას წინათ მითხრეს, რომ სახის მკვებავი ნიღბის დასამზადებლად გამოიყენება ჩვეულებრივი ჟელატინი. მაინტერესებს, რა ეფექტი აქვს ასეთ ნიღაბს და როგორ მზადდება?**

**პასუხი:** ჟელატინი შეიცავს კოლაგენს – ცილას, რომელიც ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას. 1 სადილის კოვზ მშრალ ჟელატინს დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა ცივი წყალი. როდესაც ჟელატინი გაფუვდება, დადგით ჭურჭელი წყლის აბაზანაზე. რომ შეცხელდება, მიიღებთ ერთიან მასას – ეს არის ნიღბის ფუძე. უშუალოდ წასმის წინ შეგიძლიათ შეურიოთ გახეხილი უმი ხილი, კენკრა, კიტრი, თაფლი, მაწონი, ხაჭო ან არაჟანი. მიღებული მასა წაისვით სახეზე, ყელზე, დეკოლტეზე და გაიჩერეთ 20 წუთი. ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით და შემშრალებისთანავე გადაისვით თქვენი კანის შესაფერისი მკვებავი

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

### ზნეობა მოდაში აღარ არის

მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში ხდებოდა, ან რომანებში, ან სადღაც სხვა ქვეყანაში, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ასეთი უზნეობის ჩამდენი ქართველი კაცი იქნებოდა! უფრო სწორად, ეს უზნეობა კი არა, ზნედაცემულობა უფროა.

დღეს ისეთი ცხოვრება გვაქვს, ისე გადაგვარდა ხალხი, წესიერება და პატიოსნება თუ გაგიკვირდება, თორემ, უწესობა და ცუდი საქციელი ვილას უკვირს. ამ ყოვლად უგემოვნო და ამორალური სერიალებით ხომ, ლამის არის, პირდაპირ უბიძგებენ ახალგაზრდებს ამორალობისკენ და, თან, აქტიურად ხდება ამ სიბინძურის წახალისება. სიბინძურეა, აბა რა არის, როცა ქალი ჯერ ერთი ძმის ცოლია, მერე კი მეორე ძმა უყვარდება, იმას მიჰყვება ცოლად, ორივესგან აჩვენს შვილებს და ბოლოს ყველა ერთად მეგობრულად ცხოვრობს და ასე შემდეგ.

მოკლედ, აქამდე ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ ფილმებისა და რომანების თემა მეგონა, ან სადმე სხვაგან, შორეულ ქვეყანაში შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან, მიუხედავად უამრავი ნაკლისა, ქართველი კაცისთვის (და არა მარტო კაცისთვის) ყოველთვის არსებობდა რაღაც გადაულახავი ზღვარი თუ ზღუდე მორალის, კაცობის თვალსაზრისით, მაგრამ, ერთადერთი, იმით შეიძლება დავიმშვიდოთ თავი, რომ ასეთი შემთხვევები საქართველოში ძალიან იშვიათია (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით). ალბათ, ერთი სული გაქვთ, გაიგოთ, რა შემთხვევაა ასეთი, ჭკუიდან რომ გადამიყვანა ამ ხნის კაცი. მოგახსენებთ, ბატონო.

ერთი ახლობელი მყავდა, ქალაქში ცნობილი ბიჭი იყო თვითონაც, მისი ოჯახიც. არა და არ მოჰყავდა ცოლი. 28 წლის იყო, როგორც იქნა, ქალი რომ შეუყვარდა, მაგრამ, განათხოვარი იყო და 8 წლის გოგონა ჰყავდა. არ გაგიჟებულა ოჯახი, მაგრამ მიიღეს რძლად შვილიანი ქალი. ბიჭმა ცოლის სიყვარულით გერი ოფიციალურად იშვილა, თავისი გვარი მისცა და საკუთარი შვილივით გაზარდა.



ისე მოხდა, რომ იმ ჩემს ახლობელს 15-20 წელი აღარ შევხვედრივარ. ამას წინათ რუსთაველზე მივდიოდი ჩემს პატარა შვილიშვილთან ერთად და უცებ ვიღაცამ დამიძახა – ვახტანგ, როგორ ხარო. მივიხედე და ის ჩემი ნაცნობი არ შემრჩა ხელში? მშვენივრად გამოიყურებოდა. გვერდით ხელკავით მოჰყვებოდა ძალიან ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. გადავეხვიეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ და ის ქალი გამაცნო – ჩემი მეუღლეაო. მე ცოტა დავიბენი, რადგან, როგორც მახსოვდა, მისი მეუღლე ისეთი ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო. გაოცება რომ შემატყო, სიცილით მითხრა (არც კი გაწითლებულა): ეს ქეთია, ჩემი გერი. ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა და დავქორწინდითო.

მე პასუხი აღარ გამიცია – ზურგი შევაქციე და წამოვედი.

**ვახტანგი, 65 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადვილად გწყინთ?

*გაინტერესებთ, რეალურად როგორი ადამიანი ხართ? შეიძლება, კარგად არ იცნობთ საკუთარ თავს. არ აღიარებთ, რომ წყენის გულში ჩადება გახასიათებთ და კიდევ ბევრ სხვა რამესაც არ აღიარებთ... მაგრამ, თუ ტექსტის კითხვებს გულწრფელად უპასუხებთ, შეიძლება, ბევრი საინტერესო და მოულოდნელი რამ გაიგოთ საკუთარ პერსონაზე.*

**1. ადვილად გიფუჭდებათ განწყობა? ადამიანებს ადვილად შეუძლიათ თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა?**

**2. წყენა დიდხანს გახსოვთ?**

**3. წვრილმან უსიამოვნებებს დიდხანს იხსენებთ და ნერვიულობთ?**

**4. დიდხანს გიგრძელდებათ აპათია, ანუ, ისეთი მდგომარეობა, როცა არავის ნახვა და არაფრის მოსმენა არ გინდათ?**

**5. გაღიზიანებთ გაურკვეველი ხმაური და უაზრო საუბრები?**

**6. საკუთარ განცდებს, ემოციებსა და გრძნობებს დიდხანს წონით და აანალიზებთ?**

**7. წუთიერი ხასიათის ცვლილება მთელი დღის განმავლობაში აისახება თქვენს მდგომარეობაზე?**

**8. ხშირად გესიზმრებათ კოშმარები?**

**9. გაწუხებთ თუ არა ფიქრი იმაზე, რომ ვიღაცაზე ბევრად ნაკლები ხართ?**

**10. უმიზეზოდ ხშირად მოიწყენთ ხოლმე?**

**11. კამათის დროს საგრძნობლად გეცვლებათ ხმის ტემბრი და ტონი?**

**12. ძნელია თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა?**

**13. არის შემთხვევები, როცა არავის და არაფერს არ შეუძლია თქვენი განწყობის ამაღლება?**

**14. როცა თქვენი არ ესმით, ბრაზობთ და ღიზიანდებით?**



**ახლა საჭიროა ნახოთ, როგორია თქვენი პასუხები**

*პასუხისთვის „დიახ“ – დაიწერეთ 0 ქულა;*

*პასუხისთვის „არ ვიცი, ხან ასეა, ხან ისე“ – 1 ქულა;*

*პასუხისთვის „არა“ – 2 ქულა.*

**დათვალეთ გულდასმით და ნახეთ შედეგები:**

*0-16 ქულა – ძალიან ადვილად გწყინთ ყველაფერი და გულში ღრმად ინახავთ წყენას. გახასიათებთ სამაგიეროს გადახდა. გუნება-განწყობა სწრაფად გეცვლებათ. გარშემო მყოფებს ბოლმით აკვირდებით – აბა, რას ფიქრობენ ჩემზეო და თავდასხმისთვის მზად ხართ. ასე არ შეიძლება, დროა, საკუთარი თავის აღზრდაზე იზრუნოთ.*

*17-22 ქულა: გული გტკივათ ხოლმე – ამას ნუ უარყოფთ. მერე რა, თუ ზოგჯერ მწარე წუთებს განიცდით. მაინც ნუ იქნებით უხეში და სასტიკი. მოერიდეთ კონფლიქტებს სახლშიც და სამსახურშიც.*

*23-28 ქულა: კონფლიქტური არ ხართ, მაგრამ სუსტი ნერვები გაქვთ და შეგიძლიათ ყველაფერზე იტიროთ. თავი ხელში აიყვანეთ, აკონტროლეთ სიტუაცია.*

**ელენე წულუკიძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა შესთავაზეს სტალინს ქურდებმა ქუთაისსა და ციმბირში და რა უპასუხა მათ მომავალმა ბელადმა



მიუხედავად იმისა, რომ იოსებ სტალინის დაუძინებელი მტერი ლევ ტროცკი ყოვლად შეუსაბამო და ფანტასტიკურ ინფორმაციებს ავრცელებდა მის შესახებ და ყოველმხრივ ცდილობდა სტალინის დაკნინებასა და შეურაცხყოფას, ლევ დავიდოვიჩი თავის ორტომიანი ნაშრომის – „სტალინის“ ერთ-ერთ გვერდზე წერს: „სტალინის გაცურება წარმოუდგენელი საქმე იყო და ლენინი იმიტომ ანდობდა ხოლმე მას ყველაზე საპასუხისმგებლო მოლაპარაკებებში მონაწილეობას. ის სხვადასხვა ჯურის ცბიერ პარლამენტარებთან და დიპლომატებთან ისე ლავირებდა ხოლმე, რომ, საბოლოო ჯამში, ხახამშრალს ტოვებდა. სტალინისთვის უცხო იყო ცდუნება, სენტიმენტალიზმი და ყველა ის თვისება, რასაც მისი დაბნევა შეეძლო. ის ყოველთვის ცივი გონებით წყვეტდა საკითხებს და მის ამ თვისებას ყველაზე მეტად ილიჩი აფასებდა. ამაში კი იოსებ ჯუღაშვილის დემონური, ადამიანისთვის უცხო, ფოლადისებური სიმტკიცე და ნებისყოფა უწყობდა ხელს. ძველი გვარდიის ყველა ბოლშევიკი განსაკუთრებული ნებისყოფით გამოირჩეოდა, მაგრამ ამ თვისებით სტალინი ათი თავით ყველაზე მაღლა იდგა პროფესიონალ რევოლუციონერთა ორდენში“.

ძველი ბოლშევიკი, სტალინის მეგობარი და თანამებრძოლი პრეობრაჟენსკი ასე იხსენებს 1905 წლის იანვარს: „მე და კობა შორეული ირკუტსკის გუბერნიის მიყრუებულ სოფელ კედროვკაში ვიყავით გადასახლებულები და უმკაცრესი ზედამხედველობა გვქონდა დაწესებული. კედროვკა ტაიგის თითქმის შუაგულში მდებარეობს და ჩვეულებრივი ციხის ღობის მაგივრობას 400 კილომეტრის რადიუსში გადაჭიმული ტყე, მძვინვარე ვეფხვები და მგლები გვიწევდნენ, რომლებიც იქ მრავლად იყვნენ. პატიმრებს განუსაზღვრელი ტერიტორია გვქონდა, რომლის გადაბიჯების უფლებას არც ბადრაგი მოგვცემდა და ამას არც პატიმრები

**თითქმის ერთი თვის განმავლობაში კროტი ყოველდღე მოდიოდა ჩვენს ბარაკში და, მიუხედავად იმისა, რომ სტალინზე 15 წლით უფროსი იყო, ყურადღებით უსმენდა მის ლაპარაკს – ეტყობოდა, რომ მის ყველა სიტყვას გონებაში ღრმად იბეჭდავდა**

გაბედავდნენ, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ ზონის იქით საშინელი სიკვდილი იყო ჩასაფრებული. ამის დასტური კი ის იყო, რომ ტაიგიდან ხშირად გვესმოდა მშიერი ვეფხვების ღრიალი და მგლების ყმუილი. კარაბინებით შეიარაღებული ბადრაგი კი იმით ერთობოდა, რომ თავიანთი კოშკურიდან ხან ვეფხვს კლავდნენ, ხან მგელს – ერთმანეთს სროლაში ეჯიბრებოდნენ. აი, ასეთი სიტუაცია იყო კედროვკაში. ერთი მხრივ, ბადრაგის, მეორე მხრივ, მშიერი მტაცებლის შიშით, ტაიგისკენ გახედვსაც კი ვერავინ გაბედავდა.

კობა 1904 წლის 20 დეკემბერს მოიყვანეს ჩვენთან. ის თეთრ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ძალიან თბილი ჩექმები ეცვა და თბილი ქუდი ეხურა, რამაც კედროვკელი ქურდები გააღიზიანა. კედროვკაში რუსეთის იმპერიის ყველაზე საშიში ბოროტმოქმედები იყვნენ გადასახლებულები და მათ ვინმე სერგეი როგოვი, მეტსახელად „კროტი“ (თხუნელა) წინამძღოლობდა. კროტი „მედვეჟატნიკი“ იყო, რაც ქურდულ ენაზე სეიფების მძარცველს ნიშნავს. რუსეთში არ იყო ციხე, საიდანაც ის არ გაქცეულიყო. სწორედ ამიტომ მოიყვანეს კედროვკაში და უთხრეს: თუ ბიჭი ხარ, ახლა გათხარე და გაიქეცი. ერთი სიტყვით, კროტს თავიდანვე თვალში არ მოუვიდა ეს 25 წლის ყმაწვილი და, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურები და ქურდები ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით, კროტმა სტალინის „გაფარჩაკება“, ანუ მისი დამცირება მოინდომა – მან სტალინისთვის ჩექმებისა და ქუდის წართმევა სცადა, თუმცა, ვერ შეძლო. კობამ ქურდულ ბარაკში ისეთი საუბარი გააბა მრავლისმნახველ და გამოცდილ რუს ქურდებთან, რომ კროტმა მას თავისი ხელით გაკეთებული ჯვარი აჩუქა და უთხრა: შენ, ყმაწვილო, ისეთი ქცევები და ლაპარაკი გაქვს, რომ თავისუფლად შეგიძლია ჩვენი საქმის წევრი გახდე და სულ მალე ჩემი ადგილიც კი დაიკავოო, რაზეც კობამ მიუგო: ჯერ ერთი, ამაში ასაკი არ მიწყობს ხელს (იმ პერიოდში რუსეთის იმპერიაში ქურდი მხოლოდ 30 წლის შესრულების შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყო ადამიანი); მეორეც – მე პროფესიონალი რევოლუციონერი ვარ და ხალხის ბედნიერებისთვის ვიბრძვი. თანაც, მსგავსი წინადადებით უკვე მომმართეს ქუთაისის ციხეში და უარი ვთქვიო (ცნობილი ფაქტია, რომ ქუთაისის ციხეში ქურდებმა სტალინს ქურდობა შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს).

კროტს მეტი არაფერი უთქვამს სტალინისთვის და ჩვენ მშვიდობიანად დავშორდით ერთმანეთს. თითქმის ერთი თვის განმავლობაში კროტი ყოველდღე მოდიოდა ჩვენს ბარაკში და, მიუხედავად იმისა, რომ სტალინზე 15 წლით უფროსი იყო, ყურადღებით უსმენდა მის ლაპარაკს და ეტყობოდა, რომ მის ყველა სიტყვას გონებაში ღრმად იბეჭდავდა. 19 იანვარს კობამ დრო იხელთა, მარტო დამიგულა და მითხრა: უნდა გავიქცე, წამოხვალო?

მე ჯერ ხუმრობა მეგონა კობას სიტყვები, მაგრამ ხუმრობის არაფერი ეტყობოდა და ვუთხარი: რას ამბობ, კობა, აქედან ირკუტსკამდე ხომ 400 კილომეტრია, თანაც, ყოველ ნაბიჯზე ისეთი ხიფათია ჩასაფრებული, ორმოცდაათ მეტრსაც კი ვერ გავივლითმეთქი.

– ირკუტსკამდე 436 კილომეტრია, – შეისწორა კობამ, – თანაც, სულ რაღაც 50 კილომეტრი უნდა ვიაროთ, მერე კი დანიშნულების ადგილზე მარხილი მიგვიყვანს.

– კი მაგრამ, იმ 50 კილომეტრს ვეფხვებითა და მგლებით სავსე ტაიგაში გავლა ხომ უნდა?! თანაც, არც საკვებია და არც იარაღი, – ვუთხარი მე.

– საჭმლის რა მოგახსენო, მაგრამ, კარაბინი ჩემზე იყოს. მე უკვე შევიმუშავე გეგმა და, თუ თანახმა ხარ, 29 იანვარს აქედან „ავიწევით“; თუ არ გინდა, მარტო წავალ, – მიპასუხა კობამ.

## საქართველოში ჩატარდა „აბრეშუმის გზის" საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: პერსპექტივები და გამოწვევები“




ჩატარდა „აბრეშუმის გზის" საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე – „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: პერსპექტივები და გამოწვევები“. პროექტის ორგანიზატორია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

„აბრეშუმის გზის" საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში უკვე მეათედ ჩატარდა. კონფერენციის მიზანია პოლიტიკოსების, გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისგან ფორუმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინტენსიურ დიალოგს ევროინტეგრაციის საკითხებზე. კონფერენციის ფარგლებში განიხილეს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე არსებული მიღწევები და გამოწვევები, ასევე, სხვა სახელმწიფოების გამოცდილება ამ მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით, მონაწილეთა შორის იყვნენ მოწვეული სტუმრები ამერიკიდან, ევროპის სახელმწიფოებიდან, კავკასიის რეგიონიდან და სხვა ქვეყნებიდან.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ მკვლევრები, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი სპეციალისტები და აკადემიურ სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლები როგორც საქართველოს, ისე ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, პოლონეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ერაყის უნივერსიტეტებიდან. კონფერენცია გაგრძელდა ორი დღე: პირველი დღე – სასტუმრო „რედისონში“ და მეორე – „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“.

კონფერენცია გაიმართა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA), „ნატოსა" და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან, საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბთან და საქართველო-ევროკავშირის ბიზნესცენტრთან თანამშრომლობით.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, დოქტორი ილიას ჩილოღლუ.

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ტეტიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ტეტია**.

1738 წელს ოთარ ალექსიშვილის მიერ ფარსადან ციციშვილისადმი მიცემულ ყმის და მამულის ნასყიდობის წიგნში პაპა **ტეტიაშვილი** მოიხსენიება.

საქართველოში 175 **ტეტიაშვილი** ცხოვრობს. თელავში – 63, საგარეჯოში – 62, თბილისში – 16. არიან სხვაგანაც.

### სამნაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სამნა**.

1661 წელს ელიზბარ სოლოღაშვილისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია **სამნა** გოგაშვილი.

ამავე ძირისაა გვარები **სამნიაშვილი, სამნიასშვილი** და **სამნიძე**.

საქართველოში 53 **სამნაშვილი** ცხოვრობს. გარდაბანში – 33, თბილისში – 17, საგარეჯოში – 3.

### სოიტაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სოსიტა**.

1760 წელს გიორგი ნარიხაძის მიერ შალვა ფავნელისშვილისადმი მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ლეკვია **სოიტაშვილი.**

1817 წლის აღწერით, სოფელ ლოუმანში პრაპორშჩიკ, თავად ლუარსაბ ორბელიანის გლეხთა შორის მოიხსენიება გულია **სოიტაშვილი.**

საქართველოში 126 **სოიტაშვილი** ცხოვრობს. ქარელში – 66, თბილისში – 32, გორში – 14. არიან სხვაგანაც.

### მიქაბაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მიქაბა.**

„**მიქაბაძე** დავითს ჰყავს სახლიკაცი გიორგი. გოგატის თხოვნის საფუძველზე გიორგი მეფემ მას განუახლა ძველი „სასისხლო" სიგელი. დაუმტკიცა სისხლის ფასი 100 ათასი ძველი თეთრი და დაუდგინა სხვა სამართლებრივი ნორმები. ეს მოხდა 1325 წელს".




„**მიქაბაძე** ივანია, მოწმე დავით სამსონიშვილის მიერ შალვა შერაზადაშვილისათვის მიცემულ ყანის ნასყიდობის წიგნისა" (მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეები).

საქართველოში 104 **მიქაბაძე** ცხოვრობს: თბილისში – 32, ქუთაისში – 24, წყალტუბოში – 20. არიან სხვაგანაც.

### ჯამაგიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯამა**. ასევე, გვხვდება მოფერებით-კნინობითი სახელები **ჯამაია, ჯამაგა, ჯამათა, ჯამაკა** და ასე შემდეგ.

**ჯამა** სულხან-საბა ორბელიანის წიგნში განმარტებულია, როგორც „ხრდალი აქლემი" ანუ ერთდროულად ჭაკი ცხენიც და ვირიც.

გვარი **ჯამაგიძე** გვხვდება თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურეთსოფელში, გარდაბნის რაიონში სოფელ სართიჭალაში, თიანეთში სოფელ ღულელებში.

საქართველოში 405 **ჯამაგიძე** ცხოვრობს: თბილისში – 181, თიანეთში – 162, გარდაბანში – 28. არიან სხვაგანაც.

### ლაბაძე

**ლაბა** მამაკაცის საკუთარი სახელია. ის, ისტორიულ წყაროებში რამდენიმე ფორმით გვხვდება, მაგალითად: **ლაბი, ლაბაზან, ლაბია, ლაბლა, ლაბო.**

ფუძეთი **ლაბა** ნაწარმოებია ქართული გვარები – **ლაბარი, ლაბარიშვილი, ლაბაძე, ლაბრიძე, ლაბაშია, ლაბარაშვილი, ლაბაური.**

**ლაბაძეები** იმერეთში ცხოვრობენ სოფლებში: მანდაეთი, ბოსლევი, კორბოული, რგანი, სარეკი, საზანო, ჭორვილა, შროშა და საქარა.

სოფელ სარეკში მცხოვრები **ლაბაძე** დათუა მოიხსენიება 1680 წელს, ისტორიულ წყაროში.

საქართველოში 4 631 **ლაბაძე** ცხოვრობს. თბილისში – 756, ჭიათურაში – 741, ხაშურში – 618. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

ბევრი რომ არ გავაგრძელო, 1905 წლის 29 იანვარს, ღამის 2 საათზე, მე და კობა ზონას გავცდით და ბნელ ტაიგას შევუყევით. თან გვქონდა მგლის ქონისგან გაკეთებული 4 ცალი ჩირაღდანი, 2 კოლოფი ასანთი და კარაბინი. ის კობამ ერთ-ერთ ბადრაგს აართვა, რომელიც ზედ კოშკურაზე გაკოჭა და მიაბა.

– 3-4 საათის განმავლობაში შეგვიძლია, მშვიდად ვიაროთ. მერე კი ჩვენი გაქცევის ამბავს გაიგებენ და დაგვედევნებიან, – მითხრა სტალინმა, როდესაც ტაიგაში შევედით. მაგრამ, 50 მეტრიც არ გვქონდა გავლილი, როცა კროტი წამოგვეწია და კობას უთხრა: მეც წამიყვანეთ. აქ სიკვდილს გაქცევა მირჩევნია და, თუ სიცოცხლე არ მიწერია, თავისუფლებაზე მაინც ამომხდეს სულიო.

ერთი სიტყვით, კობა, მე და კროტი ტაიგას შევუყევით. გზას კობა იკვლევდა, რომელსაც კომპასი ჰქონდა, თან კარაბინს არ უშვებდა ხელიდან და მზად იყო, ყოველ წამს გაესროლა. გათენებამდე სტალინმა ოთხი მგელი მოკლა და სწორედ ამან გვიხსნა, რადგან, მშიერი მგლები თავის მკვდარ თანამოძმეებს დაესივნენ, ჩვენ კი წინ მივიწევდით. 50 კილომეტრის გავლას თითქმის 3 დღე მოვუნდით და, სიმართლე გითხრათ, რომ არა კობას ნებისყოფა და გამამხნევებელი შეძახილები, მე და კროტი სამუდამოდ ტაიგაში დავრჩებოდით. როგორც იქნა, დანიშნულ ადგილამდე მივაღწიეთ, სადაც ფელიქს ძერჟინსკი გველოდა მარხილით. მან და კობამ მე და დაუძლურებული კროტი მარხილებზე დაგვსხეს და ირკუტსკისკენ აიღეს გეზი.

ციმბირის დედაქალაქამდე ერთი კვირის განმავლობაში მივდიოდით. მართალია, საკმარისი სურსათ-სანოვაგე გვქონდა, კობა მხოლოდ ეწეოდა, დილა-საღამოს 100 გრამ არაყს სვამდა და რაღაც 12 საათი თუ ეძინა მთელი მგზავრობის განმავლობაში. მე ვუყურებდი მას და არ მჯეროდა, რომ ჩემ გვერდით იყო ასეთი ფოლადისებური ნებისყოფის ადამიანი. სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ სულ მალე რუსეთის იმპერიას ახალი პატრონი მოევლინებოდა და ეს იქნებოდა იოსებ ჯუღაშვილი – სტალინი".

**მოამზადა გიორგი ლაშაურმა**

---

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გ | რ | ა | ტ | ა | ■ | ა | მ | ი | რ | ა | ნ | | | | |
| | | | | ■ | ა | რ | ტ | უ | ა | ■ | ი | ქ | ო | დ | ■ | | | | |
| | | | | ი | ■ | ა | ■ | ბ | ნ | რ | ო | ნ | ი | ნ | ი | | | | |
| | | | | ლ | ■ | კ | რ | ა | ი | ო | ვ | ა | ■ | ა | ნ | | | | |
| | | | | ა | ჯ | ნ | ■ | ჯ | ნ | მ | ■ | რ | ო | ზ | ი | | | | |
| ი | ლ | ი | ვ | შ | ა | ნ | ო | ■ | ■ | გ | ო | გ | უ | ა | ძ | ე | ■ | რ | უ |
| ■ | ე | ■ | ა | რ | ■ | ა | ქ | ი | ს | ■ | რ | ა | ■ | მ | ე | ე | ■ | ო | ■ |
| ფ | ლ | ო | რ | ა | ■ | წ | ა | მ | ე | ბ | უ | ლ | ი | ■ | უ | დ | ა | მ | ა |
| ■ | ა | ■ | ი | მ | უ | ხ | თ | ე | ფ | ■ | ს | ■ | ა | ი | მ | ი | მ | ა | ■ |
| მ | ■ | ქ | ა | ■ | მ | ■ | ა | დ | ა | მ | ა | ნ | ტ | ი | ■ | ქ | ■ | ■ | ■ |
| ა | ნ | უ | ■ | ■ | უ | ■ | მ | ა | შ | ხ | ა | ლ | ა | ■ | ი | ტ | ა | რ | ა |
| რ | უ | რ | ნ | უ | მ | ი | ა | ძ | ვ | ■ | რ | ე | ძ | ა | ლ | ი | ხ | ც | ■ |
| ი | ■ | ა | ა | კ | ■ | ლ | ძ | ე | ი | ■ | ი | ვ | ა | ნ | ე | ■ | ა | უ | ■ |
| ხ | ■ | ნ | ვ | ■ | ბ | რ | ე | ■ | ლ | ა | ფ | ე | რ | ა | ■ | ი | მ | ხ | ა |
| ი | მ | ი | ი | ო | ■ | ო | ■ | მ | ი | ლ | ი | ■ | ი | ა | პ | ო | ნ | ი | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 8 | 2 |
| 5 | 3 | 1 | 8 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 |
| 8 | 2 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 5 | 9 |
| 7 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 | 8 | 9 | 1 |
| 1 | 8 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 | 3 | 5 |
| 3 | 9 | 5 | 1 | 8 | 4 | 2 | 6 | 7 |
| 4 | 7 | 8 | 5 | 1 | 6 | 9 | 2 | 3 |
| 2 | 5 | 3 | 4 | 9 | 8 | 7 | 1 | 6 |
| 6 | 1 | 9 | 3 | 7 | 2 | 5 | 4 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 9 | 1 | 7 | 8 | 3 | 6 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 6 | 9 | 4 | 5 | 8 | 1 |
| 1 | 8 | 6 | 2 | 3 | 5 | 9 | 7 | 4 |
| 6 | 2 | 8 | 3 | 4 | 9 | 1 | 5 | 7 |
| 5 | 7 | 3 | 8 | 1 | 2 | 4 | 9 | 6 |
| 9 | 4 | 1 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 8 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 3 | 6 | 4 | 5 |
| 3 | 6 | 4 | 5 | 2 | 7 | 8 | 1 | 9 |
| 8 | 9 | 5 | 4 | 6 | 1 | 7 | 2 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. ლაბირინთები. 2. კოსმოსიდან გადაღებული მისი სურათი. 3. ნოეს კიდობანში. 4. აუქციონი 5. ქვიშის საათი – ქალების ფიგურათა ტიპები. 6. წინდაუცვეთელი. 7. მუჰამედის აქლემი. 8. ცინიკოსები. 9. დაეშალა კოშკი და გაეყიდა ჯართად. 10. გრენლანდიის.**

# თეატრები

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

26 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მეტურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

27 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27-28 მაისი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.00 - **„დარისპანის გასაჭირი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (მცირე სცენა), ლევან წულაძის სარეჟისორო ჯგუფი III კურსი - საკურსო სპექტაკლი. რეჟისორი: გიორგი კავილაძე. მონაწილეობენ: თეონა ქოქრაშვილი, ნინო წულაძე, მარიამ ღვინიანიძე, ბესო ბარათაშვილი, ნათია ჩიქვილაძე, ზაზა გოგუაძე, ლევან ხიზამბარელი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

29 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჟოლო"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

29 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ჯაყო, ხვალ ომი იქნება..."** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ბექა გოდერძიშვილი, ნიკა კუჭავა, ნინო გაჩეჩილაძე, ზურა ბერიკაშვილი, ონისე ონიანი, ნინო წულაძე, ნოდარ დოლონაძე, მაკა შალიკაშვილი, პაატა ინაური; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ბრმა მხედველი (მოლი სუინი)"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გოგა პიპინაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 20.00 - **„უცნობი ქალის წერილები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ნათია ბალაძე. მონაწილეობენ: ეკატერინე კვირკელია, გიორგი ტატიშვილი, ნიკოლოზ მანაგაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

28 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობს: ლაურა რეხვიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

29 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩიტის მოტანილი ამბავი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ანა ნიკოლაშვილი, ნანა შონია, დარეჯან ჯოჯუა, ვახტანგ ახალაძე, ვანო დუგლაძე, სოსო ხვედელიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ქირვეულის მორჯულება"** - (ბილეთის ფასი - 12 ლარი), რეჟისორი: ჰილარი ვუდი (დიდი ბრიტანეთი). მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მახო აბულაძე, თემურ გვალია, სოსო ხვედელიძე, ვანო დუგლაძე, ნიკა წერედიანი, ცოტნე მეტონიძე, გუგა კახიანი, ილია ჭეიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ზურა ანთელავა, თამრი ბზიავა, ირინა გიუნაშვილი, ანა მატუაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 მაისი, **კვირა** 20.00 - **„კაბა"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ჰილარი ვუდი. მონაწილეობს: თამრი ბზიავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## თავისუფალი თეატრი

**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

26 მაისი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

28-29 მაისი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„მატყუარები"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი

**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

25 მაისი, **ორშაბათი** 14.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

26, 29-30 მაისი, **სამშაბათი, პარასკევი-შაბათი** 12.00 - **„პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 მაისი, **სამშაბათი** 13.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 მაისი, **სამშაბათი** 16.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

26 მაისი, **სამშაბათი** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

27 მაისი, **ოთხშაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27-28 მაისი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 12.00 - **„წითელქუდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27, 29 მაისი, **ოთხშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„1945"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ საბაშვილი. ***ხანგრძლივობა: 45 წუთი;***

28 მაისი, **ხუთშაბათი** 12.00, 15.00 - **„ემილის თავგადასავალი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან ქობლიანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

30 მაისი, **შაბათი** 13.00 - **„ემილის თავგადასავალი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან ქობლიანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

30 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„მე ვხედავ მზეს"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 12.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 13.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 16.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

31 მაისი, **კვირა** 19.00 - **„ჯუჯა ცხვირი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიორგი თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## გრიბოედოვის თეატრი

**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

30 მაისი, **შაბათი** 18.00 - **„მდგმური"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ქიპაშვილი, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი, მედეა მუმლაძე, ნინა კალატოზიშვილი, ქრისტოფორე ფილიევი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 მაისი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი იალქნები"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, კარინა ყენია, მედეა მიმლაძე, ვასილი გაბაშვილი, ლერი გურგენიძე, არჩილ ზარათაშვილი, ირაკლი აფაქიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

**20 წლის ხატია ვოლნისტი უკვე ოთხი წელია, იბრძვის იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. პრობლემას ხატიას ანკეტა წარმოადგენს, რომელშიც ახალშობილი მამრობითი სქესის წარმომადგენლად არის დაფიქსირებული. წლების განმავლობაში ამ დოკუმენტის გამოყენების საჭიროება არ ყოფილა და, შესაბამისად, ანკეტაში დაშვებული შეცდომისთვისაც არავის მიუქცევია ყურადღება. 16 წლის ასაკში კი, აღნიშნული შეცდომის გამო, ხატიამ პირადობის მოწმობის აღება ვერ შეძლო და, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, სხვის მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, უამრავი პრობლემა შეექმნა.**

# როგორ აღმოჩნდა ხუთი თვის შვილის დედა მამრობითი სქესის და რატომ ვერ ამტკიცებს ხატია ვოლნისტი რეალურ სქესს

**ხატია ვოლნისტი**: დავიბადე 1995 წელს, ქალაქ ზუგდიდში, სადაც მომცეს დროებითი დაბადების მოწმობა, რადგან გერბიანები არ ჰქონდათ. ამ დაბადების მოწმობაში ჩვეულებრივ ვწერივარ – ხატია ვიტალის ასული ვოლნისტი. ჩემს მშობლებს რატომ უნდა ეფიქრათ, რომ ახალშობილის ანკეტაში ხარვეზი იქნებოდა და, მდედრობითის ნაცვლად, მამრობითად ვიქნებოდი აღნიშნული? სამშობიაროდან უპრობლემოდ გამომიყვანეს და ბაღში და სკოლაში ჩვეულებრივად დავდიოდი.

**– პირველად როდის შეგექმნა პრობლემა ამ შეცდომის გამო?**

– ანკეტა, რომელშიც ეს შეცდომაა დაშვებული და მამრობითად ვარ აღნიშნული, 16 წლამდე არ გადამიმოწმებია, რადგან არაფერში დამჭირვებია და, შესაბამისად, არანაირი პრობლემა არ შემქმნია. აზრადაც არავის მოუვიდოდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. 16 წლის რომ გავხდი, იუსტიციის სამინისტროში მივედი პირადობის მოწმობის ასაღებად. ფოტო გადავიღე, ყველაფერი გავაკეთე, უკვე მზად ვიყავი, რომ პირადობის მოწმობა ამელო და, უცებ, ამოტივტივდა ანკეტაში მითითებული მამრობითი სქესი და პრობლემებიც დაიწყო. იმ დროიდან მოყოლებული, ოთხი წლის განმავლობაში, ვდილობთ, ეს გაუგებრობა გავარკვიოთ და მოვაგვაროთ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. იუსტიციის სამინისტროში უამრავჯერ ვიყავი, ძალიან ბევრი განცხადება მაქვს გაკეთებული. პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე მომდიოდა – უარი.

**– გამოსავალს არ გთავაზობდნენ?**

– სასამართლოში გამგზავნეს, მაგრამ მაინც ვერაფერს მივაღწიე. იუსტიციის სამინისტროში ერთს მეუბნებოდნენ, სასამართლოში – მეორეს, აქეთ-იქით მგზავნიდნენ და ასე დაუსრულებლად. ბევრი კრიტიკული კომენტარი წავიკითხე, ამბობენ – შვილო, აქამდე პატრონი არ გყავდაო?! მშობლებიც მყავს, დედ-მამიშვილებიც და ძალიან ბევრი ნათესავიც, მაგრამ, ეს პრობლემა, რეალურად, ვერ გვარდება. თვითონ არ უნდათ მოგვარება და მე რა გავაკეთო? არაფერი შემიძლია. მოკლედ, ძალიან გამაწამეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. უამრავი განცხადების შემდეგ, წუწუკიანისგან მომივიდა წერილი, რომელშიც ამბობდა: დარჩეს მამრობითად და პირად ნომერს მივანიჭებთო. ეს ყველაზე დიდი სისულელეა, რაც კი ოდესმე უთქვამთ ჩემთვის. როგორ დავრჩე მამრობითად, როცა გათხოვილი ვარ, მეუღლე და ხუთი თვის ბავშვი მყავს?! ასეთი პასუხი ისეთივე აბსურდია, როგორც მთელი ეს სიტუაცია.

**– ამ შეცდომის გამო, ალბათ, უამრავი პრობლემა შეგექმნა.**

– დიახ. პირველ ყოვლისა ის, რომ ვერ მივიღე ვერანაირი განათლება, მხოლოდ ათი კლასი დავამთავრე. მაქვს ცხრა კლასის ატესტატი და მეათე კლასის – „მოისმინა". საშუალო სკოლაც კი ვერ დავამთავრე და უმაღლესზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. გარდა ამისა, არცერთი სადაზღვევო კომპანია მე არ მაფინანსებს, ვერანაირი დაზღვევით ვერ ვსარგებლობ, რადგან სახელმწიფოსთვის არ ვარსებობ. ყველაზე რთულ მდგომარეობაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ჩემი შვილი დაიბადა. ძალიან დიდი პრობლემები შემექმნა სამშობიაროდან ბავშვის გამოყვანისას. თანხის გადახდაც მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ჩემი მშობიარობა ათასი ლარი დაგვიჯდა, მაშინ, როცა ყველა სხვა მშობიარე ქალი მხოლოდ სამას ლარს იხდიდა, რადგან, მათ დაფინანსება ჰქონდათ, ჩემზე კი მსგავსი არაფერი მოქმედებს. რატომ უნდა ვისჯებოდე მე ვილაცის სისულელისა და შეცდომის გამო?! ამ ოთხი წლის განმავლობაში ყველაფერზე ვწვალობ. კარგად ვცეკვავდი და კარგ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, იმის გამო, რომ პირადი ნომერი არ გამაჩნდა, ვერ გავაგრძელე. საზღვრის გადაკვეთაც რომ მინდოდეს, ვერ შევძლებ. როცა გავთხოვდი, მე და ჩემმა მეუღლემ ოფიციალურად ხელის მოწერა ვერ მოვახერხეთ, მხოლოდ ჯვარი გვაქვს დაწერილი. სასაცილოა, სატრალი რომ არ იყოს. ვილაცის სისულელის გამო მე დავისაჯე.



ბავშვს ვერც აცრებს ვუკეთებ – უკვე ექვსი თვის ხდება და არცერთი აცრა არ აქვს გაკეთებული

**– პატარა შვილი გყავს და, ალბათ, მასთან დაკავშირებითაც გექმნება პრობლემები?**

– დიახ, ბავშვი აღრიცხვაზე ვერ ამყავს. ცუდად ყოფნისგან ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ, პედიატრთან ყოველი ვიზიტისას თანხის გადახდა მიწევს, როცა ჩვილი ბავშვებისთვის ყველაფერი უფასოა. მე ყოველთვის ყველაფერში ფულს ვიხდი და ეს ყველაფერი საკმაოდ ძვირი მიჯდება. ბავშვს ვერც აცრებს ვუკეთებ – უკვე ექვსი თვის ხდება და არცერთი აცრა არ აქვს გაკეთებული. მათი პრობლემა ის არის, რომ შეცდომით მითითებულ სქესს ვერ ასწორებენ – მაგის უფლება ჩვენ არ გვაქვსო. მათ თუ არ აქვთ ამის უფლება, მე საერთოდ ვერაფერს ვერ ვაკეთებ. ფაქტობრივად, არ ვარსებობ. სამშობიაროში რომ მიმიყვანეს, პატრული გამოიძახეს. – იქნებ ის დაგვეხმაროსო, რადგან, პირადი ნომერი არ მქონდა. მონაცემთა ბაზაში შევიდნენ, ჩემი სახელი და გვარი მიუთითეს და ნახეს, რომ, ფაქტობრივად, არ ვარსებობ. პატრულის თანამშრომელი „მეღადავა" – შენ რომ ბანკი გაიტანო და რამე საშინელება გააკეთო, ვერავინ გიპოვისო.

> **ფაქტობრივად, არ ვარსებობ. პატრულის თანამშრომელი „მეღადავა": შენ რომ ბანკი გაიტანო და რამე საშინელება გააკეთო, ვერავინ გიპოვისო**

**– იმ სამშობიაროსთან დაკავშირება არ გიცდია, სადაც დაიბადე?**

– პირდაპირ იუსტიციის სამინისტროში მივედი, რადგან პირადობაც აქ უნდა ამეღო. თან, მითხრეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სწორედ აქ უნდა გამეკეთებინა განაცხადი. შემდეგ დედაჩემი ოთხჯერ გაგზავნეს ზუგდიდში სამშობიაროდან ამონაწერის წამოსაღებად, მაგრამ ის სამშობიარო დამწვარი დახვდა, არქივი განადგურებულია და არანაირი საბუთი აღარ არსებობს. რადგან ასეა, გამოდის, რომ მე არაფერი მეშველება. ერთადერთი გამოსავალი არის სასამართლო და მეც ველოდები მის გადაწყვეტილებას.

**ანა ჭაია** ***(ხატია ვოლნისტის უფლებების დამცველი, თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კლინიკის სტუდენტი):*** ხატიას საქმე სასამართლო წარმოებაში უკვე მიღებულია. იმედი გვაქვს, მოსამართლე გაითვალისწინებს პრობლემის სპეციფიკას და რაც შეიძლება მოკლე ვადაში მოხდება განხილვა. ერთადერთი, ვისაც ამ პრობლემის სასამართლოს გარეშე მოგვარება შეუძლია, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა ის ამას არ აკეთებს და ხარვეზს არ ასწორებს. თუ გაასწორებენ, მაშინ სამართალწარმოება საჭირო აღარ იქნება. ხატიამ საერთოდ რომ არ წარადგინოს მტკიცებულება, ბავშვიც რომ არ ჰყავდეს გაჩენილი, ისიც დადგენილია, რომ ადამიანი არის ერთი სქესის და საბუთში უწერია მეორე, ამ შეცდომის გამოსწორება დამატებითი კვლევის გარეშეც შესაძლებელია, მთავარია, დოკუმენტში რეალური ფაქტი იყოს ასახული; ხატია კი, გარდა იმისა, რომ დაბადებიდან მდედრობითი სქესისაა, რამდენიმე თვის წინ ბუნებრივი გზით გახდა დედა, და ლოგიკურია, რომ, ადამიანი, რომელმაც იმშობიარა, კაცი ვერ იქნება. პროცედურულად, დაბადების მოწმობაში იმას არეგისტრირებენ, რასაც აწვდიან სამედიცინო პუნქტიდან. მაგრამ, თუ მოხდა შეცდომა – მარეგისტრირებელმა რეალობასთან შეუფერებელი ინფორმაცია მიიღო და აღარ არსებობს ამ ინფორმაციის გამცემი: სავადმყოფო, არქივი ან ადამიანი, ვინც ეს წერილი გაგზავნა, ერთადერთი, ვისაც შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება, თავად მარეგისტრირებელია. მარეგისტრირებელი კი გვეუბნება, რომ, სანამ არ ექნება სამედიცინო ცნობა, მანამდე ამ ხარვეზს არ გაასწორებს. არადა, ამის გარეშეც ყველაფერი ცხადია, თუმცა, ხატია არაა უარზე, რომ საავადმყოფომ ჩაატაროს დამატებითი წარმოება – ის უპრობლემოდ მიიღებს ამაში მონაწილეობას, მისთვის მთავარია დროული შედეგი, მაგრამ, ესეც არ გააკეთეს.

**ქეთი კაპანაძე**

## ორშაბათი 25 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.40** "პირადი ექიმი" **11.00, 02.20** "სამოთხის ვაშლები" **12.40, 03.20** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ."**ადვოკატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "გამომძიებელი რეპორტიორი" **22.30** "არენა" **00.00** მხ/ფ "**მამაჩემის ექვსი ცოლი**".

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**ოლივერ ტვისტი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი" 12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა" 19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45,** ქრონიკა **10.05** სერ. "**კარმა**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**შურისძიება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** მხ/ფ "**წითელი განთიადი**" **00.00** მხ/ფ "**ორეული**" **01.55** მხ/ფ "**ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა**".

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.10** მხ/ფ "**ენი ნწვანე სახურავების მამულიდან** " VI სერ. **07.45** თვენი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ცეროდენა რაინდები**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** სპექტაკლი "**შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი**" **17.05** დეკორატიული ფლორა "კავკასიური სოჭი" **17.20** დოკ. ფილმი "დღესასწაული" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დოკ. ფილმი "აწყურის ღვთისმშობლის ხატის მსვლელობა საქართველოში" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ამბიონი **22.25** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-წალკა **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ.ფილმი **00.25** სათავეებთან-გიორგი ლეონიძე **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 26 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ."**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" – "შავლეგო" **15.00** ტ/სერ."**ადვოკატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** 26 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი **23.00** მხ/ფ "**აფრიკიდან**" (მ.სტრიპი) **01.40** მხ/ფ "**არჩევანი**" (ჯ.სკოტი).

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**ოლივერ ტვისტი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი" 12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა" 19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **22.50 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00,** ქრონიკა **10.05** სერ. "**კარმა**" **11.20** ეკა ხოფერიას თოქ შოუ – ინტერვიუ პატრიარქთან **13.00** ქრონიკის სპეციალური გამოშვება **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**შურისძიება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ერთი ერთში **00.00** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" 7 სერ. **02.10** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**".

**06.10** მუს.პაუზა **06.20** სპექტაკლი **შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" 07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-წალკა **10.55** დოკ. ფილმი "დღესასწაული" **11.30** ამბიონი **11.40** ღვთის სახლი **12.10** დოკ. ფილმი "აწყურის ღვთისმშობლის ხატის მსვლელობა საქართველოში" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.15** სათავეებთან-გიორგი ლეონიძე **17.00** მგზავრები წუთისოფლისა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თვენი "ღირსი მამა ექვთიმე ათონელი" **19.50** მუს.პაუზა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფილ. **00.30** "ერთსულოვნების" სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 35-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**25 – 31 მაისი**

*დარბაზი 1*

11.30, 14.15, 17.00, 19.45, 22.30 - **„მომავლის სამყარო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 2*

14.00 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 20.00, 22.00 - **„შემთხვევითი პაემნები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

18.00 - **„ყარასტანში დაკარგული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„სახლი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

14.15 - **„ბეკეკა შონი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.45 - **„სასურველი საქმრო"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19.15 - **„შეშლილი მაქსი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.15 - **„შურისმაძიებლები: ალტრონის ერა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.30, 15.45, 19.30, 22.30 - **„შეშლილი მაქსი"** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.00 - **„ბეკეკა შონი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

14.30, 17.30, 20.15, 22.30 - **„ადელაინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.30, 15.30, 22.15 - **„მომავლის სამყარო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

19.30 - **„ადელაინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი.*

*დარბაზი 2*

12.00 - **„შურისმაძიებლები: ალტრონის ერა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

15.00 - **„შემთხვევითი პაემნები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.15, 22.30 - **„შეშლილი მაქსი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19.45 - **„მომავლის სამყარო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.30, 15.15 - **„ბეკეკა შონი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

17.30 - **„ადელაინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი.*

20.00 - **„შეშლილი მაქსი"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.30 - **„ადელაინი"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

გურმანთა მეგზური

# ფრიკადელები





**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ხორცის ფარში (შერეული, ღორისა და საქონლის), წიწაკა ჩილი, მწიკვი დარიჩინი, ცოტა მუსკატის კაკალი (დაფქული), 2 კბილი ნიორი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, 1 ცალი კვერცხი, 100 გრამი გახეხილი ყველი პარმეზანი, ნახევარი ლიმონის ცედრა.

**სოუსისთვის:** 4 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 კბილი ნიორი, 1 ტოტი ქონდარი, 1 ცალი პატარა წიწაკა, 1 ქილა (400 გრამი) პომიდორი თავისივე წვენში, 1 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მოამზადეთ ლიმონის ცედრა, დააქუცმაცეთ ჩილი და ნიორი, ძალიან წვრილად დაჭერით ქონდარი. ფარშში შეურიეთ გახეხილი ყველი, კვერცხი, ლიმონის ცედრა, ნიორი, ჩილი, ქონდარი, დარიჩინი, მუსკატის კაკალი, შავი პილპილი და მარილი. ეს ყველაფერი კარგად ამოურიეთ და მიღებული მასისგან გააკეთეთ პატარა, მკვრივი ბურთულები (ხელები დაისველეთ ცივ წყალში და ისე). დააწყვეთ ლანგარზე და მოათავსეთ მაცივარში, სანამ სოუსი მომზადდება.

სოუსისთვის დააქუცმაცეთ ნიორი, სქელძირა ქვაბში ჩაასხით ზეითუნის ზეთი, მოშუშეთ მასში ნიორი, ცოტა ქონდარი და ჩილი. ჩაუმატეთ პომიდორი (თავის წვნიანად) და ძმარი. უყავით შავი პილპილი და მარილი. ეს ნაზავი მიიყვანეთ ადუღებამდე, დაუკელით ცეცხლს და შუშეთ თავდახურულ მდგომარეობაში. ცალკე ტაფაზე გააცხელეთ ზეთი. შებრაწეთ მასზე „ფრიკადელები" – ხორცის ბურთულები (ყველა მხრიდან). ცხელივე ჩააწყვეთ პომიდვრის სოუსში და შუშეთ 10-15 წუთი. თავდახურულ მდგომარეობაში. ბოლოს დაუმატეთ ქონდარი. გარნირად ძალიან უხდება მაკარონი „ლაფშა," ბრინჯი ან პიურე.

# სადღესასწაულო რულეტი





**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი თხელი ლავაში, მაიონეზი, 1 კონა ოხრახუში, 400 გრამი ქამა სოკო, ცოტა კარაქი, 350-400 გრამი ყველი, ცოტა კამა.

**მომზადების წესი:** ძალიან ადვილია და სწრაფად მზადდება, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. სტუმართან თავს მოიწონებთ, ისეთი გემრიელია. ერთ თხელ ლავაშს წაtუსვით მაიონეზი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, დაადეთ მეორე ლავაში, ისევ წაუსვით მაიონეზი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი და კარაქში მოშუშული სოკო... დააფარეთ მესამე ლავაში, ამასაც წაუსვით მაიონეზი, მოაყარეთ გახეხილი ყველი. გადაახვიეთ ფრთხილად, როგორც რულეტი და 1 საათით მოათავსეთ მაცივარში. გამოიღეთ, დაჭერით და მიირთვით. შეგიძლიათ, ზემოდან კამითაც მორთოთ.

# ფარშირებული კვერცხი





**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი კვერცხი, 250 გრამი შებოლილი სკუმბრია (ნაკლებად მარილიანი), 50 გრამი კარაქი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, მწვანე სალათის ფოთლები, კამა და პომიდორი – მოსართავად.

**მომზადების წესი:** კვერცხი მაგრად მოხარშეთ, გააციეთ, გაფცქვენით და შუაზე გაჭერით. თევზი აქციეთ ფილედ – მოაშორეთ ხერხემალი და ფხები (ფილეს ერთი ნახევარი შეინახეთ მოსართავად).

კვერცხებიდან ამოიღეთ გულები და მოათავსეთ ბლენდერში, დაუმატეთ თევზის ფილე, დარბილებული კარაქი, მდოგვი და დააბლენდერეთ. მიღებული პაშტეტი მოათავსეთ საკონდიტრო შპრიცში და ამოავსეთ კვერცხის ცილები. დააწყვეთ სალათის ფოთლებზე, მორთეთ დაფხვნილი კვერცხის გულით, კამითა და შუაში გაჭრილი პატარა პომიდვრებით.

# ბებოს ფუნთუშები





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ქილა შესქელებული რძე („სგუშჩონკა”), 3 ცალი კვერცხი, 500 გრამი ფქვილი, 1 ჩაის კოვზი ცომის გამაფხვიერებელი, 0,5 ჭიქა შაქრის პუდრი, ზეთი.

**მომზადების წესი:** ერთმანეთს კარგად შეურიეთ შესქელებული რძე და კვერცხი – ურიეთ, სანამ ერთგვაროვან მასას მიიღებთ. ფქვილში შეურიეთ გამაფხვიერებელი და ნელ-ნელა შეაზილეთ შესქელებულ რძეს. ცომი ძალიან ელასტიკური უნდა იყოს და თითებზე არ უნდა ეკრობოდეს. თუ საჭირო იქნება, შეგიძლიათ, ცოტა ფქვილი დაუმატოთ. ამ ცომისგან გააკეთეთ მომცრო ზომის ბურთულები, ხელისგულით ოდნავ გააბრტყელეთ და შუაგულში თითო ნახვრეტი გაუკეთეთ. გამოაცხვეთ დიდი რაოდენობის ძალიან ცხელ ზეთში. მზა ფუნთუშები ამოალაგეთ ლანგარზე, რომელზეც ქაღალდის ხელსახოცს დააფენთ. რომ გაცივდება, შაქრის პუდრი მოაყარეთ.



# ღორის ხორცი ლუდის სოუსში ზალიკო სულაკაურისგან



*ძალიან მიყვარს მეგრულ-ჩინურ-ინდური სამზარეულო. ძირითადად, ხორცეულ კერძებს ვანიჭებ უპირატესობას და თანაც, ცხარეს. ვგიჟდები ხინკალსა და მწვადზე. თუმცა, მიუხედავად გურმანობისა, ცუდი მზარეული ვარ და არ მეხერხება საჭმლის კეთება. ძალიან მიყვარს ლუდი და ხორცი. ამიტომ, შემოგთავაზებთ ღორის ხორცს ლუდის სოუსში, რომელიც ცხარეცაა, გემრიელიც და ნამდვილი მამაკაცური საჭმელი.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი სტაფილო, 2 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 მსხვილი ღერო ნიახური, 4 ნაჭერი ღორის ხორცი თავისი ძვლით, 1 სადილის კოვზი ძირა, 2 სადილის კოვზი ერბო, 400 მილილიტრი მუქი ლუდი, 2 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ნიორი დაკეპეთ. სტაფილო თხლად დაჭერით. ხახვი სიგრძეზე დაჭერით და ნიახური კი მსხვილად დაჭერით. ხორცი გარეცხეთ, შეამშრალეთ, მოაყარეთ ძირა, მარილი და პილპილი. ტაფაზე გააცხელეთ ერბო და ხორცის ნაჭრები ორივე მხრიდან შეწვით. დაუმატეთ ბოსტნეული და 1-2 წუთი შუშეთ, შემდეგ დაასხით ლუდი, დაახურეთ სახურავი და 20 წუთის განმავლობაში, საშუალო ცეცხლზე შუშეთ. ხორცის ნაჭრები ამოიღეთ ტაფიდან, დარჩენილი სოუსი ცოტა ხანი ადუღეთ და შემდეგ მოასხით ხორცის ნაჭრებს. ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ღვიძლი ვენეციურად



**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ხბოს ღვიძლი, 150 გრამი ფქვილი, 100 გრამი ყველი, 200 მილილიტრი 22-პროცენტიანი ნაღები, ნახევარი ჩაის ჭიქა თეთრი ღვინო, 3 თავი ხახვი, კარაქი და ზეთი – შესაწვავად, მარილი, შავი პილპილი, რეჰანი და შაშკვლავი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით თხელ ნახევარწრეებად და შეწვით კარაქისა და ზეთის ნარევში, ცხელ ტაფაზე. მოგრძო, თხელ ნაჭრებად დაჭრილი ღვიძლი ამოავლეთ ფქვილის, მარილისა და პილპილის ნაზავში და შეწვით ხახვთან ერთად 7 წუთის განმავლობაში, მაღალ ცეცხლზე, დაუმატეთ ნახევარი ჭიქა ღვინო და დატოვეთ ცეცხლზე ღვინის ამოშრობამდე. შემდეგ დაასხით ათქვეფილი ნაღები და გააჩერეთ 3 წუთი, თან მუდმივად ურიეთ. ბოლოს მოაყარეთ გახეხილი ყველი, 2 წუთით დაახურეთ თავსახური და გადმოდგით ცეცხლიდან. მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი.

# თევზის წვნიანი ბოსტნეულით

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ლიტრი თევზის ბულიონი, 4 ცალი მსხვილად დაჭრილი სტაფილო, 1 კონა წვრილად დაჭრილი ნიახური, ნახევარი კონა წვრილად დაჭრილი ოხრახუში, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 250 მილილიტრი სქელი ნაღები, 2 სადილის კოვზი შაქარი, 60 მილილიტრი წითელი ღვინის ძმარი, 120 მილილიტრი საქონლის ბულიონი, 700 გრამი დაჭრილი სხვადასხვა თევზის ფილე, 3 კვერცხის გული, 200 მილილიტრი არაჟანი, მარილი, პილპილი და შაქარი – გემოვნებით. წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი – მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** თევზის ბულიონი წამოადუღეთ, დაუმატეთ ბოსტნეული და რამდენიმე წუთი კიდევ ადუღეთ. ფქვილი გახსენით ნაღებში და შეურიეთ ბულიონს. როცა ადუღდება, დაუმატეთ ძმარი და შაქარი ისე, რომ მსუბუქი, მომჟავო-მოტკბო გემო ჰქონდეს. დაუმატეთ მწვანილი, მარილი, პილპილი და საქონლის ბულიონი; ბოლოს თევზის ნაჭრები და 10 წუთი ადუღეთ. ცალკე მსუბუქად ათქვიფეთ კვერცხის გულები და არაჟანი და სუფრაზე მიტანის წინ თითოეულ ულუფას თითო სადილის კოვზი სოუსი მოასხით, ზემოდან მწვანე ხახვი მოაყარეთ.





## სამშვენისი სამზარეულოსთვის

ძალიან ლამაზი და სასარგებლო აქსესუარის გაკეთებას გასწავლით. ის ძალიან მოუხდება თქვენს სამზარეულოს და ორიგინალური, თუმცა უსარგებლო ბოთლებისგანაც განტვირთავს მას. დააკვირდით სურათებს. ხილფაფები და წვენები ძალიან ლამაზ მინის ჭურჭელშია ხოლმე ჩასხმული, რომელთა გადაყრაც გვენანება. ჩაასხით მათში სპირტი, შემდეგ კი, თქვენი ფანტაზიითა და იმ „ინგრედიენტებით,“ რომლებიც სახლში მოგეპოვებათ, აი, ასეთი „მიქსები“ გააკეთეთ.

შეგიძლიათ, ჯერ ინგრედიენტები მოათავსოთ ჭურჭელში და სპირტი მერე დაასხათ. გამოგადგებათ ყველაფერი: ხმელი ყვავილები და მცენარეთა ფესვებიც კი... ბოლოს თავსახური მაგრად მოუჭირეთ და ისიც გააფორმეთ ბაფთებით ან ქაღალდისგან გამოჭრილი მაქმანებით.



## ფანქრების, კალმების სახლი

ფანქრები, ფლომასტერები და კალმები უწესრიგოდ რომ არ ეყაროს, გაუკეთეთ მას „სახლი“. მოაგროვეთ ტუალეტის ქაღალდის ცარიელი „მილაკები“, – რაზეც ქაღალდია დახვეული. აიღეთ ჩვეულებრივი ყუთი, გნებავთ, ფეხსაცმლის და ლამაზი ქაღალდით შეფუთეთ. შიგნით მჭიდროდ ჩააწყვეთ „მილაკები“ და „სახლიც“ მზად არის. მათში უკვე თანაბრად ჩააწყობთ ფანქრებსა და კალმებს. ეს ნივთი სახლშიც გამოგადგებათ და სამსახურშიც.

* შემწვარი ფრინველის კანი გემრიელი და ტკაცუნა რომ იყოს, შეწვის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ფუნჯით წაუსვით გაყინული მარილიანი წყალი.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 27 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ."**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** მხ/ფ "**ყოვლისშემძლე ევანი**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვე-ბის თამაში" **21.00** ტ/სერ."**ადვოკატები**" **22.00** მხ/ფ "**დახეული ფარდა**" **01.10** მხ/ფ "**გიგანტური**".

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწე-რა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** "ნანუკას შოუ" **23.55** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**ოლივერ ტვისტი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი"** **12.30, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.30** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **1.00 სერიალი "წარსულის ნაიარევი"**.

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00,** ქრონიკა **10.05** სერ. "**კარმა**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**შურისძიება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" **8** სერ. **02.10** მხ/ფ "**გატეხილი ისარი**".

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.20** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.25** დოკ.ფილ. "ბილიკე-ბის ენა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქვიშით ნაამბობი **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** ღია აუდიტო-რია **13.00** დოკ.ფილ. **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.20** დოკ.ფილ. "დავით გარეჯი" I ნაწ **16.50** კვირიაკე **17.45** საქართველოს სამართლის ისტორია **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტე-ბანი **19.20** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" I ნაწ **20.30** დოკ. ფილმი "ღირსი მამა დოდო გარეჯელი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი "ნუნუ ქიქოძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილმი **00.30** დოკ. ფილ. **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 28 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **10.15, 03.30** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ."**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ."**ადვოკატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.40** "უცნობი მუსიკა" **01.10** მხ/ფ "**ჰანიბალი**".

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწე-რა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ. მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**ოლივერ ტვისტი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი"** **12.30, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "თა-ნაგრძნობა"** **18.30** "ბიზნესკონტაქტი" **19.00 სერიალი "ქორ-წინება ანდერძით"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** გადაცე-მა"IZOS-ანალიზი" **22.50 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.00** გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" **1.30 სერიალი "წარსულის ნაიარევი"**.

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00,** ქრონიკა **10.05** სერ. "**კარმა**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**შურისძიება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** სერ. "**სიყვა-რულის სეზონი**" **9** სერ. **02.10** მხ/ფ "**უბრალო ფორმალობა**" (ჟ.დეპარდიე).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** "ერთსულოვნე-ბის" სალონი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ივერიის ეკლესია" **11.00** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" I ნაწ **13.15** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **13.30** "შუადღე"ერთსუ-ლოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.50** მწვანე არქიტექტურა **16.30** კონცერტი "ედი-შერ სავიცკი" **17.35** თვენი "ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" ნინო სურგულაძე II ნაწ **19.55** მოკ/ფ "**არაჩვეულებრივი რეისი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მედია ოკუპირებულ ტერიტორიაზე **22.00** სიახლენი **22.25** კარაბადინი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილ. **00.30** დიდ ხარ შენ უფალო **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 29 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.50** "პირადი ექიმი" **11.00, 02.30** "სამოთხის ვაშლები" **12.40, 03.30** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ."**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ."**ადვოკატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **16.55** **ფეხბურთი**. **19** წლამდელთა ასაკის ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდი: **საქართველო – ესპანეთი** **18.50** დ/ფ "არქიტექტუ-რა" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **00.00** მხ/ფ "**ჩემი ადგილი მზის ქვეშ**".

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწე-რა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **40** (სეზ.**7** **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**ოლივერ ტვისტი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი"** **12.30, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "მონიტორი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **18.30** გადაცემა "ბიზნესკონტაქტი" **19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30**

**სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.30 გადაცემა"IZOS-ანალიზი" 1.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**.

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ივნისის ღამე"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"შურისძიება"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 რეაქცია 00.00 სერ. **"სიყვარულის სეზონი"** 10 სერ. 02.10 მხ/ფ **"რემბო 4"**.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ.ფილ. "დავით გარეჯი" I ნაწ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.20 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი 11.25 კარაბადინი 12.10 პორტრეტები 13.05 მხ/ფ **"არსენას ლექსი"** II ნაწ 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 დოკ.ფილმი "დავით გარეჯი" II ნაწ 17.30 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი ) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ჭუჭუნას მზითები"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "ნანო კვინიტაძე" 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოშიდავით გარეჯი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თვენი "ღირსი მამა დავით გარეჯელი" 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 30 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 ან/ფ "მეკობრეები" რომლებიც არაფერს არ აკეთებენ" 10.00 მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – **"როგორც გვნებოთ"** 14.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 15.00, 21.00 ტ/სერ.**"ადვოკატები"** 16.30 "გურმანია" 17.00 "ჩვენი ეზო" 17.30 დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" 18.00 ქართ მხ/ფ **"ქალის ტვირთი"** 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"თარგმანში დაკარგულნი"** 01.50 მხ/ფ **"აგნოზია"** (ე.ნორეგა).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 მოგზაურობა გ.გაბუნიასთან 14.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 15.30 X-ფაქტორი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 კურიერი 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 41 (სეზ.7) 23.50 რა? სად? როდის? 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი"** 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 17.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00 **სერიალი "ქორწინება ანდერძით"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 მხ/ფ **"თავისუფლებისთვის შობილნი"**.

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 2 სერ. 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.00 მხ/ფ **"ოჯახური გეგმა"** 11.15 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"შურისძიება"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 სერ. **"სიყვარულის სეზონი"** 01.30 მხ/ფ **"რედი"**) 03.30 ფარული კამერა 06.00 მხ/ფ **"რემბო 4"**.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.20 თბილისის ტაძრები 06.40 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "ჩვენი საგანძური" (ჩვენი ფონდი). გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ. ფილმი "საგუშაგო კოშკი" 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** 13.25 მედია ოკუპირებულ ტერიტორიაზე 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ.ფილმი 15.40 დოკ. ფილმი "ფუტკრის დუმილი" 16.25 კონცერტი 17.35 კვირ. სიუჟ 18.10 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მწვანე არქიტექტურა 00.05 დროის ჩანაწერები 00.55 საუფლონი "სულითა და ცეცხლითა"-სულთმოფენობა (მ.კასრაძე) 01.45 მხ/ფ **"ზოცვერების მესერი"**.

## კვირა 31 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 ან/ფ "ერნესტი და სელესტინი" 10.00 მხ/ფ **"დიდი მსუქანი მატყუარა"** 11.00 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 "ქართული ჯარი" 13.30 "ვაშინგტონი დღეს" 14.00 მხ/ფ **"ბარეუბანი"** (ტ.ჰენკსი) 15.00, 21.00 ტ/სერ.**"ადვოკატები"** 16.30 "გურმანია" 16.55 **ფეხბურთი**. 19 წლამდელთა ასაკის ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდი: **საქართველო – პორტუგალია** 19.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 19.30 "ეს საქართველოა" 20.30 "ტელებლოგი" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 კონცერტი: მანანა მენაბდე 00.30 მხ/ფ **"სინანული"** (კ.ნაიტლი) 02.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 03.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ 10.30 სახლი 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 42 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 11.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი"** 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 **სერიალი "თანაგრძნობა"** 18.30 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 19.00 **სერიალი "ქორწინება ანდერძით"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 3 სერ. 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.00 მხ/ფ **"ჯორჯი და გველეშაპი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.30 იმედის გმირები 14.50 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.25 ერთხელ საქართველოში 17.30 ერთი ერთში 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 სერ. **"სიყვარულის სეზონი"** 01.30 მხ/ფ **"ჩამჭრები"** 03.30 ფარული კამერა.

06.10 მუს.პაუზა 06.20 მედია ოკუპირებულ ტერიტორიაზე 06.40 სულთმოფენობა 06.50 მწვანე არქიტექტურა 07.30 მულტ.ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან"** VII სერ. 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მულტ.ფილმი ქართული 15.40 მუს.პაუზა 15.55 "ერთსულოვნების" სალონი 16.45 ეპოქის სახელები 17.15 წიგნიერების გაკვეთილები 17.45 საუფლონი "სულთმოფენობა" (რ. ძნელაძე) 18.30 დროის ჩანაწერები 19.50 დოკ. ფილმი 20.15 საუფლონი "სულითა და ცეცხლითა"-სულთმოფენობა (მ.კასრაძე) 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საქართველოს სამართლის ისტორია 23.20 დოკ. ფილმი "წელიწადის დრონი" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"დიდი ვალსი"**.

# როგორ დავიცვათ თავი გარემოს უარყოფითი ფაქტორებისგან და გადადის თუ არა დაზიანებული ბიოველი მემკვიდრეობით

ყველა ადამიანს უხილავი ენერგოინფორმაციული ველი აკრავს გარს, რომელიც მას სამყაროს უარყოფითი ძალებისგან იცავს და კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება. ეს ველი, თვალით უხილავია და იცავს ადამიანს გარე ძალების არასასურველი ჩარევისგან. სუფთა და უბოროტო ადამიანის ბიოველის გარღვევა და დაზიანება ძალიან რთულია. შესაბამისად, ასეთი ადამიანები მეტად დაცულნი არიან გარე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისგან. მათ ბიოველში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა რთულია. ზოგადად კი, ბიოველის დარღვევა და დეფორმირება იწვევს ისეთ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ასევე, ბიოველი შთამომავლობით გადაეცემა, ანუ დარღვევები შთამომავლობით, შვილებსა და შვილიშვილებზე გადადის და ეს გადაცემა ენერგეტიკულ დონეზე ხდება.

დადებითი ემოციები ზრდის ბიოველს. მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ექცევა სხვისი ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ – იღებს თვალს, მისი აურა თანდათან დეფორმირდება, ირღვევა და სასიცოცხლო ენერგია კოსმოსში გაედინება. ენერგიის გაცვლა-გამოცვლა ბუნების დაუწერელი კანონია და ნებისმიერი ენერგეტიკული გამონატყორცნი – დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ყოველთვის თავის უპირველეს წყაროს უბრუნდება. რწმენა, სიყვარული, იმედი და სიხარული – ადამიანებს ენერგეტიკულად აძლიერებს, ხოლო უიმედობა, შიში, დეპრესია, შური და ეჭვიანობა – ენერგიას აკარგვინებს და ბიოველს უსუსტებს.

ტექნიკა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ, მობილური ტელეფონი იქნება ეს, ტელევიზორი თუ კომპიუტერი, ჩვენს აურას საგრძნობლად ასუსტებს. ამის გამო უამრავი დაავადება იჩენს თავს, რომელიც ბიოველის დასუსტებით არის გამოწვეული. ასეთი უარყოფითი ენერგიებისგან გაწმენდა კი აუცილებელია. ამისთვის, არსებობს მეთოდი, რომელიც დროდადრო უნდა გამოიყენოთ და ამით გაწმინდოთ ბინის ბიოველი. კლებადი მთვარის პერიოდში, ღამით, გააღეთ ფანჯრები, საიდანაც ბინაში შემოვა სუფთა ჰაერი და მას კოსმოსიდან შემოჰყვება მილეული მთვარის ენერგია, რომელიც ბინის აურაზე დადებითად მოქმედებს.

რაც შეეხება ადამიანის აურას, მთავარია, იზრუნოთ, რომ ის არ დაზიანდეს და არ დეფორმირდეს. ამისთვის კი გირჩევთ, არ ჩაიდოთ გულში ბოღმა და შური. იყავით ოპტიმისტი, შეინარჩუნეთ სტაბილურობა და ასე დაეხმარეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

ასევე, ორგანიზმის ბიოენერგიის სტაბილურობასა და კონტროლში დაგეხმარებათ ავგაროზები და თილისმები. მათი მაგიური ძალა ნებისმიერ ადამიანზე ერთნაირად მოქმედებს. თილისმას ზოგი სახლის კარზე კიდებს, ზოგი სამკაულად ატარებს, ზოგს კი მანქანის სარკეზე აქვს დაკიდებული. ავგაროზისგან განსხვავებით თილისმას სხვა თვისებები აქვს. თილისმად შეიძლება იქცეს ნებისმიერი ნივთი, თუ გრძნობთ, რომ მას თქვენთვის ბედნიერება და წარმატება მოაქვს. ავგაროზისა და თილისმის საიდუმლო ძალა მათი ძლიერების რწმენას უკავშირდება. მათში ჩადებულია უდიდესი ფასეულობა, კერძოდ, ავგაროზში – ადამიანის ძალა და ნებისყოფა, თილისმაში კი – კონკრეტული აზრები, ემოციები და გრძნობები. ეს ნივთები გვახსენებს, რომ მათთან ახლოს ყოფნისას ჩვენ უფრო ენერგიულები და იმპულსურები ვართ. ასევე, საყვარელი ნივთების ტარება და მათთან სიახლოვე ადამიანს თავდაჯერებულობასა და უსაფრთხოებას ანიჭებს.



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2005 წლის 24 ნოემბერს. რა არის მისი კარმული მისია, რომელ სფეროში ექნება წარმატება და რომელი ასტროლოგიური ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს დაუკავშიროს ბედი, რომ ამ მხრივ სრულ ჰარმონიას მიაღწიოს?**

**პასუხი**: თქვენი შვილისთვის მისაღები პარტნიორი ასტროლოგიურად არის მორიელის, ლომის, სასწორის, მერწყულისა და ვერძის ნიშნები. ცოტა ფრთხილად იყოს მშვილდოსნის ზოდიაქოს ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. მისი კოსმიური მისია უკავშირდება საუკეთესო თვისებების გამოვლენას. უნდა იყოს აქტიური, ინიციატივიანი, ენერგიული, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებებით. უნდა დაეყრდნოს ოპტიმიზმს, კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, იმავდროულად, წარმოაჩინოს მიზანსწრაფვა, მოთმინება, შრომისუნარიანობა, ნებისყოფა. ისწავლოს ფულის ყაირათიანად ხარჯვა და გადანაწილება. იყოს ფრთხილი, წინდახედული, ერთგული, გარშემოც ერთგული ადამიანები შემოიკრიბოს, მაქსიმალურად დაასტაბილუროს ურთიერთობები. რაც შეეხება წარმატების მომტან პროფესიებს, ასეთებია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსოს ფართო სპექტრი, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მშენებლობის ფართო სპექტრი, სოციოლოგია, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, საკონსტრუქტორო-საგამომგონებლო საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ვიდეო, მობილური სისტემები, საინჟინრო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, ქორეოგრაფია.

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 1979 წლის 8 მაისს. ამჟამად იმყოფება ლონდონში. ექნება წარმატება ამ ქვეყანაში?**

**პასუხი**: უცხოეთი მისთვის საშუალოა. ინგლისი ცუდი ნამდვილად არ არის. უნდა გამოავლინოს მეტი შრომის უნარი და დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები. ეს მისთვის კარგი იქნება. ვურჩევ, ინგლისის დასავლეთ მხარეში გადანაცვლებას. იქ მეტი წარმატების შანსი აქვს.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 11 ივლისს. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისიაა, ხასიათში გამოავლინოთ საუკეთესო თვისებები, იყოთ მეტად დისციპლინირებული, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველი. საქმე აკეთეთ მეტი გულისყურით, გამოავლინეთ მარტოხელა მებრძოლის თვისება, იყავით დამოუკიდებელი. მიუდექით ნებისმიერ საქმეს სერიოზულად და პასუხისმგებლობით. ამასთან, იყავით დემოკრატი და სხვებსაც მიეცით თავისუფლად აზრის გამოთქმისა და მოქმედების უფლება. ისწავლეთ ინტუიციაზე დაყრდნობა, დიპლომატიის გამოვლენა, სადაც საჭიროა – არასტანდარტული მოქმედება, სპონტანური იმპროვიზაცია. უნდა შეგეძლოთ, უანგარობაზე ააგოთ ურთიერთობები.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

### ვერძი



გაიზრდება თქვენი აქტიურობა და მომხიბვლელობა. ადვილად დაამყარებთ კავშირებს. საინტერესო გახდება თქვენი ცხოვრება. იყავით მეტად შრომისუნარიანი. უფრო ჰარმონიული გახდება საოჯახო და სასიყვარულო კავშირებიც. გაიზრდება გადაადგილებების, კონტაქტებისა და შეხვედრების რაოდენობა.

### კურო



გაიზრდება შემოქმედებითი უნარის რეალიზების სურვილი. კარგია ინტელექტუალური შრომა. ახალი იდეები და ენერგიულობა კი დაგეხმარებათ ცხოვრების გაუმჯობესებაში. საყვარელ ადამიანს უმიზეზოდ ნუ შეეკამათებით.

### ტყუპები



მოგიწევთ ბევრი საქმის ერთდროულად შესრულება. ეცადეთ, გვერდი აუაროთ კრიზისულ სიტუაციებს და ასე დაიცვათ თქვენი კარიერა. ნუ გარისკავთ და არ ეცადოთ გარშემო მყოფების მოტყუება. სასიყვარულო სფეროში მოსალოდნელია ორაზროვანი სიტუაციები.

### კირჩხიბი



მშვიდი იქნებით. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორებთან და ნუ გექნებათ სწრაფი მოგების იმედი. კარგია საურთიერთობო წრის გაფართოება, ძველი კავშირების აღდგენა და ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება. არ არის გამორიცხული, სასიყვარულო პარტნიორი, სწორედ იქ აღმოაჩინოთ, სადაც მუშაობთ.

### ლომი



იმოქმედეთ დამოუკიდებლად და ნუ იქნებით პრეტენზიული. დაიცავით წესები და კანონები. იკლებს მატერიალური პრობლემები და მეტად გახალისდებით. სასიყვარულო და მეგობრულ ურთიერთობებში კი გააზრებულად და პრაქტიკულად იმოქმედეთ.

### ქალწული



მეტად პრაქტიკული გახდებით, რასაც გარშემო მყოფებიც შეამჩნევენ. მოაგვარებთ არაერთ ფინანსურ საკითხს. კარგია განმარტოება. ერიდეთ შემთხვევით ნაცნობობას, განსაკუთრებით – რომანტიკულ სფეროში. იყავით მეტად ყურადღებიანი და ფრთხილი.

### სასწორი



გარშემო მყოფების მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები გაგიჩნდებათ. დაირღვევა ჰარმონია და ურთიერთგაგება. სიყვარულო ურთიერთობა ბევრ გამოცდას მოგიწყობთ. კარგად გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მას ხელს მოაწერთ ან გამოიყენებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

### მორიელი



კარიერულ ზრდაში ინტუიცია და პროფესიონალიზმი დაგეხმარებათ. გააცანით ფართო მასებს თქვენი იდეები. მყარი ფინანსური მდგომარეობის გამო შეძლებთ როგორც პირადი, ასევე საოჯახო სიტუაციის დასტაბილურებას. კარგია საყვარელ ადამიანთან განმარტოება და დასვენება.

### მშვილდოსანი



ხალხთან ურთიერთობისას გააკონტროლეთ ემოციები და არ იკამათოთ. ჩაეძიეთ დეტალებს, სანამ რამეს გადაწყვეტთ. თქვენამდე მოსული ინფორმაცია გამოიყენეთ პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად და მიზნების მისაღწევად. მოერიდეთ კოლეგებთან დაპირისპირებას. საყვარელ ადამიანთან იყავით მომთმენი.

### თხის რქა



უახლოეს მომავალში ბევრი რამ შეიცვლება. თქვენზეა დამოკიდებული, როგორ წარმართავთ პირად ცხოვრებას. მოერიდეთ სპონტანურ მოქმედებებს. კარიერული ცვლილებები დაგავიწყებთ პირად პრობლემებს. მეგობრებთან ურთიერთობა კარგ განწყობაზე დაგაყენებთ. კარგია ხშირი გადაადგილებები და მოგზაურობა.

### მერწყული



საქმიან სფეროში ნებისმიერი წამოწყება ფინანსურ კეთილდღეობას გპირდებათ. მოერიდეთ კოლეგებთან უხეშობასა და კონფლიქტებს. შესაძლოა, ბევრ დათმობაზე წახვიდეთ საყვარელ ადამიანთან. იყავით დამთმობი. მოგზაურობა კი ეცადეთ, წინასწარ და კარგად დაგეგმოთ.

### თევზები



სამსახურში, მიუხედავად სირთულეებისა, მეტად ჰარმონიული და შემოქმედებითი სიტუაცია დამყარდება, რაც მოგცემთ საშუალებას, დაასრულოთ ადრე დაწყებული საქმეები. იყავით გამბედავი და არა მერყევი. ნუ აჩქარდებით პირად ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღებისას. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 16 ივნისი, 14:03 სთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

წინასწარ განუსაზღვრელი ხარჯების დღეა. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახურ ურთიერთობებს, გარეგნობის მოწესრიგებას. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, სარდიონი, ოპალი, მალაქიტი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, თმის შეჭრა. სუსტდება ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ნაწლავთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლა, ინტელექტუალური განვითარება, სამეცნიერო კვლევა, მოგზაურობა. ნუ დატოვებთ ჯანმრთელობას უყურადღებოდ. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი ნაცნობობა. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, ონიქსი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმმრებს. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაცვა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ცდუნებების დღეა. იყავით ფრთხილი და წინდახედული. კარგია მოლაპარაკებები. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, ქრიზოპრაზი ან მალაქიტი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. არ ვარგა გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სამეცნიერო კვლევა, საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, სწავლა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ხუთშაბათი

იყავით ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ ზედმეტ ქმედებებს, უარყოფით ემოციებს. დღეს სწრაფად აღიდგენთ დახარჯულ ენერგიებს. კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, შოპინგი. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

კარგია მოგზაურობა, ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ჩალისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი ან საფირონი. სიზმარი დაიმახსოვრეთ. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, მეგობრული კონტაქტები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, ჩალისფერი, წითელი, მწვანე, ყვითელი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, ოპალი, ქრიზოპრაზი ან ზურმუხტი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. კარგია გართობა, მანქანის შეძენა, თმის შეჭა. მოერიდეთ სადაზღვევო და სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციებთან კონტაქტს. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ყელი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### კვირა

მეტი ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებს. კარგია თვითშემეცნება, წარსულის გააზრება. მოერიდეთ აგრესიას, ეჭვიანობას, ეგოიზმის გამოვლენას, ადგილსამყოფლის შეცვლას, ვალის აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, შავი ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, ამეთვისტო, ზურმუხტი ან ობსიდიანი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს, რადგან დიდი შანსია, ისინი აგიხდეთ. კარგია მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# ნუ იქნები გულჩვილი

**რიჩარდ ტერნერი**



მაკი დიდი ხანია, პოლიციელი იყო და გაქცეული პატიმრის აყვანის ოპერაციაშიც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა. ანუ, ის, რაც იმ დღეს უნდა მომხდარიყო, მისთვის უჩვეულო ან განსაკუთრებული არ გახლდათ, მაგრამ გუნება მაინც მოუშხამა. შობის ღამე იყო და ქუჩაში, მანქანაში ჯდომას, ცოლთან და შვილებთან ყოფნა ერჩივნა... იმ პატიმარს, რომლისთვისაც ჩასაფრება ჰქონდათ მოწყობილი, სამუდამო ჰქონდა მისჯილი. ისიც ადგა და გაიქცა. წარმოუდგენელი რაღაც ჩაიდინა. ისეთი ციხიდან გაიპარა და იმდენი ბადრაგი გააცურა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასე ადვილად ჩავარდებოდა.

მაკიმ ამოიოხრა და გვერდით მჯდომ ახალგაზრდა, ახალბედა პოლიციელს გადახედა. ფიშმანი საღეჭ რეზინს ღეჭავდა და იღიმებოდა. პირველად იყო ასეთ ოპერაციაზე და მოუთმენლად ელოდებოდა სუბიექტის გამოჩენას. მეორე მანქანა ცოტა მოშორებით იდგა. მასში ლეიტენანტი მორტელი და პირველი კატეგორიის გამომძიებელი ტრაშერი ისხდნენ. მაკის მანქანაში ლეიტენანტი დოდიც იჯდა. სწორედ მაკის მანქანა იდგა ყველაზე ახლოს იმ სახლთან, სადაც დასაკავებელი სუბიექტის გამოჩენას ელოდებოდნენ. საქმე ის იყო, რომ ამ სახლში გაქცეული პატიმრის ცოლი და შვილი ცხოვრობდნენ.

მაკი აწრიალდა და საათს დახედა.

– მგონი, სულ ტყუილად ვართ აქ. თორმეტს უკვე ოცი წუთი აკლია. რატომ გგონიათ, რომ ბოგენი ნორმალური ადამიანივით მოიქცევა. მივა და ცოლ-შვილს საშობაოდ მოინახულებს. ყოფილი პატიმარი, კრიმინალი კი არა, ნებისმიერი მიხვდება, რომ ეს არ უნდა გააკეთოს. თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს, არ მოვა!

– მაკი, შენ ხომ გყავს ცოლი? – მოულოდნელად ჰკითხა დოდიმ.

მაკი მოიღუშა და თავი დაუქნია.

– მაშინ, ნუ ლაპარაკობ სისულელეს...

– რატომ არის სისულელე? – საუბარში ჩაერთო ფიშმანი, – მეც, მაგალითად, ვფიქრობ, რომ არ მოვა.

დოდიმ ახალბედას ირონიულად გახედა.

– ცოლი რომ გეყოლება, მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი ყურადღებით იყავი.

– ყურადღებით ვარ. სროლის უფლება ხომ გვაქვს?

– თუ წინააღმდეგობას გაგვიწევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში. დასახლებული რაიონია... სროლას უნდა მოვერიდოთ.

– ნუ დარდობ, შეფ... ერთი გასროლის მეტი არ დამჭირდება. ძალიან კარგად ვისვრი. დავუმიზნებ და ბახ! ეგრევე მარცხენა თვალში მოვარტყამ.

მაკიმ თავი ცუდად იგრძნო.

– არ შეიძლებოდა, სადმე სხვაგან აგვეყვანა? რა უბედურებაა, შობის ღამეს შვილისა და ცოლის თვალწინ დავაპატიმროთ... თანაც, ვესროლოთ... – თქვა უხალისოდ.

– მაკი, როგორი სენტიმენტალური გამხდარხარ. ასაკი ხომ არ შემოგეპარა?! გულმოწყალება ასეთ მნიშვნელოვან დროს ცუდი მრჩეველია... მგონი, არც ისეთი კარგი პოლიციელი ხარ, როგორიც საჭიროა. კეთილი ინებე და გაიხსენე იმ ფინანსური კომპანიის მენეჯერი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდი დარჩება, რასაც ამ ვაჟბატონს უნდა უმადლოდეს? ის არ გეცოდება? იმას არ ჰყავს ცოლი და შვილი?! ხმას ვერ იღებ? მაშინ, ძალიან მადლობელი დაგრჩები, თუ არ მოიქცევი ისე, როგორც უკანასკნელი სულელი...

მთელმა ამ ტირადამ მაკი მიახვედრა, რომ ლეიტენანტი გაქცეული პატიმრის ცოცხლად აყვანას არ აპირებდა. სავარაუდოდ, სახლში შესვლასაც არ დააცდიდნენ... ერთბაშად ძალიან მოუნდა მანქანიდან გადასვლა და გაქცევა, საერთოდ, პოლიციიდან გაქცევა და უკან მოუხედავად... თუმცა, იმასაც ხვდებოდა, რომ ამას არ გააკეთებდა. ვის სჭირდებოდა ყოფილი პოლიციელი? რა უნდა გაეკეთებინა? მის უკან კი ცოლი და ორი შვილი იდგა.

– ლეიტენანტო, თქვენ როგორ გგონიათ, ის შეიარაღებულია? – მოუთმენლად იკითხა ახალბედამ. დოდმა სერიოზულად დაუქნია თავი და მსუბუქი ირონიით ჰკითხა:

– ხომ არ გეშინია? იცოდე, ეს შენი ნათლობა იქნება და თავი არ შეირცხვინო.

– არა. მიმიშვით და ნახავთ, რა შემიძლია.

... ორი ავტობუსი მოვიდა, მაგრამ, ყოფილი პატიმარი არცერთს არ მოჰყოლია. მაკის სულ ცოტა იმედი გაუჩნდა, რომ ის შეიძლებოდა, არც მოსულიყო, მაგრამ, აი, ავტობუსი გაჩერდა და იქიდან „ის“ ჩამოვიდა – გამხდარი და სუფთად გაპარსული.

– მოემზადეთ! – გაისმა პირველი ბრძანება, რასაც მეორე, უკვე ასაყვანი ობიექტის მისამართით გამოთქმული ბრძანება მოჰყვა..

– იარაღი დააგდე და არ გაინძრე, პოლიციაა... არ გაინძრე! ხელები მაღლა ასწიე და შემობრუნდი.

მაკიმ რევოლვერი ქამრიდან ამოიღო და მანქანიდან ნელა დაიწყო გადასვლა. ახალბედამ ყველას დაასწრო, მანქანიდან ისკუპა და პატიმარს ესროლა. ტყვია საცოდავს მართლაც მარცხენა თვალში მოხვდა და მაშინვე სული განუტევა... მაკი ნელი ნაბიჯით დაიძრა ახალბედასკენ, რომელსაც სახე უბრწყინავდა და გამარჯვებულის გამომეტყველება ჰქონდა.

– ეს რა გააკეთე, ბრძანებას რატომ არ დაელოდე? – გამოსცრა მაკიმ, მგონი, არც იყო შეიარაღებული, შენ კი მოკალი.

– ყველაფერი წესრიგშია, ფიშმან, – გაისმა ლეიტენანტ დოდის ხმა, – შენ კი, მაკი... შედი ამის ცოლთან და უთხარი, რაც მოხდა. თან, ამოცნობაზე გამოიყვანე. ცნობისმოყვარეები არ მოუშვათ. სასწრაფოც გამოიძახეთ.

– მაკი გაფითრდა... ყველაფერი ერჩივნა ამ დავალების შესრულებას. სახლისკენ რომ მიდიოდა, გვამთან ახლოს გაიარა და მიწაზე დაგდებულ ყუთსაც მოჰკრა თვალი. შესაფუთი ქაღალდი გახეულიყო და იქიდან სათამაშო დედოფალასა და იაფფასიანი სუნამოს კოლოფები ჩანდა... მაკის შეაჟრჟოლა, მაგრამ გზა მაინც განაგრძო. ზღურბლზე ღარიბულად ჩაცმული ქალი გამოჩნდა, კაბაზე პატარა, სამი წლის გოგონა იყო მობღაუჭებული... მაკიმ მზერა მოარიდა...

– რა მოხდა?

– არაფერი მემ, თქვენს მახლობლად პატარა მაღაზიის დაყაჩაღება სცადეს. დამნაშავე უკვე დავაკავეთ. მოვედი იმიტომ, რომ გითხრათ, – გარეთ არ გამოხვიდეთ, შეიძლება, თანამზრახველებიც ჰყავდეს.

– ვინ არის? – ქალის ხმაში შეშფოთება გაისმა.

– თვრამეტი-ცხრამეტი წლის ლაწირაკია... დამშვიდდით, – ქალმა ნაძალადევი ღიმილით დაუქნია თავი...

...დოდმა მაკის დამცინავად შეხედა.

– რა ფერი გაქვს, ცოლმა ხომ არ შეგაშინა?

– ცოლმა? შენ თუ ჩვენი გაქცეული პატიმრის ცოლს გულისხმობ, მინდა გითხრა, რომ ეს უბედური ტყუილად გაისარჯა... სახლში არ არიან...

– რაო? ამოცნობაზე არ გამოვა?

– არა. შენ ვერ გაიგონე? სახლი დაკეტილია. ეტყობა, საშობაოდ ნათესავებთან გაემგზავრნენ...

მაკიმ ამოისუნთქა... ხვალ ქალი გაზეთებიდან ყველაფერს შეიტყობდა. მაგრამ დღეს შობაა... სენტიმენტალურ პოლიციელს წამწამებზე ცრემლი მოადგა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი**
**(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)**
**დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**
**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ნინო წულუკიძე


# ზნედაცემული ანგელოზები

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №9-20 (751)**

ტატასთვის ნამდვილად არ იყო სულერთი, ბორა-ბორაზე მიშასთან ერთად გაემგზავრებოდა თუ ვილაც სხვა მამაკაცთან ერთად. მით უმეტეს, რომ იმ კონკრეტულ მომენტში „ვილაც სხვა“ საერთოდ არც არსებობდა. ამ ყველაფრის გამოგონება იმისთვის დასჭირდა, რომ მიშას ვნებების სიმძაფრე გამოეცადა – მისადმი ვნების, რა თქმა უნდა. კაცთან ბოლო მგზნებარე პაემანმა უფრო დაარწმუნა



საკუთარ შესაძლებლობებში. „ჩიტი“ მახეში მაგრად იყო გაბმული. ახლა შეეძლო, მანიპულაციის სხვა ხერხებისთვის მიემართა, თუმცა, ჯერ სიფრთხილეც საჭირო იყო... ტატამ გადაწყვიტა, ორი დღე ეცლია კაცისთვის და მერე დასამშვიდობებელი მესიჯი გაეგზავნა მისთვის...

***

დივანზე წამოწოლილი ტატაშკა ქლიბს მონოტონურად ისვამდა ფრჩხილებზე და ღიღინებდა, როცა ბინაში ლალიკო და დოდოშკა დაბრუნდნენ.

– ერთი ამას უყურე, როგორ წამოწოლილა! – სიცილით „შეიცხადა“ დოდოშკამ, – რა ენაღვლება!.. ეტყობა, კარგად აქვს საქმე, ჩვენსავით არ პახაობს.

– პახაობას ეძახი ჩვენს სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობას?! – ყასიდად გაიოცა ტატამ, – რა ხდება, ასე რატომ მიყურებთ, არ გიხარიათ ჩემი ნახვა? მეგონა, მოგენატრებოდით.

– როგორ არა, ძალიან მოგვენატრე... ისე მოგვენატრე, რომ შენი სურათის ჩამოკიდებას ვაპირებდით ცენტრალურ კედელზე, გამოსაჩენ ადგილას... რატომ გამოგვეცხადე? – დადარაჯებულივით ჰკითხა დოდოშკამ და გამომცდელი მზერა მიაპყრო.

ტატაშკამ ღიმილით აიჩეჩა მხრები:

– საყვარელო, ეს ჩემი ბინაა, დაგავიწყდა? მომინდა და მოვედი.

– მოუნდა და მოვიდა, – გამოაჯავრა დოდოშკამ, თან ლალიკოს შეხედა.

– გესმის? ჩვენ ამ ბინას ვიყენებთ, რაშიც ფულსაც გიხდით. მგონი, ჯერ უნდა დაგერეკა, რომ შემთხვევით საქმიანობის პროცესში არ წამოგვდგომოდი თავზე. ასე არ არის?

– რატომ ნერვიულობ, დოდოშკა, საყვარელო?.. ისევ ნაწყენი ხარ ჩემზე? – დათაფლული ხმით ჰკითხა ტატამ.

– საიდან მოიტანე? უბრალოდ, შეთანხმების პირობებს არღვევ. ლალიკო, რას გაჩუმებულხარ, სიმართლეს არ ვამბობ?

ლალიკომ უხალისოდ დაუქნია თავი:

– კი, სიმართლეს ამბობ, მაგრამ კონფლიქტი რა საჭიროა? მოვიდა და ძალიან კარგი, რომ ჩვენც კლიენტი არ გვყავს. ახლავე ყავას მოვადუღებ და მშვიდად ვიჭორაოთ.

დოდოშკამ სამზარეულოსკენ მიმავალ ლალიკოს სიბრალულით სავსე მზერა გააყოლა და ტატაშკას მიუბრუნდა:

– ნუ სარგებლობ იმით, რომ ამ საცოდავს ასეთი რბილი და დამყოლი ხასიათი აქვს.

– მე ვსარგებლობ? რას ამბობ? ყავის მოდულების სურვილი თავად გამოთქვა.

– ეგ არ მიგულისხმია. მშვენივრად მიხვდი, რისი თქმაც მინდოდა.

– დოდოშკა, რატომ იკბინები დაუკმაყოფილებელი ძუკნასავით? წესით, შენ ეგ პრობლემა არ უნდა გქონდეს.

– გეყოფა ჩემი დაცინვა, – გაცხარდა დოდოშკა, – ნერვებს მიზანმიმართულად მიშლი. რისი მიღწევა გინდა?

– მინდა, ერთმანეთს არ ვგესლავდეთ და სრულ თანხმობაში ვიარსებოთ, მით უმეტეს, რომ კაციც არ გვყავს გასაყოფი... უფრო სწორად, აღარ გვყავს.

დოდოშკამ ამოიოხრა.

– ეგ კაცი მესიჯს მესიჯზე მიგზავნის, დავიღალე უკვე...

– ჰო?! თურმე რატომ ყოფილხარ გაავებული. მერე, რას გწერს, რა მინდაო?

– შევხვდეთ, უნდა დაგელაპარაკოო.

– და ამაზე ნერვიულობ? როგორ ვერაფერი ისწავლე? შეხვდი და ტვინი „მოუხანი“, შენი რა მიდის?

დოდოშკამ წყრომით შეხედა:

– როგორ ადვილად ლაპარაკობ... მაინც, როგორ წარმოგიდგენია ეგ ამბავი?

– ძალიან მარტივად. სექსს თუ შემოგთავაზებს, ფულს გადაახდევინებ...

დოდოშკა გაწითლდა. ამასობაში ლალიკოც დაბრუნდა ყავის ფინჯნებით.

– აბა, კიდევ ჩხუბობთ თუ ამოწურულია კონფლიქტი?

– ჩხუბი? ჩვენ?! – გაიოცა ტატაშკამ, – მე სრულიად უკონფლიქტო ადამიანი ვარ. კონფლიქტს კარგი არაფერი მოაქვს. ლიბიდოს აქვეითებს და ნაოჭებს აჩენს. გვინდა ნაადრევი სიბერე?

– ყავაც ხომ არ დამიქვეითებს ლიბიდოს? – ირონიულად ჰკითხა დოდოშკამ და ყავა მოსვა.

– ეგ არ ვიცი... სამედიცინოზე შენ სწავლობდი, მგონი... მართალია, ოდესღაც, მაგრამ, ცოდნა ხომ მარადიულია... მე, მაგალითად, ორალური სექსისა და, ზოგადად, სექსის ტექნიკას კუბოშიც ჩავიტან.

– რას ლაპარაკობ, დაფიქრდი, – შეცბა ლალიკო და შეწუხებული სახით რამდენჯერმე გადაიწერა პირჯვარი.

ტატაშკა ახარხარდა.

– ჰო, „იქ“ ნამდვილად გამოგადგება ეგ ცოდნა, – ჩაიცინა დოდოშკამ, – მით უმეტეს, ჯოჯოხეთში თუ ამოყავი თავი. იქ ბორდელები ჰქონიათ ცოდვილთათვის.

– თუ, უცოდველთათვის? – შეუსწორა ტატაშკამ და ისევ გულიანად ახარხარდა.

დოდოშკამ გამანადგურებელი მზერით დაასაჩუქრა.

– როგორ შეგიძლია, ყველაფერი სამაიმუნოდ და სამასხროდ აქციო? – აღშფოთდა ლალიკოც, – მორჩით, რა, ღმერთზე, სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე ლაპარაკს.

– აუჰ, ლალიკოს უყურე, რა!.. თავს ისე იდებს, თითქოს კეთილშობილ ქალთა პანსიონში იყოს გაზრდილი და გახდილი კაცი არ ენახოს.

– ეგ საერთოდ რა შუაშია ამ ყველფერთან? ბოზი ვარ, გარყვნილი კი არა, – ლალიკო აშკარად ძალიან იყო ნაწყენი და ამას არც მალავდა. ტატაშკა მიხვდა, რომ სიტუაცია გასცდა ირონია-ხუმრობის ფარგლებს და ფეთქებადსაშიში გახდა, ამიტომ, უკან დახევა გადაწყვიტა – შემრიგებლურად გაიღიმა და გოგოებს მოშინაურებული მელაკუდასავით შეხედა:

– რა მოხდა, რას დამესიეთ? კარგ გუნებაზე ვიყავი და, ვიფიქრე, ცოტას თქვენც გაგახალისებდით... მჟავე სიფათებით ნუ მიყურებთ, თორემ, მეც გავბრაზდები და არ გეტყვით იმას, რისი თქმაც მინდოდა...

დოდოშკამ და ლალიკომ ერთმანეთს გადახედეს.

– ჯერ ნერვებს მოგიშლის, მერე კი ისე მიინაბება, თითქოს ფრთები ამოსდიოდეს ბეჭებზე... მე თუ არ მეზეიმებ-მემხიარულება, რა ვქნა? – თქვა დოდოშკამ.

– მოგიგვარებ მაგ პრობლემას, ასე რომ გაწუხებს, – დაჰპირდა ტატაშკა.

– აუჰ, სწორედ შენ მაკლდი ყოფილ ქმართან ურთიერთობის გარკვევაში! გეხვეწები, თავი დამანებე!

– ვერა, ვერ გიყურებ, როგორ ნერვიულობ


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

იმ კრეტინის გამო.

– ვერაფერი გაიგე... იმ კრეტინის გამო კი არა, საკუთარი თავის გამო ვნერვიულობ, – თავი გადაიქნია დოდოშკამ, – ისეთ საშინელებებს მეუბნება და მწერს...

– აუ, ისეთს რას გეუბნება და გწერს, რაც თავადაც არ იცი? – ტუჩი აიბზუა ტატამ, – რაო, პროსტიტუტკა ხარო თუ მინეტს ცუდად აკეთებო?

– აუ, რა ძუკნა ხარ! – აღშფოთებით აღმოხდა დოდოშკას.

– არ უარვყოფ. ძუკნა ვარ, თანაც უძუკნესი... მეტსაც გეტყვი – ეს მე ძალიან მომწონს. ძუკნა რომ არ ვიყო, ბორა-ბორას თვალით ვერ ვნახავდი.

– ბორა-ბორა რა შუაშია? – გულუბრყვილოდ, საბავშვო ბაღის ბავშვივით იკითხა ლალიკომ და მორცხვად დაამატა: – ბორა-ბორა რა არის?

ტატაშკამ ხელები გაშალა:

– საწყალი ლალიკო, ტარიფი უნდა ასწიო, სასწრაფოდ, ცუდად არის საქმე.

– გეხვეწები, არ გინდა ეგ ირონია. დიდი ამბავი, თუ ბორა-ბორა არ ვიცი, რა არის, – ეწყინა ლალიკოს.

– ტატას სიამოვნებას ანიჭებს ჩვენი დაცინვა. ამით ცდილობს, თავისი უპირატესობა გვაჩვენოს. სუპერსექსმუშაკი ხარ, გავიგეთ უკვე.

– ჰო, აბა რა!.. მოკლედ, გოგოებო, მაგარი მოგზაურობა მელის და უნდა მოვემზადო.

– ანუ, სამოგზაუროდ მიდიხარ... დიდი ხნით?

– ალბათ, ათი დღით მაინც... ძალიან მიხარია... ბორა-ბორა ჩემი ოცნება იყო, – ტატაშკას თვალები აუციმციმდა.

– ვის წეწავ, ვის ქმარს ჩაავლე ამჯერად? – წარბი ასწია დოდოშკამ და ამოიოხრა, – ჩემს ქმარსაც ხომ მაგრად დააყრევინე ფულები...

– რა ჩემი ბრალია? ვემსახურებოდი და მიხდიდა. არც ამას ვაძალებ რამეს. ინიციატივა მისგან წამოვიდა.

– ვიცი, ვიცი როგორი „ინიციატივაც“ გაქვს, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა დოდოშკამ, მაგრამ ტატაშკას არაფრად ჩაუგდია მისი სიტყვები. ნებივრად გაიზმორა და კატასავით აკრუტუნდა.

– მმმ... რა კარგია, თაკარა მზის ქვეშ ნებივრობა... პალმების ჩრდილი, ყვითელი ქვიშა და ლურჯი ცა...

– ნუ გვახარბებ, – უთხრა ლალიკომ, – მეც წავალ ზაფხულში ბათუმში.

– ჯერ ერთი, ზაფხულამდე ორი თვეა და, მეორეც, ბათუმი და ბორა-ბორა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან... სუვენირებს ჩამოგიტანთ, არ ვიძუნწებ...

– თავი არ შეიწუხო, – დოდოშკამ არ შეიმჩნია ტატაშკას კეთილგანწყობილი ტონი.

– არ შევწუხდები, – აკისკისდა ტატაშკა, – აუ, გოგოებო, წინასწარ ვნეტარებ, ისეთი დრო უნდა გავატარო... აი, რომ ვფიქრობ, რა მაგარი იქნება, ეგრევე ორგაზმს განვიცდი.

– როგორც მივხვდი, ვილაცასთან სერიოზული ურთიერთობა გქონია.

– სერიოზულ ურთიერთობაში თუ იმას გულისხმობ, სხვებზე ხშირად რომ ვარ მასთან და ძალიან ბევრს მიხდის, ტარიფზე გაცილებით მეტს, მაშინ, ეგ ყოფილა.

– ანუ, შეეშვები ამ ბიზნესში აქტიურად მოღვაწეობას? – დაეჭვებით იკითხა ლალიკომ.

– ვნახოთ, ჯერ არაფერს ვგეგმავ. ზოგადად კი რაღაც აუცილებლად შეიცვლება ჩემს ცხოვრებაში.

დოდოშკამ ლალიკოს გადახედა:

– ეს რომ გათხოვდეს, ჭკუიდან შევიშლები. ოღონდ მართლა!

– თუკი უნდა, გათხოვდეს, რა პრობლემაა, – მხრები აიჩეჩა ლალიკომ, – მე რას მიშლის.

– ო, შენ არაფერს, მე კი ოჯახი დამინგრია.

ტატაშკა ერთბაშად შეხტა, ქლიბი მოისროლა და დოდოშკას წინ დოინჯშემოყრილი გაუჩერდა.

– არ გრცხვენია? მითხარი, არ გრცხვენია?

დოდოშკამ თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა.

– მრცხვენია... ისე მრცხვენია, რომ წელს ქვემოთ გავწითლდი კიდეც. მაგრამ, შენ რა შეღავათი ამით? გგონია, იმ საქციელს გამართლებას მოუძებნი, რაც ჩაიდინე?

– ახლა გეყოფა! – უკვე სერიოზულად გაცხარდა ტატა, – ბოზი არ ანგრევს ოჯახს. მე რა შუაში ვარ, შენი ქმარი ყველგან „შესაყოფს“ რომ ეძებს და აღარ იცის, ვინ „გაჟიმოს“? ეჰ, დოდოშკა, როგორ გამიცრუე იმედი. არადა, თითქმის დავიჯერე, რომ ჭკუა ისწავლე.

– არაფერი მჭირდა ჭკუის სასწავლი. თუმცა, ზოგჯერ სინდისი მაწუხებს ხოლმე, შენგან განსხვავებით.

– მე რატომ უნდა მაწუხებდეს სინდისი? დოდოშკა, შენ ახლა დაიბოღმე, შეგშურდა ჩემი ბორა-ბორა და იმიტომ ცდილობ, დამგესლო.

– რა სისულელეა! რა-რა და, სწორედ ეგ არ მშურს. საიდან მოიტანე? დრო იყო, საუზმეს პარიზში მივირთმევდი, ვახშამს – რომში...

– ვიცი, რომელ დროზე ლაპარაკობ. მერე, ნუ მოუწყობდი შენს ქმარს ეჭვიანობის სცენებს და, მით უმეტეს, შვილის ტოლ საყვარელს ნუ გაიჩენდი. ეგეც ჩემი ბრალი ხომ არ არის?!

– აჰა, ესე იგი, თორნიკეს მაშინ დაუახლოვდი? – ლალიკო აქამდე ჩუმად იჯდა და მათ საუბარს მოლუშული უსმენდა.

დოდოშკამ ხელი აუქნია:

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ამას ჰგონია, – მიუთითა ტატაშკაზე, – როგორც თავად აქვს მშვიდი ნერვები, სხვაც ზუსტად ასეა. არასოდეს ულალატია შენთვის კაცს და იმიტომ.

– ვერც ვერასოდეს მიღალატებს. იმიტომ, რომ არცერთს არ დავარქმევ „ჩემს კაცს“. გაიგე?! ყველა ერთია ჩემთვის, ყველა. იმას უფრო მეტად ვასიამოვნებ, ვინც ბევრს გადამიხდის. ნუ მეჩხუბები, არ მინდა შენთან ჩხუბი, არ შედის ჩემს ინტერესებში.

– წადი, რა, წადი ბორა-ბორაზე და ზოგჯერ იმ ქალებზეც იფიქრე, რომლების ქმრებთანაც წვები, – დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა დოდოშკამ.

– შენ ფიქრობ ხოლმე? – კითხვითვე მიუგო ტატაშკამ.

– შენ წარმოიდგინე, ვფიქრობ...

– და, მაინც წვები მათთან.

– ჰო, ვწვები, – დაეთანხმა დოდოშკა, – ახლა არ მკითხო, რატომო... იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაფერი სულერთია უკვე.

ლალიკომ მხარზე დაადო ხელი სიბრაზისგან აჭარხლებულ დოდოშკას და ტატაშკას წყრომით გახედა:

– მაინც მიაღწიე იმას, რომ ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანე.

– კარგი, რა... მშვენიერ გუნებაზე ვიყავი... ვიფიქრე, გაუხარდებათ ჩემი ახალი ამბავი-მეთქი, მაგრამ, ორივე დაიბოღმეთ. თუმცა, არ მიკვირს, ჩვენი პროფესიის ქალი ყველა ასეთია, – ფარული ბოღმა აწვალებთ და პერიოდულად გადმოანთხევენ ხოლმე. თუმცა, მე მაინც ჩამოგიტანთ სუვენირებს...

– ესე იგი, მართლა მიდიხარ... – ლალიკო დივანზე გვერდით ჩამოუჯდა ტატას.

– ოთხმოცდათვრამეტი პროცენტი. ხომ იცი, ასპროცენტიანი არაფერი არსებობს. ყველაზე ხარისხიანმა პრეზერვატივმაც კი შეიძლება გიმტყუნოს და სიურპრიზით დაგაჯილდოვოს.

– ისე, მოგზაურობა კარგია... მე არასდროს ვყოფილვარ სამოგზაუროდ, – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ლალიკომ.

– მერე, ფული ხომ გაქვს? სულაც არ ღირს ძვირი და, არც ის არის აუცილებელი, ბორა-ბორათი დაიწყო – ეგ ჩემნაირი აღვირახსნილებისთვის არის.

– პარიზია ჩემი ოცნება, – თვალები მილულა ლალიკომ, – უჰ, ერთხელ აუცილებლად წავალ პარიზში, მაგრამ, ჯერ ბინა უნდა ვიყიდო – ფულს ვაგროვებ.

– ჰო, ჯერ ბინის ფულს მოაგროვებ, მერე რემონტისას, ფარდებისას, ჭურჭლისას, ავეჯისას, მანქანისას და ისე დაბერდები, ეგ ოცნება ოხრად დაგრჩება.

– როგორი ბოროტი ხარ, – ამოიოხრა ლალიკომ, – ოცნებასაც არ მაცლი.

გოგო, ოცნება რა ჯანდაბად გინდა! კი არ უნდა იოცნებო, უფრო მაღალა უნდა ასწიო ფეხები და უფრო ფართოდ გაშალო – მაშინ პარიზშიც წახვალ და კოსმოსშიც... – ახარხარდა ტატა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

**გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **მაინტერესებს, რომელი ქვეყნიდანაა მცენარე თათისა, როგორ გამოვიწერო და როგორ მოვუარო?**

პასუხი: თათისა სამხრეთ კაროლინიდანაა, მისი გამოწერა ხდება მხოლოდ ბოტანიკური ბაღებიდან. ეს მცენარე ძალიან პრეტენზიულია. მას სჭირდება რეგულარული სიცხეები, მაქსიმალური ტემპერატურა. საქართველოში ასეთი პირობების შექმნა შეუძლებელია. ის ტროპიკებში იზრდება კარგად. მისთვის სასურველი პირობების შექმნა მხოლოდ ორანჟერეებშია შესაძლებელი.

კითხვა: **რა სინათლე და ტემპერატურა მოსწონს ჭორიკანას?**

პასუხი: ეცადეთ, ეს მცენარე კაშკაშა სინათლეზე დადგათ, რადგან კაშკაშა სინათლეზე ფოთლებს კარგი ფერი ეძლევა და მცენარეც უხვად ყვავილობს. მისთვის იდეალურია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ზამთრის მინიმალური ტემპერატურა კი 12 გრადუსია. ჭორიკანა საკიდ კალათაში უნდა მოათავსოთ.

კითხვა: **როგორი პირობები მოსწონს ჰოვეას?**

პასუხი: ამ მცენარეს უყვარს სინათლე, თუმცა ნაკლებად ნათელ გარემოსაც აიტანს. ზამთრობით ფანჯარასთან დადგით. ამ დროს მინიმალური ტემპერატურაა 13-14 გრადუსი. საერთოდ, მოსწონს ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ჰოვეას სინათლე, წყალი და ცოტაოდენი ყურადღება სჭირდება. ფოთლები სველი ნაჭრით ან ღრუბლით გაუწმინდეთ. დადგით სამხრეთის სასტუმრო ოთახში.

კითხვა: **რამდენ ხანში ერთხელ მოვრწყა სტრომანტე?**

პასუხი: ზრდის პერიოდში სტრომანტეს მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზრდის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ გაზავებული ბალანსირებული და თხევადი სასუქით. სიგრილე და ჩრდილიანი ადგილი მცენარეს დაბალ ტენიანობასთან ბრძოლაში ეხმარება. სითბოში მისი ზრდა დაჩქარდება, მაგრამ ტენიც მეტი დასჭირდება.

კითხვა: **ბინაში მაქვს სელაგინელა, იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვუარო?**

პასუხი: სელაგინელას ვნებს სიმშრალე, ამიტომ, რეგულარულად დანამეთ ოთახის ტემპერატურის წყლით. დაფესვიანებული ყლორტები თითქმის მთელი წლის განამვლობაში შეგიძლიათ დაყოთ და ახალ ქოთანში გადარგოთ. მას ჩრდილიანი და უმზეო ადგილი უყვარს. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. სიცხესა და სიმშრალეში ფოთლები გაუხმება. სჭირდება ტენიანი გარემო, ამიტომ, ყველაზე სასურველი ადგილი სააბაზანო ან სამზარეულოა.

კითხვა: **მაინტერესებს, ფიკუსი თუ იტანს სინესტეს?**

პასუხი: ჯანსაღი ფოთლების მქონე მცენარე სიმშრალეს უფრო იტანს, ვიდრე ზედმეტ სინესტეს. მორწყვამდე ფიკუსს ნიადაგი უნდა გაუშრეს. ზედმეტი წყალი ფოთლების დაცვენას გამოიწვევს. ჯუჯა ფიკუსს თხელი ფოთლები აქვს, ამიტომ, მიწა არ უნდა გამოაშროთ. ის ერთ-ერთი იოლად გასაზრდელი მცენარეა და ადვილად ეჩვევა ოთახის პირობებს. მის ნიადაგს სასუქით განოყიერებაც სჭირდება. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ ხოლმე.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: **თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მიერ გამართულ აუქციონზე შევიძინე საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ბინა დავარეგისტრირე საჯარო რეესტრში ჩემს სახელზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი საკუთრებაა, ძველი მეპატრონე, ჩემი მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, არ ცლის ბინას და არ მაძლევს საშუალებას, ვიცხოვრო ჩემს საკუთრებაში. გთხოვთ, დამაკვალიანოთ, როგორ მოვიქცე და ვის მივმართო?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ თუ ბინა თქვენს სახელზეა აღრიცხული საჯარო რეესტრში, თქვენ შეგიძლიათ, პირდაპირ მიმართოთ პოლიციას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გატარების მოთხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, რომელიც ეხება საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესს, პოლიცია ვალდებულია, დადგენილი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, იძულებითი წესით განახორციელოს თქვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა.

კითხვა: **როდის შეიძლება, შპს გამოცხადდეს გაკოტრებულად და რა ვალდებულებები დაეკისრება მას?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ შპს-ს გაკოტრებულად გამოცხადება ხდება გადახდისუუნარობის შემთხვევაში. კერძოდ, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში, მოვალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი სასამართლოს განჩინებას, მისი გამოტანიდან 30 დღის ვადაში, წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია, გააუქმოს საწარმოს რეგისტრაცია.

კითხვა: **ვმუშაობ ერთ-ერთი ძლიერი შპს-ის დაცვაში. ობიექტს, რომელსაც მე ვიცავ, აუქმებენ და, შესაბამისად, მოვყვები შემცირებაში. მეკუთვნის თუ არა ფულადი კომპენსაცია და რა რაოდენობით?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, მითითებული საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. შესაბამისად, თქვენ გეკუთვნით ფულადი კომპენსაცია 1 თვის ხელფასის ოდენობით.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

ანატოლ ფრანსი

კითხვა: **იპოთეკით დატვირთული მაქვს საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. მაინტერესებს, აქვს თუ არა მესაკუთრეს აღნიშნული უძრავი ქონების განმეორებით იპოთეკით დატვირთვის უფლება?**

პასუხი: დიახ, მესაკუთრეს უფლება აქვს, იპოთეკით კვლავ დატვირთოს მის საკუთრებაში არსებული უკვე იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, თქვენ იქნებით პირველი რიგის იპოთეკარი და თუ საჭირო გახდება, პირველ რიგში დაკმაყოფილდება თქვენი მოთხოვნა.

# რჩევები ავტომოყვარულებს

**კითხვა: როდისაა სასურველი ზაფხულის საბურავებზე გადასვლა და თუა შესაძლებელი ჯერ ორი შევცვალო და შემდეგ, მოგვიანებით, დანარჩენი?**

**პასუხი:** ზაფხულის საბურავებზე გადასვლა უკვე გვიანიც კია. თუ აქამდე არ შეგიცვლიათ, სასწრაფოდ უნდა შეცვალოთ, რადგან ეს ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, ძალიან მალე ცვეთთ ზამთრის საბურავებს და მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი, – საბურავს უკვე აღარ აქვს მოდება. თქვენ, ვერც კი წარმოგიდგენიათ, რამდენად ცუდია მოდება ამ დროს. ზოგადად, კი ზაფხულის საბურავზე გადასვლა უკვე შესაძლებელია. როცა აღარ არის მინუსის ალბათობა, პლუს ხუთი გრადუსიდან და ზემოთ, ავტომობილს უკვე ზაფხულის საბურავი სჭირდება.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

რაც შეეხება, ჯერ ორი და შემდეგ ორი საბურავის შეცვლას, ეს არის ყველაზე ცუდი არჩევანი, რაც შეიძლება გააკეთოთ. ამას კიდევ ჯობია, ცუდი და ოთხივე ერთნაირი გეყენოთ. სამოცდაათ კილომეტრ-საათში სიჩქარემდე ის ცუდად, მაგრამ მაინც მუშაობს. ამის ზემოთ კი, ჩათვალეთ, თქვენი ავტომობილი საბურავების გარეშეა.

**კითხვა: ძრავაში ზეთს რომ ვასხამ, ქაფი ამოდის. ძრავას ხმა არ აქვს და ზეთიც მინიმუმზეა. რა შეიძლება იყოს პრობლემა?**

**პასუხი:** სავარაუდოდ, თქვენი ავტომობილის ძრავას თავაკის შუა სადები (ეგრეთ წოდებული „გალოვკის პრაკლადკა") არის დამწვარი და ამ საფენიდან მასში გადადის წყალი. ესაა ზეთის აქაფების მიზეზი. მიაკითხეთ ხელოსანს, რადგან ასე სიარული არ შეიძლება – ძრავა ისე გაფუჭდება, რომ მისი შეცვლა მოგიწევთ.

**კითხვა: მყავს ავტომანქანა 2.0-იანი ძრავათი. წვავს ნორმაზე მეტს. გავლილი აქვს 6 000 კილომეტრი. რა ვუშველო, მირჩიეთ?**

**პასუხი:** ასე პირდაპირი მიზეზის თქმა შეუძლებელია – შეიძლება, იყოს რაიმე დაზიანება, საწვავ სისტემაში შედიოდეს ჰაერი ან რომელიმე მილს ჰქონდეს რაიმე სახის დაზიანება. მაგრამ, დიდი ალბათობით, მიზეზი მაინც მართვის სტილია. როგორც ჩანს, თქვენ ეკონომიურად არ მოიხმართ ავტომობილს, ამუშავებთ მაღალ ბრუნებზე, სრული დატვირთვით მუშაობს საცობებში და სხვა. ავტომობილი ამუშავეთ დაბალ ბრუნებზე, ხშირად ცვალეთ სიჩქარე და თუ წვამ არ მოიკლო, შემდეგ მიაკითხეთ ხელოსანს.

**კითხვა: რამ შეიძლება, გამოიყვანოს მწყობრიდან „ცეპლენია"?**

**პასუხი:** „ცეპლენიის" ანუ მოდების მწყობრიდან გამოსვლა ბევრი რაღაცით არის შესაძლებელი – პირველი ესაა ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად ცვეთა, მეორე გადახურება, რომელიც ძირითადად ხურდება საცობებში მოდების არასწორად მოხმარების გამო.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი**
**მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რატომ არის სასურველი, რომ ძუ ძაღლს წყვილი კინოლოგმა შეურჩიოს?**

**პასუხი:** სტანდარტის მიხედვით, იდეალური ძაღლი არ არსებობს. 438-ვე ჯიშს თავისი სტანდარტი აქვს. კინოლოგები იმისკენ ილტვიან, რომ მინიმალური ნაკლის მქონე ნამატი მიიღონ, მაგრამ ეს მინიმალურად ნაკლოვანი ძაღლი მაინც არასასურველი ნიუანსებითაა აღსავსე, რასაც ჩვეულებრივი თვალი ვერ ხედავს. მაგალითისთვის ავიღოთ კანე-კორსო. მისი სასურველი სიმაღლე ძუ ძაღლისთვის 60-64 სანტიმეტრია, ხოლო ხვადისთვის – 64-68 (დასაშვებია პლუს-მინუს 2 სანტიმეტრი). თუ ძუ კანე-კორსო 59-61 სანტიმეტრია, ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაწყვილდეს ასევე არასასურველი სიმაღლის ხვადთან, რადგან, ორი ერთნაირი ნაკლის მქონე ძაღლები ერთმანეთთან რომ დართო, შემდეგ ნამატში ჩვენ სიდაბლეს დავამყარებთ – 10 ლეკვიდან 7-ს დაბალს მივიღებთ და ამ 7-ს ისე მაგრად ექნება სიდაბლე გენში გამჯდარი, რომ, შემდგომში მაღალ ხვადთან დართვის მიუხედავადაც, მაინც გაგვიჭირდება, სასურველი სიმაღლის ნამატი მივიღოთ. შესაბამისად, ჯიში დროთა განმავლობაში გადაგვარებას განიცდის. მაგალითად, სტანდარტის მიხედვით, დასაშვებია, მაგრამ სასურველი არ არის, გერმანულ ნაგაზს მკერდზე თეთრი ლაქა ჰქონდეს. თუ ასეთ ძაღლს ანალოგიურად თეთრ ლაქიან ძაღლთან დავრთავთ, ლეკვებში იმდენად გავამყარებთ ამ მინუსს, რომ შემდგომში უზარმაზარი პრობლემები შეგვექმნება. კინოლოგი, რომელმაც ამა თუ იმ ჯიშის სტანდარტი ზედმიწევნით იცის, ცდილობს, დააბალანსოს როგორც ძუს, ასევე ხვადის მინუსები, რათა შემდგომი ნამატი მაქსიმალურად დახვეწილი იყოს. გენეტიკურმა ნაკლოვანებებმა, შესაძლოა, დაავადებებიც გამოიწვიოს. მაგალითად, მძიმე ძაღლებს ხშირ შემთხვევაში უკანა ნაწილში პრობლემები უჩნდებათ, რომელიც შემდგომ ვითარდება და იწვევს დისპლაზიას. ეს დაავადება პრაქტიკულად არ იკურნება, ძაღლი იტანჯება და მისი დაძინება უწევთ.

**კითხვა: როდის არის ადამიანისთვის საშიში ლეკვის საქციელი?**

**პასუხი:** როცა ლეკვი თამაშის დროს იღრინება, იყეფება და ზურგზე ბეწვი ებურძგნება, ამ დროს ის თავდასხმისთვის ემზადება. გახსოვდეთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ, რომ თუნდაც ერთხელ დაგესხათ თავს. ამ დროს ლეკვი უნდა დააწყნაროთ, მოეფეროთ და ეს აგრესიულობა სხვა სახით შეუცვალოთ, მაგალითად, მისცეთ სასუსნავი ან სათამაშო. თუ ლეკვი ხშირად ავლენს აღნიშნული სახის აგრესიას, საურველია, ის მიიყვანოთ მწვრთნელთან, ანუ სპეციალისტთან, რომელიც დაგეხმარებათ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. აგრესია ძირითადად ისეთ ძაღლებს უყალიბდებათ, რომლებიც თავს ხროვის ლიდერად მიიჩნევენ. იცოდეთ, რომ ძაღლი არასდროს განიცდის იმას, რომ მისი პატრონი მასზე ზემოთ დგას, ანუ მასზე მბრძანებლობს. ასევე, უნდა გახსოვდეთ, რომ ძაღლი პერიოდულად იბრძოლებს იმისთვის, რომ ოჯახის ლიდერობა მოიპოვოს. სასურველია, ამ საკითხის გადასაწყვეტად მიმართოთ სპეციალისტს, რომელიც დაგეხმარებათ ლეკვის ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაში, რადგან, ლეკვობის პერიოდში დაშვებული შეცდომა შემდგომში შეიძლება სავალალო გახდეს.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი**
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხეედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

# მაფიის შვილობილი

**● დასასრული. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-20(751)**

პოლიციისგან გაქცეული ჯაბა კონსპირაციულ ბინაში მივიდა. ლიადოვს დაურეკა და შეხვედრაზე დაიბარა. პავლე ლიადოვი ნახევარ საათში მივიდა და ჰკითხა:

– რა მოხდა?

ჯაბამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ლიადოვს და ბოლოს უთხრა:

– ახლა ერთი პატარა შოუ დაგვრჩა და შეგვიძლია, მოსკოვში გავემგზავროთ. ისეთი რამ უნდა ჩავატაროთ, რომ „ეფბეერი“, ავლანელები და მაფიოზები ერთდროულად მოტყუვდნენ. ძებნა აღარ დამიწყონ და ახალი ცხოვრება დავიწყო.



– მოფიქრებული გაქვს რამე?

– დიახ.

– აბა, თქვი.

– ქეითის სახლიდან უცნობებმა უნდა გამიტაცონ. ეს ყველაფერი კი ვიდეოკამერებში უნდა გამოჩნდეს. მაგრამ, გამტაცებლები ისე უნდა იყვნენ შენიღბული, რომ ვერავინ გაშიფროს და კვალს ვერ დაადგნენ. „ეფბეერი“ იფიქრებს, რომ მაფიოზებმა ან ავლანელებმა გამიტაცეს. მაფიოზები და ავლანელები კი „ეფბეერზე“ მიიტანს ეჭვს. მე კი ამ დროს რუსეთში ვიქნები და ეძიონ ნემსი თივის ზვინში.

– მარტივი და ჭკვიანურია. თუ საბოლოოდ ვერ მოვატყუებთ მათ, დროს მაინც მოვიგებთ. მყავს მე შემსრულებლები და ყველაფერი მაღალ დონეზე გაკეთდება, – მიუგო ჯაბას ლიადოვმა და თან, ჰკითხა, – შენ ის მითხარი, უმარ ანდიევი შენი ნამუშევარია?

– დიახ.

– რაში დაგჭირდა?

– პანკისში რომ ვიყავი, ასე თქვა – სოხუმში ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთს ვთამაშობდი და თუ დამჭირდა, ასეთ რამეს ისევ ვიზამო. მთელ ერს დაგვცინოდა და უკიდურესი სიტყვებით გვლანძღავდა. მაშინ დავიფიცე, რომ პასუხს ვაგებინებდი და რომ არ შემესრულებინა, არ შემეძლო.

– ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. ყველა ფიქრობს, რომ ანდიევი კარლო მოზესის ბრძანებით მოკლეს და ჩეჩნები საპასუხო აქციას ამზადებენ.

– ძია პავლე, კარლო მოზესის საქმე როგორაა?

– უკვე მოსკოვშია. სარდაფში ჰყავთ გამომწყვდეული და ჩვენ გველოდებიან.

– ერთი სული მაქვს, როდის გავუსწორდები.

– ასეთი ჟინით არა მარტო შენ ხარ შეპყრობილი.

– ვიცი. მაგრამ მამაჩემის მკვლელს მე უნდა გავუსწორდე.

– კარგი, კარგი. ამაზე შემდეგ. ახლა კი ერთი საათი დაისვენე. მანამდე ხალხს გავაფრთხილებ. მოსკოვში გასამგზავრებლად თადარიგს დავიჭერ და წერტილი დავუსვათ ამ მრავალწლიან უბედურებას, – უთხრა ლიადოვმა ჯაბას და წავიდა.

სამიოდე საათის შემდეგ, პრაღის ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე მდებარე ბუტიკის ვიდეოკამერებმა მკაფიოდ დააფიქსირეს აგენტ უშბას გატაცების ეპიზოდი. ორმა ნიღბიანმა მოტოციკლისტმა ქეითის სადარბაზოდან გამოსული უშბა ჯერ პულვერიზატორით მიაძინა და განაიარაღა, შემდეგ კი, „ჯიპში“ შეაგდეს, თვითონ კი უკან გაჰყვნენ. დამწვარი მანქანა და მოტოციკლები პოლიციამ პრაღის ერთ-ერთ გარეუბანში აღმოაჩინა. ვიდეოფირის გაშიფვრის შედეგად კი, სამი ათლეტი მამაკაცის ძებნას შეუდგნენ, რომლებიც სინამდვილეში ქალები იყვნენ და პავლე ლიადოვის დავალებით მოქმედებდნენ. „გატაცებიდან“ ერთი საათის შემდეგ, პრაღის აეროპორტიდან მოსკოვისკენ მიმავალი თვითმფრინავი აფრინდა და დიპლომატიური ბარგის ერთ-ერთ ყუთში ჯაბა ზვიადაური, იგივე აგენტი უშბა იმალებოდა. პირველი კლასის სალონში კი პავლე ლიადოვი იჯდა და ძვირფას „ბარგთან“ ერთად მოუთმენლად ელოდა რუსეთის დედაქალაქში ჩაფრენას.

***

მას მერე, რაც ჯაბა და ლიადოვი მოსკოვს გაემგზავრნენ, პავლე ლიადოვის ბრძანებით, დატყვევებული ჯამალ ჯურთი გაუშვეს. უფრო სწორად კი შახ ომარის დაძინებული ვაჟი პრაღის ერთ-ერთ სკვერში სკამზე დატოვეს. ავლანელი თავის საშინელმა ტკივილმა გამოაღვიძა და თავდაპირველად, ვერც კი მიხვდა, სად იმყოფებოდა. მას მხოლოდ ის ახსოვდა, რომ გაიტაცეს, თანაც ბუნდოვნად. სად და ვისთან იმყოფებოდა თითქმის ორი დღე, ვერაფრით გაიხსენა. ჯამალი ბარბაცით გამოვიდა სკვერიდან. ტაქსი გააჩერა და ჰაშეკის სასახლეში ღამის თერთმეტ საათზე მივიდა. იქაურობა პოლიციელებით, უშიშროების თანამშრომლებითა და „ეფბეერის“ რამდენიმე აგენტით იყო სავსე, რომლებიც სპეციალურად ამერიკიდან ჩაფრინდნენ პრაღაში, ჯონ კეინის ბრძანებით. იქვე იმყოფებოდა კომისარი ნედამანსკიც. მან პირველმა იცნო ჯამალი. თავის ხელქვეითებს მისთვის ხელბორკილების დადება უბრძანა და უთხრა:

– სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მეგონა, თუ კვლავ უკან დაბრუნდებოდით.

– ვისთან მაქვს ლაპარაკის პატივი? – მშვიდად ჰკითხა ჯამალმა კომისარს.

– პრაღის პოლიციის კომისარი ნედამანსკი, – მიუგო კომისარმა.

– რა გნებავთ, კომისარო, ხელბორკილები რატომ დამადეთ?

– თქვენ დაკავებული ხართ.

– ჩავიდინე რამე?

– ამას სულ მალე გავარკვევთ.

– რაში მადანაშაულებთ?

– თქვენ ეჭვმიტანილი ხართ ჩეხეთის ტერიტორიაზე მაფიოზური, უკანონო და დანაშაულებრივი შეხვედრების ორგანიზებაში. აგრეთვე, კლაუს ჰაშეკის მკვლელობაში.

– რას ბოდავთ, ნედამანსკი, – ჩაეცინა ჯამალს, – მე ბიზნესმენი ვარ. კანონიერად ვიმყოფები აქ. არავინ მომიკლავს და არანაირ მაფიასთან არ მაქვს კავშირი.

– ამას გავარკვევთ.

– მე შეერთებული შტატების მოქალაქე ვარ და მოვითხოვ, სასწრაფოდ მოიწვიოთ აქ ჩემი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელი.

ჯამალის დაკავების შესახებ რომ შეიტყვეს „ეფბეერის“ აგენტებმა, იმ ოთახისკენ გაემართნენ, სადაც ავლანელს ნედამანსკი ელაპარაკებოდა. ოთხი ეფბეერელი სწორედ იმ დროს შევიდა ოთახში, როდესაც ჯამალი ამერიკის საკონსულოს წარმომადგენლის მოყვანას თხოულობდა. უფროსი აგენტი ჯოული უცერემონიოდ დაუდგა წინ ნედამანსკის. კომისარს ზურგი შეაქცია და ჯამალს უთხრა:

– მისტერ ჯურთი, მე გახლავართ ამერიკის საკონსულოს წარმომადგენელი. გისმენთ.

– როგორ მოგმართოთ? – ჰკითხა ჯოულს ჯამალმა, რომელიც მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

– საიმონ ჯოული. გისმენთ, მისტერ ჯურთი, – მიუგო „ეფბეერის“ უფროსმა აგენტმა.

– იქნებ გაარკვიოთ, რაშია საქმე და ეს სულელური ხელბორკილები რატომ დამადეს? – უთხრა ჯამალმა ეფბეერელს.

უფროსმა აგენტმა ჯოულმა, ნედამანსკის წინ ყოვლად უტიფრად მოხსნა ჯამალს ხელბორკილები და იატაკზე დაყარა. შემდეგ მას გაუღიმა და უთხრა:

– არანაირი პრობლემა არაა. აი, ხომ ხედავთ, თუ როგორ გიცავთ თქვენი სახელმწიფო. თქვენგანაც იგივეს ველოდებით.

– გმადლობთ, სერ. გისმენთ. ბრძანეთ, რას მოითხოვთ ჩემგან.

ჯოულმა იკადრა, ნედამანსკისკენ შეტრიალდა და სიმწრისგან გაფითრებულ კომისარს დამცინავი თავაზიანობით უთხრა:

– მისტერ ნედამანსკი, ბატონ ჯურთისთან კონფიდენციალური საუბარი მაქვს და გთხოვთ, დაგვტოვოთ.

– ბატონო ჯოულ, თქვენ, ალბათ, გავიწყდ-


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

ებათ, რომ ჩეხეთის ტერიტორიაზე იმყოფებით და არანაირი კანონიერი უფლება არ გაქვთ, ასე მოიქცეთ. მე კი კანონს წარმოვადგენ, – რაც შეეძლო მტკიცედ უთხრა კომისარმა ეფბეერელს.

ჯოულმა საათს დახედა. შემდეგ ცინიკურად გაეცინა და კომისარს მიუგო:

– კომისარო ნედამანსკი, გარწმუნებთ, რომ ეს უფლებამოსილება უკვე აღარ გაგაჩნიათ. თქვენ სულ მალე გაიგებთ ამას.

ნედამანსკი ვერ ჩასწვდა ეფბეერელის სიტყვების არსს. კომისარმა არ იცოდა, რომ მისი გადაყენებით პირადად „ეფბეერის“ დირექტორი იყო დაინტერესებული და ამერიკელს უპასუხა:

– მე მგონი, რაღაც აგერიათ, ჯოულ და ცდებით.

ნედამანსკის სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მობილურზე დაურეკეს და ისედაც გაფითრებული კომისარი, კიდევ უფრო გაფითრდა. შემდეგ ტელეფონი გათიშა და ჯოულს ზიზღნარევი მზერა ესროლა. ამერიკელს კი ცინიკურად ჩაეცინა და კომისარს უთხრა:

– დარწმუნდით, რომ მართალი ვარ?

ნედამანსკის ერთი სული ჰქონდა, ჯოულს ყელში სწვდომოდა და კატასავით მიეხრჩო. მაგრამ, კარგად იცოდა, რომ მინისტრი ასეთ საქციელს არ აპატიებდა. კომისრობიდან გადადგომას არ აკმარებდა და ამერიკელის ხელყოფისთვის შეიძლება, ციხეშიც კი ჩაესვა. ამიტომ, ჯოულის ფიზიკური შეურაცხყოფისგან თავი შეიკავა და უთხრა:

– გინდათ გითხრათ, რატომ გჯობიან რუსები?

– ბრძანეთ, – მიუგო ჯოულმა.

– მათ თქვენ მიერ შექმნილი ჰიტლერი დაამარცხეს და მთელი ევროპა გადაარჩინეს განადგურებას. თქვენ კი ახალ-ახალ საფრთხეებს, ახალ ჰიტლერებსა და ბინ ლადენებს ქმნით და კვლავ ჩვენს დათრგუნვას ცდილობთ.

– ბინ ლადენსაც მოვსპობთ და ყველა სხვა ჩვენს მტერს.

– კი. მოსპობთ, მაგრამ მას შემდეგ, როცა ნახევარ მსოფლიოს ამოწყვეტთ და მიწასთან გაასწორებთ, – უთხრა ჯოულს კომისარმა და ჯამალზე მიუთითა, – აი, ეს და ამნაირები მოგიღებენ თქვენ ბოლოს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები და გირჩევთ, გაკოჭოთ. ხელბორკილებს კი სამახსოვროდ გიტოვებთ.

ჯოულს პასუხი აღარ გაუცია კომისრისთვის და ნედამანსკი რომ წავიდა, ჯამალს უთხრა:

– მისტერ ჯურთი, თქვენთან ერთი სარფიანი წინადადება მაქვს და მომისმინეთ.

– ბრძანეთ, მისტერ ჯოულ.

– მისტერ ჯურთი, თქვენ გამოუვალ მდგომარეობაში ხართ და თუკი ჩემს წინადადებას არ დათანხმდებით, გარწმუნებთ, რომ ელექტრონული სკამი არ აგცდებათ.

– ელექტრონული სკამი? მაშინებთ?

– სულაც არა.

– მაინც, რის გამო მელოდება ასეთი პატივი?

– ჯურთი! – ხმას აუწია ჯოულმა, – შენ ჯერ კიდევ იმ მომენტიდან გაკონტროლებთ, როდესაც შეერთებული შტატების საზღვარი გადაკვეთე და ჯიჰადისტებთან გაემგზავრე ავღანეთში ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე რომ, სხვა არჩევანი არ გაქვს და თუ გინდა, სიცოცხლე შეინარჩუნო და შემდეგ უზრუნველად და კომფორტულად იცხოვრო, „ეფბეერთან“ უნდა ითანამშრომლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი ავღანელი ბოსები გაიგებენ, რომ ჩვენი აგენტი ხარ და ელექტრონული სკამი სანატრელი გაგიხდება. ჩვენ არ დაგიჭერთ, პირიქით, გაგიშვებთ კიდეც. ხვდები, ახლა ჩემი სიტყვების არსს?

ჯოულმა ინსტრუქცია დაარღვია, როდესაც ჯამალის გადაბირება დააპირა. მისი ერთადერთი და მთავარი მიზანი იყო, რომ ჯურთისგან ჯალალის ამბავი შეეტყო. ჯამალმა კი, როდესაც მიხვდა, თუ რა შარში ებმებოდა და მოღალატის სახელი არ ასცდებოდა, გადაწყვეტილება მიიღო. მან ჯოულს პისტოლეტი ამოაცალა ქამრიდან და „ეფბეერის“ უფროსი აგენტი თვალში გასროლით მოკლა. მეორე აგენტი კი მკერდში დაჭრა. თუმცა, მეტი ვერ მოასწრო. დანარჩენმა ორმა აგენტმა პისტოლეტები იშიშვლეს და ჯამალ ჯურთი იქვე ჩაცხრილეს.

– ალაჰ აგბარ! – აღმოხდა ჯამალს და სული განუტევა

სროლის ხმაზე ჩეხი პოლიციელები ოთახში შებრუნდნენ. მათ შორის იყო ნედამანსკიც. ყოფილმა კომისარმა ჯამალს დახედა და უხმოდ გააქნია თავი. შემდეგ ჯოულზე გადაიტანა მზერა და ჩაილაპარაკა: „ხომ ვამბობდი, რომ თქვენი საქციელი თქვენვე შემოგიბრუნდებოდათ“.

– ბატონო კომისარო, ნება მიბოძეთ მოკვლევა დავიწყო, – უთხრა ნედამანსკის ერთერთმა პოლიციელმა. ყოფილმა კომისარმა კი ცივად მიუგო:

– აღარ ვარ კომისარი, მინისტრს დაურეკეთ.

***

– შებრძანდით. დირექტორი გელოდებათ, – უთხრა ჯინა ქროსს ჯონ კეინის თანაშემწემ. მას კარი გაუღო, კაბინეტში შეუშვა და კარი გამოიხურა.

ახალმოსულს ჯერ „ეფბეერის“ დირექტორმა ჩამოართვა ხელი. შემდეგ მისმა მოადგილემ. კეინმა გოგონას სავარძელზე მიუთითა და ჰკითხა:

– თავს როგორ გრძნობთ, ქროს?

– გმადლობთ, სერ. ნორმალურად, – მიუგო კეინს ქროსმა.

– ქროს, აქ იმიტომ მოგიწვიეთ, რომ პრაღის ამბები პირველი პირიდან შევიტყოთ.

– კონკრეტული რამ გაინტერესებთ, სერ?

– რას ფიქრობთ აგენტ უშბას გაუჩინარებაზე. თქვენ მისი პირადი მეკავშირე იყავით და თქვენი მოსაზრება, ჩემის აზრით, მეტ ნათელს მოჰფენს ამ საქმეს.

ჯაბას ხსენებაზე ჯინას გული დაუმძიმდა, მაგრამ საკუთარ თავს სძლია და „ეფბეერის“ დირექტორს უთხრა:

– უშბა რომ გატაცებულია, დადასტურებული ფაქტია. მთავარი იმათზე გასვლაა, ვინც ეს გააკეთა. ეს კი ნებისმიერ მოთამაშეს შეიძლება, ექნა. ავღანელებს, კოლუმბიელებს, ჩეჩნებსა და რუსებს ან კიდევ ისეთ ჯგუფს, ვისზეც ნაკლებად თუ მიიტანს ვინმე ეჭვს. საამისო მიზეზიც მრავალი არსებობს. თუმცა, ჩემი აზრით, ეს უფრო რუსების საქმეა. მეტიც, კარლო მოზესი და უშბა ერთი და იმავე ჯგუფმა გაიტაცა.... რუსებმა.

– მაინც, რატომ ფიქრობთ ასე? – ჰკითხა კეინმა.

– იმიტომ, სერ, რომ უშბას ძალისხმევით დაუჭირეს მხარი კარლო მოზესს ევროპელმა ნარკობარონებმა და რუსების პოზიციები შეასუსტეს. ასეთ რამეს კი არავინ გაპატიებს და მოსახდენიც მოხდა. კოზლოვის ხალხმა ორივე ძირითადი კონკურენტი გაიტაცეს და... – ჯინა ქროსმა აღარ დაასრულა და გაჩუმდა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ უშბა მოკლეს? – დაამატა კეინმა.

– აბა, რა უნდა ვიფიქრო, სერ?

– მოდი, ოპტიმისტები ვიყოთ და ამ მოვლენებს ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ. მით უმეტეს, რომ უშბას არც გვამია ნაპოვნი და მცირედი მინიშნებაც კი არაა იმაზე, რომ ის მოკლეს. მისი მოკვლა რომ სდომოდათ, მაშინ რატომ გაიტაცებდნენ? მას უბრალოდ, ბოლოს მოუღებდნენ.

– აბა, თქვენ რას ფიქრობთ, სერ?

„ეფბეერის“ დირექტორს ჩაეცინა და ჯინას უთხრა:

– ბევრ რამეს. მთავარი კი ისაა, რომ რატომღაც უშბა ცოცხალი მგონია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც და ჩვენი საუკეთესო თანამშრომლები თავდაუზოგავად ცდილობენ, მის კვალზე დადგომას. ამიტომ, გირჩევთ, არ ინერვიულოთ. დაისვენეთ. სადმე გაემგზავრეთ. გაერთეთ და როცა საჭირო იქნება, თვითონ დაგიკავშირდებით.

– თავისუფალი ვარ, სერ? – იკითხა გაკვირვებულმა ჯინამ. რადგან ფიქრობდა, რომ პრაღის ამბებს მას უფრო დაწვრილებით გამოჰკითხავდნენ.

– რა თქმა უნდა, ქროს. ნახვამდის, – „ეფბეერის“ დირექტორმა ხელი ჩამოართვა ჯინას. იგივე გააკეთა პოულმაც და ჯინა რომ წავიდა, პოულმა შეფს ჰკითხა:

– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, სერ?

– ვფიქრობ, რომ გოგონა გულწრფელია.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა პოულმა, – თუმცა, სულ მალე ზუსტ შედეგებს მოგვიტანენ.

„ეფბეერის“ დირექტორის მოადგილე ზუსტ შედეგებში სიცრუის დეტექტორის მონაცემებს გულისხმობდა. სავარძელი, რომელშიც ჯინა იჯდა, სენსორული მოწყობილობებით იყო აღჭურვილი და სიცრუის დეტექტორს წარმოადგენდა. ჯინას მიწვევის მთავარი მიზეზიც სიმართლის გარკვევა იყო. რადგან, „ეფბეერის“ ერთერთი ვერსიით, აგენტი უშბას გატაცება თავადვე მისი ინსცენირებული და ჯინა ქროსთან შეთანხმებული იყო. სწორედ ამ ვერსიის გადასამოწმებლად მიიწვიეს ჯინა ქროსი „ეფბეერის“ დირექტორთან.

ჯინას წასვლიდან ხუთი წუთის შემდეგ, ჯონ კეინის თანაშემწემ ფურცელი შეუტანა


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



და უთხრა:

– აი, სერ, ტექნიკურმა განყოფილებამ გამოგიგზავნათ.

თანაშემწე რომ გავიდა, „ეფბეერის“ დირექტორმა ფურცელი გადიკითხა და პოულს უთხრა:

– ჯინა ქროსი სიმართლეს ლაპარაკობდა. მან მართლა არაფერი იცის უშბაზე.

– ეს უფრო ართულებს საქმეს, სერ. ნუთუ უშბა მართლა მოკლეს? – თქვა მარტინ პოულმა და დაამატა, – სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო...

– სამწუხაროზე მეტია, მარტინ. მაგრამ, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვნახოთ, რას მოიკვლევენ თბილისში გაგზავნილი ჩვენი საიდუმლო აგენტები.

– სიმართლე რომ გითხრათ, სერ, მაინცდამაინც დიდი წარმატების იმედი არ მაქვს ამ მისიიდან. თუმცა, რაღაც იმედის მარცვალი მაინც არსებობს. თუ თქვენი ვარაუდი გამართლდა და უშბა მართლა თავისიანებმა გაიტაცეს, მაშინ ადრე თუ გვიან მას აუცილებლად მივაგნებთ. მაგრამ, თუ ეს ასე არაა, მისი პოვნის შანსი თითქმის ნულის ტოლია.

– ნუ გადავიწურავთ იმედს. ორი მყარი არგუმენტი გვაქვს საიმისოდ, რომ უშბა ცოცხალია. პირველი და მთავარია ის, რომ აგენტ უშბას აუცილებლად უნდა შეენახა მამა-შვილ მოზესების ფარული საუბრების ფაილები, ისინი კი არ ჩანს. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ მან ეს არ ჩათვალა საჭიროდ. ანუ, ჩვენ დაგვიმალა. ესე იგი, ისინი ისეთ რამეზე საუბრობდნენ, რაც მის მომავალ გეგმებს ჩაშლიდა. რა საიდუმლო შეიტყო უშბამ მათი საუბრის მოსმენისას? მეორე არგუმენტი კი უშბას მომზადებაა. შენ თვითონ არ ამბობდი, მარტინ, რომ უშბა საუკეთესოდაა მომზადებული და მისი მოხელთება ურთულესიაო? აი, ამიტომ ვეჭვობ, რომ უშბას გატაცება, შეიძლება, ინსცენირებული იყოს.

– ბოდიში, სერ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ცდებით. არ მგონია, მოზესებსა და უშბას ჩვენგან დამოუკიდებლად რამე საიდუმლო აკავშირებდეთ. რაც შეეხება მის მოუხელთებლობას, ყველაზე მოუხელთებლებიც კი ვარდებიან ადრე თუ გვიან და უშბასაც ასე დაემართა. ჩემი აზრით, ჩვენი აგენტის გატაცება წმინდა კრიმინალთანაა დაკავშირებული და ეს მაფიამ გააკეთა. თუ, რა თქმა უნდა, მას უოლტ-სტრიტის შურისძიების ხელი არ მისწვდა.

– მოდი, ასე გავაკეთოთ, მარტინ. კარმენ მოზესი მოვიხელთოთ და მისი მეშვეობით გადავამოწმოთ ჩემი ვერსია.

– რას გულისხმობთ, სერ?

– საიდუმლო სპეცოპერაციას, მარტინ. კარმენ მოზესის გატაცებასა და მის საიდუმლო დაკითხვას.

– ეს ბრძანებაა, სერ?

– საიდუმლო ბრძანება და ხვალ ამ დროს იმ ქალის სწორი ჩვენებები უნდა მქონდეს.

– გასაგებია, სერ. ნება მიბოძეთ, ვიმოქმედო.

– იმოქმედე.

„ეფბეერის“ დირექტორის კაბინეტიდან გამოსული მარტინ პოული საიდუმლო სპეცოპერაციის განყოფილების უფროსს შეხვდა. კარმენ მოზესის გატაცების ოპერაციის ჩატარება უბრძანა და ბოლოს უთხრა:

– იცოდეთ, სუფთად უნდა იმუშაოთ და მსხვერპლის გარეშე.

– დარდი ნუ გაქვთ, სერ. მოზესების მამულში ისე შევალთ და გამოვალთ, ეშმაკიც ვერაფერს შეიტყობს.

– კეთილი. იმოქმედეთ. წარმატებას გისურვებთ, – მიუგო პოულმა.

„ეფბეერის“ სპეცჯგუფმა კარმენ მოზესი მართლაც ძალიან სუფთად გაიტაცა და ისე ჩაიყვანეს ამერიკაში, ერთი გასროლაც არ დასჭირვებიათ. მაფიოზი ქალი „ეფბეერის“ საიდუმლო საკანში მოათავსეს და მისი დაკითხვა ოპერაცია „კარტელის“ კურატორს, დენის მორისს დაავალეს. „ეფბეერის“ დირექტორი და მისი მოადგილე კი გამჭვირვალე შუშიდან ადევნებდნენ ამ პროცესს თვალყურს.

მორისი საკანში შევიდა და კარმენ მოზესს უთხრა:

– თავს როგორ გრძნობთ, სენიორა მოზეს?

– ისე, როგორც გატაცებულს შეეფერება, – მიუგო კარმენმა.

– აქედან თავის დაღწევა მხოლოდ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში... – მორისმა სიტყვა აღარ გააგრძელა და მხრები აიჩეჩა.

კარმენს გაეცინა:

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, სამუდამოდ გამაქრობთ, ხომ?

– თქვენდა სამწუხაროდ, დიახ.

– რა გაეწყობა, მკითხეთ და შევეცდები, გიპასუხოთ.

– ოღონდ, ამთავითვე უნდა შევთანხმდეთ, რომ არაფერს მომატყუებთ, ყველაფერზე ამომწურავ პასუხს გამცემთ და ჩემს წინადადებას დათანხმდებით, მე კი შევეცდები, რომ დაგეხმაროთ.

– გისმენთ, – კბილებში გამოცრა კარმენმა.

– სენიორა მოზეს, იცით თუ არა, სად იმყოფება ამჟამად მამათქვენი, დონ კარლო მოზესი?

– წარმოდგენაც არ მაქვს და, მიკვირს, რომ ასეთ კითხვას მისვამთ.

– რატომ გიკვირთ?

– იმიტომ, რომ დღემდე ვფიქრობდი, ის თქვენ ანუ „ეფბეერმა“ გაიტაცა. თუმცა, ახლა ვხვდები, რომ ვცდებოდი.

– სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ, თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ ამას ვგეგმავდით და პრაღაში სპეციალური ჯგუფი გვყავდა მივლინებული მამათქვენის წამოსაყვანად.

– გამოდის, რომ ვილაცამ დაგასწროთ. თუ, რა თქმა უნდა, მამაჩემმა მეც არ მომატყუა. ყველაფერი არ გაითამაშა და იმ ძუკნასთან ერთად არ მიიმალა, – ზიზღით თქვა კარმენმა. პაუზა გააკეთა და მორისს ჰკითხა: – მოწევა მინდა. სიგარეტი ხომ არ გაქვთ?

მორისი მიხვდა, რომ მოზესების საქმეში ახალი ფიგურა გამოჩნდა, მაგრამ არ შეიმჩნია. კარმენს კი უთხრა:

– ახლავე მოგიტანთ სიგარეტს.

დაკითხვიდან გასულ მორისს დერეფანში კეინი და პოული დახვდნენ. პოულმა მას უხმოდ მისცა სიგარეტის კოლოფი და სანთებელა, კეინმა კი უთხრა:

– მიდი, დენის. დაკითხვა საინტერესო მიმართულებას იძენს და გაარკვიე, ვინაა ის ძუკნა.

საკანში დაბრუნებულმა მორისმა კარმენს სიგარეტი და სანთებელა მისცა და ჰკითხა:

– ვინ ძუკნას გულისხმობთ, სენიორიტა?

– ჩემს დას.

– ვინ თქვენს დას?

კარმენმა სიგარეტი მოქაჩა. კვამლი გამოუშვა, გაეცინა და მორისს მიუგო:

– თქვენი აგენტი ქეით როისი, სინამდვილეში კი ჯინა ქროსი, ჩემი ნახევარდაა.

ძალიან ეცადა მორისი, რომ სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ, მაინც ვერ მოთოკა თავი და წამოიძახა:

– კი მაგრამ, როგორ?

კარმენს გაეცინა:

– შოკირებული ხართ, ხომ?

– სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო.

– კარგად მომისმინეთ, რასაც ახლა მოგიყვებით, დასკვნები კი თქვენ გამოიტანეთ, – უთხრა მორისს კარმენმა, შემდეგ ოცი წუთის განმავლობაში უყვებოდა მამის მიერ მონათხრობ ისტორიას და ბოლოს უთხრა: – ახლა ხვდებით თუ ვისთან გაქვთ საქმე და თივაში ნემსს რომ ეძებთ?

მორისის პეიჯერი აციმციმდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას კეინი და პოული იხმობდნენ, ამიტომ მან დაკითხვა შეწყვიტა. საკნიდან გავიდა და უფროსებს ეახლა.

– დენ, შეწყვიტე დაკითხვა. მოზესთან მუშაობას უკვე სხვა ჯგუფი გააგრძელებს, შენ კი ქროსის ადგილსამყოფელი გაარკვიე და განკარგულება გაეცი, მასზე ფარული თვალთვალი დააწესონ; ხოლო, თუ ის საზღვრის გადაკვეთას დააპირებს, დააკავონ, – უბრძანა მორისს კეინმა და პოულთან ერთად თავის კაბინეტში დაბრუნდა.

– რას ფიქრობთ, სერ? – ჰკითხა პოულმა კეინს, როდესაც ისინი „ეფბეერის“ დირექტორის კაბინეტში დაბრუნდნენ.

– ყველაფერი ნათელია ამ საქმეში, ერთის გარდა: უშბამ კარლო მოზესი ვილაცას მოატაცებინა, რომ შური იძიოს მასზე, რადგან დარწმუნებული ვარ, სწორედ კარლო მოზესია მამამისის მკვლელი. ჩვენ მხოლოდ გამტაცებლების ვინაობა და კარლო მოზესის ადგილსამყოფელი არ ვიცით. ვფიქრობ, უშბა თავისი თანამემამულეების დახმარებით მოქმედებდა. ამიტომ, თბილისში გაგზავნილ ჯგუფს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდეთ და გადაეცით, რომ ამ მიმართულებით იმუშაონ, – უთხრა კეინმა პოულს.

– უშბას აღმოჩენის შემთხვევაში რა მოვიმოქმედოთ, სერ?

– ჩამოიყვანონ. მან საკმაოდ ბევრი რამ იცის და მისი უკონტროლოდ დატოვება დაუშვებელია. როდესაც აქ გვეყოლება, მერე გადავწყვიტოთ მისი ბედი, – უთხრა კეინმა პოულს და ჩიბუხი გააბოლა.

***

დონ კარლო მოზესი ბნელ, უფანჯრებო ოთახში იყო გამომწყვდეული და ვერაფრით გაერკვია, სად იმყოფებოდა. მას ეგონა, რომ „ეფბეერმა“ გაიტაცა და წინასწარ ემზადებოდა მათთან შესახვედრად. „ბიუროს თანამშრომლობაზე დავთანხმდები და მათ სხვადასხვა კავშირზე გავიყვან. ხოლო, თუ გამათავისუფლეს, გავიქცევი, გარეგნობას შევიცვლი და მივიმალები“, – ფიქრობდა დონ კარლო და თავის დაძვრენის იმედი ჰქონდა. ამ დროს სარდაფში შუქი აინთო. რკინის მძიმე კარი გაიღო და ჯაბა შემოვიდა. ტუსაღმა ახალმოსული რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა და უთხრა:

– ჯალალ, ეს თქვენ ხართ?

– დიახ, მე გახლავართ, – მიუგო ჯაბამ.

– რას ნიშნავს ეს ყოველივე?

– იმას, რომ სულ მალე საკადრის სასჯელს მიიღებთ.

– რას გულისხმობთ, ჯალალ, დაგიშავეთ რამე?

– თქვენი დანაშაულების ნუსხას ათტომეულები არ ეყოფა.

– ჯალალ, გამაგებინეთ, სად ვიმყოფები და რაში მდებთ ბრალს?

– იმყოფებით იქ, სადაც თქვენი სიცოცხლე დასრულდება. ბრალმდებლები კი მალე მოვლენ.

– ვინ ხართ, ჯალალ, ასე რომ მელაპარაკებით?

– „ეფბეერის“ აგენტი, – მშვიდად მიუგო ჯაბამ.

– ასეც ვიცოდი. სამწუხაროა, რომ ამას დროზე ვერ მივხვდი, თორემ, ასეთ ხაფანგში არ გავებმეოდი, – მწარედ ჩაეცინა მოზესს და დაამატა: – გასაგებია, რატომაც გამიტაცეთ, მაგრამ, თანამშრომლობას გთავაზობთ და, ვფიქრობ, რომ დიდ სარგებელს მოგიტანთ.

– თანამშრომლობას? – გაეცინა ჯაბას.

– დიახ და, გარწმუნებთ, ჯალალ, რომ ჩემზე ფასეული აგენტი არ გეყოლებათ.

– არ გამოვა, – თავი გააქნია ჯაბამ.

– აბა, რას მიპირებთ?

– დასჯას. თქვენ უნდა მოკვდეთ.

– განადგურებას მიპირებთ? ლინჩის წესით გასამართლებას? მე სამართლიან სასამართლოს მოვითხოვ! – ისტერიკულად გაჰკიოდა კარლო მოზესი.

– სასამართლო შედგება და, თანაც, ძალიან მალე. განაჩენსაც საკადრისს მიიღებთ. ჯალათის როლს კი მე შევასრულებ.

– ჯალათის? კი მაგრამ, რატომ? რა დაგიშავეთ?

– აბა, კარგად გაიხსენე შენი ცოდვები და მიხვდები, – ჯაბამ მოზესს ქართულად უთხრა ბოლო ფრაზა და მგლური მზერა ესროლა თავისი მამის მკვლელს.

ქართულად ამეტყველებულ ჯალალს მოზესმა უცნაურად შეხედა და იფიქრა, მეჩვენებაო. მაგრამ, როდესაც სარდაფში გამრეკელი, ზვიადაური და ლიადოვი შემოვიდნენ, ყველაფერს მიხვდა. გაფითრდა და ერთბაშად მოტყდა, უძლურად ჩაღუნა თავი და ამოიხვნეშა.

– გვიცანი, ნესტორ? – ჰკითხა მოზესს მერაბ გამრეკელმა და სარდაფის შუაგულში შეჩერდა. ზვიადაური და ლიადოვი კი მას გვერდებიდან ამოუდგნენ.

– შენ და ზვიადაური გიცანით, ამ რუსსაც ვიცნობ; აი, ამ ბიჭს კი – ვერა, – თქვა ნესტორ პესკასელმა, რომელიც რკინის საწოლზე იყო ჩამომჯდარი და სულს ძლივს ითქვამდა, რადგან მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

– ჯაბა ჯაფარიძეა, გივი ჯაფარიძის ვაჟი. გაგახსენდა? – კბილებში გამოცრა ვაჟა ზვიადაურმა, გამრეკელმა კი დაამატა:

– გახსოვს, პატარა ბავშვს მკვლელები რომ მიუგზავნე და, რომ არა ის მოხუცი, სამი წლის ბავშვს იმეტებდი სასიკვდილოდ?

– მახსოვს, – თავაუწევლად ამოილუღლუღა პესკასელმა.

– მამა-შვილი შამბები, გულბათი... რომელი ერთი ჩამოგითვალო, – ზიზღით თქვა გამრეკელმა და დაამატა: – შენს ფეხმძიმე ცოლს რაღას ერჩოდი?

– გამშიფრა და სხვა გზა არ მქონდა, – თქვა პესკასელმა.

– ტიტე კალანდიას? იმან რაღა დაგიშავა?

– სულელი იყო. ტარკილს უთქვამს მისთვის, ნესტორ პესკასელი ძალიან საშიში კაცია, ბოროტმოქმედებთანაა შეკრულიო. ტიტემ ეს რომ მითხრა, სხვა არაფერი დამრჩენოდა და მოვკალი, – თქვა პესკასელმა, შემდეგ თავი ასწია, ზვიადაურისა და გამრეკელისკენ გაიშვირა თითი და დაამატა: – მარტო თქვენ ვერ მოგწვდით, თქვენ და, ცოტაც რომ გამმართლებოდა, თქვენც ბოლოს მოგიღებდით, ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდი და დღეს აქ არ ვიქნებოდი.

– არ გაგიმართლა და არც შენს შვილს გაუმართლა, – უთხრა პესკასელს ჯაბამ.

– კარმენზე „ეფბეერს“ არანაირი კომპრომატი არ აქვს და ფეხებს ვერ მოსჭამენ! – ხმას აუწია პესკასელმა, – მძულხართ, ყველანი მძულხართ! თქვენ მოკალით მამაჩემი რობერტ მანძულია და ვამეხ მანძულია ვარ მე!

– წყეულიმც იყავ, შე რჯულძაღლო! – დაუღრიალა პესკასელს გამრეკელმა და დააპირა ყელში სწვდომოდა მას, მაგრამ ის ჯაბამ შეაჩერა და პესკასელს უთხრა:

– კარმენი თქვენსავით ნაძირალაა, მაგრამ, მას არ ვგულისხმობ.

– აბა, ვის? – თვალები გადმოკარკლა პესკასელმა.

– იმას, ვინც მართლა წესიერი გინდოდათ გყოლოდათ და უფრთხილდებოდით – ჯინა ქროსს, – თქვა ჯაბამ.

– ჯინა... ჯინა... რა დაემართა ჯინას? – აყმუვლდა ნესტორ პესკასელი. ჯერ გაწითლდა, შემდეგ ფეხზე წამოხტა და სახეზე ძარღვები დაებერა, ბოლოს კი ერთბაშად გაშავდა და ბეტონის იატაკზე გულგახეთქილი დაეცა.

– ჩაძაღლდა, – თქვა ჯაბამ და დაამატა: – მე იმას ვგულისხმობდი, რომ ჯინას ნაძირალა მამა ჰყავდა და ამიტომ არ გაუმართლა.

– კარგია, რომ თვითონ ჩაძაღლდა და ჯალათების როლი აგვარიდა თავიდან, – ერთდროულად თქვეს გამრეკელმა და ზვიადაურმა; ლიადოვმა კი დაამატა:

– დროა, ამ უწმინდურ ლეშს შესაბამისი ადგილი მივუჩინოთ, შემდეგ კი საქმეს მივხედოთ. მაცნობეს, რომ „ეფბეერი“ ჩვენს ბიჭს გამწარებული ეძებს და საიმედოდ უნდა გადავმალოთ.

ლიადოვმა ნესტორ პესკასელის გვამი სარდაფში მდებარე საკანალიზაციო ლუკთან მიათრია და უზარმაზარ ვირთხებს ჩაუგდო, რომლებმაც ის თვალის დახამხამებაში ნაკუწებად აქციეს.

***

თეთრი სახლიდან დაბრუნებული „ეფბეერის“ დირექტორი ჯონ კეინი სავარძელში ჩაეშვა. ფეხები მაგიდაზე შემოაწყო, ჩიბუხი გააბოლა და ჩაფიქრდა.

– სერ, მისტერ პოული გელოდებათ, – მოისმა სელექტორში თანაშემწის ხმა.

– შემოვიდეს, – მიუგო კეინმა და კარისკენ გაიხედა.

– შეიძლება, სერ? – იკითხა ზღურბლზე მდგომმა პოულმა, რომელმაც პირველად ნახა თავისი შეფი მაგიდაზე ფეხებშეწყობილი.

– შემოდი და მოხერხებულად მოკალათდი. თუ გინდა, შენც ფეხები შემოაწყვე. ძალიან დავიღალე და ვისვენებ, – მხიარულად უთხრა კეინმა პოულს, – შეგიძლია, გააბოლო.

პოული სავარძელში ჩაჯდა და კეინს უთხრა:

– თბილისიდან შეტყობინება მოვიდა.

– გისმენ, თქვი.

– სერ, როგორც ჩვენი აგენტები იტყობინებიან, ჯაბა ზვიადაურის მამა და თადარიგის გენერალი მერაბ გამრეკელი მოსკოვში ყოფილან ასევე თადარიგის გენერალთან, პავლე ლიადოვთან ერთად. უშბას კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს, თუმცა, ეჭვი აქვთ, რომ აგენტი უშბას პრაღიდან გამოყვანა სწორედ ლიადოვის მეშვეობით განხორციელდა და რომ უშბაზე გასასვლელად ლიადოვის თვალყურის დევნებაა საჭირო, ეს კი ბევრად უფრო რთული მისიაა. ლიადოვი მოსკოვშია და, რუსეთში მსგავსი მისია რომ შევასრულოთ, თქვენი სპეციალური განკარგულებაა საჭირო – სწორედ ამას ითხოვენ ჩვენი აგენტები.

– გასაგებია, – თქვა კეინმა.

– რას იზამთ, სერ, რა გადავცეთ?

– სასწრაფოდ გამოიძახეთ უკან. უშბას საქმე დახურულია და ეს ჩემი ბოლო განკარგულებაა, – თქვა კეინმა.

– ეს როგორ გავიგო, სერ?

– მარტინ, ერთი საათის წინ პრეზიდენტთან ვიყავი და მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი საუბარი გვქონდა. პირველმა მკაფიოდ გამაგებინა, რომ არაფრის შეცვლას არ აპირებს, რომ უოლტსტრიტი ხელშეუხებელია და ჩვენი ანალიტიკური მოხსენება ერთ ადგილზე ჰკიდია. ამიტომ, მე გადავდექი.

– გადადექით?

– გადავდექი. უშბამ კი იცოცხლოს – მან ეს დაიმსახურა და ღმერთმა ხელი მოუმართოს, – თქვა „ეფბეერის“ დირექტორმა და სავარძელში გაიზმორა...

***

ჯონ კეინის გადადგომიდან ექვსი თვის შემდეგ საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში, ჯაფარიძეების საგვარეულო სასაფლაოზე ოცდახუთიოდე წლის შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი მივიდა. ორმოცდაათი მეტრი რომ გაიარა, გივი და თეა ჯაფარიძეების საფლავთან შეჩერდა და სურნელოვანი ვარდების უზარმაზარი თაიგულით შეამკო, შემდეგ კი სანთელი საანთო. ორიოდე წუთი ჩუმად იდგა და კვლავ უკან გამობრუნდა. დაღმართზე დაეშვა, შავი ფერის „ჯიპში“ ჩაჯდა და მძღოლს უთხრა:

– წავედით, მამი.

ვაჟა ზვიადაურმა მანქანა ადგილიდან დაძრა და ახალგაზრდას უთხრა:

– უზადო ნამუშევარია. ისე შეუცვლია იმ ქირურგს შენი გარეგნობა, რომ ათასი წელი ვერავინ გიცნობს, მაინტერესებს, დედაშენი რას იტყვის...

**დასასრული**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ გახდა ყოფილი თბილისელი ქურდი წარმატებული ბიზნესმენი ავსტრალიაში



### უნებლიე მოწმე

29 წლის მიშა კუდინოვი მარტოხელა ქურდი იყო და რუსთავის კოლონიიდან ერთი კვირის გაქცეული, გლდანის მასივში, კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობდა. ფული არ უჭირდა და, შეეძლო, კარგა ხანს ხელიც კი არ გაენძრია. მაგრამ სულით ქურდი იყო, საქმე სწყუროდა და გაქცევიდან ერთ კვირაში საქმის მომზადებას შეუდგა. ის ჯერ კარგად შეინიღბა, შემდეგ კი თბილისის ერთ-ერთი მდიდრული სახლი შეარჩია და მოხერხებულ დროს შეაღწია შიგნით. ის იყო საქმე უნდა დაეწყო, რომ კუდინოვმა ეზოში მანქანის ხმა გაიგონა და სხვენში დაიმალა, იქ მოხერხებული ადგილი შეარჩია და პატარა ჭუჭრუტანას მიეკრა, საიდანაც კარგად ჩანდა ოთახი. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შუქი აინთო და ორმა მამაკაცმა მესამე, გაკოჭილი მამაკაცი შემოათრია. კუდინოვმა მასში სახლის პატრონი შეიცნო, რომელსაც პირში ჩოგბურთის ბურთი ჰქონდა ჩატენილი. გაკოჭილს დანარჩენები „კუშის“ გამოჩენას სთხოვდნენ. მას ჩოგბურთის ბურთი პირიდან ამოუღეს და ბინის პატრონმა ამოილუღლუღა:

– თქვენ ძმობას ვფიცავ, ტარო, არ ვიცი. კუში ზოროსთან იყო, ის კი უკვალოდ გაქრა და, ალბათ, თან წაიღო.

– ზორო მკვდარია და, სანამ მე და მახო სროკზე ვიყავით, ალბათ, შენ გააქრე, – ეუბნებოდნენ გაკოჭილს, თან ცეცხლწაკიდებულ ცელოფნის პარკებს აწვეთებდნენ სხეულზე.

სახლის პატრონი ბოლოს გატყდა და თქვა:

– კუში ჩანთაშია, სხვენში, ძველი გაზის დუხოვკაში.

გაკოჭილის სიტყვების გაგონებაზე, კუდინოვში, რომელსაც მეტსახელად „რუსს“ უწოდებდნენ, ქურდული და თვითგადარჩენის ინსტინქტები ერთდროულად ამოქმედდა. მან გაზქურიდან ტყავის ჩანთა გამოიღო. შემდეგ ეზოში ჩაძვრა, ღობეს გადაახტა და გაიქცა. გაქცეული ტარომ და მახომაც კარგად დაინახეს, ბინის პატრონი მოკლეს და იქაურობას მოშორდნენ. „რუსმა“ კი ტაქსი გააჩერა და გლდანში გაემგზავრა. ბინაში რომ შევიდა, ტყავის ჩანთა გახსნა და აღმოხდა: „ღმერთო ჩემო, აქ ხომ იმდენი ოქრო და ბრილიანტია, რომ მთელი ცხოვრება მეყოფა!..“

### ლომბარდის საქმე

ტარო და მახო, კუდინოვის მსგავსად, საპყრობილიდან იყვნენ გაქცეულები. ისინი 10-20-წლიან სასჯელს იხდიდნენ სვერდლოვსკის №12 კოლონიაში, რომელიც ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი.

ტარიელ ლებანიძე და მალხაზ გულუა ციხეში „ლომბარდის საქმის“ გამო მოხვდნენ. ისინი მოსკოვის მილიციის თანამშრომლები იყვნენ და შჩუკინის ქუჩაზე მდებარე ლომბარდში მორიგეობდნენ, როდესაც ის გაიძარცვა. სამსახურში მისულ თანამშრომლებმა ისინი გაკოჭილები ნახეს. ძარცვა ლებანიძისა და გულუას მომზადებული იყო, გაკოჭვა კი – ინსცენირებული, რომ მათზე ეჭვი არ მიეტანათ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მკაცრად დასაჯეს და ციხეში გამოამწყვდიეს, ბრალად კი ინსტრუქციის დარღვევა დასდეს. ლომბარდის ძარცვაში კიდევ ორი ადამიანი მონაწილეობდა: სიმონ ლაბაძე, რომელიც მახომ და ტარომ მისსავე სახლში მოკლეს და ცეზარ ზობოხიძე, მეტსახელად „ზორო“, რომელიც ლაბაძემ მოკლა, მტკვარში გადააგდო და მას დააბრალა ნაძარცვი ნივთების გატაცება. სწორედ ლაბაძის ბინაში გათამაშდა ის სცენა, რომელსაც „რუსი“ შეესწრო. კუდინოვის მიერ წაღებულ ჩანთაში 860 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა ინახებოდა.

## დაპატიმრებულები ფეხებით დაკიდეს კაუჭებზე და ისე აწამებდნენ

ლაბაძე რომ მოკლეს, ტარო და მახო სვერდლოვსკის კოლონიიდან ოცი დღის გაქცეულები იყვნენ და მათ მილიცია ედგა კვალში. ორივე ვაზისუბანში იმალებოდა და მკვლელობის მეორე დღეს ისინი მილიციამ დააპატიმრა, შემდეგ სამმართველოში გადაიყვანეს და დაკითხეს, რომლის დროსაც ლებანიძემ ლომბარდის ამბავი წამოსცდა, რასაც კაპიტანი ხუჭუა ჩაეჭიდა. შემდეგ ორივე სასტიკად სცემეს. კაუჭებზე ფეხებით დაკიდეს და ციხიდან მათი გაქცევის ნამდვილი მიზეზიც გაიგეს, ლაბაძის მკვლელობის ფაქტიც და, ოპერჯგუფი მოკლულის ბინაში რომ შევიდა, მის გახრწნილ გვამს მღრღნელები და მწერები ესეოდნენ. ლებანიძემ და გულუამ ჩანთის გამტაცებელი ქურდის სიტყვიერი პორტრეტიც შეადგინეს და ხუჭუა მიხვდა, რომ ის ქურდი მიშა კუდინოვი, მეტსახელად „რუსი“ იყო.

### ჭაღარა ახალგაზრდა

გლდანის ბინაში გამოკეტილი კუდინოვის სავარაუდო ადგილსამყოფელი მილიციამ ტაქსისტისგან შეიტყო. "რუსის" ძებნის არეალი საგრძნობლად შემცირდა და ის ერთ კვირაში დააკავეს. ოპერაციას პლატონ ხუჭუა ხელმძღვანელობდა და მან კუდინოვს ჰკითხა:

– ძვირფასეულობა სადაა?

– რა ძვირფასეულობა, უფროსო? – კითხვა შეუბრუნა „რუსმა“ ხუჭუას და ყბაში მუშტი მიიღო.

მილიციამ კუდინოვის ბინაც გაჩხრიკა, მაგრამ ძვირფასეულობას ვერსად მიაგნო. ის არც მაშინ გამოტყდა, როდესაც ტარომ და მახომ ამოიცნეს. ძვირფასეულობის ყოველ ხსენებაზე მარტოხელა ქურდი იღიმებოდა და ამბობდა:

– ამათ რაღაც ეშლებათ, უფროსო, რაც რუსთავიდან გავიქეცი, გლდანის ბინაში ვარ გამოკეტილი.

კუდინოვი ჯერ მილიციის სამმართველოში აწამეს, ხმა ვერ ამოაღებინეს. შემდეგ ის შინაგან ციხეში გადაიყვანეს, სადაც მას ცნობილი ჯალათი, ომზარ ზეიბუთოვი, მეტსახელად „ბოთე“ აწამებდა, „რუსი“ იქაც დუმდა და მხოლოდ მას შემდეგ დაანებეს თავი, როდესაც 30 კილო დაიკლო და ექვსი ნეკნი ჩაუმტვრიეს. რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანილი „რუსი“ 45 კილოგრამს იწონიდა და 29 წლის ბიჭი 70 წლის ჭაღარა მოხუცს ჰგავდა.

კუდინოვს უმკურნალეს, 3 წელი დაუმატეს და ციხეში შეაბრუნეს. რვა წლის შემდეგ კი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და მას მერე „რუსს“ აღარ უქურდია. „პერესტროიკის“ დროს კი ის ავსტრალიაში გაემგზავრა და ბიზნესმენი გახდა.

**ნიკა ლაშაური**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი**
**(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)**
**დისბაქტერიოზი**
**მ ი ი ღ ე თ**
**ლაქტო-ჯი**
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ მოკლა ახალგაზრდა კაცმა ბავშვობის მეგობარი და როგორ აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე გოგონა, ვის გამოც მკვლელობა მოხდა



24 წლის მამუკა მ-შვილს მეგობრის მკვლელობისთვის სასამართლომ 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ვერსია, რომ მან მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში ჩაიდინა, სასამართლომ არ გაიზიარა. რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, ეს გახლდათ ახალგაზრდა გოგონა, რომელიც მკვლელობის დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ის ჯერ მოკლულის, კოტე ი-ძის, შემდეგ კი, მკვლელობაში ბრალდებულის საცოლე იყო.

გამოძიების მასალების მიხედვით, მამუკა მ-შვილმა 22 წლის კოტე ი-ძე მის საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე სკვერში მოკლა. მკვლელობის მოტივი გახდა დაპირისპირება ორ ახალგაზრდას შორის, რომელთაც ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ 20 წლის სალომე ს-იას გამო, ერთმანეთს ამ შემთხვევამდე, ორი თვით ადრე დაუპირისპირდნენ. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მამუკა მ-შვილმა საცოლე ყოფილი შეყვარებულის სახლთან მიიყვანა და კოტე ი-ძეს მისთვის ბოდიშის მოხდას სთხოვდა. მკვლელობა რამდენიმე თვითმხილველის თვალწინ მოხდა – სკვერთან ახლოს მდებარე ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორმა, მოგვიანებით, ამოიცნო დამნაშავე და ჩვენება მისცა გამოძიებას. როგორც მან განაცხადა, სკვერში ახალგაზრდა გოგონა და ვაჟი შენიშნა: „წყვილები ამ სკვერში იშვიათი შემთხვევა არაა, მაგრამ მათ რატომღაც მიიქციეს ჩემი ყურადღება. ძალიან ხმამაღლა საუბრობდნენ, თითქმის ჩხუბობდნენ. ერთი საათი მაინც იქნებოდა გასული, როცა მათ ახალგაზრდა ბიჭი შეუერთდა. ცხარე საუბარი ჰქონდათ, ალბათ, 10-15 წუთი იქნებოდა გასული, როცა იარაღიდან ორი გასროლის ხმა გავიგონე. მაშინვე შემთხვევის ადგილისკენ გავიქეცი. გოგონა და ვაჟი, იქვე, სკვერთან გაჩერებულ ავტომობილში ჩასხდნენ და შემთხვევის ადგილი მიატოვეს. დაჭრილი ბიჭი სკვერში, მიწაზე იწვა, მუცლიდან სისხლი სდიოდა – მაშინვე სასწრაფო გამოვიძახეთ. უცებ, არ ვიცი, საიდან, შემთხვევის ადგილზე მისი ოჯახის წევრებიც მოცვივდნენ. როგორც მერე გავიგე, იქვე, ახლოს უცხოვრიათ. საშინელი ამბავი ატყდა, სასწრაფოს მოსვლამდე ახალგაზრდა ბიჭი გამვლელი მანქანით წაიყვანეს საავადმყოფოში. მოგვიანებით, შევიტყვე, რომ ახალგაზრდას ღვიძლი და მუცელი ჰქონდა დაზიანებული და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა."

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ახალგაზრდა გოგონას მიმართაც – მას ბრალი დაედო მძიმე დანაშაულის დაფარვაში. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ სალომე ს-იასთვის ცნობილი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისა და ჩადენის ფაქტი, მაგრამ ამის შესახებ არ განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებთან. უფრო მეტიც, დანაშაულის ჩადენის დროს, როცა მამუკა მ-შვილი მეგობარს სახლთან ერთი საათის განმავლობაში დაუდარაჯდა, სალომე ს-იამ ტელეფონით შეიტყო კოტე ი-ძისგან, რომ სახლში ბრუნდებოდა, თუმცა ყოფილ საქმროს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არ შეატყობინა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, განსასჯელ მამუკა მ-შვილს განზრახ მკვლელობასთან ერთად, ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაშიც დაედო. სასამართლომ დამნაშავედ ცნო მისი თანმხლები გოგონაც. გამოძიების მასალების მიხედვით, მამუკა მ-შვილსა და კოტე ი-ძეს შორის დაპირისპირება მკვლელობამდე ორი თვით ადრე მოხდა. მათი საერთო მეგობრების ჩვენების მიხედვით, ახალგაზრდები სალომე ს-იას გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გოგონა ჯერ კოტე ი-ძეს ხვდებოდა და მის საცოლედ ითვლებოდა, შემდეგ კი, მის მეგობარს – მამუკა მ-შვილს. როგორც გამოძიებით დადგინდა, მამუკა მ-შვილი ყოფილ მეგობარს იმის გამო წაეჩხუბა, სალომეზე მეგობრებში ცუდს ლაპარაკობ და შეურაცხყოფას აყენებო. დაპირისპირებული ახალგაზრდები მეგობრებმა გააშველეს, მოგვიანებით, მათი შერიგებაც სცადეს, რაზეც მამუკა მ-შვილი ვერ დაიყოლიეს. ის ხშირად ემუქრებოდა კოტე ი-ძეს. ჰპირდებოდა, რომ მისი საცოლის შეურაცხყოფას არ აპატიებდა და მის წინ მუხლებზე დამხობილს ბოდიშს მოახდევინებდა.

## მკვლელი მოკლულ მეგობარს აბრალებდა, რომ ის შეიარაღებული იყო

გარდაცვლილის დედის ჩვენების მიხედვით, მისთვის ცნობილი იყო მისი შვილისა და მამუკა მ-შვილის დაპირისპირების შესახებ. არსებულ კონფლიქტს ის გოგონას აბრალებდა, რომელიც, მისი აზრით, მამუკა მ-შვილს აქეზებდა და ატყუებდა, რომ კოტე ი-ძე მას სახალხოდ შეურაცხყოფდა. „ჩემი შვილი საერთოდ გაერიდა იმ წრეს. ხმას არ სცემდა სალომეს, მისი დანახვაც აღარ უნდოდა. ერთი წელი ჩემს ოჯახში დადიოდა როგორც სარძლო, სიყვარულს არ ვაკლებდით. მან კი სასიკვდილოდ გაიმეტა ჩემი შვილი", – აცხადებდა დაზარალებული ქალბატონი გამოძიებასთან.

მკვლელობაში ბრალდებულმა მამუკა მ-შვილმა გამოძიებასთან ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა. ჯერ დუმილის უფლება გამოიყენა, შემდეგ განაცხადა, რომ ცეცლსასროლი იარაღი თავდაცვის მიზნით გამოიყენა, რადგან კოტე ი-ძეს ხელში დანა შენიშნა. მას შემდეგ, რაც გამოძიებით დადგინდა, რომ გარდაცვლილს დანა არ ჰქონია, მამუკა მ-შვილმა განაცხადა, რომ მან ასე შენიშნა, ცეცხლსასროლი იარაღი კი შემთხვევის ადგილზე მის შესაშინებლად ამოიღო. დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, მათ შორის იყო ბრალდებულის მეგობარი გოგონა, მამუკა მ-შვილს ცეცხლსასროლი იარაღი კოტე ი-ძესთან შეხვედრაზე განგებ ჰქონდა წაღებული. ბევრ ადამიანთან უთქვამს, რომ „თუ სალომეს ბოდიშს არ მოუხდიდა, ის საკუთარ თავზე პასუხს არ აგებდა". მამუკა მ-შვილის ჩვენების მიხედვით, იმ დღეს სალომე ს-იასთან ერთად ერთი საათი ელოდა სახლთან კოტე ი-ძეს. „დიდხანს ველოდეთ, ვიფიქრე, რომ სკვერში, სადაც ხშირად იყო ხოლმე, აუცილებლად გამოჩნდებოდა. ბოლოს სალომეს დავარეკინე და ვაკითხვინე, სად იყო. კოტემ უთხრა, რომ სახლისკენ მოდიოდა. მისი მოკვლა განზრახული არ მქონია. მინდოდა, საქმე გამერჩია და სალომეს თვალწინ ბოდიში მოეხადა. მაგრამ, როცა სკვერში ერთმანეთს შევხვდით, ჩემს შეურაცხყოფაზე გადმოვიდა. ძიძგილაობა დამიწყო, მერე დანა ამოიღო ჯიბიდან. თავდაცვის მიზნით ორჯერ ვესროლე. ამის შემდეგ მე და სალომე შემთხვევის ადგილიდან მანქანით წავედით. არ ვიცოდი, რომ გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე არ დავრჩი მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მშობლების შემეშინდა. ისინი სკვერთან ახლოს ცხოვრობდნენ და ვიცოდი, რაც მოხდებოდა," – განაცხადა ჩვენებაში ბრალდებულმა მამუკა მ-შვილმა.

სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულის ჩვენება რომ კოტე ი-ძე დანით იყო შეაირაღებული. ეს დადასტურდა გარდაცვლილის მეგობრების ჩვენებებითაც. მამუკა მ-შვილი ყოფილი საქმროს განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა სალომე ს-იამაც, რომელმაც წარდგენილ ბრალდებაში თავი დამანშავედ ცნო. მას სასამართლომ ერთი წლით პატიმრობა შეუფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ ფუტკრის ხატვა



2. გამოკვეთეთ სახის ნაკვთები



3. მიახატეთ „ჩქები“



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



4. თავს მიახატეთ ტანი



5. შემდეგ – ფეხები და ფრთები



6. დაასრულეთ ნახატი

# იპოვეთ 10 განსხვავება





# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ქვრივი და ქათამი

## (იგავ-არაკი)

ქვრივ ქალს ერთი ქათამი ჰყავდა. ქათამი ყოველდღე თითო კვერცხს დებდა. ქვრივმა იფიქრა: მოდი, ამ ქათამს ბევრ ქერს ვაჭმევ და კვერცხის დებას მოუმატებსო. ასეც მოიქცა. მაგრამ ქათამი ძალიან გასუქდა და ერთ კვერცხსაც ველარ დებდა.

შეგონება: ადამიანი ხარბი არ უნდა იყოს. როდესაც ბევრს მოინდომებ, შეიძლება, ის მცირედიც დაკარგო, რაც გაქვს.

# რიცხვრებუსი

,20, 1,,, ,20, 5,,, ,,0

# ბეკეკები კვერცხიდან



სამი ცალი ცარიელი კვერცხის მთელი ნაჭუჭი დაგჭირდებათ; კიდევ – სალებავი და ფერადი მუყაო. ძალიან მარტივია ამ მხიარული ბეკეკების დამზადება. დახედეთ სურათს და თქვენს პატარასთან ერთად შეუდექით საქმეს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ეკლიანი ცხოველი / მეტეოპროგნოზი | | მფრინავი თაგვი | | |
| | | | | ბაღჩეული კულტურა |
| | | | | |

ფარდობითობის თეორიის ავტორი

ზღვის სარეწაო თევზი

ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი

გერმანელი ავტომრბოლელი

განთიადის ქალღმერთი რომ. მით.

ქვეყანა აფრიკაში

ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი

ჰოლივუდის მსახიობი ... კიდმანი

ფულის ერთეული გერმანიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში

ფეხსახსრიანი ცხოველი

მეტროს სადგური თბილისში

პურის, წიგნის და სხვ. კიდე

ეკლიანი ცხოველი

ოდნავ, სასიამოვნოდ ცივი

დახლართული შესასვლელ-გამოსასვლელი

თევზსაჭერი მოწყობილობა

დიდი ვენახი

„გველის მჭამელის" პერსონაჟი

მდინარის პრიმიტიული ტრანსპორტი

სასულიერო პირის მოადგილე მუსლიმანებში

მრგვალი უფარფლო ქუდი

ქართული ზღაპრების პერსონაჟი

მავთულის სადგომი ფრინველებისა და ცხოველებისთვის

ყალთაბანდი, ანუ ...

აღმოსავლური სიმებიანი საკრავი



წრილი, ანუ ...

ფართობის ერთეული

ორნიშნა რიცხვი

ქვეყანა აზიაში

Column clues:

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | 1 | | 1 | 1 | | | | | |
| | | 2 | 3 | 1 | 3 | 2 | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | |
| | 12 | 14 | 24 | 16 | 24 | 14 | 12 | | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 12 | 14 | 24 | 16 | 24 | 14 | 12 | 2 | 2 | 2 | 1 | 5 |

Row clues:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | 3 | 8 |
| | 1 | 1 | 1 | 3 | 2 |
| | | 1 | 1 | 1 | 2 |
| | | 1 | 1 | 1 | 2 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 3 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | 3 | 3 |
| | | | | 5 | 5 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 5 | 5 |
| | | | | 3 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 9 | 6 | | 8 | | | 7 |
| 8 | 5 | | 1 | | 7 | | 9 | |
| | 6 | | 5 | 9 | | | 1 | 8 |
| 6 | 3 | 5 | | | 1 | 4 | | |
| | | 4 | | 6 | | 1 | 8 | 5 |
| 1 | 8 | | 9 | 4 | | 7 | | |
| | 2 | | 7 | | 3 | 9 | 4 | 6 |
| 7 | 9 | 8 | | 1 | 6 | | | 2 |
| | 4 | 6 | | 5 | 9 | | 7 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 1 | | 3 | 2 | |
| | | 9 | | 7 | | 4 | | 6 |
| 1 | | 4 | | | 3 | 7 | | |
| | | | 1 | 4 | | | 7 | 3 |
| 9 | 7 | | 2 | | 8 | | | |
| | | 1 | | | 6 | | 9 | 5 |
| 6 | | 8 | | 2 | | | | |
| | | | 3 | | | 1 | 8 | |
| 4 | | | 9 | | | 5 | | |

**ვაჟა მანია ცოტა ხნის წინ ბოსტონიდან თბილისში ჩამოვიდა. მან „ბერკლიში“ ერთი სემესტრი კვლავ წარმატებულად დაამთავრა და ახლა თბილისში საშემოდგომო სემესტრისთვის საბუთებს აწესრიგებს. ვიმედოვნებ, რომ მომავალში „ბერკლიში“ სწავლასთან დაკავშირებით მას პრობლემები არ შეექმნება.**

# როდის აპირებს „ბერკლიში“ სოლო კონცერტის გაკეთებას ვაჟა მანია და რატომ ჩამოიპარა ის თბილისში

**ვაჟა მანია**: გაზაფხულის სემესტრი დამთავრდა და ჩამოვედი თბილისში. საკმაოდ დატვირთული სემესტრი მქონდა და რაც მთავარია, ბევრი მუსიკოსი გავიცანი. ეს კი სწავლასთან, პედაგოგებთან ურთიერთობასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია. იყო მასტერ-კლასები, რომელშიც ვმონაწილეობდი და საკმაოდ აქტიური სტუდენტი ვიყავი.

**– ხანგრძლივი პაუზა გქონდა, რამდენიმე სემესტრი გამოტოვე და ბოლოს, როგორც იქნა, გააგრძელე სწავლა „ბერკლიში”.**

– აქ ისე ვიქოქები, რომ მერე ამერიკაში სწავლას მოწყურებული მივდივარ. ამერიკელებს ასეთი გამოთქმა აქვთ: როცა მშიერი ხარ, ანუ საქმის კეთება გწყურია, იმ საქმეს უფრო კარგად აკეთებო. ასე დამემართა მეც. ზოგადად, ეს სემესტრი საკმაოდ დატვირთული იყო. „ბერკლიში” იმართება ჯაზური საღამოების სერიები. მონაწილეების შესარჩევად კი, ტარდება კონკურსი. ბევრი სტუდენტი მონაწილეობს კონკურსში, ზოგს – უმართლებს, ზოგს – არა. გამიხარდა, რომ მეორედაც გავიმარჯვე კონკურსში და კონცერტში მონაწილეობა მივიღე, რომელიც „ბერკლის“ ერთ-ერთ ცნობილ დარბაზში იმართება. პატარა სცენაა, მაგრამ ბევრი ცნობილი მუსიკოსი სწორედ ამ დარბაზში ატარებს კონცერტებს. შესაბამისად, საკმაოდ პრესტიჟულია და ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო ამ კონცერტზე სიმღერა. ეს საღამო არის ბერკლის პედაგოგის, მეგი სკოტის – მისი კონცერტია. ხანდაზმული ქალბატონია, ვოკალის პედაგოგიც არის და პიანისტიც. შესაბამისად, მასთან გიწევს გასაუბრება. მე ორი სიმღერა ვიმღერე. ერთი იყო: ჩარლი მინგუსის კომპოზიცია, მეორე – „ესტატე“, იტალიური სიმღერა, თუმცა, ჯაზურ სტანდარტებში შედის. ძალიან კარგი მელოდიაა, ბევრი ჯაზ-შემსრულებელი ასრულებს. მეც ჩემებური ვერსია გავაკეთე. ჩარლი მინგუსის ეს კომპოზიცია ურთულესია და როდესაც მოსმენაზე ვიმღერე, მეგი სკოტმა მითხრა: ეს ჯაზ-სტანდარტი ტოპ-სიმღერებში შედისო.



**ამერიკელებს ასეთი გამოთქმა აქვთ: როცა მშიერი ხარ, ანუ საქმის კეთება გწყურია, იმ საქმეს უფრო კარგად აკეთებო. ასე დამემართა მეც**

**– დაიმსახურე მისი შექება?**

– საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ. ერთი რამ ვიცი: ძალიან მოსწონს, კმაყოფილია. ემოციები მანამადე გამოხატა, კონცერტის მერე უფრო მილოცვა იყო. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ იქ შეგიძლია გააკეთო ის, რაც რთულია, რაც გსიამოვნებს და მას მაყურებელი მიიღებს, მისი ფასი კარგად იცის. საბოლოოდ, კონცერტმა და მასტერ-კლასებმაც კარგად ჩაიარა. იყო კიდევ ერთი ცნობილი კომპოზიტორისა და მომღერლის მასტერ-კლასი – ის „ბერკლიში“ ძალიან უყვართ. მის მასტერ-კლასზე ვიმღერე და პლუს, მისი კონცერტიც იყო. იქ ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორ გადმოსცემ სიმღერით ისტორიას, შინაარსს, ანუ როგორ გადმოსცემ სიმღერის ტექსტს, როგორ გაქვს გააზრებული. სახის მიმიკაზეც უნდა გეტყობოდეს ყველაფერი. იმასაც გეკითხებიან: ეს სიმღერა რატომ აირჩიე, უბრალოდ, მომწონს და ვმღერი – არ არის. ტექნიკურ მხარეზეც თუ რამე ხარვეზი გექნება, მოგცემენ შენიშვნას, მაგრამ მაინც უფრო დიდი ყურადღებას შესრულებას, სიმღერის შინაარსის გადმოცემას აქცევენ. „ბერკლიში“ ხშირად დავდივარ კონცერტებზე, როგორც ცნობილი მომღერლების, რომლებიც სპეციალურად კონცერტების ჩასატარებლად ჩამოდიან, ასევე, სტუდენტების. ეს ძალიან საინტერესოა, ბევრ რამეს იგებ, სწავლობ. სტუდენტებს უფრო მეტად აინტერესებთ სიახლეები. თავად წერენ ახალ სიმღერებს, ვიდრე ძველი სიმღერების ქავერები გააკეთონ. წამოსვლამდე კლასი ავიღე – სტუდიაში ჩაწერის პრაქტიკა. ჩვენ მიგვქონდა ნოტები ბენდისთვის, ყველაფერს ჩვენ ვწერდით – ზოგი ძველი სიმღერების ახლებულ ვარიანტებს, ზოგი – ახალს. იქ აღმოვაჩინე ჩემი მეგობრის ძალიან კარგი სიმღერა, ვთხოვე: მომეცი-მეთქი. მივხვდი, ეს ჩემია.

**– იოგას კლასიც გქონდა აღებული.**

– იოგაც კავშირშია მუსიკასთან. სწორად სუნთქვაში, სხეულის თავისუფლად დაჭერასა და დგომაში გეხმარება. ბევრჯერ მოუციათ შენიშვნა: სცენაზე სიმღერის დროს მხრებში გაიშალეო. იოგაზე იმდენი ვიწელე, მგონი, აღარ მოვიხრები მხრებში. კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო კლასი გვქონდა: სპონტანური იმპროვიზაცია. ათი ბავშვი ინსტრუმენტების გარეშე ვდგებოდით და ვმღეროდით. ოღონდ იცი, როგორ? – ბუმ და დავიწყეთ. წინასწარ არაფერზე ვთანხმდებოდით – არც მელოდიაზე, არც ტონალობაზე, არც შინაარსზე. ყველაფერი სპონტანურად ხდებოდა. წრეზე ვდგებოდით, თვალებს ვხუჭავდით, 10 წამი ვსუნთქავდით და მერე უცებ ვიღაც იწყებდა სიმღერას, სხვებიც ავყვებოდით და ათივე რომ შეიკვრებოდა, იქ ხდებოდა სასწაული. გარდა ამისა, კანონივით გვქონდა: სკეტზე უნდა გვემღერა: დუბა, დუბა, დუბა და შენს ენაზე, ოღონდ ქართულსა ან ინგლისურზე კი არა, უცნაურ ენაზე. მესამე ვარიანტი იყო უკვე სიტყვებზე, ოღონდ ინგლისურ ენაზე სიმღერა ისეთი საინტერესო გამოდიოდა, უცნაურ რაღაცაში გადავვარდებოდით ხოლმე. მერე ვფიქრობდით: ეს როგორ, რატომ, რა ხდება?!

**– როგორ ვიცი, საშემოდგომოდ რომ ჩახვალ „ბერკლიში“ შენს სოლო კონცერტს გააკეთებ.**

– მეოთხე სემესტრის შემდეგ „ბერკლი“ სოლო კონცერტისთვის გითმობს დარბაზს. მეც ვგეგმავ ორმოცწუთიან სოლო კონცერტს. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული: ორგანიზება, მუსიკოსების, სიმღერების არჩევა. შესაბამისად, ძალიან საინტერესოა. ზაფხულს გამოვიყენებ იმისთვის, რომ არანჟირებები გავაკეთო და ყველაფერი გამზადებული ჩავიტანო ბოსტონში. ბენდის წევრებსაც ავარჩევ. დიდი პასუხისმგებლობით ვუდგები საკითხს და ვნახოთ, როგორი გამოვა.

**– რა თვისებები შეგძინა ამერიკაში ცხოვრებამ?**

– უპირველეს ყოვლისა, თავდაჯერებულობა. უკვე ვიცი: რა შემიძლია და რა – არა. სტუდენტებს რომ უყურებ, ვინც „ბერკლი” დაამთავრა და ახლა კონცერტები აქვთ ამერიკაში, ევროპაში, ხვდები, რომ შენც მათგან არაფრით განსხვავდები. ორივე ერთად სწავლობთ, ორივე ერთ პროგრამას გადიხართ, ერთნაირი კომფორტი გაქვთ სწავლის მხრივ. შესაბამისად, შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუმცა, გამართლებაც საჭიროა, მაგრამ მე ყოველთვის მჯერა, რომ შრომა იქ აუცილებლად დაგიფასდება. მჯერა, რომ თუ დავამთავრებ „ბერკლის“ და იქ ვიქნები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მივაღწევ იმას, რაც მიზნად მაქვს დასახული, რისთვისაც ვარ წასული. ახლა, ზაფხულში მოვაგვარებ საბუთების ამბავს და იმედი მაქვს, შემოდგომიდან სწავლას გავაგრძელებ. შედეგს აუცილებლად ნახავს ყველა. იქ სწავლის გარდა, სხვა საქმე არც მაქვს. სულ ვმეცადინეობ, სიახლეებს ვითვისებ. როცა ცოტათი ვიღლები, მერე განტვირთვასაც ვუთმობ გარკვეულ დროს. საკუთარ თავს რომ ვაკვირდები და იმასაც, რა შენიშვნებს მაძლევდნენ პირველ სემესტრში პედაგოგები და ახლა როგორ მიიღეს საქმე, დიდ განსხვავებას ვხედავ. ახლა მისმენენ, არც მაჩერებენ და ბოლოს მეტყვიან რამეს. ადრე, გითხარი კიდეც: ერთი „კუპლეტი” ვერ ვიმღერე, სულ მაჩერებდა პედაგოგი-მეთქი. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის ვითვალისწინებ რჩევებს. სხვანაირად, შედეგს, პროგრესს ვერ მივაღწევ.

**– თბილისში ჩამოიპარე, არავინ იცოდა შენი ჩამოსვლის შესახებ. რა გეგმები გაქვს?**

– კი, ჩამოვიპარე. ბევრმა არც იცის, აქ რომ ვარ. რაღაც შემოთავაზებები არის და ვნახოთ. ჩემს საქმესაც მივხედავ, კონცერტისთვის გავაკეთებ სიმღერებს.

**ნათია უტიაშვილი**

**დიდი ხანია, მომღერალი სალომე გასვიანი არსად გამოჩენილა. თუმცა, საქართველოში ყველას ახსოვს პატარა, ნიჭიერი, უნიკალური ხმის ტემბრის მქონე გოგონა, რომელსაც დიდ და წარმატებულ მუსიკალურ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. ის, ახლა 25 წლისაა, ამერიკაში ცხოვრობს, სწავლობს და იქ აგრძელებს თავის მუსიკალურ კარიერას – საკუთარი ბენდის სოლისტია. მართალია, სალომე ჟურნალისტებს არ წყალობს და ყოველთვის უარს ამბობს ინტერვიუზე, მაგრამ ამჯერად, ჟურნალ „თბილისელებისთვის" გამონაკლისი დაუშვა და საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ მოგვცა.**

# რატომ ამბობს უარს ამერიკაში ჩვეულებრივ სიყვარულზე სალომე გასვიანი, ვისთან ერთად ცხოვრობს ის ლოს-ანჯელესში და რატომ გადაწყვიტა მან მთელი ცხოვრება მარხვის დაცვა

**სალომე გასვიანი**: ლოს-ანჯელესში ვცხოვრობ და ვსწავლობ. შარშან დავასრულე მუსიკის ბიზნესის ფაკულტეტი და ახლა, სატელევიზიო ფაკულტეტზე ვსწავლობ. ხუთი წელია, არ ვყოფილვარ საქართველოში და ძალიან მენატრება ჩემი ქვეყანა.

**– ამერიკაში ვისთან ერთად ცხოვრობ?**

– ამერიკაში მარტო, ჩემს პატარა ძაღლთან – ლუნა ლენონთან ერთად ვცხოვრობ. მეზობლები სხვა შტატში გადავიდნენ საცხოვრებლად და ლუნა მე მაჩუქეს. ეს არსება ძალიან მიყვარს, ვგიჟდები, ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია. ბევრს ვთამაშობთ და ვსეირნობთ ერთად. სხვათა შორის, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, მისი გაცნობის მერე ხორცს და რძის პროდუქტებს აღარ ვჭამ. გამოდის რომ, სულ მარხვაზე ვარ. ბევრს ვვარჯიშობ და თან, ჯანსაღად ვიკვებები.

**– მრავალშვილიანი ოჯახიდან ხარ. არ გაგიჭირდა დამოუკიდებლად შორეულ ქვეყანაში ცხოვრება?**

– თავიდან გამიჭირდა, რთულია შეეგუო ახალ გარემოს და იყო დამოუკიდებელი, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ. ოჯახის წევრებსაც ხშირად ვეკონტაქტები სოციალური ქსელით. დედა კი, ხშირად ჩამოდის ჩემთან. ასე რომ, მონატრებას ვივსებ. იმედია, მალე ჩამოვალ და ყველას პირადად მოვესიყვარულები.

**– თქვი, ამერიკაში დამოუკიდებლად ვცხოვრობ და ვსწავლობო. არადა, ყველას ახსოვს პატარა გოგონა, რომელიც არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭითა და ხმით გამოირჩეოდა და მისი კლიპები ხშირად ჩანდა სატელევიზიო სივრცეში. მუსიკალურ კარიერას არ აგრძელებ?**

– როგორ არა. მიუხედავად დატვირთული სასწავლო გრაფიკისა, დრო ყოველთვის მაქვს სიმღერისთვის. საკუთარი მუსიკალური ჯგუფიც მყავს და საკმაოდ გემოვნებიანი მსმენელიც. ჯგუფში ოთხი ამერიკელი ბიჭია და მე ერთი, ქართველი სოლისტი გოგო. თან, გიტარაზეც ვუკრავ. ბენდის ბიჭები, როგორც გოგოს, არც მიყურებენ. ჰგონიათ, მეც მათსავით ბიჭი ვარ და ძმაკაცად აღმიქვამენ ***(იცინის).*** ჯაზ-ბენდს ჰქვია: „ჩვენ ერთნი", და ჩვენი მესიჯია: სიყვარული და პოზიტივი! ერთ ინსტიტუტში დავდიოდით და დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ. ორი წელია, რაც ბენდი ჩამოვაყალიბეთ და ძალიან მანებივრებენ. თვითონ ამბობენ, ვერ წარმოგვიდგენია, შენ რომანტიკულად როგორ უნდა შემოგხედოთ, ჩვენი ძმაკაცი ხარო ***(იცინის).*** ორი თვის წინ კლიპიც გადავიღეთ და ახლა დიდ ტურნეს ვიწყებთ სხვადასხვა შტატში. ძირითადად, კლუბებში გამოვდივართ და უამრავი მსმენელი მოდის, ინტერესდება და მადლობას გვიხდის.

**– რომ ამბობენ, ამერიკაში ჩქარი ტემპია და მას ფეხი უნდა აუწყოო, შენ ეს გამოგივიდა?**

– ცხოვრებას როგორც აუწყობ ფეხს, ისე გაჰყვები, როგორი თვალითაც შეხედავ, ისე შემოგხედავს და გაგიმართლებს. ჩემთვის ამერიკულ სწრაფ ტემპზე გადმოწყობა რთული არ იყო, თუმცა მის გასწრებასაც არ ვგეგმავ ***(იცინის).*** ყველაფერს თავის დრო აქვს. ამ ქვეყანამ მასწავლა, რომ უფრო მიზანდასახული, თვითდაჯერებული, თავმდაბალი და დამოუკიდებელი უნდა ვიყო. ასევე, შეგიძლია, ადამიანმა ყველაფერი თავიდან დაიწყო და იყო წარმატებული. აქ მეტი გასაქანია, რომ განვითარდე, ჩამოყალიბდე და ისწავლო. ამერიკაში არ აქვს მნიშვნელობა რომელი რელიგიის მიმდევარი ხარ, როგორი ოჯახის წარმომაგენელი – მაღალი წრის თუ დაბალი. აქ ყველა ერთია. ამ ქვეყანაში ყველა გაღიმებული დადის და მეც ვისწავლე, რომ მუდამ უნდა ვიღიმებოდე, არ მერიდებოდეს მადლობის და ბოდიშის თქმა და სულ პოზიტიური განწყობა მქონდეს. ქართული ხასიათი და გენეტიკაც მშველის, რომ სამშობლოდან შორს არ დავკარგო თავი და სწორ გზაზე ვიარო.



**ჩემს ჯაზ-ბენდს ჰქვია „ჩვენ ერთნი", და ჩვენი მესიჯია – სიყვარული და პოზიტივი!**

**– სალომე, ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობი, ვინ არის?**

– ყველაზე მეტად დედას ვენდობი და ვხუმრობ ხოლმე, ალბათ, 80 წლის რომ ვიქნები, ისევ დედას დავეკითხები ჭკუას-მეთქი ***(იცინის).*** დედა ჩემთვის ქალღმერთი და ქალის იდეალია. ვცდილობ, დედას ვგავდე. ოთხი დედმამიშვილი მყავს და ყველას ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

**– შეყვარებული არ გყავს?**

– არა, შეყვარებული არ მყავს და არც პაემნებზე დავდივარ. ვცდილობ, სახლში ვიყო და წიგნები ვიკითხო, ან ბენდის ბიჭებთან რეპეტიცია გავიარო. ამერიკაში ბიჭის და გოგოს შეხვედრები და გაცნობები, ჩვეულებრივი მომენტია. მაგრამ, მე ჩვეულებრივი სიყვარული არ მინდა.

**– აბა, არაჩვეულებრივი სიყვარული როგორია?**

– სიყვარულისთვის ვცხოვრობ თავიდან ბოლომდე, მაგრამ რომანტიკული ვარ და ასეთი რომანტიკული სიყვარულის მოლოდინში ვარ. ჩემი ოთახის კედლები რომ ნახოთ, მიხვდებით, როგორი რომანტიკოსი ვარ – გაკრული მაქვს ლექსები, ნახატები, ჩემი თაყვანისმცემელი მსმენელების ნაჩუქარი პლაკატები, ამოჭრილი, ლამაზი, წითელი გულები. ამ ეტაპზე, არ არის ჩემ გარშემო ისეთი ბიჭი, რომ შემიყვარდეს. ძალიან რომანტიკული ბუნების გოგო ვარ. ერთხელ ვცხოვრობ და რატომ დავნებდე ჩვეულებრივ სიყვარულს, როცა შეიძლება, ზღაპრული სიყვარული მქონდეს? ***(იცინის).*** თუმცა, თაყვანისმცემლები კი მეპრანჭებიან. ხშირად მანქანაზე მხვდება წარწერები, მაგრამ არ ვიცი, ვინ წერს. ამას წინათ კი, წიგნის მაღაზიიდან დაბრუნებულმა, ჩანთაში ვიპოვე ბიჭის წერილი. სიყვარულს მიხსნიდა, თანაც ძალიან რომანტიკულად, მაგრამ ვერ მივხვდი, ვინ არის ***(იცინის).*** ბევრჯერ ყვავილებიც მოურთმევიათ. სხვათა შორის, საჩუქრებით მანებივრებენ ისინი, ვინც ჩვენი ბენდის მოყვარულია და ხშირად დადის ჩვენს მოსასმენად. ამას წინათ ერთმა მსმენელმა მაისური მაჩუქა – ძალიან ლამაზია და მოვირგე. მიხარია, როცა ქუჩაში მცნობენ და თბილ სიტყვებს მეუბნებიან. ახლა ბინა შევიცვალე და მისამართს არავის ვეუბნები. არ მინდა, თაყვანისმცემლებმა შემაწუხონ. არ გეგონოთ, ამაყი ვარ და თავი მომწონს. მე უბრალო გოგო ვარ, თავმდაბალი. არ მიყვარს მარიაჟობა. ამერიკაში არავინ აქცევს ყურადღებას რა გაცვია, ვისი ბრენდია, ძვირი ღირს თუ არა. რაც უფრო უბრალო, ხარ, მით მეტი დაფასება გაქვს. ამას წინათ, კაფეში ყავას ვსვამდი, უცებ ვიღაც გოგონა მომიახლოვდა და მითხრა, ძალიან მიყვარხართ, თქვენს მოსასმენად ხშირად დავდივარ კლუბშიო და ჩამკოცნა. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმულია, რომ უფრო მეტი ვიმუშაო და ახალი სიმღერები შევქმნა. „ინსტაგრამზე" ისეთი თბილი წერილები მხვდება, მათი წაკითხვა არასდროს მბეზრდება. ქართველები ძალიან ნიჭიერები და კარგები ვართ და სადაც არ უნდა წავიდეთ, ჩვენს ნიჭიერებას ყველა აფასებს. სხვათა შორის, ყველას ამერიკელი ვგონივარ. მე კი ხაზს ვუსვამ, რომ ქართველი ვარ! ძალიან ბედნიერი ვარ, ვაკეთებ რაც მომწონს, ვცხოვრობ ულამაზეს, სიმწვანეში ჩაფლულ ქალაქში, მყავს უნიჭიერესი ბენდის ბიჭები. მიუხედავად სიშორისა, ჩემი ოჯახიც გვერდით მიდგას, მამხნევებს და სუნთქვის საშუალებას მაძლევს – მე ამით ვარსებობ!

**ნონა დათეშიძე**

# რატომ დანიშნა დავით აღმაშენებელმა ვაზირთა უპირველესად ანუ მთავრობის თავმჯდომარედ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი და არა ვინმე ფეოდალი

1072 წელს გარდაიცვალა დიდი ხელმწიფე ბაგრატ მეოთხე, რომელიც დაკრძალეს ჭყონდიდში. ჭყონდიდი უძველესი დროიდან რელიგიური ცენტრი ყოფილა. წარმართულ ხანაში იქ მდგარა დიდი (დიადი) მუხის (მეგრულად ჭყონის, ძველქართულად რკონის) წმინდა ხე. საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ, ამ მუხის ფესვების ადგილას, მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების მიჯნაზე, აუგიათ მონასტერი. მეათე საუკუნეში გადააკეთეს ტაძარი და იქ საეპისკოპოსო კათედრა იყო.

ბაგრატ მეოთხის თხოვნით, ჭყონდიდის კათედრაზე რამდენიმე წელი მოღვაწეობდა ქართველთა ერთ-ერთი მნათობი, გიორგი მთაწმინდელი. მან უარი თქვა მღვდელმთავრობაზე, მაგრამ ყველანაირად დაეხმარა მეფეს და დაალაგა ქართული ეკლესიის საქმეები. პარალელურად, აღმზრდელობით საქმიანობას ეწეოდა, რა თქმა უნდა, თეოლოგიურ, მთარგმნელობით, სალიტერატურო და სხვა საქმიანობასთან ერთად. შეუკრებია თავისი მოწაფე ნიჭიერი ყმაწვილები, ალბათ სხვებიც და კონსტანტინოპოლში წაუყვანია სასწავლებლად.



სამწუხაროდ, კონსტანტინოპოლში ჩასვლიდან რამდენიმე ხანში, გიორგი ათონელი გარდაიცვალა. მაგრამ მის საქმეს არ ჩაუვლია უშედეგოდ. ეფთვიმე და გიორგი ათონელების მიერ გაწეული უდიდესი სამეცნიერო, სალიტერატურო, საღვთისმეტყველო, მთარგმნელობითი და პედაგოგიური საქმიანობის შედეგად, იმატა ნიჭიერი და განათლებული ადამიანების რიცხვმა ეკლესიისა და ქვეყნის მმართველთა შორის.

როგორც ჩანს, საქართველოში და კერძოდ, ჭყონდიდში მოღვაწეობის ჟამს, გიორგი ათონელი მონაწილეობდა ბაგრატ მეფის ძის, უფლისწულ გიორგის აღზრდასა და განსწავლაში.

ბაგრატ მეოთხე დიდ ყურადღებას აქცევდა ჭყონდიდს, და როგორც ჩანს, მისი ანდერძის მიხედვით დაკრძალეს იქ.

ალბათ, უფლისწულ გიორგისთან ერთად, ჭყონდიდში სწავლობდა მისი მეგობარი გიორგი, ჭყონდიდის მომავალი ეპისკოპოსი. მემატიანე მასზე წერს „თანააღზრდილი პატრონთა, აღმზრდელი პატრონისა“. ის იზრდებოდა გიორგი მეორესთან ერთად და მერე გახდა აღმზრდელი დავით აღმაშენებლისა. შესაძლოა, წარმოშობით სამეგრელოდან ყოფილიყო.

დავით აღმაშენებლის, როგორც მემკვიდრე უფლისწულის აღზრდაში, მის ეკლესიურ გზაზე დაყენებასა და პოლიტიკურ განათლებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ შესანიშნავ ადამიანს. ის კარგი მეომარი და სარდალიც ყოფილა და თავისი ცოდნა გადასცა შეგირდს – მომავალ მეფეს.

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე ცვლილება მოხდა. „თვით მამამან“, გიორგი მეფემ „დაადგა გვირგვინი მეფობისა“ თავის 16 წლის ვაჟს და ქვეყნის მმართველად გამოაცხადა. გიორგი მეორე ამის მერე მეფეთ-მეფის ტიტულს ატარებდა, მიენიჭა ბიზანტიური ტიტულიც – კესაროსი, რაც კეისრის, იმპერატორის მემკვიდრეს ნიშნავს. დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონდა გიორგი მეორეს. ქვეყანას მართავდა მისი ყმაწვილი ვაჟი დავითი, თავის მრჩევლებთან და თანამებრძოლებთან ერთად. მათ შორის უმთავრესი იყო გიორგი ჭყონდიდელი. შესაძლოა, წყაროებმა არ შემოგვინახა სხვა მამულიშვილების სახელიც.

ალბათ, ერთ-ერთი მათგანი, ვინც დაარწმუნა გიორგი მეფე, შვილისთვის დაეთმო ქვეყნის მართვა, იქნებოდა გიორგი ჭყონდიდელი.

თვითონ გიორგი მეორე სულ პატარა იყო, როცა მამამისს, ბაგრატ მეფეს მოუწია ბიზანტიაში გამგზავრება. უფლისწული გიორგი ლიპარიტ ბაღუაშმა მეფედ აკურთხებინა და თვითონ დაუდგა მზრდელად (რეგენტად). როცა ბაგრატი სამშობლოში დაბრუნდა, კვლავ ჩაიბარა მეფობა და დაატყვევა ლიპარიტი, გიორგი უკვე მამამისის თანამეფე იყო...

გიორგი ჭყონდიდელი გახდა დავით მეფის ვაზირთაუპირველესი, მას ჩააბარეს მწიგნობართუხუცესობა. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ის გახდა პრემიერ-მინისტრი, უფრო სწორად, სახელმწიფოს კანცლერი მთავრობის თავმჯდომარის უფლებებით.

მწიგნობართუხუცესის სახელო მანამდეც არსებობდა. მწიგნობართუხუცესი უძღვებოდა მეფის კაბინეტს, კანცელარიას.

ახლა უკვე რეფორმა მოხდა და მწიგნობართუხუცესის სახელო ჩაიბარა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა, მეფის გამზრდელმა, თან ეპისკოპოსმა (ბერმა), რომელსაც საეკლესიო იერარქიაშიც მაღალი ადგილი ეკავა.

ამგვარად, გაერთიანდა ჭყონდიდის ეპისკოპოსისა და მთავრობის მეთაურის ძალაუფლებანი. გაიზარდა მწიგნობართუხუცესის უფლებამოვალეობანი. ამ ბრძნული გადაწყვეტილების შედეგად, მთავრობის მეთაურის, ყველაზე მთავარი ვაზირის სახელო (პოსტი) ჩაიბარა ბერმა. ეს ძალიან ეფექტური რეფორმა იყო. ბერს, ეპისკოპოსს, არც ქონების დაგროვება მოუნდებოდა თავისთვის ან ოჯახისთვის, არც თანამდებობის გადაცემა შვილებისთვის, არც ღალატი გაუვლიდა გულში ამქვეყნიური დიდებისა თუ ოქრო-ვერცხლის გამო.

**ეს ძალიან ეფექტური რეფორმა იყო. ბერს, ეპისკოპოსს, არც ქონების დაგროვება მოუნდებოდა თავისთვის ან ოჯახისთვის, არც თანამდებობის გადაცემა შვილებისთვის, არც ღალატი გაუვლიდა გულში ამქვეყნიური დიდებისა თუ ოქრო-ვერცხლის გამო**

გარდა ამისა, ამგვარად, საქართველოს სამეფოს მთავრობა მორალურად და სარწმუნოებრივად დაექვემდებარა ეკლესიას. ეკლესიაში გიორგი ჭყონდიდელს ჰყავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორი ზედამდგომი, აფხაზეთის კათალიკოსი და ქართლის კათალიკოსი, ანუ საქართველოს პატრიარქი. ამგვარად, ის ეკლესიის იერარქიაში პირველი და უმთავრესი არ იყო და ეკლესიის საქმეებზე ზემოქმედებას ვერ მოახდენდა. ეკლესიას პატრიარქი განაგებდა. ესეც ერთგვარი დაბალანსებისთვის იყო საჭირო, ალბათ. თუმცა, გიორგი ჭყონდიდელს ისეთი დიდებული თვისებები ჰქონდა, ასეთი გათვლები ზედმეტი გახლდათ. მაგრამ, ქართველი პოლიტიკოსები მაინც ყველანაირი გართულების გამორიცხვას ცდილობდნენ.

ამ რეფორმის შემდეგ და განსაკუთრებით რუის-ურბნისის კრების შემდგომ, მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები სასულიერო ლიტერატურას სამეფო კარისგან იღებდნენ. ამგვარად, დაცული იყო სარწმუნოების ყველა ნორმა. ეკლესიაც სახელმწიფოს სიძლიერის დასაყრდენი გახდა, რადგან დაუმსახურებლად დაწინაურებული მღვდელმთავრები ეპისკოპოსობიდან გაათავისუფლეს.

გარდა ამისა, სხვა ვაზირებიც, ანუ მთავრობის წევრები, ჭყონდიდელის, ესე იგი ბერის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ და მასზე ზემოქმედებას, რაიმე პოლიტიკური ან მატერიალური საშუალებებით ვერ შეძლებდნენ. ვერც მისი გვერდის ავლით გააკეთებდნენ რამეს.

გიორგი ჭყონდიდელს ებარა სააჯო კარიც, უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელის ფუნქციაც. ის იხილავდა მიმძლავრებულების, ანუ დაჩაგრულების საქმეებს და მეფის სახელით სამართლიანობას აღადგენდა. ის სახელმწიფოს სახელით გასცემდა დახმარებას ობლებისთვის, ქვრივებისთვის და ასე შემდეგ. ამისთვის სახელმწიფოს საკმაოდ სოლიდური თანხა ჰქონდა გამოყოფილი.

ამგვარად, უზენაესი და სააპელაციო სასამართლოც სრულიად ობიექტური და პირადი ინტერესებიდან თავისუფალი ბერის ხელში აღმოჩნდა და ასევე, სოციალური პროგრამები, რაც ამ მიმართულებით მექრთამეობასა და არაობიექტურობას გამორიცხავდა.

მწიგნობართუხუცესის, ანუ ვაზირთაუპირველესის სახელოს ბერისთვის ჩაბარება, სახელმწიფო საქმეების ობიექტურად მართვის გარანტია იყო.

ამგვარი რეფორმით კიდევ უფრო განმტკიცდა საერო და სასულიერო ხელისუფლებათა ურთიერთთანამშრომლობა, რასაც ეწოდებოდა ხელისუფლებათა სიმფონია.

გარდა ამისა, გიორგი ჭყონდიდელი მონაწილეობას იღებდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დიმიტრი უფლისწულის აღზრდაში. ეს ფუნქციაც ჩაიბარა ამ სახელომ. ეს ნიშნავდა, რომ მემკვიდრის აღზრდაში სარწმუნოებას წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარი ტრადიცია გაგრძელდა 1118 წლის მერეც, როცა გიორგი ჭყონდიდელი გარდაიცვალა. მეუფე გიორგის შემდეგ მწიგნობართუხუცესად დავით მეფემ დანიშნა მისი დისწული, ბედიელ-ალავერდელი ეპისკოპოსი სიმეონი.

ალავერდისა და ბედიელის საეპისკოპოსოების გაერთიანებაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეპარქიების გაერთიანება საქართველოს ეროვნული ერთიანობის განმტკიცებისთვის გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

მსგავსი მოვლენა გვხვდება შუა საუკუნეების ევროპაშიც. საფრანგეთში არსებობდა უმაღლესი კანცლერის თანამდებობა, რომელზეც ტრადიციით რეიმსის ეპისკოპოსები ინიშნებოდნენ. ინგლისში კენტერბერის არქიეპისკოპოსები ფლობდნენ კანცლერის თანამდებობას.

ამ რეფორმამ დიდი შედეგი გამოიღო, ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. ფეოდალების გავლენა დაეცა, სახელმწოფოებრიობა განმტკიცდა.

**გიორგი მახოზეშვილი**

**ქართველი ვირტუოზი ილია ლომთათიძე, ახლახან დაბრუნდა ასტანას პიანისტთა საერთაშორისო კონკურსიდან, სადაც ის პირველი ადგილის მფლობელი, იმავდროულად კი, პრეზიდენტ ნაზარბაევის რჩეული და ხალხის სიმპათიის პრიზიორიც გახდა. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. ილიამ, პირველ ეტაპზე სოლო პროგრამა წარუდგინა ჟიურის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. მეორე ტურში კი, ის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვიდა. ამ კონკურსზე მეორე ქართველი, 14 წლის პიანისტი, სანდრო ნებიერიძეც იღებდა მონაწილეობას, რომლის გამოსვლებიც საკმაოდ დადებითად შეფასდა. ამ კონკურსის გამარჯვების შემდეგ კი, 12 წლის ვირტუოზმა, საფრანგეთში, ანენსის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის საგზურიც მოიპოვა. ამისთვის ის საგულდაგულოდ ემზადება და იმედია, იქიდანაც გამარჯვებული დაგვიბრუნდება.**

# რა უსახსოვრა ელისო ბოლქვაძისა და მიშელ სონის სტიპენდიანტს, ქართველ ვირტუოზ ილია ლომთათიძეს ყაზახეთის პრეზიდენტმა

**ილია ლომთათიძე**: რომ გამოაცხადეს ილია ლომთაძიძე გახდა პირველი ადგილის მფლობელიო, კინაღამ გადავირიე. სიხარულისგან ავხტი და მერე დედას გავხედე, რომელიც კულისებში იდგა და მთელი ჩემი იქ ყოფნის დროს განიცდიდა და ნერვიულობდა. მიხარია, რომ ჩემი პედაგოგების – ლევან ინაშვილისა და ნანა სუთიძის, ჩემი უსაყვარლესი პიანისტის, ელისო ბოლქვაძისა და ოჯახის იმედები გავამართლე. ამ მოგებით, საფრანგეთის, ანენსის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის საგზურიც მივიღე, ხალხის სიმპათიის პრიზიც. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა კი გადმომცა მისი, რჩეულისთვის დაწესებული, სპეციალური, სამახსოვრო პრიზი.

**– როგორც ვიცი, საკმაოდ მკაცრი და კომპეტენტური ჟიური აფასებდა კონკურსანტების გამოსვლებს. თუმცა, ჟიურის თავმჯდომარემ, ცნობილმა პიანისტმა შენს მიმართ საკმაოდ თბილი სიტყვები გაიმეტა და თქვა, ილია, ყველაზე რომანტიკული, თავისუფალი, ჟღერადი და არტისტული გამომსვლელიაო.**

– ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ, ჩემთვის საყვარელი პიანისტი, დენის მაცუევი და მისი ასეთი დადებითი შეფასება, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სტიმულია ჩემთვის. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არც კი მესმოდა, რას ამბობდა ჟიური, ისეთი გახარებული და იმავდროულად, დაბნეული ვიყავი *(იცინის)*. წარმოიდგინეთ, კონკურსში 252 ნიჭიერი ბავშვი მონაწილეობდა, მსოფლიოს 100-ზე მეტი ქალაქიდან და მე პირველი ადგილი მხვდა წილად. ის განცდა და სიხარული, ალბათ, დიდხანს გამყვება. სანამ სცენაზე გავიდოდი, ძალიან ვღელავდი, მაგრამ ემოციებს ვაკონტროლებდი. რუსები და კორეელები ძალიან ძლიერი კონკურენტები იყვნენ, მაგრამ, მაინც მე გავიმარჯვე.

**– თუ არ ვცდები, კონკურსის, მთლიანი საპრიზო ფონდი 60 000 დოლარი იყო. ფულადი ჯილდოც ხომ გადმოგცეს?**

– დიახ, პრიზებთან ერთად, გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოც გადმოგვეცა. მე და სანდრო ნებიერიძეს, პირველი ადგილის მოგებული ფულადი ჯილდო – 7 ათასი შუაზე გაგვიყვეს. სხვათა შორის, იქ მქონდა დაბადების დღე და ჟიურიმ და დარბაზში მსხდომებმა, ფეხზე ადგომითა და ტაშით მომილოცეს. ეს დაბადების დღე, არასდროს დამავიწყდება.

**– ცნობილი პიანისტები და მუსიკის კრიტიკოსები საკმაოდ დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებენ. ეს ნიჭი გენეტიკურად დაგყვა?**

– ოჯახში ყველა კარგად მღერის, თუმცა, მხოლოდ მე ვუკრავ *(იცინის)*. თავიდან, მეც ხალხურ სიმღერებზე შემიყვანეს, მაგრამ მასწავლებელმა უთხრა დედას, ეს ბიჭი უკეთესი პიანისტი დადგება, ვიდრე მომღერალიო. როგორც მერე მივხვდი, ჩემი თითები მოეწონა. ასე რომ, ჩემი ყველა წარმატება, სწორედ მისი დამსახურებაა. ვიცი, ადრე თუ ბიჭი მუსიკაზე დადიოდა, „დედიკოს ბიჭად" მოიაზრებოდა, დედაჩემსაც ასე ეგონა, მაგრამ შეცდა. საკმაოდ დამოუკიდებელი ვარ. შვეიცარიასა და საფრანგეთში რომ მიწევს წასვლა, იქ ხომ არ მომყვება დედა? თავს დამოუკიდებლად ვუვლი. კლასელებსაც ყოველთვის ვპატიჟებ კონცერტებზე და ისინიც მოდიან, მისმენენ და მგულშემატკივრობენ. თუმცა, ყველაზე დიდი ჩემი გულშემატკივარი, მაინც დედაა. სცენაზე რომ ვარ და დედას გავხედავ კულისებში როგორ ნერვიულობს, ამაზე მეღიმება. დედა მეუბნება, მშვიდი ხარ, მაგრამ ინსტრუმენტთან რომ ჯდები, ისე სწრაფად უკრავ, ნამდვილი გურული ხარო *(იცინის)*. ფორტეპიანოზე დაკვრა რვა წლის ასაკში დავიწყე და სულ მალე, ელისო ბოლქვაძის ფონდის სტიპენდიანტიც გავხდი. ამან უფრო დიდი სტიმული და რწმენა ჩამინერგა. ამ ფონდის დახმარებით შვეიცარიაში გავემგზავრე და ცნობილმა მუსიკოსმა და მეთოდოლოგმა, მიშელ სონიმაც მომისმინა. შემდეგ საფრანგეთში მომიწია კონკურსზე გამოსვლა და იქაც წარმატებებს მივაღწიე. ახლა წელიწადში რამდენჯერმე მიწევს შვეიცარიასა და საფრანგეთში გამგზავრება. ძალიან მიყვარს დაკვრა და შემიძლია, დღეში 7-8 საათი ვიჯდე ინსტრუმენტთან. ვამბობ ხოლმე, რა კარგია დედისერთა რომ ვარ და თან, უპრეტენზიო მეზობლები მყავს-მეთქი. დილით, 10 საათზე, ყველა რომ სამსახურში მიდის, მე ვჯდები ინსტრუმენტთან და სანამ ისინი დაბრუნდებიან, მანამდე გაუჩერებლად ვუკრავ. ძალიან მიყვარს ფეხბურთის თამაში და დრო თუ მაქვს, ვცდილობ, მეგობრებთან ერთად ვითამაშო. ერთხელ კი კარში ჩამაყენეს და იმის გამო, რომ ბურთი არ გამეშვა კარში, თითი დავიზიანე. პანიკაში ჩავვარდი – ვაიმე, რომ ველარ დავუკრა-მეთქი *(იცინის)*. ჩემი ოცნებაა, მსოფლიოში ცნობილი პიანისტი გავხდე და ელისო ბოლქვაძესთან ერთად დავუკრა. ვფიქრობ, რეალური ოცნებაა და თუ ბევრს ვიშრომებ, ამიხდება. სხვათა შორის, პატარა რომ ვიყავი, ვოცნებობდი ფრენაზე *(იცინის)*. დავჯდებოდი და ვფიქრობდი, ნეტავ, ახლა ფრთები მქონდეს, რამდენ ადგილს გადავუფრენდი-მეთქი *(იცინის)*. ეს ოცნება რომ არ ამიხდება, ვიცი, მაგრამ ახლა ზუსტად ვარ დარწმუნებული, ისეთი ოცნებები უნდა ჩავიფიქრო, რომელსაც აუცილებლად ავიხდენ. ერთი სურვილი მაქვს – ამერიკაში, „კარნეგი ჰოლში" დავუკრა და იმედია, მომავალში ავიხდენ.



კონკურსში 252 ნიჭიერი ბავშვი იღებდა მონაწილეობას მსოფლიოს 100-ზე მეტი ქალაქიდან და მე პირველი ადგილი მხვდა წილად

**– ილია, რვა წლის ასაკში, გარდა ელისო ბოლქვაძის ფონდის სტიპენდიანტობისა, „სოს-ტალანტის" სტიპენდიანტიც გახდი.**

– დიახ, პარიზში, მარსელ დასოს სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ფონდის „სოს-ტალანტის" და ერთ-ერთი ფრანგული კომპანიის მიერ ორგანიზებული გალა კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას იღებდა ხუთი ახალგაზრდა პიანისტი, მათ შორის ვიყავით მეც. კონცერტს საქართველოდან ჩამოსული კულტურისა და ძეგლთა დაცვის მაშინდელი მინისტრი, მოადგილე და საპატიო სტუმარი – საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტიც ესწრებოდნენ. იქ დავუკარი და ამ ფონდის სტიპენდიანტიც გავხდი, პარალელურად, სხვათა შორის, „სოს-ტალანტის" ფონდი მუსიკოსმა მიშელ სონიმ დაარსა და მისი ერთ-ერთი პირველი სტიპენდიანტი ელისო ბოლქვაძე გახდა.

**ნონა დათეშიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**ამ დღეებში, კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი გამოვლინდება. ფინალისტები გახდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი და თბილისის „დინამო.“ მიმდინარე პროცესების, საკუთარ სპორტულ კარიერასა და ოჯახის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის მწვრთნელს, კოტე ტუღუშს ვესაუბრეთ.**

# სად დაიტოვეს გოგოებმა შეკრებაზე მყოფი კალათბურთელი ბიჭები და როგორ აღმოჩნდა კოტე ტუღუში სველი ტანსაცმლით უცნობის ქორწილში

**კოტე ტუღუში:** შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს, როგორც მთლიანად ქართულ კალათბურთს, სეზონის დასაწყისში რთული პერიოდი ჰქონდა. გულშემატკივარს, ალბათ, ახსოვს ეროვნული ნაკრების მოთამაშეების მიერ გაკეთებული საგანგებო განცხადება იმის შესახებ, რომ კალათბურთის შიდა ჩემპიონატს მიჰქცეოდა ყურადღება. ამის შემდეგ რამდენიმე გუნდი გამოცოცხლდა. მათ შორის – ჩვენიც. ერთ-ერთი, ვინც ყველაზე ბოლოს შეიკრიბა და წლევანდელი სეზონისთვის დაიწყო მზადება, ჩვენ ვიყავით. მე წინა წელს თავდაცვის სამინისტროს გუნდ „არმიაში“ ვმუშაობდი და აქ წელს გადმოვედი. ბევრი სირთულის მიუხედავად, ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატარეთ. რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილი ავიღეთ. დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს პლეიოფები. გავიარეთ მეოთხედფინალური ძალიან დაძაბული მატჩი სოხუმის გუნდთან და 3:2 მოვუგეთ. გვქონდა ბათუმთან დაპირისპირება, რომელშიც 3:0 გავიმარჯვეთ და ახლა მიმდინარეობს საქართველოს სუპერფინალები, სადაც ჩვენი მოწინააღმდეგეა თბილისის „დინამო“, რომელიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონია. წელს „დინამოს“ სამჯერ ვეთამაშეთ და სამივეჯერ გავიმარჯვეთ. გამარჯვების სურვილი და მოლოდინი გვაქვს ახლაც, მაგრამ ეს იოლი ნამდვილად არ იქნება. წელს მაქვს შესაძლებლობა, მწვრთნელის რანგში მეორედ მოვიგო საქართველოს ჩემპიონატი და, იმედია, ასეც იქნება. გუნდი და მათი ოჯახის წევრები ძალიან მოტივირებულები და პროცესში მაქსიმალურად ჩართულები არიან.




**რუსთავში ვიყავი ჩასული, მოვიდა და მეგობარი გოგონა გამაცნო, შავი, პატარა ბავშვით. მერე ქუთაისში სულ სხვა გოგოსთან ერთად მოვიდა და იმასაც ფერადკანიანი ბავშვი ეჭირა ხელში**

**– ოჯახის წევრებს არ უჭირთ თქვენს გრაფიკთან შეგუება?**

– ეს ძალიან რთულია, განსაკუთრებით მეუღლისთვის. ზაფხულში, როცა მთელი ოჯახი ერთად უნდა ისვენებდეს, მე ყველაზე მეტად ვარ დაკავებული. სამი შვილი ისე გავზარდეთ, ერთად ნორმალურად არ დაგვისვენია. მთლიანობაში, ორი-სამი თვის განმავლობაში მიწევს ხოლმე საქართველოდან წასვლა, თუმცა ამ ყველაფერს გაგებით ეკიდებიან და მხარს მიჭერენ, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– მეუღლე ახლა უკვე შეჩვეული იქნება ამ გრაფიკს, მაგრამ, შეყვარებულობის პერიოდში როგორ ეგუებოდა?**

– მოთამაშე ვიყავი და ტრავმა მივიღე – ფეხი მოვიტეხე, რის გამოც ოთხი თვის განმავლობაში მომიწია იძულებით სახლში ყოფნა. ბევრი დრო მქონდა არასაკალათბურთო საქმეებისა და მეგობრებთან შეხვედრებისთვის. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. მაშინ ტრავმას უკვე ვიშუშებდი. გაცნობიდან ოც დღეში მომიწია უცხოეთში ერთი წლით წასვლა. ტელეფონით ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. თუმცა, ამ დროის განმავლობაში, მცირე, თუნდაც ერთი ან ორდღიანი შესვენება გამომიჩნდებოდა თუ არა, თბილისში მოვრბოდი, რომ რამდენიმე საათი გამეტარებინა მასთან. დავბრუნდი თუ არა, გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა. შემდეგ ჯერზე უკვე ერთად გავემგზავრეთ.

**– სპორტსმენ ბიჭებს რომ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ და მათ შორის ბევრი გოგოა, ამას როგორ ეგუება მეუღლე?**

– თაყვანისმცემლები, რა თქმა უნდა, მყავდა და დღეს ძალიან ბევრი უკვე ჩემი მეგობარია. ალბათ, ყოველთვის ვიჭერდი საჭირო შუალედს, ეს ზედმეტებში არ გადადიოდა, ზღვარს არ სცდებოდა და ჩემი მეუღლისთვისაც მისაღები იყო, ყოველგვარი ეჭვიანობის გარეშე. უკვე ათი წელია, ერთად ვართ და სამი შვილი გვყავს. უფროსი გოგონები 8 და 7 წლის არიან, უმცროსი ბიჭი კი ორწლინახევრისაა. უფროსი ჩოგბურთზე დადიოდა, თუმცა პატარა ტრავმამ ხელი შეუშალა და, იმედი მაქვს, ისევ გააგრძელებს. არ ვამბობ, რომ პროფესიონალი სპორტსმენი გახდება, მაგრამ ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველასთვის კარგია. მათ მომავალში აქტიურად ჩარევას არ ვაპირებ, რასაც თავად გადაწყვეტენ, მე გვერდში დავუდგები.

**– რაც შეეხება გუნდს, მისი წევრი ბიჭები არ გამოირჩევიან თაყვანისმცემელი გოგოების სიუხვით?**

– კი და საქართველოში შეკრებაზე გუნდის წაყვანა საკმაოდ სახიფათოა. არის ხოლმე გოგოების ინტერესი, მით უმეტეს, საკმაოდ წარმატებული კალათბურთელები გვყავს. თუმცა, მთავარია, სპორტული რეჟიმი არ დაირღვეს და ისე, თავისუფალ დროს, ვისაც რა უნდა, ის ქნას, მით უმეტეს – უცოლოებს ***(იცინის).*** მოთამაშეებსაც სჭირდებათ გულშემატკივრის ყურადღება, ოღონდ, ზომიერების ფარგლებში. წელს, ძველით ახალ წელს, შეკრებაზე ბაკურიანში ვიყავით. სერიოზული ტურნირისთვის ვემზადებოდით, რომელშიც გავიმარჯვეთ კიდეც. 13-ში 12 საათზე ყველა ერთად შევხვდით, მერე კი უნდა დავშლილიყავით, ოთახებში დაგვესვენა და მეორე დღეს ვარჯიში ჩაგვეტარებინა. მე წამოვედი, მაგრამ მეორე დილით გავიგე, რომ ბიჭებს წამოსვლის საშუალება თაყვანისმცემლებმა არ მისცეს. იქვე რესტორანი იყო, სადაც დილამდე ჩემი რამდენიმე მოთამაშე გოგოებმა დაიტოვეს – ცეკვავდნენ და ერთობოდნენ, შესაბამისად, მეორე დღეს ჩაუვარდათ ვარჯიში. მეც მითამაშია კალათბურთი და ეს მომენტი მეც ვიცი, ამიტომ ამას რადიკალური ზომები არ მოჰყოლია. მთავარია, მერე მაინც მივაღწიეთ წარმატებას. წინა წლებში უცხოელები გვყავდა და, როგორც წესი, მათ უფრო მეტი პრობლემები ექმნებათ ხოლმე თაყვანისმცემლებისგან ***(იცინის).*** ერთი ფერადკანიანი მეგობარი მყავს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და დარჩა. შეიძლება ითქვას, ყველა ქალაქში ოჯახი აქვს ***(იცინის)*** სიმართლეს ვამბობ: რუსთავში ვიყავი ჩასული, მოვიდა და მეგობარი გოგონა გამაცნო, შავი პატარა ბავშვით ***(იცინის);*** მერე ქუთაისში სულ სხვა გოგოსთან ერთად მოვიდა და იმასაც ფერადკანიანი ბავშვი ეჭირა ხელში. ასე რომ, უცხოელი, წარმატებული და კარგი გარეგნობის ბიჭების მიმართ გოგოების ინტერესი არის.

**– მოგზაურობის შედეგადაც, ალბათ, ბევრი თავგადასავალი დაგიგროვდათ?!**

– საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ხშირად გვიწევს მოგზაურობა. ამ ზაფხულს ერთ-ერთ შესარჩევ თამაშზე მივდიოდით და სტამბულში გადაჯდომისას თვითმფრინავში, აღმოვაჩინეთ, რომ რამდენიმე სპორტსმენი გვაკლდა – აეროპორტში დასძინებიათ. მერე დიდი კონტაქტების გამოყენება დაგვჭირდა, დროულად რომ ჩამოფრენილიყვნენ დანიშნულების ადგილას. ერთხელ ირანში ვითამაშეთ. იცით, რომ იქ რთული სიტუაციაა. ცუდი ხალხი ნამდვილად არ არის, ბევრი ირანელი მეგობარი მყავს, მაგრამ, ერთ-ერთი ძალიან დაძაბული მატჩის დროს, ბოლო წამებში, გამარჯვების ბურთი ჩავაგდე, გავიხედე სკამებისკენ, სადაც ჩემი თანაგუნდელები იყვნენ, რომ გამარჯვება ერთად აღგვენიშნა და, რას ვხედავ – ყველა სადღაც გარბის. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. უკან მივიხედე და, თურმე, მთელი ტრიბუნა გადმოსულია და ჩვენკენ მორბის – სავარაუდოდ, ჩვენი ცემა უნდოდათ. დავეწიე კი არა, გავასწარი თანაგუნდელებს ***(იცინის).*** წინასწარ ჰქონიათ მომზადებული ბუნკერი, სადაც თამაშის დასრულების შემდეგ სტუმარი გუნდი უნდა გაიყვანონ. არ ვიცი, რატომ არ გამაფრთხილეს, მაგრამ ბეწვზე კი ჩავასწარი ***(იცინის).*** საკმაოდ დიდხანს მოგვიწია ბუნკერში ყოფნა და, მერე, რომ დაიშალნენ, პოლიციის დახმარებით გამოვედით. ერთხელ, საბერძნეთში ყოფნისას, საუკეთესო სასტუმროში დავბინავდით. ვიცელქეთ და ტანსაცმლიანად ჩავხტით აუზში. დიდი აუზი იყო, გადავწყვიტეთ, მეორე ბოლოდან ამოვსულიყავით და სასტუმროს უკანა კარიდან შევსულიყავით, ხალხი რომ არ შეგვეწუხებინა. გვგონია, რომ უკანა შესასვლელიდან ჩუმად შევდივართ და, უცებ, ქორწილში არ აღმოვჩნდით?! ეს ორმეტრიანი ხალხი სველი ტანსაცმლით რომ დაგვინახეს, გაოცებულები გვიყურებდნენ. თუმცა, არ დავიბენით: ისინი „სირტაკს“ ცეკვავდნენ, ჩვენც ავყევით და, ასე ცეკვა-ცეკვით ავედით ლიფტამდე.

**– სხვა ქვეყნებში გულშემატკივრების ნაკლებობას არ განიცდით?**

– სხვათა შორის, ბევრ შორეულ ქვეყანაში ჩავსულვართ და ძალიან ბევრი ქართველი გულშემატკივარი მოსულა; არა მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოდიან ხოლმე. შარშან პორტუგალიაში რომ ვიყავით, ჯერ თამაშზე გვიგულშემატკივრეს, საღამოს კი სასტუმროში მოვიდნენ თავიათი გამომცხვარი ხაჭაპურებით, მწვადებითა და ტყემლით. ჩვენთვისაც და მათთვისაც ძალიან დიდი ბედნიერება იყო.

**ქეთი კაპანაძე**

# მარინა ბერიძის რა შეცდომა გამოასწორა მისმა ერთადერთმა შვილმა და ვის ეძებს ის „ოქროს ტალღაში"

**რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ" მუსიკალური პროექტი „ოქროს ტალღა" დაიწყო. კონკურსმა სტარტი წელს მეორედ აიღო და საქართველოში ახალგაზრდა მომღერლების აღმოჩენას, ასევე, ცნობილი შემსრულებლების, კომპოზიტორების, ამ სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. „წლის სიმღერის" კატეგორიაში გამარჯვებულს რადიოჰოლდინგი „ფორტუნა" ფულად პრიზს გადასცემს, სხვა ნომინაციებში გამარჯვებულებისთვის კი მზადდება ქანდაკება „ოქროს ტალღის" ლოგოტიპით, რომელიც სპეციალურად პროექტისთვის შექმნა მოქანდაკე ირაკლი წულაძემ. მუსიკალური საზოგადოების ცნობილ სახეებს შორის, ვინც „ოქროს ტალღის" ნომინაციებში გამარჯვებულებს გამოავლენს, არის მარინა ბერიძეც, რომელიც ბოლო ორი წელია, აქტიურ ასპარეზზე აღარ ჩანს. ვის „ეძებს" მარინა ბერიძე „ოქროს ტალღაში" და როგორ ცხოვრობს ის კადრს მიღმა, ამას თავად გიამბობთ.**

**მარინა ბერიძე:** რადიოჰოლდინგ „ფორტუნას" მუსიკალური პროექტი „ოქროს ტალღა" წელს მეორედ ტარდება. გასულ წელს კონკურსის გამარჯვებული გახდა სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის არაჩვეულებრივი დუეტი. ძალიან საინტერესო მოვლენაა, როდესაც რადიო თავის თავზე იღებს ასეთი კონკურსის ჩატარებას და გამოავლენს წლის საუკეთესო მუსიკალურ ნომინაციებს. კონკურსი სტიმულს აძლევს ახალგაზრდა შემსრულებლებსა და კომპოზიტორებს; კარგია პრომოუშენისთვის და კიდევ ბევრი მიმართულებით, მით უმეტეს ახლა, როცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი არაფერი ხდება მუსიკალურ სამყაროში, ასეთი კონკურსები კი ძალიან შეუწყობს ხელს ამ მიმართულების განვითარებას. მე უკვე გავაკეთე კიდეც ჩემთვის რამდენიმე აღმოჩენა ამ პროექტში ***(იცინის).*** რადიოჰოლდინგი „ფორტუნა" საკმაოდ მასშტაბური ჰოლდინგია, რომელიც ოთხი რადიოს ფორმატში მუშაობს ბევრი მიმართულებით; ჰყავს მრავალრიცხოვანი მსმენელი და ასეთი პოპულარული რადიოს მიერ მუსიკალური კონკურსის ჩატარებას, რა თქმა უნდა, მივესალმები. კონკურსის ფარგლებში შემოსული სიმღერები რაოდენობრივად საკმაოდ ბევრია და, შესაბამისად, ცოტა რთულია არჩევა. ეს სიმღერები ტრიალებს რადიოების – „ფორტუნას", „ფორტუნა პლუსის", „არ დაიდარდოს" და „ავტორადიოს" ეთერში, ახლა, როცა მთელ ქალაქში საცობებია და ამის გამო ავტომანქანებში დიდ დროს ვატარებთ, რადიოს დიდი დატვირთვა აქვს – ამ ბოლო დროს ინფორმაციას მხოლოდ რადიოს მეშვეობით ვისმენ, „ო, ეს რა სიმღერაა?" – და ახალი სიმღერაც „აღმოჩენილია" საცობში ***(იცინის).***

**– ბოლო ერთი წელია, მხოლოდ ერთი პროექტით ხართ დაკავებული, არადა, მუდმივად რამდენიმე მიმართულებით გიწევდათ მუშაობა. ახლა დღის გადაცემის მუსიკალური რუბრიკა მცირე ასპარეზი არ არის თქვენთვის?**

– ასე ვერ ვიტყვი. ერთ წელიწადში ორი გრანდიოზული პროექტი გავაკეთე: ნანის კონცერტი და პაატა ბურჭულაძის იუბილე. ასმაგი პასუხისმგებლობა მქონდა, რადგან, ნანიც და პაატაც ჩემთვის უძვირფასესი ადამიანები არიან. ნანიმ იმდენი რამ მასწავლა ცხოვრებაში, ასი ადამიანი რომ ვერ მოგცემს ერთად. მე განებივრებული ვიყავი იმ ურთიერთობებით, რაც მქონდა მაშინ, როდესაც კლასიკურ მუსიკაში მიწევდა მუშაობა. ვერ ვიტყვი, რომ საქმე არ მაქვს. რაც შეეხება „რუსთავი 2-ის" გადაცემას, მე ახლა ვარ ჩემს სახლში და არ მაქვს არანაირი დისკომფორტი. „სხვა შუადღეში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ; ვაკეთებ იმას, რაც მე მიყვარს. მთელი ცხოვრება ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენასა და ფეხზე დაყენებას მივუძღვენი. ეს გადაცემა, შესაძლოა, ამის საშუალებას არ მაძლევს, მაგრამ, შემიძლია, გარკვეული მიმართულება მივცე ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს და, რაც მთავარია, ვეწევი პროპაგანდას, გაიძრეს ყველა, მათ შორის სახელმწიფო, კლასიკური მუსიკის და ზოგადად მუსიკის განვითარებისთვის. ახლა ისეთი განცდა მაქვს, მოსავალს რომ მოიმკი. ცხოვრება ხომ უცნაური რამ არის – საოცარია, მაგრამ, ისევ იქ დავბრუნდი, სადაც დავიწყე – კლასიკურ მუსიკას ვგულისხმობ, თუმცა, ეს სულაც არაა ცუდი. როცა გამოცდილებით მიბრუნდები იმ გზაზე, რომელიც ახალბედამ გაიარე, უკვე თამამად შეგიძლია თქვა შენი აზრი. დღეს მე უფრო კლასიკურ და ქართულ მუსიკას ვლობირებ; პოპში არიან „მეტრები" და მე მათ ვენდობი. ისე გაახალგაზრდავდა იმ ადამიანთა ასაკი, ვინც ამ შესანიშნავ მეგაპროექტებს აკეთებენ, რომ მშვიდად მოვირგე კარგი მსმენელის როლი. ახლა ჩემს კომენტარებს მხოლოდ ჩემთვის, ტელევიზორის ყურებისას ვაკეთებ. რადიკალურად არის შეცვლილი ჟიურის დამოკიდებულება კონკურსანტების მიმართ.

**– ალბათ, ეს იმ ცნობილ ბრალდებებს გახსენებთ, რომლებიც სულ ისმოდა თქვენი მისამართით.**

– მე რისკიანი ვარ; არ შემიძლია, არ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ. ახლაც რომ ვიყო ჟიურის წევრი, არც ახლა შევიკავებდი თავს. შენიშვნები თავისით მიფრინდება პირიდან, მაგრამ, ამ გადასახედიდან, არასდროს არავინ გამილანძღავს ისე, რომ ახლა ვნანობდე. არ დაგიმალავთ, რომ მაქვს უკმარისობის განცდა და მზად ვარ ახალი პროექტის გასაკეთებლად, რაც, პირველ ყოვლისა, ბავშვებს უკავშირდება. ფიზიკოსი მე ვერ გავხდები და, მით უფრო – პოლიტიკოსი. ნიჭიერი ახალი თაობის გასაზრდელად მათ პატარა ასაკიდან უნდა მიეცეთ სწორი მიმართულება. ბევრი იდეა მაქვს შემოდებული თაროზე, რომელთა „ჩამოლაგების" დრო ცოტა გადამივადდა იმ სტაგნაციის გამო, რაც ჩვენ ირგვლივ არის. მე მიყვარს, როცა მცემს პროგრესის სუნი, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვგრძნობ და, შესაბამისად, იწყება დეპრესიული მომენტი: ეს ვის სჭირდება?! რაც ვაკეთე, რა? – უფრო მეტად გავილანძღე, ვიდრე მადლობა მივიღე, რაც ხინჯად სულ მაქვს. ყველას აინტერესებს, როდის დავბრუნდები ჟიურიში, მაგრამ, არ დავბრუნდები! ეს შეიძლება იყოს მხოლოდ საბავშვო კონკურსების ჟიური – ვხვდები, რომ ეს კომპლექსია.

**– თქვენ და კომპლექსი?!**

– დიახ, მე თითქმის არ მაქვს კომპლექსები, მაგრამ ეს ასეა. ჟიური ისე გაახალგაზრდავდა, ახლა ჩემი იქ ყოფნა გამორიცხულია. სულ ვამბობ, ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა ერთ-ერთ წელიწადს „ჯეოსტარის" ჟიურიში მე, ნანი და ჭოლა ვისხედით, თუმცა ეს ნანისაც არ უყვარს და ძლივს დავიყოლიე.

**– რაც აქტიური სივრციდან გახვედით, მშვიდი ცხოვრება გექნებათ.**

– ჩემი ცხოვრება ბევრად უფრო მშვიდია, ვიდრე იყო ადრე. პასიურ რეჟიმს თავისი ხეირიც აქვს – უფრო მეტად მცალია საყვარელი ადამიანებისთვის. იმ წრეს, რომელიც ჩემ ირგვლივ იყო და რჩება, დაემატნენ ახალი და ნიჭიერი ადამიანები – ანიტა რაჭველიშვილი და ნატალია ქუთათელაძე, რომელთაც მუდმივად სჭირდებათ „სხვა" ყური, ემოციური მსმენელი. ამ ბუდეში ღამღამობით კვლავ ხშირად იკრიბებიან ჩემი მეგობრები – დოი, ნიკა რაჭველი. ყველაზე მთავარი სიახლე კი, ის არის ჩემს ცხოვრებაში, რომ მეოთხე შვილიშვილი შემეძინა და უკვე მრავალშვილიშვილიანი ბებია ვარ, ძალიან საყვარელი პატარა ანიტა გვყავს ***(იცინის).***



სახლის ტექნიკურ საქმეებში მარცხიანი ვარ – ორი მარცხენა ხელი მაქვს და ამ მხრივ უსუსური ვარ

**– ალბათ, უკვე კლასიკური გაგებით ბებია ხართ.**

– პლედიანი? რომელიც ქსოვს? არა! განსაკუთრებული მეოჯახეობა ვერ გამომდის, სახლში საჭმელსაც კი არ ვაკეთებ, რასაც ჩემი მეგობრები აპროტესტებენ. მიკროლუმელს „დავუმეგობრდი". სახლის ტექნიკურ საქმეებში მარცხიანი ვარ – ორი მარცხენა ხელი მაქვს და ამ მხრივ მარტო ვარ, უსუსური. ნათურა რომ გადაიწვება ან რამე გაფუჭდება, ვინმეს ვეძებ. ახლა მეტად მცალია ჩემი შვილიშვილებისთვის, რომლებიც ჩემ გვერდით ცხოვრობენ და სულ მათთან გავრბივარ. უფროსი შვილიშვილები კონცერტებზე დამყავს და მათ შემოქმედებით განათლებაზე უფრო ვზრუნავ. ახლა ეს პატარა გოგო! კარგია სახლში პატარა; კარგია ისიც, რომ ჩემმა შვილმა გამოასწორა ჩემი შეცდომა და ოთხი შვილი გააჩინა – ეს, ალბათ, მისი პროტესტიც იყო. მე, სამწუხაროდ, ვერ მოვიცალე მეორე შვილისთვის – ალბათ, უფრო სხვაგან, საქმეში ვეძებდი ადრენალინს, თუმცა, დავრწმუნდი, რომ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, როგორ გაზრდი შვილს. როგორი კარიერაც არ უნდა გაიკეთო, რასაც არ უნდა მიაღწიო, აბსოლუტურად შეუმდგარი ხარ, თუ ვერ გაზარდე კარგი შვილი. მე მგონი, რომ ეს გამომივიდა – ასე ამბობენ ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

# ბრძნული აზრები

**ოთარ ჭილაძე:** უიმედობა მაინც უფრო მეტს შეგაძლებინებს, ვიდრე დაიმედებული შეძლებდი. ჩვენ მაშინ დავიღუპეთ, როცა რაღაცის იმედი გაგვიჩნდა.

**გელერტი:** თუ შენი საქციელი მცოდნეს არ მოეწონა, ცუდი ნიშანია; ხოლო, თუ უვიცის ქებას ეღირსა, სულ არაფრად ვარგებულა.

**ბუალო:** თუ ბოროტი ხარ, შეგიძულებენ; თუ კეთილი ხარ, ზოგჯერ მოგატყუებენ; თუ სიმართლისმოყვარე ხარ, თაყვანს გცემენ.

**გარნეზია:** ოქროს დრონი იყვნენ მაშინ, როცა ოქრო არ ბატონობდა.

**სისმონდი:** ვიდრე მამულიშვილად შეიქნებოდეს ადამიანი, ჯერ უნდა კაცად იქმნას.

**რუსო:** მეტისმეტი სიხარული და მეტისმეტი მწუხარება არ შეჰფერის გონიერ ადამიანს.

**მინდრაში:** თუ მზაკვარმა პირზე გაკოცა, კბილები დაითვალე, ხომ არ დაგაკლებია.

**მაკოლეი:** ტყუილსაც შეუძლია, გაიმარჯვოს, მაგრამ, ამ გამარჯვებას მარტო ერთი დღის მანძილი აქვს.

**კანტი:** ცუდი საქმეა, როცა ბავშვს აჩვევენ, ყველაფერს ისე უყუროს, როგორც სათამაშოს.

**თეოგენი:** ნამეტნაობას უფრო ბევრი კაცი დაუღუპავს, ვიდრე ნაკლებობას.

**ჰოვენარგი:** წრეგადასული უნდობლობა იმდენადვე მავნებელია, რამდენადაც წრეგადასული ნდობა.

**დუკლო:** სამართლიანად ის მიგვაჩნია, რისი ქმნაც ჩვეულებად გვაქვს.

**გოეთე:** ადამიანი მარტო გულის ხმას რომ აჰყვეს და გონებას ყური არ უგდოს, პირუტყვს დაემსგავსება.

**ჰერბერტი:** ძნელია ყოველთვის ერთ ტომარაში მოთავსება პატიოსნებისა და სარგებლობისა.

**ჰალმი:** ბედნიერები მდიდრები არიან, მაგრამ ყველა მდიდარი ბედნიერი არ არის.

**შექსპირი:** მოსწრებული სიტყვის გამარჯვება გამგონის ყურზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე მთქმელის თქმაზე.

**შაფო:** ჭკვიანი კაცი მალე წახდება, თუ ჭკუასთან ერთად ხასიათის სიმაგრე არ აქვს.

**ურიხტი:** ჭეშმარიტი გმირნი უფრო იშვიათნი არიან, ვიდრე დიდნი მეომარნი.

**ტალეირანი:** ზოგიერთი დიდი თანამდებობა ციცაბო კლდეს ჰგავს: ან არწივი უნდა იყო, რომ აფრინდე, ან ქვემძრომი, რომ აცოცდე.

**ბუასტი:** ყოველ ადამიანს ბედნიერება თავისებურად ესმის, ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტების გემო არა აქვს გაგებული.

**ფონტენელი:** მშვენიერება ჭკუისა გვაკვირვებს, მშვენიერება სულისა კი პატივისცემას გვაძლევს.

**ოქსენოტიერი:** ქალი ყმაწვილკაცთათვის საყვარელია, ხნიერისთვის – მეგობარი და მოხუცისთვის – ძიძა.

# თუ გამოიცნობთ

1. ისინი გვხვდება როგორც უელსში, ასევე ინდოეთსა და საფრანგეთშიც. ესენი არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ პალეოლითის ხანის ნაგებობებია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კუნძულ კრეტაზეა. ამჟამად მათი ფუნქცია აღარ არის რიტუალური. ისინი გასართობი უფროა. **რა არის ეს?**

2. ეს ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივების დამუშავების პერიოდში მოხდა: პრეზიდენტ რეიგანთან, რომელიც თავის რეზიდენციაში გოლფს თამაშობდა, მივიდა დაცვის უფროსი და სთხოვა, ზემოთ, ცაში აეხედა. **დაასახელეთ, რა მიუტანეს გარკვეული დროის შემდეგ რეიგანს კაბინეტში?**

3. მეთხუთმეტე საუკუნეში ლოზანაში უზომოდ მომრავლებულმა მაისის ხოჭოებმა ძალიან შეაწუხა მოსახლეობა, მაგრამ ხოჭოების დაწყევლა და მის წინააღმდეგ მოქმედების გამოცხადება ლოზანას ეპისკოპოსმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, როდესაც განაცხადა, რომ მაისის ხოჭოები იქ არ ყოფილან. **სად?**

4. ის პირველად პეტერბურგში მაშინ გაიმართა, როდესაც მხატვარმა ნიკიტინმა პეტრე პირველს განუცხადა არაფერს აღარ დახატავდა იმ უბრალო მიზეზით, რომ მის ნახატებს არავინ ყიდულობდა. **რა გაიმართა პირველად პეტრე პირველის ბრძანებით პეტერბურგში?**

5. უმოძრაობა, ერთ პოზაში დიდხანს ყოფნა, სიმაღლეში მატება, ესტროგენების უკმარისობა – აი, ძირითადი მიზეზები, რომლებმაც უბიძგეს მეცნიერებს დაემატებინათ, ბადრიჯანი, ბროკოლი, სტაფილო, მუსკატის კაკალი ქალების დახასიათების საქვეყნოდ ცნობილ სამეულს: ვაშლს, მსხალსა და... **დაასახელეთ მესამე.**

6. ეს სიტყვა ნახსენებია ძველ აღთქმაში, როგორც სიტყვა „წარმართის" სინონიმი. შუა საუკუნეებში ამ სიტყვას იყენებდნენ იუდეველების მიმართ, რაც შეუსაბამო და სასაცილოც კი იყო. **რა სიტყვა იყო ეს?**

7. გადმოცემის თანახმად, მუჰამედის სახლისა და მეჩეთის ასაშენებელი ადგილი განისაზღვრა იქ, სადაც ჩაიმუხლა კასვემ. **ვინ იყო კასვე?**

8. ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში არსებობდა მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლები ადამიანებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ ამქვეყნიურ სიკეთეზე. მათ მიაჩნდათ, რომ აუცილებელია ასკეტიზმი და ცხოვრებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება. ეს ცნება დღესაც არსებობს, მაგრამ ჩვენ მასში სხვა, აბსოლუტურად განსხვავებულ, ნეგატიურ აზრს ვდებთ. **რა ერქვა ასეთ ხალხს?**

9. თავისი ცნობილი კოშკის აგების წინ ინჟინერმა ალექსანდრ გუსტავ ეიფელმა ქალაქის მმართველობასთან ხელშეკრულება დადო, რომ 1909 წელს მას უნდა შეესრულებინა პირობა, რომელიც მის ქმნილებას ეხებოდა. პირობა არ შესრულებულა. **რა უნდა გაეკეთებინა ეიფელს 1909 წელს?**

10. დანიის გერბზე გამოსახულია რამდენიმე ცხოველი, რომელთაგან თითოეულს სიმბოლური დატვირთვა აქვს. **რისი სიმბოლოა თეთრი დათვი?**

***პასუხები იხილეთ 27-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

**25 მაისი**

1895 – ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი ჩასვეს ციხეში ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით.

1953 – ჰიუსტონში ამოქმედდა პირველი კომერციული ტელეარხი.

**26 მაისი**

1521 – ევროპაში დაიწყო პირველი ომი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის.

1918 – გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

1928 – „ფიფამ" გადაწყვიტა, ოთხ წელიწადში ერთხელ ჩაეტარებინა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

1938 – ქალაქ ვოლფსბურგში დაიწყო ფოლკსვაგენის პირველი ქარხნის მშენებლობა.

**27 მაისი**

1703 – პეტრე პირველმა დააარსა ქალაქი სანკტ-პეტერბურგი.

1930 – ამერიკელმა რიჩარდ დრიუმ დააპატენტა გამჭვირვალე წებოვანი ლენტა („სკოჩი").

1937 – სან-ფრანცისკოში გაიხსნა „ოქროს ხიდი" 1280 მეტრის სიგრძის და მაქსიმალური სიმაღლით – 227 მეტრი.

1985 – ერთ-ერთი ბრაზილიური ციხის ტუსაღებმა, აპროტესტებდნენ რა საკანთა გადატვირთულობას, წილის ყრის შედეგად დახოცეს 13 ამხანაგი.

**28 მაისი**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 585 – ამ დღეს საბერძნეთსა და წინა აზიაში მოხდა პირველი დოკუმენტურად დადასტურებული მზის სრული დაბნელება.

1742 – ლონდონში გაიხსნა პირველი გადახურული საცურაო აუზი.

1964 – დაარსდა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია, რომლის ლიდერი გახდა იასირ არაფატი.

**29 მაისი**

1953 – დედამიწის ყველაზე მაღალი მთა, ჯომოლუნგმა, პირველებმა დალაშქრეს ედმუნდ ჰილარიმ და თენცინგ ნორგეიმ.

1985 – ბრიუსელში, „ეიზელის" სტადიონზე მოხდა დიდი ჩხუბი „იუვენტუსისა" და „ლივერპულის" ფანატებს შორის. დაიღუპა 39 ადამიანი. ამ ინციდენტის შედეგად, ინგლისური კლუბები სამი წლით იყვნენ დისკვალიფიცირებული ევროტურნირებიდან.

**30 მაისი**

1431 – კოცონზე დაწვეს ჟანა დ არკი.

1896 – ნიუ-იორკში მოხდა ისტორიაში პირველი ავტოავარია. ჰენრი უელსის ავტომობილი დაეჯახა ივლინ თომასის ველოსიპედს. ველოსიპედისტს ფეხი მოტყდა.

1897 – ქარბორბალა „ივრინგმა" მიწასთან გაასწორა ქალაქი ივრინგი კანზასში (ამერიკის შეერთებული შტატები).

1982 – ესპანეთი, დიდი ხნის უშედეგო მცდელობების შემდეგ, გახდა „ნატოს" წევრი.

**31 მაისი**

1859 – დროის ათვლა დაიწყო „ბიგ ბენის" საათმა ლონდონში.

1868 – პარიზის გარეუბანში გაიმართა მსოფლიოში პირველი ველორბოლა.

1918 – გაერთიანდნენ ჩეხეთი და სლოვაკეთი ერთ სახელმწიფოდ, რომელსაც ეწოდა ჩეხოსლოვაკია.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლe8-h8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



**ტრისტან სარალიძის ანეკდოტები**

კაცი მივა ექიმთან და ეკითხება:

– ექიმო, მინდა დიდხანს ვიცოცხლო და, რას მირჩევთ, რა ვქნა?



– ცოლი მოიყვანე!

– მერე, ეგ მიშველის?

– არა, მაგრამ, სურვილი გაგიქრება.

***

გურული სუფრასთან ზის. ერთი კაცი დათვრა და ატყდა:

– ნეტა, ის მილიარდერი კაცი რომაა, ჩემი მამა იყოსო, – მოკლედ, ჩაიხვია და აღარ გაჩერდა.

იმდენჯერ ინატრა, გურულს ყელში ამოუვიდა და წამოუხტა:

– ე, ბიჭო, თუ ნატვრაა, ფული ინატრე, თვარა, დედაშენს მეც ქე დოუწვები ლოგინშიო.

***

ნარკომანი ოთახში კოლოს დასდევს. მეორე ოთახიდან ძმაკაცმა გამოსძახა:

– რა ქენი, ძმაკუშ, მოკალი?

– მოკვლით არა, ბრატ, მარა, იმეენნა, იმდენი ვდიე, მაგარი ვანერვიულე, ტო!

***

ერთ დღეს ჭიჭიკიამ შეამჩნია, რომ ბიჭიკიას საყურე ეკეთა და ჰკითხა:

– რაია, პიდარასტების სიაში ჩაეწერე?

– მეიცა ძამა, რაის პიდარასტების სიაში ჩავეწერე, ჩემი ცოლის გულიზა მიკეთია.

– აა, შენს ცოლს წაპიდარასტო ტიპები ევასება?

– წაპიდარასტო კი არა, ეს საყურე ჩვენს ლოგინში იპოვა და სხვა გზა არ მქონდა.

***

გურიაში ერთი ახალგაზრდა შუაღამისას მივიდა ექიმთან, გაალვიძა და შესჩივლა:

– ექიმო, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, უხერხული ადგილი მექავება და რა ვქნა?

ექიმმა ახედ-დახედა და ჰკითხა:

– კაცო, შენ მამაშენმა ხომ მოგაწყო უმაღლესში?

– კი, მომაწყო.

– „ფერარიც“ ხომ გიყიდა?

– კი, მიყიდა.

– კარგი ოთხოთახიანი ბინის გასაღებიც ხომ ჩაგახუტა ვაკეში?

– კი, ასეა.

– აბა, ბიძია, ამ შუაღამისას რომ მაღვიძებ, სინდისი არ გაქვს? ცხოვრება აწყობილი გქონია, და, დაჯექი და იფხანე!

***

ბათუმში ჩასულმა გურულმა ზღვაში ცურვით ხუთი კილომეტრი დაფარა. გაოცებული ჟურნალისტები ეკითხებიან:

– როგორ, მოახერხეთ ამხელა მანძილის დაფარვა ცურვით და თან შეუსვენებლად?

– როგორ დაია და, ჯერ არ ვაპირებდი, მარა, რომ ჩევედი ზღვაში, ჯერ სიმინდის ტარო გავწიე ზღვაში გვერძე, მერე პარკი, მერე პამპერსი, მერე საზამთროს ქერქები, მერე მკტარი თოლია, მერე ბოთლი და, კი გევიარე ასე ხელების ქნევაში ხუთი კილომეტრი, ბიძია!..

**დედა დამესიზმრა**

რეზო ლალიძემ იცოდა, რომ, თუ ბიძინა კვერნაძე ქეიფს გადაამდა, სახლში საქმე მწყრალად იყო და ნუგეშასთან (ბიძინას ცოლთან) ურთიერთობის მთელი სისტემა ჰქონდა შემუშავებული. ერთხელ ეზოდან დაუძახა – დღეს ბიძინას ხელი უნდა გთხოვოო, რაც კიდევ ერთ „განავარდებას“ ნიშნავდა, ბიძინა კი საქმიანად უხსნიდა მეუღლეს: წუხელ დედა დამესიზმრა და, რეზოს რომ ვუამბე, მითხრა, აუცილებლად სიღნაღში უნდა წავიდეთ და საფლავი მოვინახულოთო.

ბიძინა უკვე მანქანაში ჯდებოდა, როცა ქალიშვილმა, პატარა ფისასომ იკითხა:

– კი მაგრამ, ბებია შარშან არ გადმოვასვენეთ თბილისში ბაბუას გვერდით?

## როგორ აღმოაჩინა გერმანულმა ნაგაზმა, მეცხადულად „ნერონმა“, ნარკომანი ბობოლა მილიციელი

გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს, ქუთაისელ კინოლოგებს უზარმაზარი გერმანული ნაგაზი გვყავდა, რომელსაც „ნერონი“ ერქვა. ძაღლი მესაზღვრეებისგან გვყავდა წამოყვანილი, რადგან კოჭლობის გამო ჩამოწერეს. ნერონი ერთ-ერთი ჯაშუშის დაკავებისას დაიჭრა ფეხში და სწრაფად სირბილი აღარ შეეძლო, თუმცა, ისეთი მახვილი ყნოსვა ჰქონდა, რომ სუნს დიდ მანძილზე გრძნობდა. ძაღლი ნარკოტიკებზეც იყო დაგეშილი და, ქუთაისში ვინმეს მარიხუანა რომ მოეწია ან ჯიბეში ჩაედო, შორიდანვე იყნოსავდა და შესაბამის რეაგირებას ახდენდა.



მაისის ერთ დღეს ქუთაისში ჩვენი მაშინდელი მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა, რათა ჩვენს მიღწევებს გასცნობოდა. ედუარდ ამბროსოვიჩი ბობოლა მილიციელების თანხლებით მოძრაობდა და ყვეელაფერს პირადად ამოწმებდა, თან თავის მოსაზრებებს ხმამაღლა გამოთქვამდა. უცებ მან იკითხა:

– ნერონი სადაა, ნერონი? გამიგონია, საოცარი ძაღლი გყოლიათ და, მინდა, პირადად გავეცნო, – გაიღიმა შევარდნაძემ და ჩვეული იუმორით დაამატა: – თანაც, კოჭლი ყოფილა და, მინდა ვკითხო, სამსახური ხომ არ უჭირს.

ქუთაისის მილიციის მესვეურები დაფაცურდნენ და ნერონი მოიყვანეს. ძაღლი ჯერ დინჯი ნაბიჯებით მოდიოდა, თან კოჭლობდა. უცებ მან ცხვირი ზემოთ ასწია და რაღაც სუნი აიღო. შემდეგ პატრონს გაექცა და პირდაპირ შევარდნაძისკენ გაქანდა, მერე მის გვერდით მდგარ მილიციელს მიახტა, ძირს დააგდო, ფორმის ჯიბიდან ჰაშიშით სავსე პაკეტი ამოუღო და ღრენა დაუწყო...

ბობოლა მილიციელს ექსპერტიზა ჩაუტარეს და ის ნარკომანი აღმოჩნდა, რის გამოც ორგანოებიდან დაითხოვეს, ნერონმა კი პირადად მინისტრის ხელიდან მიიღო ხორცის უზარმაზარი ნაჭერი.

**მურთაზ სვანიძის ნაამბობის მიხედვით მომამზადა ნიკა ლაშაურმა**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

# მიიღეთ ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**„X ფაქტორის" მონაწილემ, 15 წლის მარიამ ჯანჯღავამ არა მხოლოდ ჟიურის, მაყურებლის მოხიბვლაც შეძლო. ნიჭიერი, ენერგიული და ხალისიანი გოგონა ამჟამად სკოლაში სწავლობს და მომავალში მომღერლის კარიერის გაგრძელებას აპირებს.**

# რატომ ეჩხუბებიან „X ფაქტორის" რეპეტიციებზე მარიამ ჯანჯღავას და რის გამო დააწერინეს მას სკოლაში ახსნა-განმარტება

**მარიამ ჯანჯღავა:** ჯერჯერობით პროფესია არ ამირჩევია, თუმცა, სიმღერა ჩემთვის მხოლოდ გართობა არ არის, რომელსაც თავს დავანებებ; სიმღერა ჩემთვის ყველაფერია და ვაპირებ, მომღერალი გავხდე. პროფესიებს რომ ჩამოთვლიან ხოლმე, მე, ალბათ, ამ ჩამონათვალიდან იურიდიულს ავირჩევდი. ბავშვობიდან ყველა მეუბნებოდა: მარიამ, შენ იურიდიულზე უნდა ჩააბარო, რადგან, სულ სხვის უფლებებს ვიცავდი – ვინმეს რომ ჩაგრავდნენ, გამოვესარჩლებოდი ხოლმე.

**– ამის გამო კონფლიქტებიც ხომ არ მოგსვლია სხვებთან?**

– სკოლაში არავისთან არ მქონია კონფლიქტი, არც კლასში. პატარა წაკამათებები ყოფილა, როდესაც მასწავლებელს სხვისთვის ნაკლები ნიშანი დაუწერია და ამის გამო ბოლოს ისევ მე ვიჩაგრებოდი.

**– უფლებათა დამცველი ყოფილხარ.**

– დიახ. მერე მე ვიღებდი საყვედურებს და ჩემს მშობლებს ეუბნებოდნენ: თქვენი შვილი ამას აკეთებს, იმას აკეთებსო. ამის გამო მერე მათ სკოლაში იბარებდნენ: „ჯანჯღავა, შენი მშობელი მოვიდეს სკოლაში". სულ ჯანჯღავა და ჯანჯღავა!.. ძირითადად, დედა და ბებო მოდიოდნენ, მამას არ ეცალა ხოლმე, მაგრამ, როცა საქმე დირექტორამდე მივიდოდა, მერე უკვე მამა მოდიოდა. ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი. სამი-ოთხი წლის წინ ბევრად კარგად ვსწავლობდი და უფრო ცელქი ვიყავი; ახლა ისე კარგად აღარ ვსწავლობ, მაგრამ, დავჭკვიანდი; თან, ბავშვური ვარ და მიყვარს ბავშვური რაღაცეები.

**– რაში გამოიხატებოდა შენი სიცელქე?**

– ძალიან აქტიური ვიყავი და გაკვეთილებზე ბევრს ვლაპარაკობდი. უზრდელი და ცუდი ბავშვი არ ვყოფილვარ. შატალოზე რომ მივდიოდით, მე ვიყავი ორგანიზატორი, პირველი მე გავრბოდი. ექსკურსიებზეც, სხვა მშობლები ხომ იყვნენ ჩართულები, მაგრამ დედაჩემი განსაკუთრებულად იყო ჩართული, ორივე აქტიურები ვართ. ერთხელ მე და ჩემი თანაკლასელი გამათბობელთან ვიდექით და ვთამაშობდით. უცებ რაღაც მოსძვრა და ჩვენ დაგვბრალდა. იმ ჩემს თანაკლასელს რიცხავდნენ სკოლიდან და მე, რა თქმა უნდა, დავიწყე: არა, არა... ბოლოს ახსნა-განმარტებები დაგვაწერინეს. არავისთან არ მითქვამს და ახლა უნდა ვთქვა: ისეთი გიჟი კლასი მყავდა, ოთახში შესვენებებზე მერხებს ვაწყობდით და ჩანთებით ბოულინგს ვთამაშობდით.



**რვა წლის რომ ვიყავი, ესპანეთში წავედი, ბარსელონაში სიმღერის კონკურსზე პირველი ადგილი ავიღე**

**– სკოლა შეიცვალე?**

– დიახ, ხუთი წელი ვსწავლობდი 186-ე სკოლაში, მერე გადავედი 126-ეში. ეს ხუთი წელი ჩემთვის დაუვიწყარია, მაგ სკოლაზე დღემდე ვგიჟდები, თუმცა, ისეთ მაგარ კლასში გადავედი, რომ ყველას დავუმეგობრდი. ძველ კლასთან დაშორება ძალიან გამიჭირდა, უბრალოდ, კლასში ვისთანაც ყველაზე კარგად ვიყავი, ისინიც სხვა სკოლაში გადავიდნენ და, ამიტომ, უფრო ადვილად შევეგუე. თუმცა, ჩემს ყოფილ თანაკლასელებთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს.

**– სახლშიც ცელქი და მოუსვენარი ხარ?**

– სახლში არ ვცელქობდი, მაგრამ, სულ დედაჩემის კივილი ისმოდა: ამოდი, შვილო, მაღლაო, – სულ ეზოში ვიყავი. მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა და ვერასდროს ვერ ამოვყავდი დედას ეზოდან. ბავშვობაში ორი გოგო ვიყავით ეზოში – მე და ჩემი დაქალი თათია, დანარჩენი ბიჭები იყვნენ. ბიჭებთან ურთიერთობა უფრო გამომდიოდა და ყველანი ვთამაშობდით ფეხბურთს, კალათბურთს. მეკარედ მაყენებდნენ ხოლმე, რადგან, ფეხბურთის აზრზე არ ვიყავი.

**– მშობლები მკაცრად გსჯიდნენ?**

– არა, უბრალოდ, დედა ხშირად არ მიშვებდა გარეთ. სხვა ბავშვების მშობლები ეუბნებოდნენ ხოლმე, თქვენი შვილი ჩემს შვილს ეჩხუბებაო, ოღონდ, მართლა არ იყო ჩემი ბრალი. იმდენად აქტიური ვიყავი და ვიცავდი სხვა ბავშვებს, რომ მერე ყველა მე მაბრალებდა ყველაფერს. ამიტომ, დედაც არ მიშვებდა გარეთ, თან, ბევრი სამეცადინოც მქონდა ხოლმე. ახალგაზრდა მშობლები მყავს და კარგად ესმით ჩემი, მიგებენ. თან, არ ვარ ისეთი გოგო, ისეთი რაღაც გავაკეთო, რაც მშობლებს არ მოეწონებათ.

**– როდის დაიწყე სიმღერა?**

– სიმღერა 3 წლიდან დავიწყე, მაგრამ ჩემს ოჯახში დედა, ბაბუა, ბებია – ყველა მღერის, ოღონდ, დედაჩემის მხრიდან, თან, პროფესიონალურ დონეზე. დედამ, რადგან შვილები ჰყავდა და ბევრი პასუხისმგებლობა ჰქონდა, სიმღერას თავი დაანება. მამაჩემმა ქოხონელიძეების სტუდიაში მიმიყვანა და, იქიდან მოყოლებული, 9 წლამდე თინიკო მამზადებდა. პირველი კონცერტი 3 თუ 4 წლის ასაკში მქონდა, ვიდეოებიც მაქვს. ბავშვობა ძალიან ძვირფასია ჩემთვის. 8 წლის რომ ვიყავი, ესპანეთში წავედი ბარსლონაში სიმღერის კონკურსზე და პირველი ადგილი ავიღე; „ანა-ბანაშიც" გამოვდიოდი და მეორე ადგილზე გავედი, დღემდე მაქვს საჩუქრები შენახული. კიდევ იყო „ვოისი," შარშან კი „X ფაქტორში" გოგონების ჯგუფთან ერთად გამოვედი. ბევრი გეგმა გვქონდა, იტალიაში მივდიოდით ფესტივალზე, მაგრამ, ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე მოულოდნელად და ველარ წავედით. მერე ჩვენი ჯგუფი დაიშალა, თუმცა, დღემდე ყველას კარგი ურთიერთობა გვაქვს. როდესაც „X ფაქტორში" ვმონაწილეობდით, მაშინ სკამების ტურზე ჟიურიმ ჩემზე გააკეთა აქცენტი, მე გამომარჩიეს და ამან სტიმული მომცა. მაინც არ ვაპირებდი მეორედ მონაწილეობას, მაგრამ, მეგობრებმა მირჩიეს და მთხოვეს, გამოვსულიყავი. რომ არა მეგობრები, ამდენს ვერ შევძლებდი, მამხნევებდნენ – შენ ეს შეგიძლიაო.

**– როგორი მენტორია ანრი?**

– ძალიან კარგი, გამიხარდა. იუმორისტია, მაგარი მენტორია და სულ გვამეცადინებს. რეპეტიციებზე ძირითადად მეჩხუბებიან, რადგან, არ ვაკეთებ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს. რეპეტიციაზე არ შემიძლია იმ ენერგიის, ემოციების ჩადება, რასაც სცენაზე ვაკეთებ, თან, ყელსაც ვუფრთხილდები და ჩემი შესაძლებლობის 20-30 პროცენტს ვხარჯავ, სხვები კი ბოლომდე იხარჯებიან, მობილიზებულად არიან. მაგრამ სცენაზე რომ გავდივარ, რადიკალურად იცვლება ყველაფერი. რომ ვხედავ ხალხის დადებით ემოციებს, მათი ენერგია ჩემთან მოდის და ასი პროცენტით შეცვლილი გავდივარ. რეპეტიციებზე ძალიან უჟმური და მშვიდი ვარ: ერთი, რომ ვიღლები და მეორე – რეპეტიციაა და ცანცარი არ შეიძლება. თუმცა მაინც კარგად ვმხიარულობთ და ვერთობით, ოთხივე კარგ დროს ვატარებთ ერთად.

**– რა თქმა უნდა, მოგების იმედი გექნება.**

– ვინც ასეთ კონკურსში მონაწილეობს, ცხადია, მოგების იმედიც აქვს, თუმცა, ზოგი გამოცდილების მისაღებად მიდის. კონკურენცია ძალიან დიდია. სკამების ტური განსაკუთრებით სანერვიულო იყო. სიმღერაც ისეთი იყო, ჟანრობრივად არეული, თუმცა აქტიური და, შევძელი მაყურებლის აყოლიება. უბრალოდ, მე უფრო ლირიკული, წყნარი სიმღერები მომწონს, მაგრამ, ალბათ, მოვიხდინე ეს ჟანრიც, რადგან, დავრჩი პროექტში და შემდეგ ტურში გადავედი.

**ნათია უტიაშვილი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**ქართველ დიზაინერს, მარია მათურელს მოსკოვური საზოგადოება უკვე კარგად იცნობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბრენდი *MATURELLI* სულ რამდენიმე წლისაა, მარიას ფერადი, ჰაეროვანი, ქალური და სექსუალური კაბები არცერთ ქალს არ ტოვებს გულგრილს. მარიას ექსკლუზიურ კაბაში ქალი თავს გამორჩეულად, თავდაჯერებულად გრძნობს და ირგვლივ მყოფების მოწონებასაც იმსახურებს. მარია 22 მაისს მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე მოდურ და პრესტიჟულ ადგილას მორიგ ჩვენებას მართავს. მას საქართველოსთან დაკავშირებითაც არაერთი გეგმა აქვს – ნიჭიერ, წარმატებულ დიზაინერს სურს, მისი ულამაზესი კაბები ქართველმა ქალბატონებმაც ჩაიცვან.**

# როგორ დაამახსოვრა სტამბულსა და მოსკოვს თავი მარია მათურელმა და როგორ გადაუღო ფოტოები სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ბორის ბერეზოვსკის

**მარია მათურელი:** გაზაფხული-ზაფხულის ახალი კოლექცია სტამბულს ეძღვნება, ჰქვია – Bosforus. პირველი გადაღება სტამბულში გვქონდა. მე ვიყავი მოდელის როლში. მას შემდეგ, რაც დიზაინერი ვარ, ჩემი შემოქმედებითი მხარე წარმატებით მიდის. საზოგადოება, პრესა, მეგობრები – მუდმივად ერთ კითხვას მისვამენ: თავად ატარებ საკუთარ კაბებს? ეს გადაღება იყო ერთგვარი გამოძახილი და პასუხი ამ კითხვაზე: დიახ, მე ვიცვამ ჩემს კაბებს; მე არა მხოლოდ მათი შექმნით ვიღებ სიამოვნებას, არამედ მათი ტარებითაც. გადაღებები გვქონდა სულთან აჰმედთან ახლოს, გარშემო იმდენი ხალხი შეიკრიბა, ყველა ფოტოს იღებდა – მთელი სულთან აჰმედი ჩვენი იყო. გვეკითხებოდნენ: ეს რა ბრენდია, რა ლამაზია. მეც თამამად ვპასუხობდი: მე დიზაინერი ვარ, ეს ბრენდი „მათურელია". ზოგიერთი ისე აღფრთოვანდა, რომ ამბობდნენ: ოჰ, ამის გამო ღირს სიცოცხლე, ეს სილამაზეა, ეს ხელოვნებაა – ისეთ მაღალ შეფასებას ვიღებდით ტურისტებისგან, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. იქვე, სალარო იყო, ადამიანები მოწყენილები, დაღლილები იდგნენ რიგში. ვთქვი: მოდი, მე ვიცეკვებ მათ წინაშე და ისინი გახალისდებიან. წარმოიდგინეთ: გოგონა გრძელ კაბაში, ტრიალებს და ცეკვავს მათ წინაშე. ძალიან გახალისდნენ. ვფიქრობ, ჩვენ იქ დაგვიმახსოვრეს. გადაღებები მიდიოდა ორი დღის განმავლობაში და მე მივხვდი: შემიძლია, მთელი ცხოვრება ამ კაბებში გადავიღო ფოტო. ამ გრძელი კაბებით შეგიძლია იხტუნაო, იფრინო – ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე და ვიგრძენი: რას გრძნობს ადამიანი, როცა ასეთ კაბას იცვამს – კაბას ახალი კოლექციიდან. მე მივხვდი, რომ ჩემი ახალი კოლექცია გარშემო მყოფებს ასაჩუქრებს ღიმილით, სიხარულით – შენ კი თავს გრძნობ ყველაზე სასურველად და ქალურად. ახალი კოლექციის სახეა ცნობილი მსახიობი, მიროსლავა კარპოვიჩი. მე ის იმიტომ არ ამირჩევია, რომ ცნობილი და პოპულარულია. ის არის ძალიან ქალური, ელეგანტური და ჩემს კოლექციასაც ძალიან უხდება. გადაღებები გვქონდა მოსკოვშიც, ამ შემთხვევაში მე ვიყავი ფოტოგრაფის როლში. ეს იყო ნამდვილი შოუ – მიროსლავა, რომელიც უნიკალური გოგონაა, ქუსლებიანი ფეხსაცმლით ავიდა მაღალ გალავანზე და იქიდან პოზირებდა. იყო დიდი ექსტრემი. მიროსლავა ამასაც არ დასჯერდა, მითხრა: გვაქვს კიბე, რომ ავიდეთ სხვენში. ის, ქუსლებით, გრძელი კაბით, თავზე გვირგვინით – ნამდვილი დედოფალი, მე კი – კიბით, ფოტოაპარატით ხელში, მოსკოვის ცენტრალურ ადგილზე საოცრებებს ჩავდიოდით.




**– შენი გადაღებები შოუს გარეშე არ ტარდება.**

– როდესაც უყურებ ფოტოებს, ეს არ არის ლუქბუქი თეთრ ფონზე. ნებისმიერი კოლექცია წინასწარ არის მოფიქრებული, ნამუშევარი. ეს არის როგორც ზღაპარი, რომელსაც უყურებ და კითხულობ – ისტორია ცოცხლდება შენ წინ.

**– როგორც ვიცი, უკვე გახსენი ინტერნეტმაღაზია, სადაც ადამიანებს პირდაპირ შეუძლიათ შენი კაბების ნახვა და ყიდვა.**

– უკვე გვაქვს ინტერნეტ-მაღაზია: http://maturelli.com/vesna-leto-2015/, სადაც ადამიანებს შეუძლიათ იყიდონ ახალი კოლექცია. ძველი კოლექციები კი, ანუ ყველაფერი, რაც მანამდე შეიქმნა, საიტზე განთავსდება, როგორც ბრენდის ისტორია. ჩვენი ბრენდი ექსკლუზიურია, ამიტომაც ვთავაზობთ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს ახალ კოლექციას. ერთი დაკლიკება და კაბა უკვე მათი იქნება.

**– სულ მალე ახალი კოლექციის ჩვენება გაქვს მოსკოვში, რომელიც, ალბათ, შოუსა და სიურპრიზების გარეშე, არც ახლა ჩაივლის.**

– ყველა მოუთმენლად ელოდება ახალ კოლექციას. 22 მაისს, მოსკოვის ცენტრში გაიმართება პრეზენტაცია. იქნებიან ცნობილი ადამიანები, ხალხი მოდის ინდუსტრიიდან, პრესა, ბლოგერები, ტელევიზია, რადგან ყველას აინტერესებს, რას შევთავაზებ მათ. მიროსლავა გახსნის შოუს, გვაქვს პატარ-პატარა სიურპრიზები. ყოველთვის ვცდილობთ, ისეთი რაღაცეები გავაკეთოთ, რომ საზოგადოება შოკირებული იყოს, რადგან თავადაც ძალიან მიყვარს სიურპრიზები, ფოიერვერკები. ულევი ენერგია მაქვს და მინდა, ხალხს მივცე ბევრი სიხარული, ბედნიერება. ეს არ იქნება მხოლოდ პრეზენტაცია, თითოეული ადამიანი იგრძნობს იმ ენერგიას, რომელიც მე კაბებში ჩავდე. მე და მიროსლავა ძალიან დავმეგობრდით, ერთნაირი ენერგეტიკა გვაქვს, სულ ერთად ვართ. ერთად დავდივართ სალამოებზე, მერე ფოტოებს ვიღებთ, ვაქვეყნებთ საიტებზე. ჟურნალისტები უკვე გველოდებიან ხოლმე – ახლა ისინი მოვლენ, ცეცხლს დაანთებენ, შოუს მოაწყობენ. მეგობარმა მსახიობებმაც ნახეს კოლექცია, მირეკავენ: მარია, ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ, ველოდებით კოლექციას და ბოლოს ამთავრებენ: შენ და მიროსლავა როგორ დამეგობრდით, ჩვენ სულ დაგვივიწყე, ვეჭვიანობთ. ჩვენების წინ სპეციალურად ჩამოვედი საქართველოში, ჩემს ქვეყანაში, რომელიც ძალიან მიყვარს და უდიდეს ინსპირაციას მაძლევს. აქაც ძალიან ლამაზ ადგილებში გადავიღე კოლექცია, მოდელი ისევ მე ვიყავი.

**– შენ ხარ ფოტოგრაფი, რომელმაც ბერეზოვსკი სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე გადაიღო. მისი ფოტო ვნახე შენს „ინსტაგრამის" გვერდზე.**

– მე არა მხოლოდ დიზაინერი ვარ, არამედ ფოტოხელოვანიც. ბევრი ვარსკვლავი მყავს გადაღებული, არა მხოლოდ მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, პოლიტიკაც




მოხვდა ჩემს ობიექტივში. „ინსტაგრამზე" დავდე ბორის ბერეზოვსკის ფოტო, რომელიც გადავიღე გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე. მისი გარდაცვალების თარიღი იყო და მინდოდა, მის შესახებ რამდენიმე სიტყვა დამეწერა: „Кто помнит этого человека? Политика, бизнесмена, противоречивую и скандальную личность - таким его запомнили многие современники. Я, в свою очередь, помню его остроумным, жизнерадостным, с прекрасным чувством юмора. В канун годовщины его смерти, хочу поделиться кадрами из жизни Бориса Абрамовича Березовского, сделанными мной за несколько месяцев до его печальной кончины ..." ამ ფოტოს გამოქვეყნებისთანავე ძალიან ბევრი ჟურნალისტი მირეკავდა, მიწვევდნენ შოუებში. სკანდალური ისტორიაა და აინტერესებდათ – როგორ, რა სიტუაციაში გადავიღე ეს ფოტო. მე ჩემს „ინსტაგრამზე" დავწერე კომენტარი, ამიტომ ამ საკითხზე მეტ კომენტარს აღარ ვაკეთებ. ეს ფოტო ექსკლუზიურია, შეიძლება ითქვას, მისი ბოლო ფოტოსესიაა და ისტორიას დარჩება. ისევე, როგორც ჩემი გადაღებული ბევრი სხვა ფოტო. ჩემთვის პატივია, რომ ჩემს ობიექტივში მოხვდნენ ადამიანები, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში დიდი როლი ითამაშეს და როგორც ისინი ქმნიდნენ ადამიანებისთვის ისტორიას, ასე შევქმენი მე ჩემს არქივში მათი ისტორია.

**ნათია უტიაშვილი**


გვ. 63
როგორ დაამახსოვრა თავი სტამბულსა და მოსკოვს მარია მათურელმა და როგორ გადაუღო ფოტოები სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ბორის ბერეზოვსკის
ISSN 1987-569X
9 771987 569002
და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში
თ ლისელები®
www.tbiliselebi.ge
ყოველკვირეული ჟურნალ
* გამოდის ორშაბათობით * №21 (752) * 25–31 მაისი * ფასი 1,50 ლარი